

## მალხაზ მაყაშვილი

# ქიოლოგია

დამწმარე სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის

- უჯრედის სასიცოცხლო ფიკლი
- მეიოზი
- გენეტიკა
- გამრავლება
- ცილის და აფვ-ის სიცოცხი
- ცოლუფის, ანატომის და ფიზიოლოგის საკითხები
- კვლევა
- ლაპორატორიული სამუშაოები
- გაკვეთილების სცენარები
- ტესტები, სავარჯიშოები



გამოხვევლობა უსტარი  
2014

## ავტორისაგან

სახელმძღვანელო მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით რთულია მოსწავლეებისათვის ასათვისებლად და მასწავლებლებისათვის – გაკვეთილის ჩასატარებლად. ეს საკითხებია: გენეტიკა, ევოლუცია, უჯრედში მიმდინარე ნივთიერებათა და ენერგიის ცვლა, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, ბუნებისმეტყველების სწავლებაში გამოყენებული მათემატიკური გამოთვლები (ალელების, ფენოტიპებისა და გენოტიპების სიხშირის გამოთვლა საშუალო მაჩვენებლისა და სტანდარტული გადახრის გამოთვლა).

სახელმძღვანელოში აგრეთვე განხილულია ექსპერიმენტის ჩატარების სპეცი-ფიკა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებთან მუშაობა, მონაცემების გამოსახვა და გრამეტების სახით, კვლევა, პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, ზოგიერთი საკითხი (მაგ., ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია, კლასების დახასიათება, გამრავლების ტიპები) მოცემულია სქემების სახით.

წიგნში მოცემულია ლაბორატორიული სამუშაოები, გაკვეთილის სცენარები როგორც საბაზო და დამამთავრებელი, ისე დაწყებითი საფეხურისათვის.

სახელმძღვანელოში ჩართულია ტესტები გენეტიკაში, უჯრედის პიოლოგიაში, ანატომია-ფიზიოლოგიაში მოსწავლის ცოდნის შესამოწმებლად.

ყველა უფლება დაცულია

© მალხაზ მაყაშვილი, 2014

© გამომცემლობა „უსტარი“, 2014

ISBN 978-9941-9350-3-9

მეორე გადამუშავებული გამოცემა

გამომცემლობის რედაქტორი: თამარ გელოვანი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბექა ხაჩატუროვი

თბილისი, მ. წინამდლვრიშვილის 119

ტელ: 296 40 81, 790 96 40 82

ელ. ფოსტა: [ustari2010@gmail.com](mailto:ustari2010@gmail.com)

[www.ustari.ge](http://www.ustari.ge)

# უჯრედის სასიცოცხლო ციკლი

## ქრომოსომები


ქრომოსომები უჯრედის ბირთვში არსებული სტრუქტურებია. ქრომოსომები შეიცავს ნუკლეინის მჟავას — **დეზოქსი რიბონუკლეინის მჟავას** (დნმ-ს).

დნმ განსაზღვრავს ორგანიზმის ძირითად ნიშან-თვისებებს. ამიტომ ქრომოსომები უჯრედის ერთერთი უმთავრესი კომპონენტია.

ქრომოსომები ერთმანეთთან დაწყვილებულია - ეს ქრომოსომების **ჰომოლოგიური ნუკლეიბია.**

უჯრედში ქრომოსომების რაოდენობა განსხვავებულია ცოცხალი ორგანიზმების სახეობების მიხედვით. მაგალითად, ადამიანს 46 ქრომოსომა აქვს. მაგრამ 46 ქრომოსომა გვხვდება იმ უჯრედებში, რომლებიც არ იღებს მონაწილეობას გამრავლებაში. ეს **სომატური უჯრედებია.** **სასქესო უჯრედებში,** რომლებიც გამრავლებაში იღებენ მონაწილეობას, ქრომოსომების რაოდენობა განახევრებულია. ადამიანის სასქესო უჯრედებში ქრომოსომების რაოდენობაა 23. ამგვარად, სასქესო უჯრედებში ქრომოსომების განახევრებული — **ჰაპლოიდური კომპლექტი** (პირობითად **1** რაოდენობა), სომატურ უჯრედებში კი ორმაგი - **დიპლოიდური კომპლექტი** (პირობითად **2n** რაოდენობა).

დიპლოიდურ კომპლექტში ქრომოსომები დაწყვილებულია **ჰომოლოგიურ ნუკლებად** (იხ. სურათი ქვემოთ). სურათზე ქრომოსომები გაორმაგებულია და შეიცავს ორ ქრომატიდს.



გამრავლება ყველა ცოცხალი ორგანიზმის დამახასიათებელი თვისებაა. უჯრედულ დონეზე გამრავლება გამოიხატება საწყისი — დედისეული უჯრედის ორად გაყოფასა და ახალი — შვილეული უჯრედების წარმოშობაში.

უჯრედის სიცოცხლე მოიცავს ორ ძირითად პროცესს: უჯრედი იზრდება ზომაში და ასრულებს თავის ფუნქციებს, ხოლო შემდეგ კი იყოფა — მრავლდება.

ამგვარად არჩევენ უჯრედის სასიცოცხლო ციკლის ორ ფაზას: **ინტერფაზა** პერიოდია როდესაც უჯრედი იზრდება და ასრულებს სასიცოცხლო ფუნქციებს, ხოლო ინტერფაზის შემდგომ იწყება უჯრედის გაყოფა - **მიტოზი**.

ინტერფაზი არჩევენ რამდენიმე სტადიას: პირობითად მათ ეწოდება  $G_1$ , ფაზა,  $S$  ფაზა და  $G_2$  ფაზა.

$G_1$  ფაზაში უჯრედი ასრულებს თავის ფუნქციას. ნერვული უჯრედი შეიგრძნობს და პასუხობს გაღიზიანებას, კუნთოვანი უჯრედი იკუმშება, კუჭის ქსოვილის უჯრედები გამოყოფენ საჭმლის მომნელებელ წვენებს და ასე შემდეგ. ამავე ფაზაში უჯრედი იზრდება. მატულობს ორგანოდების რაოდენობა.

$S$  ფაზაში ხდება უჯრედის ბირთვში არსებული დნმ-ს მოლეკულების და შესაბამისად ქრომოსომების გაორმაგება.

გამრავლების შედეგად წარმოქმნილ უჯრედებს უნდა შეუნარჩუნდეს ქრომოსომების ის რაოდენობა, რომელიც ქონდა დედისეულ უჯრედს. ეს გასაგებიცაა: ქრომოსომები დნმ-ს სახით შეიცავენ ინფორმაციას ორგანიზმის ნიშან-თვისებების შესახებ და ეს ინფორმაცია უკლებლივ უნდა გადაეცეს შვილეულ უჯრედებს.

ამიტომ ინტერფაზაში ქრომოსომების რაოდენობა ორმაგდება.

გაორმაგებული ქრომოსომა შედგება 2 ნაწილისგან

— **ქრომატიდისგან**. ქრომოსომების გაორმაგების დროს ორმაგდება ქრომოსომებში არსებული დნმ-ც. ამიტომ დნმ არის როგორც ერთ, ისე მეორე ქრომატიდში.



ინტერფაზის ბოლო ფაზაში -  $G_2$  ფაზაში, უჯრედი აგრძელებს ფუნქციის შესრულებას და ემზადება მიტოზისთვის, თუ უჯრედი რაღაც მიზეზების გამო არ გადადის ინტერფაზიდან მიტოზში, ამბობენ, რომ ის იმყოფება  $G_0$  ფაზაში.


### მიტოზი

ინტერფაზის დასრულების შემდეგ იწყება მიტოზი.

მიტოზი შედგება 4 ძირითადი ფაზისაგან. ეს ფაზები განვიხილოთ სქემის დახმარებით. სქემა ასახავს იმ უჯრედის გაყოფას, რომელსაც 6 ქრომოსომა აქვს.

**პროფაზა.** სქემაზე, ქრომოსომები უკვე გაორმაგებულია (ეს ინტერფაზაში მოხდა) და თითოეული ქრომოსომა შედგება 2 ქრომატიდისგან. **სულ უჯრედში 6 ქრომოსომაა და 12 ქრომატიდი.**






პროფაზაში, ციტოპლაზმაში განირჩევა 2 პატარა ზომის ნაწილაკი — ცენტრიოლი (1). ისინი უჯრედის კიდეებში (პოლუსებზე) ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგდებიან. პროფაზის ბოლოს ბირთვის გარსი ქრება და ქრომოსომები ციტოპლაზმაში გამოდიან. ცენტრიოლები გამოუშვებენ სპეციალურ ცილოვან ძაფებს - მიტოზის თითისტარას (2), რომლებიც ქრომოსომებს უჯრედის შუა ნაწილისკენ უბიძგებენ.


**მეტაფაზა.** მეტაფაზაში ქრომოსომები განლაგდება უჯრედის ცენტრში. თითისტარები ჩაეჭიდებიან ქრომატიდებს.

როგორც იცი, თითოეული ქრომოსომა 2 ქრომატიდისგან შედგება. ქრომატიდებიდან ერთს ჩაეჭიდება უჯრედის ერთ პოლუსზე მყოფი ცენტრიოლიდან გამოსული თითისტარა, ხოლო მეორე ქრომატიდს ჩაეჭიდება საწინააღმდეგო პოლუსზე მყოფი ცენტრიოლიდან გამოსული თითისტარა.

**ანაფაზა.** ანაფაზაში თითისტარები ქრომატიდებს პოლუსებისკენ გადააადგილებენ.



**ტელოფაზა.** ტელოფაზაში წარმოიქმნება უჯრედის ბირთვები: ორი ბირთვი (3).



მიტოზი ტელოფაზით მთავრდება. ამგვარად, მიტოზის შედეგად უჯრედში წარმოიქმნება ორი ახალი ბირთვი, რომლებიც შეიცავენ იმდენივე ქრომოსომას, რამდენიც ქონდა ერთ, “ძველ” ბირთვს მიტოზის დაწყებამდე.

ამის შემდეგ იწყება ციტოკინეზი. უჯრედი შუაზე გაიყოფა. საბოლოოდ, მიტოზის და მისი მომდევნო ციტოკინეზის შედეგად მიიღება ორი შვილეული უჯრედი. ქრომოსომების გაორმაგება ინტერფაზაში და ქრომატიდების გადანაწილება მიტოზის დროს უზრუნველყოფს შვილეულ უჯრედებში ქრომოსომების იმავე რაოდენობის შენარჩუნებას, რაც დედისეული უჯრედისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, ადამიანში, მიტოზის შედეგად წარმოქმილ შვილეულ უჯრედებს 46 ქრომოსომა ექნება.

მიტოზურად მრავლდება ეუკარიოტების (უჯრედში ბირთვის მქონე ორგანიზმების) უჯრედები.


**პროკარიოტები** (უჯრედში ბირთვის არ მქონე ორგანიზმები) მრავლდებიან უჯრედის პირდაპირი გაყოფით — ბინარული გაყოფით. ამ დროს, გაყოფამდე ხდება დნმ-ს გაორმაგება, მაგრამ ბინარულ გაყოფას არ ახასიათებს მიტოზის მსგავსი ფაზები, უჯრედი ძალიან სწრაფად იყოფა ორ წარმოქმნის ორ შვილეულ უჯრედს.

## მეორზი

სქესობრივ გამრავლებაში მონაწილეობს მდედრი და მამრი ინდივიდი. გამრავლება ხდება სასქესო უჯრედებით - გამეტებით. მამრობითი სასქესო უჯრედია სპერმატოზოიდი, მდედრობითი — კვერცხუჯრედი. ორგანიზმის ყველა დანარჩენი უჯრედი, რომელიც გამრავლებაში არ მონაწილეობს, არის სომატური უჯრედი.

შინაგან სასქესო ორგანოებში, მამრობით სათესლეში და მდედრობით საკვერცხეში მწიფდება სასქესო უჯრედები (გამეტები) — სპერმატოზოიდი და კვერცხუჯრედი. მომწიფების დაწყებამდე მათ ქრომოსომების ისეთივე რაოდენობა აქვთ, როგორც სომატურ უჯრედებს — ქრომოსომთა დიპლოიდური კომპლექტი. მომწიფების შედეგ სასქესო უჯრედებში ქრომოსომათა რაოდენობა ნახევრდება — ჰაპლოიდური ხდება.

მომწიფების დროს სასქესო უჯრედები იყოფიან. ამ პროცესს მეიოზი ეწოდება მეიოზი შედგება ორი თანმიმდევრული გაყოფისაგან. პირველად დედისეული უჯრედი იყოფა და წარმოქმნის ორ შვილეულ უჯრედს. მეორედ იყოფა უკვე ეს ორი უჯრედი და მიიღება ოთხი უჯრედი, რომლებიც ყალბიდება სპერმატოზოიდად (სათესლეში) და კვერცხუჯრედად (საკვერცხეში).



განვიხილოთ მეიოზი სქემის დახმარებით. სქემაზე ნაჩვენებია უჯრედი 4 ქრომოსომით ანუ ქრომოსომების ორი ჰომოლოგიური წყვილით. ქრომოსომები უკვე გაორმაგებულია (ინტერფაზაში) და შეიცავს ორ ქრომატიდს. ამგვარად სახეზეა 4 ქრომოსომა 8 ქრომატიდით (1).

პროფაზაში ბირთვის გარსი იხსნება და ქრომოსომები გამოდიან ციტოპლაზმაში. ცენტრიოლები მიდიან პოლუსებისაკენ და მათგან გამოდის ცილივანი ძაფები (2).

გაყოფის თითისტარას ძაფები ჩაეჭიდება მთელს ქრომოსომას (და არა მის ერთ ქრომატიდს, როგორც მიტოზის დროს. უჯრედის ერთი პოლუსიდან თითისტარა ემაგრება ჰომოლოგიური წყვილიდან ერთ ქრომოსომას, მოპირდაპირე პოლუსიდან კი წყვილის მეორე ქრომოსომას. ანაფაზაში ქრომოსომები თავისი ორივე ქრომატიდით მიდიან პოლუსებისაკენ (3). ტელოფაზაში პოლუსებთან წარმოქმნება ბირთვები (4) და შემდგომში უჯრედი ორ ნაწილად გაიყოფა. მიიღება ორი შვილეული უჯრედი. თითო უჯრედში არის ჰომოლოგიური წყვილიდან ერთი ქრომოსომა თავისი 2 ქრომატიდით (5). მართალია, ქრომოსომა ორ ქრომოტიდს შეიცავს, მაგრამ თავად ქრომოსომების რაოდენობა დედისეულ უჯრედთან შედარებით განახევრებულია. მაგალითად, თუ დედისეულ უჯრედს აქვს 4 ქრომოსომა, ინტერფაზაში მათი გაორმაგების შემდეგ მიიღება 4 ქრომოსომა 2 ქრომატიდით, სულ 8 ქრომატიდი. პირველი გაყოფის შემდეგ ყოველ შვილეულ უჯრედში აღმოჩნდება 2 ქრომოსომა, თითოეული 2 ქრომატიდით. შვილეული უჯრედების წარმოქმნის შემდეგ მეიოზი გრძელდება. თითოეული უჯრედი კვლავ იყოფა. ამ დროს, ანაფაზაში (6), ერთმანეთს სცილდება ქრომოსომის ქრომატიდები (როგორც მიტოზის დროს). საბოლოოდ მეიოზის შედეგად მიღებულ ოთხ უჯრედში აღმოჩნდება თითო ქრომოსომა. ჰომოლოგიური წყვილიდან სქემაზე ჩანს რომ უჯრედებში არის არა ოთხი (როგორც დედისეულ უჯრედში) არამედ 2 ქრომოსომა. ამიტომ სასქესო უჯრედებში დედისეული ქრომოსომების განახევრებული — ჰაპლოიდური რაოდენობაა (7).

მეიოზი წააგავს მიტოზს, მაგრამ მათ შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც ცხრილის სახითაა წარმოდგენილი;

მიტოზი	მეიოზი
შედგები უჯრედის ერთჯერადი გაყოფისაგან: უჯრედი ერთხელ იყოფა და წარმოქმნის 2 უჯრედს.	უჯრედი იყოფა ორჯერ. პირველი გაყოფისას მიიღება ორი უჯრედი. ეს ორი უჯრედი კვლავ იყოფა და წარმოქმნის 4 უჯრედს.
მიტოზის შედეგად მიღებული 2 შვილეული უჯრედი შეიცავს ქრომოსომების იმავე რაოდენობას, რაც ქონდა დედისეულ უჯრედს	მეიოზის შედეგად მიღებული 4 შვილეული უჯრედი შეიცავს საწყის, დედისეულ უჯრედთან შედარებით ქრომოსომების განახევრებულ რაოდენობას
მიტოზის ანაფაზაში ერთმანეთს სცილდება გაორმაგებული ქრომოსომების ქრომატიდები	მეიოზის პირველი გაყოფის ანაფაზაში ერთმანეთს სცილდება ჰომოლოგიური ქრომოსომები (და არა ქრომატიდები)
	მეიოზის პირველი გაყოფის პროფაზაში ჰომოლოგიური ქრომოსომები ერთმანეთს გადაეჭდობიან და ცვლიან მონაკვეთებს (ამ პროცესს კროსინგოვერი ეწოდება)
	მეიოზის მეორე გაყოფის წინა ინტერფაზაში არ ხდება ქრომოსომების გაორმაგება

## ორგანიზმის ნიშანების განაპირობება გენები

დნმ-ის მოლეკულა ქრომოსომაშია მოთავსებული. **გენები**, რომლებიც მოიცავს დნმ-ს მოლეკულის მონაკვეთს, განაპირობებენ თუ რა ნიშანთვისება გვექნება.

სხვადასხვა გენი ჩვენს სხვადასხვა ნიშანთვისებაზეა პასუხისმგებელი.

ცოცხალ ორგანიზმის ნიშანთვისებები - **ფენოტიპი**, განპირობებულია ქრომოსომაში არსებული გენებით.


ორგანიზმის გენების ერთობლიობას **გენოტიპი** ეწოდება.

გენების გაცნობა მაგალითით დავიწყოთ.

თვალს (თვალის ფერად გარსს) ფერს აძლევს პიგმენტი. გენი განსაზღვრავს, თუ რამდენი პიგმენტი დაგროვდება თმაში, ანუ ადამიანს მუქი ფერის თვალი ექნება (ყავისფერი) თუ ღია ფერის (ცისფერი).

არსებობს თვალის ღია და მუქი ფერის განმაპირობებელი გენები.

**ალელი** არის ერთი ნიშან-თვისების (ამ შემთხვევაში თვალის ფერის) განმაპირობებელი გენის კონკრეტული ვარიანტი (მაგალითად ყავისფერი თვალის განმაპირობებელი ალელი, ცისფერი თვალის განმაპირობებელი ალელი). ალელები (1) ჰომოლოგიურ ქრომოსომებშია დაწყვილებული, ერთი ალელი განლაგებულია ერთ ქარომოსომაში, მეორე ალელი — მეორე ქრომოსომაში.



ალელებს პირობითად შეიძლება დავარევათ **დომინანტური** (წამყვანი, ძლიერი) და **რეცესიული** (სუსტი, დაქვემდებარებული). დომინანტური ალელის მიერ განპირობებული ნიშანთვისება ვლინდება ფენოტიპურად მიუხედავად იმისა, თუ რა ალელია მასთან წყვილში — მისი მსგავსი დომინანტური თუ რეცესიული. რეცესიული ალელი ფენოტიპურად ვლინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წყვილშია თავის მსგავს რეცესიულ ალელთან.

თუ ორგანიზმს ორივე ალელი ერთნაირი აქვს (ორივე რეცესიული ან ორივე დომინანტური), ის მოცემული ალელების მიხედვით **ჰომოზიგოტურია**. თუ ეს ალელები განსხვავდება (ერთი რეცესიულია, მეორე კი დომინანტური), ორგანიზმი **ჰეტეროზიგოტურია**. ადამიანს ცისფერი თვალი აქვს თუ მისი თვალის ფერის განმაპირობებელი ორივე ალელი რეცესიულია (ორგანიზმი ამ ალელის მიხედვით ჰომოზიგოტურია). თვალი მუქია ორ ვარიანტში — როდესაც ორივე ალელი დომინანტურია (ადამიანი ამ ალელის მიხედვით ჰომოზიგოტურია) და მაშინაც, როდესაც ერთი ალელი დომინანტურია და მეორე რეცესიული, ანუ ორგანიზმი ამ ალელების მიხედვით ჰეტეროზიგოტურია.

ნუ გააიგივებ გენოტიპსა და ფენოტიპს. გენოტიპი გენების ერთობლიობაა, ფენოტიპი — ნიშანთვისებები. იმავდროულად ფენოტიპი განისაზღვრება გენოტიპით, მაგრამ შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს გენოტიპს. მაგალითად დომინანტური ფენოტიპის მქონე ორგანიზმი შეიძლება გენოტიპურად იყოს ჰომოზიგოტური ან ჰეტეროზიგოტური.

ალელების პირობითი ალნიშვნა ასეთი წესით ხდება: დომინანტური ალელი ალნიშნება დიდი ლათინური ასოთი, რეცესიული პატარა ლათინური ასოთი. მაგალითად, მუქი თვალის განმაპირობებელი ალელი პირობითად შეიძლება აღვნიშნოთ როგორც A, ცისფერი თვალისა — a. შესაბამისად ცისფერთვალა ადამიანში ალელების წყვილი იქნება - aa, ხოლო შავგვრემანში — AA ან Aa.

მნიშვნელობა არა აქვს რომელ ლათინურ ასოს გამოიყენებ ჰომო - და ჰეტეროზიგოტების ალსანიშნავად.

დომინანტური ალელით არის განპირობებული კეხიანი (არნივისებრი) ცხვირი, გრძელი ცხვირი, ხუჭუჭი თმა, გაბურძგნული ნარბები, ნაადრევი გაჭალარავება და გამელოტება, თანდაყოლილი ახლომხედველობა, მონლოლოიდური ტიპის (ციწრო ჭრილის მქონე) თვალი.

**ამოვხსნათ რამდენიმე გენეტიკური ამოცანა.**

ამოცანის ამოხსნის დროს: 1. ყურადღებით კითხულობ პირობას, 2. იყენებ ცოდნას, რომელიც გენეტიკაში გაქვს და 3. ამ ცოდნის საფუძველზე ცდილობ გაერკვე ამოცანის საკითხში (აკეთებ ანალიზს) და მხოლოდ ამის შემდეგ 4. მოიფიქრებ პასუხს.

## 1. აქვს თუ არა ყველა ადამიანს ერთნაირი გენოტიპი?

**რას გეკითხებია:** შეკითხვა ეხება ადამიანის გენოტიპს და ადამიანების მსგავსებას (ერთნაირობას, იდენტურობას) გენოტიპის მიხედვით.

**რა იცია:** ცოცხალი ორგანიზმის ნიშანთვისებები - ფენოტიპი განპირობებულია გენოტიპით, ანუ ალელების ერთობლიობით. ფენოტიპი მრავალნაირი არსებობს (სხვადასხვა ფერის თვალი, ფორმის ცხვირი და ასე შემდეგ).

**ანალიზი:** ადამიანები გასწვავდებიან ნიშანთვისებებით — ფენოტიპურად. მაშასადამე ისინი განსხვავდებიან გენოტიპურადაც.

**პასუხი:** ყველა ადამიანს არ შეიძლება ერთნაირი გენოტიპი ჰქონდეს.

## 2. რომელი ალელების წყვილი CC, Cc თუ CC განაპირობებს ცხვირის კეხიან ფორმას?

**რას გეკითხებია:** შეკითხვა ეხება ალელების წყვილს და მის მიერ განპირობებულ ნიშანს — ცხვირის კეხიან ფორმას.

**რა იცია:** კეხიანი ცხვირი დომინანტური ნიშანია. დომინანტური ფენოტიპი ვლინდება ორ ვარიანტში — როდესაც ორივე ალელი დომინანტურია (ადამიანი ამ ალელის მიხედვით ჰომოზიგოტურია) და მაშინაც, როდესაც ერთი ალელი დომინანტურია და მეორე რეცესიული, ანუ ორგანიზმი ამ ალელების მიხედვით ჰეტეროზიგოტურია.

**ანალიზი:** რადგან ცხვირის კეხიანი ფორმა დომინანტური ნიშანია, ის შესაძლებელია განპირობებული იყოს როგორც დომინანტური, ისე დომინანტური და რეცესიული ალელების წყვილით

**პასუხი:** ცხვირის კეხიანი ფორმა შესაძლებელია განპირობებული იყოს ალელების წყვილით CC ან Cc

### **3. რომელი ალელების წყვილი BB, Bb თუ bb განაპირობებს რეცესიულ ფენოტიპს ?**

**რას გეკითხებიან:** შეკითხვა ეხება ალელების წყვილს რომელიც განაპირობებს რეცესიულ ფენოტიპს

**რაიცი:** რეცესიული ალელი ფენოტიპურად ვლინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წყვილშია თავის მსგავს რეცესიულ ალელთან.

**ანალიზი:** რეცესიული ფენოტიპი შესაძლებელია განპირობებული იყოს მხოლოდ რეცესიული ალელების წყვილით

**პასუხი:** bb

### **4. რა შემთხვევაში შეგვიძლია ზუსტად ამოვიცნოთ გენოტიპი ფენოტიპის მიხედვით?**

**რას გეკითხებიან:** როგორი უნდა იყოს ფენოტიპი, რომ მის მიხედვით ზუსტად მივხვდეთ თუ რა გენოტიპითაა ის განპირობებული.

**რაიცი:** ფენოტიპი შესაძლებელია იყოს დომინანტური, ან რეცესიული. რეცესიული ფენოტიპი ვლინდება თუ მისი განმაპირობებელი ორივე ალელი რეცესიულია (ორგანიზმი ამ ალელის მიხედვით ჰომოზიგოტურია). ფენოტიპი დომინანტურია ორ ვარიანტში — როდესაც ორივე ალელი დომინანტურია (ადამიანი ამ ალელის მიხედვით ჰომოზიგოტურია) და მაშინაც, როდესაც ერთი ალელი დომინანტურია და მეორე რეცესიული, ანუ ორგანიზმი ამ ალელების მიხედვით ჰეტეროზიგოტულია.

**ანალიზი:** დომინანტური ფენოტიპი მაძლევს მხოლოდ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ გენოტიპი ჰომო ან ჰეტეროზიგოტურია. რეცესიული ფენოტიპი კი ზუსტად მიმითითებს, რომ ორგანიზმში ორივე ალელი რეცესიულია.

**პასუხი:** გენოტიპის ზუსტად ამოცნობა შესაძლებელია, თუ ფენოტიპი რეცესიულია.

### **5. დაწერე, როგორი ალელები შეიძლება ქონდეს ადამიანს, რომელსაც არ აქვს თანდაყოლილი ახლომშედველობა.**

**რას გეკითხებიან:** მთხოვენ დავწერო იმ ადამიანის გენოტიპი, რომელსაც არ აქვს თანდაყოლილი ახლომშედველობა

**რაიცი:** თანდაყოლილი ახლომშედველობა დომინანტური ნიშანია. თანდაყოლილი ახლომშედველობის უქონლობა რეცესიული ნიშანია. რეცესიული ფენოტიპი ვლინდება თუ მისი განმაპირობებელი ორივე ალელი რეცესიულია (ორგანიზმი ამ ალელის მიხედვით ჰომოზიგოტურია).

**ანალიზი:** რადგან ამ ადამიანს არ აქვს თანდაყოლილი ახლომშედველობა, მას ორივე ალელი რეცესიული აქვს.

ამოცანის პირობა არ მიმითითებს, რომელი ასოები გამოვიყენო ალელების აღნიშვნისათვის. ამიტომ თანდაყოლილი ახლომშედველობის ალელს ჩემი ნებით პირობითად აღვნიშნავ როგორც R, მაშინ ამ ალელის რეცესიული ვარიანტი იქნება r. ამ შემთხვევაში ადამიანს, რომელსაც არ აქვს თანდაყოლილი ახლომშედველობა, აქვს ალელები rr.

**პასუხი:** rr

ყურადღებით წაიკითხე ამოცანის პირობა. ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ამოცანა ითხოვდეს მოკლე პასუხს, მაგ, როგორც მე-5 ამოცანა — მხოლოდ გენოტიპის დაწერას. შესაძლებელია ამოცანის პირობაში მოგთხოვონ პასუხის დასაბუთება. მაგ. თუ იმავე მე-5 ამოცანაში, გთხოვენ განმარტო, რატომ ფიქრობ, რომ ადამიანის გენოტიპია rr, ამ

დღოს პასუხს თან უნდა დაუმატო საკითხთან უშუალოდ დაკავშირებული ცოდნის (რა ვიცი) და ანალიზის ნაწილიც.

მაგალითად:

6. ჭორფლიანობა დომინანტური ალელით არის განპირობებული. გენოტიპებიდან FF, Ff, ff რომელი განაპირობებს ჭორფლიანობას? პასუხი დაასაბუთე.

**პასუხი:** ჭორფლიანობას განაპირობებს FF, Ff. დასაბუთება: ჭორფლიანობა დომინანტური ნიშანია. დომინანტური ალელი თავს ყოველთვის ავლენს ფენოტიპურად. დომინანტური ფენოტიპი ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე ალელი დომინანტურია და მაშინაც, როდესაც ერთი ალელი დომინანტურია, მეორე კი რეცესიული.


### ალელების განაცილება სასქესო უჯრედებში.

ნიშანთვისებათა დამემკვიდრების კანონზომიერება.

ალელური გენები მოთავსებულია ჰომოლოგიური ქრომოსომების წყვილში: თითო ალელი თითო ქრომოსომაში.

გამეტების (მამრობითი სპერმატოზოიდის და მდედრობითი კვერცხუჯრედის) წარმოქმნისას, მეიოზის დროს, ჰომოლოგიური ქრომოსომები ერთმანეთს ცილდებიან და სხვადასხვა უჯრედში აღმოჩნდებიან. შესაბამისად ალელებიც სხვადასხვა სასქესო უჯრედში აღმოჩნდებიან.

მაგალითისათვის განვიხილოთ მეიოზის სქემა, სადაც სასქესო უჯრედში, ჰომოლოგიურ ქრომოსომებში მოთავსებულია ალელები B და b. სქემაზე პირობითად გამოსახულია ქრომოსომების მხოლოდ ერთი წყვილის მქონე სასქესო უჯრედის მეიოზი.



ინტერფაზაში, ქრომოსომების გაორმაგებამდე, სახეზეა ორი ქრომოსომა და მათში განლაგებული ალელები B და b (სურათზე 1). ქრომოსომების გაორმაგებასთან ერთად ორმაგდება ალელებიც —BB, bb (2). ანაფაზაში ქრომოსომები ერთმანეთს ცილდება და ტელოფაზის ბოლოს შვილეულ უჯრედებში აღმოჩნდება წყვილიდან თითო ქრომოსომა ორი ქრომატიდით (სურ. 3). ქრომატიდებში იქნება ალელები BB ერთ უჯრედში და bb მეორე უჯრედში. მეორე მეიოზური გაყოფისას ერთმანეთს ცილდება ქრომატიდები და

მიღებულ ოთხ სასქესო უჯრედში აღმოჩნდება თითო ქრომოსომა. ორ უჯრედში იქნება B ალელის მატარებელი ქრომოსომა, ხოლო დანარჩენ ორში — b ალელის მატარებელი ქრომოსომა (4).

მიაქციე ყურადღება, განსხვავებული ალელების (B და b) მატარებელი გამეტები თანაბარი რაოდენობით წარმოქმნება (4)

ჰომოზიგოტური ორგანიზმი ალელური წყვილით BB წარმოქმნის ერთი სახის სასქესო უჯრედებს - B-ალელის მატარებელს, ხოლო ჰომოზიგოტური bb — ერთი სახის სასქესო უჯრედებს - b-ალელის მატარებელს. მიაქციე ყურადღება, რომ საუბარია არა გამეტების რაოდენობაზე, რომელიც ყოველთვის ოთხია, არამედ ამ უჯრედების ნაირფეროვნებაზე ალელური შედგენილობის თვალსაზრისით.

მრავალუჯრედიანი ორგანიზმების ნიშანთვისებები მეტად მრავალფეროვანია და ქრომოსომათა წყვილში განლაგებულია არა ერთი გენის ალელები (როგორც სქემაზეა) არამედ მრავალი გენისა. გენების ალელებს ატარებს ამ ორგანიზმის ყველა ქრომოსომა. გამეტები — სპერმატოზოიდი და კვერცხუჯრედი ყველა ალელური წყვილიდან ერთერთს ატარებენ.

ამგვარად სპერმატოზოიდში და კვერცხუჯრედში არის კონკრეტული გენის ალელებიდან ერთერთი. განაყოფიერების დროს სპერმატოზოიდის და კვერცხუჯრედის ბირთვები შეერწყმებიან ერთმანეთს და განაყოფიერებული კვერცხუჯრედი — ზიგოტა უკვე ორივე ალელის მტარებელი ხდება. ამათგან ერთი ალელი მამრისაა, მეორე კი მდედრის. ამიტომ ზიგოტიდან წარმოშობილ ახალ ორგანიზმში გენების ალელებიდან ერთი მამრისაა, მეორე მდედრის. ასე ხდება გენების და გენების მიერ განპირობებული ნიშანთვისებების დამემკვიდრეობით გადაცემა.

დააკვირდი, თუ როგორ გადადის მემკვიდრეობით ალელები და შესაბამისად მათ მიერ განპირობებული ნიშანთვისება.

შევადგინოთ ცხრილი.

დავუშვათ, რომ ორივე მშობელი (მცენარე, ცხოველი, ადამიანი, არ აქვს მნიშვნელობა) რომელიდაც გენის ალელების მიხედვით ჰქონდება Aa.

მდედრი Aa	მამრი Aa	
	A	a
A	AA	Aa
a	Aa	aa

ისინი წარმოშობენ ორი სახის (ნაირფეროვნების მიხედვით) სასქესო უჯრედებს: მამრი A ალელის და a ალელის მატარებელ სპერმატოზოიდებს, მდედრი კი ასეთივე ალელების A და a მატარებელ კვერცხუჯრედებს (იხ. ცხრილი). გაიხსენე, რომ განსხვავებული ალელების (A და a) მატარებელი სასქესო უჯრედები თანაბარი რაოდენობით წარმოიქმნება. ცხრილში ნაჩვენებია განაყოფიერების დროს A და a ალელის მატარებელი სპერმატოზოიდის და კვერცხუჯრედის შეხვედრის და შესაბამისად ზიგოტაში მდედრის და მამრის A და a ალელების კომბინირების ყველა შესაძლო ვარიანტი.

როდესაც ახალი თაობა დაიბადება, გენოტიპურად ის შეიძლება იყოს AA, Aa, Aa, aa ანუ AA, 2Aa, aa. ფენოტიპურად სამი შვილი შეიძლება იყოს დომინანტური ნიშანთვისების, ხოლო ერთი შვილი რეცესიული ნიშანთვისების მქონე.

რატომ ვამბობთ: „შეიძლება იყოს“ და არ ვამბობთ, აუცილებლად იქნებაო? განაყოფიერების დროს შემთხვევითია თუ რომელი ალელის მატარებელი გამეტები შეხვდებიან ერთმანეთს. ამიტომ გენოტიპური კომბინაციებიც AA, Aa, aa შემთხვევითია. თეორიულად ოთხივე მოსალოდნელია, მაგრამ განაყოფიერებისას რომელი კომბინაცია მოხდება, წინასწარ ვერ ვიტყვით. ამიტომ წინასწარ ვერც იმას ვიტყვით, თუ რა ნიშანთვისება (დომინანტური თუ რეცესიული) ექნება შვილს.

**ამოვხსნათ გენეტიკური ამოცანები:**

1. რამდენნაირი გენოტიპის მქონე შვილი შეიძლება ეყოლოს ცხრილებში (1, 2) აღნიშნულ მშობლებს?

ცხრილი 1

მდედრი CC	მამრი Cc	

ცხრილი 2

მდედრი ff	მამრი Ff	
	F	f
f		
f		

ამოხსნა (ამ შემთხვევაში გამოვტოვებთ ამოცანის ამოხსნის პირველ 2 ეტაპს — რას მევითხებიან, რა ვიცი და მოგვყავს ამოცანის ანალიზი და პასუხი):

ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია, რომ მდედრ მშობელს აქვს ალელები CC, ხოლო მამრს — Cc. მეიოზის შედეგად მამრი წარმოშობს სასქესო უჯრედებს, რომელთაგან ერთი ნანილი იქნება C ალელის, მეორე კი — c ალელის მატარებელი. მდედრს ორივე ალელი ერთნაირი აქვს. ამიტომ მისი ყველა კვერცხუჯრედი შეიცავს C ალელს.

მამრის და მდედრის სასქესო უჯრედების შერწყმისას მივიღებთ შემდეგ ვარიანტებს:

მდედრი CC	მამრი Cc	
	C	c
C	CC	Cc
C	CC	Cc

პასუხი: მიიღება ორნაირი გენოტიპის — CC და Cc მქონე შვილები.

ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია, რომ მდედრ მშობელს აქვს ალელები ff, ხოლო მამრს — Ff. მეიოზის შედეგად მამრი წარმოშობს გამეტებს, რომელთაგან ერთი ნანილი იქნება F ალელის, მეორე კი — f ალელის მატარებელი. მდედრს ორივე ალელი ერთნაირი აქვს. ამიტომ მისი ყველა გამეტა შეიცავს F ალელს.

მამრის და მდედრის სასქესო უჯრედების შერწყმისას მივიღებთ ვარიანტებს:

მდედრი ff	მამრი Ff	
	F	f
f	Ff	ff
f	Ff	ff

პასუხი: მიიღება ორნაირი გენოტიპის — Ff და ff მქონე შვილები.

2. რამდენნაირი ფენოტიპის მქონე შვილი შეიძლება ეყოლოს ცხრილებში აღნიშნულ მშობლებს?

ცხრილი 3

მდედრი dd	მამრი dd	

ცხრილი 4

მდედრი DD	მამრი DD	

ამოცანა ეხება ფენოტიპებს, მაგრამ პასუხის გასაცემად საჭიროა გენოტიპების გამოანგარიშება, რადგან სხვაგვარად ვერ გავიგებთ თუ როგორი ფენოტიპები წარმოიშვება ამ შეჯვარებების დროს.

ამოხსნა:

ცხრილი 3.

მეოზის შედეგად ორივე მშობელი წარმოშობს სასქესო უჯრედებს, რომელთაგან ყველა იქნება d ალელის მატარებელი. მამრის და მდედრის სასქესო უჯრედების შერწყმისას მივიღებთ მხოლოდ 1 ვარიანტს

მდედრი dd	მამრი dd	
	d	d
d	dd	dd
d	dd	dd

ასეთი გენოტიპი dd განაპირობებს რეცესიული ფენოტიპის გამომჟღავნებას.

პასუხი: წარმოიშვება მხოლოდ ერთი სახის ფენოტიპის მქონე შვილები.

ცხრილი 4.

ამ შემთხვევაშიც ორივე მშობელი წარმოშობს მხოლოდ ერთი სახის სასქესო უჯრედებს, დომინანტური ალელის - D მატარებლებს. მათი შერწყმის ყველა ვარიანტში მიღება გენოტიპი DD, რომელიც განაპირობებს ერთი სახის, დომინანტური ფენოტიპის მქონე შვილების წარმოშობას.

მდედრი D	მამრი DD	
	D	D
D	DD	DD
D	DD	DD

## გენეტიკა და გატემატიკა

მატემატიკის ცოდნა გამოგადგება იმისათვის, რომ იანგარიშო კონკრეტული გენეტიკური ნიშანთვისების ფენოტიპურად გამომჟღავნების ალბათობა.

ალბათობა საზოგადოდ იანგარიშება ასე:

**რამდენჯერ არის მოსალოდნელი რაიმე კონკრეტული ვარიანტი  
ალბათობა = -----**

### სულ რამდენი ვარიანტია შესაძლებელი

მაგალითად: კამათელს აქვს ექვსი გვერდი. ამ გვერდებზე არის ციფრები 1-დან 6-ის ჩათვლით (ე.ი. 6 ვარიანტი). ვთქვათ კამათელი ერთხელ გააგორე. რომელიმე ნებისმიერი ციფრის “მოსვლა” მოსალოდნელია ერთხელ. საზოგადოდ შესაძლებელია ექვსი ვარიანტი: მოვა ან ერთიანი, ან ორიანი, ან სამიანი და ა.შ.

მაშასადამე, თითოეული ვარიანტის მოსვლის ალბათობა არის 1/6.

ვთქვათ ერთმანეთს ეჯვარება ორი ჰეტეროზიგოტული ინდივიდი. შენ შეგიძლია იანგარიშო ალბათობები მათი შვილების ფენოტიპის და გენოტიპის მიხედვით. ამისათვის შეადგენ ცხრილს. დაიმახსოვრე, რომ გენეტიკური ალბათობების გამოსაანგარიშებლად ცხრილის შედგენის მეთოდი შემოიღო ინგლისელმა მეცნიერმა პენეტმა. ამიტომ ასეთ ცხრილებს პენეტრირება ეწოდება.

თუ ერთმანეთს ეჯვარება Aa×Aa პენეტის ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

მშობლების ალელები	A	a
A	AA	Aa
a	Aa	aa

თითოეული ფენოტიპის (დომინანტურის და რეცესიულის) გამოვლენის ალბათობა ასეთია: 3 — ჯერ მოსალოდნელია გამოვლინდეს დომინანტური ფენოტიპი, რადგან დომინანტური ალელების მქონე ჰომოზიგოტა AA და აგრეთვე ჰეტეროზიგოტა Aa გარეგნულად ამჟღავნებენ დომინანტურ ფენოტიპს. დაუკვირდი, ცხრილიდან ჩანს რომ AA მიღება ერთ ვარიანტში, Aa კი ორ ვარიანტში, ამიტომ ჯამში 3 გენოტიპური ვარიანტია (AA + 2 Aa), რომელიც განაპირობებს დომინანტურ ფენოტიპს. ერთხელ მოსალოდნელია გამოვლინდეს რეცესიული ფენოტიპი, რადგან ის ვლინდება მხოლოდ

იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე ალელი რეცესიულია aa, ასეთი ვარიანტი კი (ცხრილის მიხედვით) მხოლოდ ერთია. სულ არის 4 გენოტიპური ვარიანტი (AA + 2Aa + aa). მაშასადამე, დომინანტური ფენოტიპის გამოვლენის ალბათობაა  $\frac{3}{4}$ , ხოლო რეცესიულისა —  $\frac{1}{4}$ .

გენოტიპებისათვის სიტუაცია განსხვავებულია: სულ ოთხი ვარიანტია (AA + 2Aa + aa). ამათგან AA და aa მოსალოდნელია ერთხელ, ხოლო Aa - ორჯერ. მაშასადამე თითოეული გენოტიპის წარმოშობის ალბათობაა:  $\frac{1}{4}$  AA და aa — თვის, და  $\frac{2}{4}$  Aa — თვის.

**ამოცხსნათ გენეტიკური ამოცანები:**

1. როგორია ჰეტეროზიგოტული მშობლებისაგან ცისფერთვალა და მუქთვალა შვილების დაბადების ალბათობა?

ამოცანის პირობის თანახმად მშობლები თვალის ფერის ალელების მიხედვით ჰეტეროზიგოტულია, მაშასადამე ორივე არის Aa. ჰეტეროზიგოტა წარმოქმნის ალელური შედგენილობის მიხედვით ორი სახის გამეტებს: A და a. შევადგინოთ ცხრილი და ვიანგარიშოთ დედის და მამის ალელების შეხვედრის ვარიანტები.

მშობლების გამეტები	A	a
A	AA	Aa
a	Aa	aa

ამოცანა გვეკითხება, თუ როგორია სხვადასხვა ფენოტიპის (თვალის ფერის) ბავშვების დაბადების ალბათობა. თითოეული ფენოტიპის (დომინანტურის და რეცესიულის, ანუ მუქ და ცისფერთვალა) გამოვლენის ალბათობა ასეთია: 3 — ჯერ მოსალოდნელია გამოვლინდეს დომინანტური ფენოტიპი, რადგან 3 ვარიანტში მივიღეთ გენოტიპები AA, Aa, Aa, რომლებიც განაპირობებს მუქი ფერის თვალს, ხოლოდ ერთ ვარიანტში მიიღება გენოტიპი aa, რომელიც განაპირობებს ცისფერს. სულ არის 4 გენოტიპური ვარიანტი. მაშასადამე, დომინანტური ფენოტიპის — მუქი ფერის თვალის გამოვლენის ალბათობაა  $\frac{3}{4}$ , ხოლო რეცესიულისა (ცისფერი თვალის) —  $\frac{1}{4}$ .

ამგვარად, მუქთვალა შვილების დაბადების ალბათობაა  $\frac{3}{4}$ , ცისფერთვალა შვილების დაბადების ალბათობაა  $\frac{1}{4}$ .

2. როგორია ამავე მშობლებისაგან დომინანტური და რეცესიული ჰომოზიგოტური გენოტიპის და ჰეტეროზიგოტური გენოტიპის წარმოშობის ალბათობა

ამოცანის პირობის თანახმად მშობლები იგივე გენოტიპისაა, მაშასადამე დედაც და მამაც Aa

შევადგინოთ ცხრილი და ვიანგარიშოთ დედის და მამის ალელების შეხვედრის ვარიანტები.

მშობლების გამეტები	A	a
A	AA	Aa
a	Aa	aa

ამოცანა გვეკითხება გენოტიპების შესახებ.

ცხრილის თანახმად, 3 ვარიანტში მივიღეთ გენოტიპები AA, Aa, aa, ერთ ვარიანტში მიღება გენოტიპი aa. სულ 4 ვარიანტია. ამათგან დომინანტური ჰომოზიგოტა მიღება ერთხელ AA, მაშასადამე მისი წარმოშობის ალბათობაა 1/4.

რეცესიული ჰომოზიგოტა მიღება ერთხელ aa, მაშასადამე მისი წარმოშობის ალბათობაა 1/4.

ჰეტეროზიგოტა Aa მიღება ორჯერ, მაშასადამე მისი წარმოშობის ალბათობაა 2/4.

3. როგორია ჰომოზიგოტური დომინანტური და ჰომოზიგოტური რეცესიული გენოტიპის მქონე მშობლებისაგან ქერა და მუქთმიანი შვილების დაბადების ალბათობა?

შევადგინოთ ცხრილი. რადგან ერთი მშობელი რეცესიული ჰომოზიგოტია, მისი გენოტიპია aa, ჰომოზიგოტური დომინანტური მშობელი კი იქნება AA

მშობლების გამეტები	a	a
A	Aa	Aa
A	Aa	Aa

როგორც ხედავ ოთხივე ვარიანტში მიღება მხოლოდ ერთი გენოტიპი AA. როგორც იცი თმის ლია ფერი რეცესიული ნიშანია, მუქი კი — დომინანტური. ამიტომ მშობლების შეჯვარების შედეგად ოთხივე ვარიანტში იბადება მხოლოდ მუქთმიანი შვილი, და მისი დაბადების ალბათობა არის 4/4 - 100%.

4. როგორი ალბათობით წარმოიქმნება სხვადასხვა სახის გენოტიპი და ფერი?

როდესაც ერთი მშობელი რეცესიული ჰომოზიგოტია, მეორე კი ჰეტეროზიგოტი?

შევადგინოთ ცხრილი. რადგან ერთი მშობელი რეცესიული ჰომოზიგოტია, მისი გენოტიპია aa, ჰეტეროზიგოტური მშობელი კი იქნება Aa

მშობლების გამეტები	a	a
A	Aa	Aa
a	aa	aa

მიღებულია 4 ვარიანტი, სადაც 2-ჯერ მივიღეთ გენოტიპი Aa, ამიტომ მისი წარმოშობის ალბათობაა  $2/4=1/2$ .

2-ჯერ მივიღეთ გენოტიპი aa, ამიტომ მისი წარმოშობის ალბათობაც არის  $2/4=1/2$ .

რაც შეეხება ფენოტიპებს: გენოტიპი Aa განაპირობებს დომინანტურ ფენოტიპს, მაშასადამე დომინანტური ფენოტიპის მქონე შვილი მიღება 4-დან 2 ვარიანტში და ამიტომ მისი წარმოშობის ალბათობაა  $2/4=1/2$ .

გენოტიპი aa განაპირობებს დომინანტურ ფენოტიპს, მაშასადამე დომინანტური ფენოტიპის მქონე შვილი მიღება 4-დან 2 ვარიანტში და ამიტომ მისი წარმოშობის ალბათობაც არის  $2/4=1/2$ .

## გრეგორ მაცხელი და მისი განეტიკური ექსპერიმენტი. მონოპიგრიდული შეჯვარება.

ის ცოდნა, რომელიც უკვე გაქვს გენეტიკაში, გამოგადგება **გრეგორ მენდელის** ნაშრომის შესასწავლად.

მენდელის დროს, 19-ე საკუნძულო, მეცნიერები უკვე ფიქრობდნენ, რომ შვილებს ნიშან-თვისებები მშობლებისგან აქვთ გადაცემული. მაგრამ ვერ ხსნიდნენ ნიშანთვისებების დამემკვიდრების კანონზომიერებას.

მენდელი აკვირდებოდა ბარდის რამდენიმე ნიშანს: ღეროს სიმაღლეს, ყვავილის ფერს, ყვავილების ღეროზე განლაგებას, თესლის ფორმას და სხვ. მენდელმა სპეცილურად შეარჩია ეს ნიშან-თვისებები, რადგან ისინი არ ამჟღავნებენ შუალედურ დამემკვიდრებას: ბარდის ყვავილი მენამულია ან თეთრი (და არა ვარდისფერი), ღერო მოკლეა ან გრძელი (არა საშუალო სიმაღლის) და სხვ.


მენდელი ხედავდა, რომ მენამული ფერის ყვავილის მქონე ბარდისგან წარმოიქმნება მხოლოდ მენამული ყვავილის მქონე ბარდები, თეთრი ფერის ყვავილის მქონესგან კი მხოლოდ ასეთივე ფერის ყვავილიანი ბარდები. ეს ეგრეთწოდებული წმინდა ხაზებია: ისეთი ფორმები, რომელთა თაობებში ნიშანთვისებები უცვლელად გადადის. მენდელმა დაკვირვებისათვის წმინდა ხაზები შეარჩია, მაგრამ გადაწყვიტა გაეკონტროლებინა ბარდის გამრავლება. ბარდა თვითმტვერია მცენარეა. მენდელი არ აძლევდა წმინდა ხაზებს თვითდამტვერის საშუალებას: ხელოვნურად გადაჰქონდა მენამულყვავილიანი ბარდის მტვერი თეთრყვავილიანის ბუტკოზე.

ამგვარად მენდელმა შეიმუშავა ნიშანთვისებათა დამემკვიდრებაზე დაკვირვების მეთოდი: დაკვირვების ობიექტი იყო ბარდის წმინდა ხაზი და ისეთი ნიშან-თვისებები, რომლებიც არ ამჟღავნებენ შუალედურ დამემკვიდრებას, ბარდების გამრავლება კონტროლდებოდა და მენდელი თავის შესედულებისამებრ წარმართავდა ამ პროცესს. ამავდროულად მეტად მნიშვნელოვანია, რომ მენდელს ქონდა მიღებული საუნივერსიტეტო მათემატიკური განათლება და ბარდაზე დაკვირვების შედეგებს მათემატიკურად ამუშავებდა.

მენდელის ცდა ასე წარმართა: მან შეაჯვარა მენამული და თეთრი ფერის ყვავილის მქონე წმინდა ხაზები.

როდესაც შეჯვარების დროს აკვირდებიან მხოლოდ ერთი ნიშან-თვისების დამემკვიდრებას (მაგ. ბარდის ყვავილის ფერს) ეს მონოპიგრიდული შეჯვარებაა (მონო-ერთი).

შესაჯვარებლად აღებული ინდივიდები პირობითად აღინიშნება როგორც P (parentale - ლათინურად მშობლებისეული). შეჯვარების შედეგად წარმოიქმნა ბარდები (პირობითად F -ლათინურად შვილისეული), რომლებსაც მხოლოდ მენამული ფერის ყვავილი ქონდა.




მენდელმა ბევრჯერ გადაამოწმა ცდის შედეგი და როდესაც დარწმუნდა მის სისწორეში, წესის სახით ჩამოაყალიბა. ეს არის პირველი თაობის ( $F_1$ ) ერთგვაროვნების წესი, რომლის თანახმად წმინდა ხაზების შეჯვარებისას პირველ თაობაში ვლინდება მხოლოდ ერთი მშობლის ნიშანთვისება.

შეგიძლია გამოიყენო ცოდნა, რომელიც გაქვს გენეტიკის შესახებ და მიადევნო თვალი მენდელის ექსპერიმენტს. ყვავილის მენამული ფერი დომინანტური ნიშანია, თეთრი კი რეცესიული, მშობლები კი ორივე ჰომოზიგოტური იყო. აღვნიშნოთ ყვავილის მენამული ფერის განმაპირობებელი ალელი **A** ასოთი, ხოლო თეთრი ფერის განმაპირობებელი ალელი — **a** ასოთი. მშობლების გენოტიპი იქნება **AA** და **aa**. მეორზის შედეგად მშობლების მიერ წარმოქმნილ გამეტებში აღმოჩნდება თითო ალელი წყვილიდან. ამ გამეტების შერწყმის ნებისმიერი ვარიანტი წარმოქმნის ერთსა და იმავე გენოტიპს **Aa**. ამიტომაც პირველ თაობაში ფენოტიპურად ვლინდება მხოლოდ ერთი მშობლის ნიშანთვისება.

გამოვსახოთ ეს პენეტის ცხრილის დახმარებით:

მშობლები	<b>A</b>	<b>A</b>
<b>a</b>	<b>Aa</b>	<b>Aa</b>
<b>a</b>	<b>Aa</b>	<b>Aa</b>

მენდელმა პირველი თაობის ბარდებს თვითდამტვერვის საშუალება მისცა. თვითდამტვერვის შედეგად წარმოქმნილ მეორე თაობაში ( $F_2$ ) ბარდების ნაწილს კვლავ მენამული ყვავილი აღმოაჩნდა, მაგრამ გამოჩნდნენ თეთრი ფერის ყვავილის მქონე ბარდებიც.



ამგვარად, მენდელმა დაადგინა, რომ მეორე მშობლის ნიშანთვისება (ყვავილის თეთრი ფერი) პირველ თაობას გადაეცა, მაგრამ შენიდბული იყო და ფენოტიპურად მეორე თაობაში გამოვლინდა.

როგორც ითქვა, მენდელი აკვირდებოდა ბარდის სხვადასხვა ნიშანთვისების დამეკვიდრებას. ყველა შემთხვევაში შედეგი ერთნაირი იყო: პირველ თაობაში ერთი მშობლის ნიშანთვისების შენიდბვა და მეორე თაობაში გამოვლენა. ამგვარად მენდელმა დაადგინა, რომ ნიშანთვისებები არსად ქრება და არც ერთმანეთს შეერევა, თითოეული მათგანი დამოუკიდებლად მემკვიდრეობს.

მენდელმა ნახა, რომ მეორე თაობაში მიიღებოდა 6300 მენამულფერიანი და 2000 თეთრყვავილიანი ბარდა. მენდელმა იანგარიშა, რომ მენამული და თეთრი ყვავილის მქონე ბარდების რაოდენობრივი შეფარდება მიახლოებით არის 3:1. ამგვარად მენდელმა დაადგინა, რომ ნიშანთვისებები გარკვეული მათემატიკური კანონზომიერებით მემკვიდრეობს.

შეგიძლია კვლავ გამოიყენო პენეტის ცხრილი მენდელის ექსპერიმენტის სადემონსტრაციოდ.

მშობლები	A	a
A	AA	Aa
a	Aa	aa

ცხრილიდან ჩანს რომ  $F_2$  თაობაში მიიღება მენამული და თეთრი ფერის ყვავილის მქონე ბარდები. მენამული ფერის ბარდების რაოდენობა სამჯერ აღემატება თეთრი ფერისას, რადგან გამეტების შერწყმის 3 ვარიანტში მიიღება ალელების კომბინაცია  $AA$ ,  $Aa$ ,  $Aa$ , რომელიც განაპირობებს ყვავილის მენამულ ფერს და მხოლოდ ერთი კომბინაცია  $aa$  — რომელიც განაპირობებს ყვავილის თეთრ ფერს.

საბოლოოდ მენდელმა ჩამოაყალიბა ნიშანთვისებათა (ფენოტიპის) დათიშვის კანონი, რომლის თანახმად შვილები მშობლებისაგან იღებენ ერთი ნიშანთვისების განმაპირობებელი გენების ორივე ალელს: თითო ალელს თითო მშობლისგან. ეს

იმიტომ ხდება, რომ მშობლების გამეტებში გენების ალელური წყვილიდან მხოლოდ ერთი აღმოჩნდება.

#### **ამოვხსნათ გენეტიკური ამოცანები.**

ამოცანები, რომლებიც მონოჰიბრიდულ შეჯვარებას ეხება (მენდელის შრომების მიხედვით) ეყრდნობა შემდეგ კანონზომიერებებს, რომლებიც ქვემოთ ცხრილის სახით არის მოცემული. კერძოდ, შვილების **ფენოტიპის** მიხედვით ადვილია იმის გამოცნობა, თუ როგორი **გენოტიპის** მქონე მშობლები შეჯვარდნენ ერთმანეთთან:

	შვილების ფენოტიპი	მშობლების გენოტიპი
1	ყველა შვილი ერთნაირი რეცესიული ფენოტიპის	aa X aa
2	ყველა შვილი ერთნაირი დომინანტური ფენოტიპის	AA X AA AA X aa
3	შვილების 3 ნილი დომინანტური ფენოტიპის, 1 ნილი კი რეცესიული ფენოტიპის (ფენოტიპების შეფარდება 3:1)	Aa X Aa
4	შვილების 1 ნილი (50%) დომინანტური ფენოტიპის, 1 ნილი კი (50%) რეცესიული ფენოტიპის	Aa X aa

გავარჩიოთ ოთხივე შემთხვევა.

1. რეცესიული ფენოტიპი შესაძლებელია ქონდეს რეცესიულ ჰომოზიგოტურ ორგანიზმს - **aa**. რადგან ყველა შვილი ასეთი გენოტიპისაა, მშობლებს, თუნდაც ერთ მათგანს, არ შეიძლება ქონდეთ თუნდაც ერთი ალელი დომინანტური, რადგან ასეთ შემთხვევაში ეს ალელი გადავიდოდა მემკვიდრეობით შვილებში და მათი ნანილი მაინც დომინანტური ფენოტიპის მატარებელი იქნებოდა. ამგვარად, ორივე მშობლის გენოტიპია **aa**.
2. დომინანტური ფენოტიპი შესაძლებელია ქონდეს როგორც დომინანტურ ჰომოზიგოტურ ორგანიზმს — **AA**, ასევე ჰეტეროზიგოტულს — **Aa**. თუ ყველა შვილი დომინანტური ფენოტიპისაა: შეჯვარება **AA×AA** მოგვცემს თაობას, სადაც ყველა შვილი იქნება გენოტიპით **AA** და ფენოტიპურადაც ყველა დომინანტური იქნება. შეჯვარება **AA×Aa** მოგვცემს თაობას, სადაც ყველა შვილი იქნება გენოტიპით **Aa** და ფენოტიპურადაც ყველა ისევ დომინანტური იქნება.
3. თაობაში ფენოტიპური შეფარდება 3:1 ცნობილია მენდელის შრომიდან და გულისხმობს, რომ ამგვარი ფენოტიპოური განაწილებისას მშობლები გენოტიპურად აუცილებლად იქნებიან **Aa×Aa**. შეგვიძლია წარმოვადგინოთ ეს მტკიცება პენეტის ცხრილის სახითაც:

მშობლები	A	a
A	AA	Aa
a	Aa	aa

4. შვილებს აქვთ როგორც დომინანტური, ისე რეცესიული ფენოტიპი. რადგან შვილების ნანილს აქვს რეცესიული ფენოტიპი, ორივე მშობელს უნდა ქონდეს

თუნდაც ერთი ალელი რეცესიული, რათა შვილებში შესაძლებელი იყოს ალელების კომბინაცია aa. შვილებში ფენოტიპური განაწილება 1:1 (50% - 50%) მიიღება მშობლების გენოტიპის მხოლოდ ერთ შემთხვევაში AA×aa.

### განვიხილოთ ამოცანების კონკრეტული მაგალითები:

1. ბარდის თესლის ყვითელი შეფერილობა დომინირებს მწვანეზე. როგორია მშობლების გენოტიპი, თუ მათი შეჯვარების შედეგად მიღებულ თაობაში ყველა ბარდის თესლი ყვითელი ფერისაა.

**რა იცი:** თესლის ყვითელი ფერი განპირობებულია დომინანტური ალელით A, მწვანე ფერი — რეცესიული ალელით - a.

**ანალიზი:** რადგან შვილეულ თაობაში ყველა თესლი ყვითელი ფერისაა და არცერთი შვილი არ არის მწვანე ფერის, ანუ რეცესიული ჰომოზიგოლური aa, ასეთი შედეგი შესაძლებელია მივიღოთ მშობლების გენოტიპის ორ ვარიანტში: AA×AA ან AA×aa

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი ცხრილის ცოდნა გეხმარება სწორი ანალიზის გაცემებაში.

2. როგორია ბარდაში მშობლების გენოტიპი, თუ მათი შეჯვარების შედეგად მიღებულ 160 ბარდიდან 120-ს აქვს ყვითელი ფერის თესლი, 40-ს კი მწვანე ფერის თესლი.

**რა იცი:** მშობლების შეჯვარებისას ნიშანთვისებათა დათიშვა შესაძლებელია, თუ ორივე მშობელს აქვს თუნდაც ერთი რეცესიული ალელი. არსებობს ორი შესაძლებლობა: AA×Aa ან Aa×aa

**ანალიზი:** შეფარდება 120/40 იგივეა რაც 3:1. ეს შეფარდება შესაძლებელია მხოლოდ იმ სემტხვევაში, თუ მშობლები არიან ორივე ჰეტეროზიგოლური Aa.

**პასუხი:** ორივე მშობელი ჰეტეროზიგოლური Aa.

3. წინა ამოცანა შესაძლებელია სხვა მხრიდან დავინახოთ:

შეაჯვარეს ორი ჰეტეროზიგოლური ყვითელი თესლის მქონე ბარდა. როგორი იქნება მათი შეჯვარების შედეგად მიღებული თაობის ფენოტიპი და როგორი იქნება ამ ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება?

ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვაძლევს საშუალებას პირდაპირ ვუპასუხოთ, რომ მიიღება როგორც ყვითელი, ისე მწვანე ფერის თესლის მქონე ბარდები და ფენოტიპური განაწილება იქნება 3:1. თუმცა შეგვიძლია გამოვიყენოთ პენეტის ცხრილი:

მშობლები	A	a
A	AA	Aa
a	Aa	aa

სამი წილი ყვითელი თესლის მქონე, და ერთი წილი — მწვანე თესლის მქონე ბარდები.

### არასრული დომინაცია.

არსებობს ისეთი გენები, რომელთა ორივე ალელი, დომინანტური და რეცერიულიც ნაწილობრივ ამჟღავნებს თავს ფენოტიპურად. ამ დროს მიიღება ფენოტიპური „ნაზავი“.

ზოგიერთ მცენარეში, მაგალითად გულისაბაში, ყვავილის წითელ ფერზე პასუხისმგებელია ალელი A, ყვავილის თეთრ ფერს განაპირობებს ალელი a, ხოლო გენოტიპი Aa განაპირობებს ფერთა ნაზავს — ყვავილი ვარდისფერი გამოდის. ამ

მოვლენას არასრული დომინანტობა ეწოდება. სრულია დომინანტობა, როდესაც ჰეტეროზიგოტურ ორგანიზმში ფენოტიპურად მუღლავნდება მხოლოდ დომინანტური ალელი. სრული დომინანტობის შემთხვევა წინა პარაგრაფში განვიხილეთ.

ცხოველებში არასრული დომინანტობის მაგალითია მწყერის ბუმბულის შეფერილობა, აյ ერთმანეთთან ურთიერთებული განმაპირობებელი ალელები. ადამიანში ხუჭუჭი თმის განმაპირობებელი ალელი დომინანტურია, ხოლო სწორი თმის განმაპირობებელი ალელი — რეცესიული, მაგრამ ამ ალელების მიხედვით ჰეტეროზიგოტულ ადამიანებს ტალღოვანი თმა აქვთ.

### ამოხსნათ გენეტიკური ამოცანა:

**1. როგორია ჰეტეროზიგოტული მშობლებისაგან წითელი, ვარდისფერი და თეთრი გულისაბას წარმოშობის ალბათობა?**

ამოცანის პირობის თანახმად მშობლები ყვავილის ფერის განმაპირობებელი ალელების მიხედვით ჰეტეროზიგოტულია, მაშასადამე ორივე არის **Aa**. ჰეტეროზიგოტა წარმოქმნის ალელური შედგენილობის მიხედვით ორი სახის სასქესო უჯრედს **A** და **a**. შევადგინოთ პენეტის ცხრილი და ვიანგარიშოთ დედის და მამის ალელების კომბინაციის ვარიანტები.

მშობლების ალელები	<b>A</b>	<b>a</b>
<b>A</b>	<b>AA</b>	<b>Aa</b>
<b>a</b>	<b>Aa</b>	<b>aa</b>

ამოცანა გვეკითხება, თუ როგორია სხვადასხვა ფენოტიპის გულისაბას წარმოშობის ალბათობა. გამოვიყენოთ პენეტის ცხრილი. როგორც ხედავ, ჰეტეროზიგოტული მშობლების შეჯვარებისას მიიღება ისეთივე გენოტიპები, როგორც ადრე განხილულ შემთხვევებში (მაგ. როდესაც ანგარიშობდი სხვადასხვა ფერის თვალის ან თმის დამეტებით ალელების ალბათობებს). მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საქმე გაქვს არასრულ დომინანტობასთან. ამიტომ იგივე გენოტიპების შემთხვევაში ფენოტიპები და მათი განაწილების ალბათობაც მნიშვნელოვნად განსხვავდება სრული დომინანტობის შემთხვევისაგან.

დავუბრუნდეთ ცხრილს. სხვადასხვა ფენოტიპის გულისაბას წარმოშობის ალბათობა ასეთია: 1 ვარიანტში მივიღეთ გენოტიპი **AA**, რომელიც განაპირობებს ყვავილის წითელ ფერს. 1 ვარიანტში მიიღება გენოტიპი **aa**, რომელიც განაპირობებს ყვავილის თეთრ ფერს. 2 ვარიანტში მიიღება გენოტიპი **Aa** რომელიც განაპირობებს ვარდისფერს.

ამგვარად დომინანტური ფენოტიპის — წითელი ფერის გამოვლენის ალბათობაა  $\frac{1}{4}$ , რეცესიულისა (თეთრი ფერის) —  $\frac{1}{4}$ , ხოლო ვარდისფერი ფენოტიპის გამოვლენის ალბათობაა  $\frac{2}{4}$ .

### კოდომინანტობა

ზოგიერთ შემთხვევაში თავს ორივე ალელი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ამჟღავნებს ფენოტიპურად. ეს **კოდომინანტობა**. მაგალითად, ზოგიერთი მცენარის ყვავილში ერთდროულად ვლინდება წითელი და თეთრი ფერის განმაპირობებელი ალელები. ასეთ შემთხვევაში, ყვავილი ვარდისფერი კი არ არის, როგორც იქნებოდა არასრული დომინანტობის შემთხვევაში, არამედ თეთრია წითელი ლაქებით. ამგვარად, ფენოტიპურად ვლინდება როგორც თეთრი, ისე წითელი შეფერილობის განმაპირობებელი ალელი.

ამოვხსნათ გენეტიკური ამოცანა:

ამოხსნათ გენეტიკური ამოცანა:

1. როგორია ჰეტეროზიგოტული მშობლებისაგან წითელი, თეთრი და თეთრი წითელ - ლაქებიანი ყვავილის მქონე მცენარეების წარმოშობის ალბათობა?

ამოცანის პირობის თანახმად მშობლები ჰეტეროზიგოტულია, მაშასადამე ორივე არის Aa. რადგან საქმე გვაქვს კოდომინანტობასთან, მშობლების ყვავილი ფენოტიპურად თეთრი წითელ — ლაქებიანია.

ჰეტეროზიგოტა წარმოქმნის ალელური შედგენილობის მიხედვით ორი სახის სასქესო უჯრედს A და a. შევადგინოთ პენეტის ცხრილი და ვიანგარიშოთ დედის და მამის ალელების შეხვედრის ვარიანტები.

მშობლების ალელები	A	a
A	AA	Aa
a	Aa	aa

გენოტიპები წარმოიქმნება იმავე წესით, რომელიც უკვე კარგად გესმის. 1 ვარიანტში მიიღება გენოტიპი AA, რომელიც განაპირობებს ყვავილის წითელ ფერს. 1 ვარიანტში მიიღება გენოტიპი aa, რომელიც განაპირობებს ყვავილის თეთრ ფერს. 2 ვარიანტში მიიღება გენოტიპი Aa რომელიც განაპირობებს თეთრ ყვავილს წითელი ლაქებით.

ამგვარად წითელი ფერის გამოვლენის ალბათობაა 1/4, თეთრი ფერის — 1/4, ხოლო ფენოტიპის - თეთრი წითელი ლაქებით გამოვლენის ალბათობაა 2/4.

#### დაუკვირდი:

არ აქვს მნიშვნელობა, თუ როგორია დომინანტობა — სრული, არასრული თუ კოდომინანტობა. გარკვეული გენოტიპის მშობლების შეჯვარებისას შვილების გენოტიპები მსგასია.

მაგალითად, თუ ეჯვარება მშობლები გენოტიპით Aa, შვილების გენოტიპები სამივე შემთხვევაში (სრული, არასრული და კოდომინანტობის შემთხვევაში) არის 1 AA, 2 Aa, 1 aa. მაგრამ განსხვავებულია ფენოტიპები და შესაბამისად მათი რაოდენობა და წარმოშობის ალბათობა. კერძოდ

სრული დომინანტობისას ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება არის 3:1 (3 დომინანტური და 1 რეცესიული ნიშნის მატარებელი შვილი)

არასრული დომინანტობისას ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება არის 1:2:1 (1 დომინანტური, 2 შუალედური ნიშნის (ორი მშობლის ნიშნის „ნაზავი“) და 1 რეცესიული ნიშნის მატარებელი შვილი)

კოდომინანტობისას ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება არის 1:2:1 (1 დომინანტური, 2 როგორც ერთი, ისე მეორე მშობლის ნიშნის მატარებელი და 1 რეცესიული ნიშნის მატარებელი შვილი)

#### განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

მშობლების ალელები	a	a
A	Aa	Aa
a	aa	aa

ასეთი გენოტიპის მქონე მშობლების შეჯვარების შედეგად შვილების გენოტიპებია 2 Aa, 2 aa.

სრული დომინანტობისას ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილებაა 1:1 (2 დომინანტური და 2 რეცესიული ნიშნის - მატარებელი შვილი)

არასრული დომინანტობისას ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება არის 1:1 (2 შუალედური ნიშნის (ორი მშობლის ნიშნის "ნაზავი") და 2 რეცესიული ნიშნის - მატარებელი შვილი)

კოდომინანტობისას ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება არის 1:1 (2 როგორც ერთი, ისე მეორე მშობლის ნიშნის მატარებელი (2 Aa და 2 - aa)).

#### ამოვხსნათ კიდევ ერთი გენეტიკური ამოცანა:

1. დავუშვათ ერთმანეთს შეეჯვარა ორი ჰეტეროზიგოტული მშობელი. ალელების დომინანტობის რა შემთხვევაში (სრული თუ არასრული) იქნება შვილებში გენოტიპების და ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება ერთნაირი?

კვლავ გამოვიყენოთ პენეტის ცხრილი:

მშობლების ალელები	A	a
A	AA	Aa
a	Aa	aa

ჰეტეროზიგოტული მშობლების შეჯვარებისას მიიღება გენოტიპები: 1 AA: 2Aa:1aa, ამგვარად გენოტიპების რაოდენობრივი განაწილება 1:2:1 და თითოეული მათგანის წარმოშობის ალბათობაა (სულ 4 ვარიანტია) შესაბამისად 1/4, 2/4 და 1/4. ასეა როგორც სრული, ისე არასრული დომინანტობის შემთხვევაში.

რაც შეეხება ფენოტიპს:

სრული დომინანტობის შემთხვევაში მიიღება ორი ფენოტიპი: დომინანტური და რეცესიული. დომინანტური ფენოტიპი წარმოიქმნება 3 შემთხვევაში (1 AA + 2Aa), რეცესიული ფენოტიპი წარმოიქმნება 1 შემთხვევაში (1 aa). ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება 3:1, თითოეული ფენოტიპის წარმოშობის ალბათობაა შესაბამისად 3/4 და 1/4.

ამგვარად ფენოტიპების და გენოტიპების რაოდენობრივი განაწილება (შეასაბამისად 3:1 და 1:2:1) ერთმანეთს არ ემთხვევა.

არასრული დომინანტობის შემთხვევაში მიიღება სამი ფენოტიპი: დომინანტური, შუალედური (ნაზავი) და რეცესიული. დომინანტური ფენოტიპი წარმოიქმნება 1 შემთხვევაში (1 AA), შუალედური 2 შემთხვევაში (2Aa), რეცესიული ფენოტიპი წარმოიქმნება 1 შემთხვევაში (1 aa). ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება 1:2:1, თითოეული ფენოტიპის წარმოშობის ალბათობაა შესაბამისად 1/4, 2/4 და 1/4.

ფენოტიპების და გენოტიპების რაოდენობრივი განაწილება (1:2:1) ერთმანეთს ემთხვევა.


ამგვარად, ამოცანის შეკითხვაზე პასუხია:

როდესაც ერთმანეთს ეჯვარება ორი ჰეტეროზიგოტული მშობელი (Aa), შვილებში გენოტიპების და ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება ერთნაირია (1:2:1) არასრული დომინანტობის შემთხვევაში.

## გამეტების სხვადასხვა ალელური ცვილების განაცილება

აქამდე განვიხილავთ ალელების ერთ წყვილს, რომელიც განლაგებული იყო ჰომოლოგიური ქრომოსომების ერთ წყვილში. მაგრამ უჯრედს, მაგალითად ადამიანისას, აქვს გაცილებით მეტი ქრომოსომა, და ალელების არა ერთი, არამედ მრავალი წყვილი. ალელები განლაგებულია ყველა ქრომოსომაში, რომელიც აქვს უჯრედს.

დავუშვათ, რომ უჯრედში არის ჰომოლოგიური ქრომოსომების ორი წყვილი და ისინი ატარებენ ალელებს:  $Aa$ -ს ერთი წყვილი და  $Bb$ -ს მეორე წყვილი. ქრომოსომების რამდენი წყვილიც არ უნდა იყოს დედისეულ უჯრედში, ყველა ერთნაირი წესით ნაწილდება გამეტებში. მივყვეთ მეოზის სქემას.



სქემაზე არ არის ნაჩვენები ინტერფაზა. ქრომოსომები უკვე გაორმაგებულია და შედგება ორ-ორი ქრომატიდისაგან. ამდენად ალელებიც გაორმაგებულია და არის  $AA$ ,  $aa$ ,  $BB$ ,  $bb$  ალელების სახით, სადაც თანამოსახელე 2 ალელი ერთი ქრომოსომის ორ ქრომატიდშია განაწილებული. განვიხილოთ მეოზის ერთი შესაძლო ვარიანტი (სურათის მარცხენა ნაწილი).

ქრომოსომების გაორმაგებასთან ერთად ორმაგდება ალელებიც. შემდეგ, როდესაც ჰომოლოგიური ქრომოსომები სხვადასხვა უჯრედში აღმოჩნდება, ამ უჯრედებში ცალცალკე გადაინაცვლებს ალელური წყვილებიც. დავუშვათ, რომ  $AA$ -თან ერთად ერთ ჰოლუსზე გადაინაცვლა  $BB$ -მ, შესაბამისად მეორე ჰოლუსზე გადაინაცვლებს  $aa$  და  $bb$ .

ტელოფაზის შემდეგ ერთ შვილეული უჯრედში მოხვდება ქრომოსომები ალელებით  $AA$  და  $BB$ , მეორე უჯრედში  $aa$  და  $bb$  (1).

მეორე მეოზის გაყოფის შედეგად, როდესაც ქრომატიდები დასცილდება ერთმანეთს, მივიღებთ გამეტებს, რომლებშიც იქნება ალელები  $AB$  და  $ab$  (2).

გამეტებში არ ხვდება ერთად ერთი ჰომოლოგიური ნივილის ქრომოსომები, ისინი სხვადასხვა გამეტაში ნაწილდება. სამაგიეროდ, შემთხვევითია, თუ რომელი ქრომოსომები მოხვდებიან ერთად გამეტაში სხვადასხვა ჰომოლოგიური ნივილიდან. სურათის მარჯვენა ნაწილში ნაჩვენებია ის შემთხვევა, როდესაც პირველი გაყოფის დროს AA-ს შეიძლება გაყოლოდა არა BB, არამედ bb (შესაბამისად aa-სთან ერთ უჯრედში აღმოჩნდებოდა არა bb, არამედ BB(3). **მეორე გაყოფის შედეგად მიიღებოდა გამეტები ალელებით Ab და AB (4).**

ერთი მეორეური გაყოფის დროს რეალიზდება ან ერთი, ან მეორე ვარიანტი, მაგრამ საზოგადოდ ორივე ვარიანტი თანაბრად მოსალოდნელია, ამიტომ ვამბობთ, რომ ორი ნიშნით ჰეტეროზიგოტულ ორგანიზმს შეუძლია თანაბარი რაოდენობით წარმოქმნას გამეტები AB, ab, Ab, aB.

ჰომოზიგოტური AABB ან aabb იძლევა მხოლოდ ერთი სახის გამეტებს, შესაბამისად AB და ab.

ინდივიდები AaBB, Aabb, AABb, aaBb წარმოქმნიან ორი სახის გამეტებს, რადგან ისინი ჰეტეროზიგოტულია ერთი ალელური ნივილის მიხედვით და ჰომოზიგოტური — ალელების მეორე ნივილის მიხედვით. კერძოდ:

ინდივიდის გენოტიპი	ინდივიდის მიერ წარმოქმნილი გამეტები			
AABB	AB			
aabb	ab			
AaBB	AB	aB		
AABb	AB	Ab		
AaBb	AB	Ab	aB	ab

#### გავცეთ პასუხი კითხვებს:

1. რატომ წარმოქმნის ორი ნიშნით ჰეტეროზიგოტული ინდივიდი AaBb ოთხ განსხვავებული ალელური შედგენილობის გამეტას AB, ab, Ab, aB?

პასუხი: მეორესში პროცესში შემთხვევითია, თუ რომელი ქრომოსომები მოხვდებიან ერთად გამეტაში სხვადასხვა ჰომოლოგიური ნივილიდან. ამიტომ ალელების სხვადასხვა ნივილიდან Aa და Bb ერთ გამეტაში მოსალოდნელია ნებისმიერი ორი ალელის კომბინაცია. ამიტომ ორი ნიშნით ჰეტეროზიგოტულ ორგანიზმს შეუძლია წარმოქმნას გამეტები ალელების 4 შესაძლო კომბინაციით AB, ab, Ab, aB.

2. რატომ წარმოქმნის ორი ნიშნით ჰეტეროზიგოტული ინდივიდი AaBb ოთხ განსხვავებული ალელური შედგენილობის გამეტას AB, ab, Ab, aB თანაბარი რაოდენობით?

პასუხი: ალელების სხვადასხვა წყვილიდან Aa და Bb ერთ გამეტაში ნებისმიერი ორი ალელის კომბინაცია თანაბრად მოსალოდნელია.

#### სხვადასხვა ალელური ცევილების დამეავიდრება თაობებში.

დავუშვათ ორივე მშობელი არის სხვადასხვა ალელის წყვილის მიხედვით ჰეტეროზიგოტული AaBb. ასეთ ორგანიზმს დიჰეტეროზიგოტულსაც ეძახიან (დი-ნიშნავს ორს). დავუშვათ, რომ ალელები A და a განაპირობებენ შესაბამისად თვალის მუქ და ცისფერ ფერს, bოლო B და b შესაბამისად თმის მუქ და ქერა ფერს.

დიპეტეროზიგოტული ორგანიზმი **AaBb** ნარმოქმნის გამეტებს **AB, Ab, aB, ab** და ეს გამეტები თანაბარი რაოდენობით წარმოიქმნება.

შევადგინოთ პენეტის ცხრილი:

მშობლების გამეტები	AB	Ab	aB	ab
AB	AABB	AABb	AaBB	AaBb
Ab	AABb	AAAb	AaBb	Aabb
aB	AaBB	AaBb	aaBB	aaBb
ab	AaBb	Aabb	aaBb	aabb

როგორც ხედავ, განაყოფიერების დროს შესაძლებელია წარმოიქმნას 16 გენოტიპური ვარიანტი.

აქედან, გენოტიპური ვარიანტები (**AABB, AABb, AaBB, AaBb**) წარმოქმნის ორივე ნიშნით დომინანტური ფენოტიპის მქონე ინდივიდს — მუქთავალა მუქთმიან ადამიანს. ცხრილიდან ჩანს, რომ ამ გენოტიპური ვარიანტების რაოდენობა არის 9. ასეა, რადგან ერთი და იგივე გენოტიპი რამდენჯერმე მეორდება. ამგვარად ფენოტიპის — მუქი თვალი მუქი თმა წარმოშობის ალბათობაა 9/16.

მუქთვალა და ქერა ფენოტიპის მქონე ადამიანს განაპირობებს გენოტიპები: **AAbb, Aabb, Aabb**. ცხრილის მიხედვით ასეთი გენოტიპი სამია. სამია რადგან გენოტიპი **Aabb** ორჯერ წარმოიქმნება. ამგვარად მუქთვალა და ქერა ფენოტიპის წარმოშობის ალბათობაა 3/16. ასეთივე ალბათობითა 3/16 მოსალოდნელი ცისფერთვალა მუქთმიანი ფენოტიპის წარმოშობა, რადგან მისი განმაპირობებელი გენოტიპების რაოდენობაც **aaBB, aaBb** სამია (გენოტიპი **aaBb** ორჯერ მეორდება). მხოლოდ ერთხელ (ცხრილის მიხედვით) წარმოშვება გენოტიპი **aabb**. მაშასადამე ფენოტიპურად ცისფერთვალა ქერათმიანი ადამიანის დაბადების ალბათობაა 1/16.

ამგვარად, ფენოტიპები ნაწილდება შეფარდებით 9:3:3:1

### მეცნელის შრომები. დიპიბრიდული შეჯვარება

როდესაც შეჯვარების დროს აკვირდებიან მხოლოდ ერთი ნიშან-თვისების დამემკვიდრებას, ეს მონოპიბრიდული შეჯვარებაა (მონო- ერთი). შესაძლებელია დიპიბრიდული (დი-ორი) შეჯვარების ჩატარება, ამ დროს დაგაკვირდებით 2 ნიშანთვისებას. როდესაც შეჯვარება **პოლიპიბრიდულია** (პოლი — მრავალი) აკვირდებიან რამდენიმე ნიშან-თვისების დამემკვიდრებას.

მონოპიბრიდული შეჯვარების კანონზომიერების დადგენის შემდეგ მენდელს გაუჩნდა კითხვა: როგორ ნაწილდება თაობებში ორი სხვადასხვა ნიშან-თვისება, არიან ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი?

მენდელმა დაიწყო დიპიბრიდული შეჯვარებების ჩატარება და შეამოწმა ბარდის რამდენიმე ნიშანი. მაგალითად, მენდელი დააკვირდა თესლის ფორმის და ფერის განაწილებას თაობებში. მენდელმა დასაწყიში კვლავ წმინდა ხაზები — ყვითელი და მრგვალი თესლის მქონე და მნვანე და დანაოჭებული თესლის მქონე ბარდები შეაჯვარა. F1 შედგებოდა მხოლოდ ყვითელი და მრგვალი თესლის მქონე ბარდებისგან.

ამჯერადაც შეგიძლია გამოიყენო გენეტიკის ცოდნა და მიადევნო თვალი მენდელის ექსპერიმენტს. თესლის ყვითელი ფერი და სიგლუვე დომინანტური ნიშანია, მწვანე ფერი და დანაოჭებული ზედაპირი კი რეცესიული, მშობლები კი ორივე ნიშნით ჰომოზიგუტური იყო. აღვნიშნოთ თესლის ყვითელი ფერის განმაპირობებელი ალელი A ასოთი, მწვანე ფერის განმაპირობებელი ალელი — a ასოთი, თესლი სიგლუვის განმაპირობებელი ალელი B — ასოთი, ნაოჭიანი ზედაპირის განმაპირობებელი ალელი b — ასოთი. მშობლების გენოტიპი იქნება **AABB** და **aabb**. მეორზის შედეგად მშობლების მიერ წარმოქმნილ გამეტებში აღმოჩნდება თითო ალელი წყვილიდან **AB** და **ab**. განაყოფიერების შედეგად მიღებულ თაობას ექნება გენოტიპი **AaBb**. ამიტომაც პირველ თაობაში ფენოტიპურად ვლინდება მხოლოდ ერთი მშობლის ნიშანთვისება.

გამოვსახოთ ეს შენეტის ცხრილის დახმარებით:

მშობლების გამეტები	<b>AB</b>	<b>AB</b>
<b>ab</b>	<b>AaBb</b>	<b>AaBb</b>
<b>ab</b>	<b>AaBb</b>	<b>AaBb</b>

მენდელმა თვითდამტვერვით გაამრავლა პირველი თაობის ბარდები. შედეგად **F2**—ში გამოვლინდა მეორე მშობლის ნიშან-თვისებებიც. როდესაც მენდელმა იანგარიშა სხვადასხვა ფენოტიპის მქონე ინდივიდების რაოდენობრივი შეფარდება, აღმოჩნდა, რომ **F2**—ში 9 ნილი შეადგინა ყვითელი და გლუვი თესლის მქონე ბარდებმა, 3 ნილი — ყვითელი და ნაოჭიანი, 3 ნილი — მწვანე და გლუვი და 1 ნილი — მწვანე და ნაოჭიანი თესლი მქონე ბარდებმა.

დავიხმაროთ პენეტის ცხრილი და ვნახოთ რა შემთხვევასთან ჰქონდა საქმე მენდელს.

პირველი თაობის ბარდების გენოტიპია **AaBb** და მეორზის შედეგად მათ შეუძლია წარმოქმნან 4 სახის გამეტა: **AB, Ab, aB, ab**.

მაშასადამე მშობლების გამეტების შერწყმის 16 ვარიანტია შესაძლებელი.

	<b>AB</b>	<b>Ab</b>	<b>aB</b>	<b>ab</b>
<b>AB</b>	<b>AABB</b>	<b>AABb</b>	<b>AaBB</b>	<b>AaBb</b>
<b>Ab</b>	<b>AABb</b>	<b>AAbb</b>	<b>AaBb</b>	<b>Aabb</b>
<b>aB</b>	<b>AaBB</b>	<b>AaBb</b>	<b>aaBB</b>	<b>aaBb</b>
<b>ab</b>	<b>AaBb</b>	<b>Aabb</b>	<b>aaBb</b>	<b>aabb</b>

ცხრილიდანჩანს, რომ მწვანე ფერის დადანაოჭებული თესლის ფენოტიპს განმაპირობებს მშობლების გამეტების შერწყმის მხოლოდ ერთი ვარიანტი, რომლის დროსაც მიიღება ალელური კომბინაცია **aabb**. ამიტომ არის ასეთი ბარდების რაოდენობრივი ნილი მხოლოდ 1. ორივე ნიშნით დომინანტური ფენოტიფი განპირობებულია ალელების კომბინაციებით **AABB, AaBB, AABb, AaBb**. ასეთი კომბინაციები მიიღება გამეტების შერწყმის 9 ვარიანტში რის გამოც ამ ფენოტიპის ბარდების რაოდენობრივი ნილია 9. გამეტების შერწყმის დანარჩენი 6 ვარიანტიდან 3 იძლევა ყვითელ, ნაოჭთესლიანი ფენოტიპის მქონე ბარდებს და 3 ვარიანტი — მწვანე, გლუვთესლიანი ფენოტიპის ბარდებს. ერთი ვარიანტი განაპირობებს მწვანე ნაოჭთესლიან ფენოტიპს.

მათემატიკოს მენდელს არ გაუჭირდა იმის დანახვა, თუ რაზე მიუთითებს რაოდენობრივი შეფარდება  $9:3:3:1$ . ეს ხომ იგივეა რაც  $(3+1)^2$ , მაშასადამე სხვადასხვა ნიშან-თვისება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მემკვიდრეობს.

აქედან გამომდინარე მენდელმა ჩამოაყალიბა ნიშანთვისებათა დამოუკიდებელი განაწილების კანონი, რომლის თანახმად სხვადასხვა ნიშანთვისების დამემკვიდრება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს.

გენეტიკური ამოცანების ამოხსნას გაგიაღვილებს თუ გემახსოვრება, რომ:

თეორიულად ინდივიდს შეუძლია წარმოშოს იმდენნაირი ფენოტიპის შვილები, რამდენნაირი გამეტის წარმოშობაც შეუძლია. კერძოდ:

ინდივიდის გენოტიპი	ინდივიდის მიერ წარმოქმნილი ნაირგვარი გამეტები				ინდივიდის მიერ წარმოშობილი შვილების შესაძლო ფენოტიპების რაოდენობა
AABB	AB				1
aabb	ab				1
AaBB	AB	aB			2
AABb	AB	Ab			2
AaBb	AB	Ab	aB	ab	4

ცხადია, იმასაც გააჩნია, როგორი გენოტიპი აქვს მეორე მშობელს. ამიტომ ცხრილი გამოხატავს ერთი მშობლის თეორიულ შესაძლებლობას.

ამოხსნათ გენეტიკური ამოცანები:

1. **შეჯვარება დიპიօბრიდულია.** ერთი მშობელი დიპეტეროზიგოტულია, მეორე რეცესიული ჰომოზიგოტი. ფენოტიპურად და გენოტიპურად რამდენნაირი შვილი შეიძლება ეყოლოთ მათ და როგორია ამ ვარიანტების მოსალოდნელობა?

დიპეტეროზიგოტული ნიშნავს ორი ნიშნით ჰეტეროზიგოტულს. ამგვარად ერთი მშობელია AaBb. მეორე მშობელია aabb. დიპეტეროზიგოტული ინდივიდი წარმოშობას 4 სახის გამეტას (AB, Ab, aB, ab), რეცესიული ჰომოზიგოტი კი ერთი სახის გამეტას: ab. გამოვსახოთ შეჯვარება პენეტის ცხრილის დახმარებით:

მშობლების გამეტები	AB	Ab	aB	ab
ab	AaBb	Aabb	aaBb	aabb

ამგვარად, შეჯვარების შედეგად მიიღება ოთხნაირი გენოტიპის და 4-ნაირი ფენოტიპის მქონე შვილები. სულ 4 ვარიანტია, თითოეული გვხდება ერთხელ, მაშასადამე სხვადასხვა გენოტიპის და მათი შესაბამისი ფენოტიპის მოსალოდნელობაა 1/4.

2. **შეჯვარება დიპიօბრიდულია.** ერთი მშობელი დიპეტეროზიგოტულია, მეორე ჰეტეროზიგოტული ერთი ნიშნით და რეცესიული ჰომოზიგოტური მეორე ნიშნით. ფენოტიპურად და გენოტიპურად რამდენნაირი შვილი შეიძლება ეყოლოთ მათ და როგორია ამ ვარიანტების მოსალოდნელობა?

ამოცანის პირობის თანახმად ერთი მშობელია AaBb. მეორე მშობელია Aabb (დასაშვებია მეორე ვარიანტი aaBb). დიპეტეროზიგოტული ინდივიდი წარმოშობას 4 სახის გამეტას (AB, Ab, aB, ab), მეორე მშობლის გამეტებია: Ab, ab.

გამოვსახოთ შეჯვარება პენეტის ცხრილის დახმარებით:

მშობლების გამეტები	AB	Ab	aB	ab
Ab	AABb	AAbb	AaBb	Aabb
ab	AaBb	Aabb	aaBb	aabb

შეჯვარების შედეგად მიიღება შემდეგი სახის გენოტიპები: AABb, AAAb, AaBb, Aabb, aaBb, aabb.

ამათგან AaBb, AABb განაპირობებს ფენოტიპს – დომინანტური ორივე ნიშნით, გენოტიპი AAAb, Aabb განაპირობებს ფენოტიპს – ერთი ნიშნით (A) დომინანტური, მეორე ნიშნით რეცესიული (b), გენოტიპი aaBb განაპირობებს ფენოტიპს – ერთი ნიშნით (B) დომინანტური, მეორე ნიშნით რეცესიული (a), გენოტიპი aabb განაპირობებს ფენოტიპს – ორივე ნიშნით რეცესიული.

დაუკვირდი, ფენოტიპები ოთხია, თუმცა არათანაბარია მათი განაწილება, რადგან:

მიღებულია სულ 8 ვარიანტი. აქედან ვარიანტი aabb გვხვდება ერთხელ, მაშასადამე ამ გენოტიპის და მის მიერ განპირობებული ფენოტიპის (ორივე ნიშნით რეცესიული) მოსალოდნელობაა 1/8.

AaBb, AABb განაპირობებს ფენოტიპს (დომინანტური ორივე ნიშნით). ამავდროულად ეს გენოტიპები გვხვდება (დაუკვირდი ცხრილს) სამჯერ. მაშასადამე ფენოტიპის - დომინანტური ორივე ნიშნით მოსალოდნელობაა 3/8.

გენოტიპი AAAb, Aabb განაპირობებს ფენოტიპს – ერთი ნიშნით (A) დომინანტური, მეორე ნიშნით რეცესიული (b). ასეთი გენოტიპების რაოდენობა სამია. ამგვარად ფენოტიპის მოსალოდნელობაა 3/8.

გენოტიპი aaBb განაპირობებს ფენოტიპს – ერთი ნიშნით (B) დომინანტური, მეორე ნიშნით რეცესიული (a). ასეთი გენოტიპი ერთია და შესაბამისი ფენოტიპის მოსალოდნელობაა 1/8.

3. შეჯვარება დიჰიბრიდულია. ერთი მშობელი ორივე ნიშნით დომინანტური ჰომოზიგოტია, მეორე რეცესიული ჰომოზიგოტი. ფენოტიპურად და გენოტიპურად რამდენნაირი შვილი შეიძლება ეყოლოთ მათ და როგორია ამ ვარიანტების მოსალოდნელობა?

ამოცანის პირობის თანახმად ერთი მშობელია AABB. მეორე მშობელია aabb. დომინანტური ჰომოზიგოტური ინდივიდი წარმოშობს 1 სახის გამეტას (AB), რეცესიული ჰომოზიგოტი კი ერთი სახის გამეტას: ab.

ამ ინდივიდების შეჯვარებისას წარმოიქმნება ერთი სახის გენოტიპი AaBb და შესაბამისად ერთი სახის ფენოტიპი, რომლის მოსალოდნელობა იქნება 100%.

4. შეჯვარება დიჰიბრიდულია. ორივე მშობელი ორივე ნიშნით დომინანტური ჰომოზიგოტია. ფენოტიპურად და გენოტიპურად რამდენნაირი შვილი შეიძლება ეყოლოთ მათ და როგორია ამ ვარიანტების მოსალოდნელობა?

ამოცანის პირობის თანახმად ორივე მშობელია AABB. ორივე წარმოშობს 1 სახის გამეტას (AB).

ამ ინდივიდების შეჯვარებისას წარმოიქმნება ერთი სახის გენოტიპი ABBB და შესაბამისად ერთი სახის ფენოტიპი, რომლის მოსალოდნელობა იქნება 100%.

5. შეჯვარება დიპloidულია. ორივე მშობელი ორივე ნიშნით რეცესიული ჰომოზიგოტია. ფენოტიპურად და გენოტიპურად რამდენნაირი შვილი შეიძლება ეყოლოთ მათ და როგორია ამ ვარიანტების მოსალოდნელობა?
- ამოცანის პირობის თანახმად ორივე მშობელია  $aabb$ . ორივე წარმოშობს 1 სახის გამეტას ( $ab$ ).  
ამ ინდივიდების შეჯვარებისას წარმოიქმნება ერთი სახის გენოტიპი  $aabb$  და შესაბამისად ერთი სახის ფენოტიპი, რომლის მოსალოდნელობა იქნება 100%.
6. შენ უკვე იცი, რომ თუ ორივე მშობელი დიპლეტეროზიგოტულია -  $AaBb$ , ისინი წარმოქმნიან 4-ნაირ გამეტას ( $AB$ ,  $Ab$ ,  $aB$ ,  $ab$ ) და მათი შეჯვარების შედეგად მიღება 4 ფენოტიპი რაოდენობრივი განაწილებით 9:3:3:1

### შეჭიდული განები

ალელები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ქრომოსომები. ამიტომ ერთ ქრომოსომაში განლაგებულია მრავალი სხვადასხვა ალელი. ასეთ ალელებზე ამბობენ, რომ ისინი შეჭიდულია ერთ ქრომოსომაში.

როდესაც ალელები  $A$  და  $a$  განლაგებულია ქრომოსომების ერთ წყვილში,  $B$  და  $b$  კი მეორეში, მათ აქვთ “არჩევანის თავისუფლება”. ეს ნიშნავს, რომ მეიოზის დროს წარმოქმნილ გამეტებში სხვადასხვა წყვილიდან ნებისმიერი ორი ალელი ერთნაირი ალბათობით აღმოჩნდება ერთად და ამიტომ  $AaBb$  გენოტიპის მქონე ინდივიდის გამეტები  $AB$ ,  $Ab$ ,  $aB$ ,  $ab$  წარმოქმნება თანაბარი რაოდენობით.

როდესაც სხვადასხვა გენის ალელები ერთ ქრომოსომულ წყვილშია განლაგებული, აქვთ მათ “არჩევანის თავისუფლება”? შესაძლებელია, ერთ გამეტაში მოხვდეს  $A$  და  $b$  ან  $a$  და  $B$ ?

თუ ორივე მშობელი  $AaBb$  შეჭიდული ალელების მატარებელია ( $A$  და  $B$  ერთ ქრომოსომაშია შეჭიდული,  $a$  და  $b$  — მეორეში), მათი გამეტები იქნება  $ab$  და  $AB$ , ხოლო ამ მშობლების შეჯვარების შედეგი იქნება:


გამეტები	$AB$	$ab$
$AB$	$AABB$	$AaBb$
$ab$	$AaBb$	$aabb$

თუმცა ალელების შეჭიდულობა შეიძლება დაირღვეს.

მეიოზის დროს, პირველი გაყოფის პროფაზაში, ჰომოლოგიური ქრომოსომები კონიუგირებენ - ქრომოტიდები ერთმანეთს გადაეჭდობიან და ცვლიან მონაკვეთებს — ხდება კროსინგოვერი.

დავუშვათ, ალელები  $A$  და  $B$  შეჭიდულია ერთ ქრომოსომაში, მეორეში კი შესაბამისად შეჭიდულია  $a$  და  $b$

დავუშვათ, იცვლება ის მონაკვეთები, რომლებშიც განთავსებულია  $B$  (ერთ ქრომოსომაში) და  $b$  (მეორე ქრომოსომაში) სქემაზე – 1.



ასეთ შემთხვევაში კროსინგოვერის შედეგად მივიღებთ ქრომოსომებში ალელების განლაგების ახალ ვარიანტს: A და b ერთ ქრომოსომაში და a და b – მეორე ქრომოსომაში (2). როდესაც მეიოზი დამთავრდება, მიიღება ასეთი ალელური შედგენილობის გამეტები: Ab და aB.

ერთ ქრომოსომაში განლაგებული ყველა ალელი შეჭიდულია. რომელი ალელები აღმოჩნდება სხვადასხვა ქრომოსომაში კროსინგოვერის შედეგად იმაზეა დამოკიდებული, იცვლება თუ არა ის მონაკვეთები, სადაც ამ ალელების ლოკუსებია განთავსებული.

ამგვარად, კროსინგოვერი თავისთავად არ წარმოადგენს ორი კონკრეტული შეჭიდული ალელის სხვადასხვა ქრომოსომაში გადანაწილების გარანტიას. მნიშვნელობა აქვს, ეხება თუ არა კროსინგოვერი იმ მონაკვეთს, სადაც ეს ალელებია შეჭიდული და აგრეთვე, მნიშვნელოვანია ქრომოსომაში ამ ალელების ლოკუსებს შორის მანძილი.

დაგუბრუნდეთ ორი ნიშნით ჰეტეროზიგოტური ორგანიზმის გამეტების ნაირ-ფეროვნებას. თუ ალელების სხვადასხვა წყვილი შეჭიდული არ არის, მეიოზის შედეგად ერთნაირი რაოდენობით წარმოიქმნება ალელური შედგენილობის მხრივ ოთხნაირი გამეტა AB, Ab, aB, ab. თუ ეს ალელები შეჭიდულია, ორგანიზმი წარმოშობს გამეტებს AB და ab. მონაკვეთების გაცვლის დროს მოსალოდნელია, რომ შეჭიდული ალელები გადანაწილდეს სხვადასხვა ქრომოსომაში და მაშინ წარმოიქმნება გამეტები aB და Ab. ასეთი გამეტების რაოდენობა დამოკიდებული იქნება მონაკვეთების გაცვლის სიხშირეზე.

ჩვეულებრივ, ამოცანებში მოცულებია ხოლმე მონაკვეთების გაცვლის სიხშირის მაჩვენებელი. მაგალითად, ერთმანეთს ეჯვარება  $AaBb \times aabb$  და გვეუბნებიან, რომ  $AaBb$  — ში მონაკვეთების გაცვლა და შეჭიდული ალელების დაცილება მოხდა შემთხვევათა 20%-ში, რაც ნიშნავს, რომ 80 შემთხვევაში (მონაკვეთები არ იცვლება) წარმოიქმნება გამეტები AB და ab, ხოლო 20 შემთხვევაში (მონაკვეთები გაიცვალა) Ab და aB. აქედან გამომდინარე სხვადასხვა ალელების მატარებელი გამეტების რაოდენობა იქნება: AB და ab – სულ 80 და 40 თითოეული, Ab და aB – სულ 20 და 10 თითოეული. შესაბამისად გამოითვლება იმ გენოტიპების რაოდენობა, რომელიც მიიღება აღნიშნული გამეტების კომბინირებით მეორე მშობლის ab-თან:

	ab
AB (40)	AaBb (40)
ab (40)	aabb (40)
Ab (20)	Aabb(10)
aB (20)	aaBb (10)

## მრავლობითი ალელიზმი

არის შემთხვევები, როდესაც ერთ გენს აქვს არა 2, არამედ მეტი ალელური ვარიანტი. ამ მოვლენას **მრავლობითი ალელიზმი** ეწოდება. თუმცა ქრომოსომების წყვილში ამ ალელებიდან მხოლოდ ორი წყვილდება. ამგვარად შესაძლებელია ასეთი წყვილების რამდენიმე ვარიანტი იყოს, იმის მიხედვით თუ რამდენი ალელი ახასიათებს მოცემულ გენს.

მრავლობითი ალელიზმი დამახასიათებელია სისხლის ჯგუფების განმსაზღვრელი გენისათვის. არსებობს სამი ალელი – A, B, O. მათი აღნიშვნა ემთხვევა სისხლის ჯგუფების აღნიშვნებს. O — რეცესიული ალელია, ხოლო A და B დომინანტური. ალელებია. A და B ალელები ერთმანეთის მიმართ კოდომინანტურია. ამ სამი ალელიდან კონკრეტულ გენოტიპში გვხვდება რომელიმე რომელიმე ორის კომბინაცია. ალელების კომბინაცია განსაზღვრავს სისხლის ჯგუფებს:

ალელური კომბინაცია	სისხლის ჯგუფი
00	0
A0	A
B0	B
AB	AB

ამგვარად სისხლის ჯგუფი O განპირობებულია აცილებლად რეცესიული ჰომოზიგოტით 00 (რადგან ალელი O რეცესიულია). ეს სისხლის ჯგუფი არ წარმოქმნის ერიტროციტის მემბრანულ ანტიგენს.

სისხლის ჯგუფი AB ალელების კოდომინირების გამო ამჟღავნებს როგორც ერთი, ისე მეორე ალელის მიერ განპირობებულ ანტიგენს.

იქ სადაც წყვილშია დომინანტური (A ან B) და რეცესიული ალელი (0), ერიტროციტს აქვს გენოტიპში მოცემული დომინანტური ალელის (A ან B) მიერ განპირობებული მემბრანული ანტიგენი.

### ეპისტაზი

ეპისტაზი მოვლენაა, როდესაც ერთი კონკრეტული ფენოტიპი განპირობებულია არა ერთი გენის, არამედ რამდენიმე გენის ალელების ურთიერთქმედებით. მაგრამ ეს ურთიერთქმედება იმაში გამოიხატება, რომ ერთი გენის ალელი (დომინანტური ან რეცესიული) თოვლავს სხვა გენის ალელს და ხელს უშლის მის ფენოტიპოურ გამოვლენას.

განვმარტოთ ეს საკითხი.

მაგალითად ვაკვირდებით ალელების 2 წყვილის დამემკვიდრებას, ორი დიპეტეროზიგოტული ინდივიდის შეჯვარებისას

ორი დიპეტეროზიგოტული ინდივიდის შეჯვარებისას მიღებული გენოტიპების ვარიანტები შენთვის უკვე ცნობილია:

მშობლების გამეტები	AB	Ab	aB	ab
AB	AABB	AABb	AaBB	AaBb
Ab	AABb	AAAb	AaBb	Aabb
aB	AaBB	AaBb	aaBB	aaBb
ab	AaBb	Aabb	aaBb	aabb

დავუშვათ, რომ დომინანტური A ალელი თრგუნავს B (b) ალელის გამოვლენას. მაშინ ყველა გენოტიპი, სადაც არის A ალელი, განაპირობებს მხოლოდ ამ ალელით განპირობებულ ფენოტიპს. ასეთი გენოტიპები 12-ია. სამ შემთხვევაში (aaBB, aaBb, aaBb) რეცესიული a ვერ მუდავნდება B-ს გამო და მივიღებთ განსხვავებულ ფენოტიპს - გამომუდავნდება ორივე ნიშანი, რეცესიული (aa ალელური წყვილით განპირობული) და დომინანტური (BB, Bb ალელური წყვილით განპირობული) და კიდევ ერთ შემთხვევაში (aabb), სადაც ორივე ალელი რეცესიულია, ნარმოიქმნება ორივე ნიშნით რეცესიული ფენოტიპი.

### სქესის განეტიკა, სქესთან (სასქესო ქრომოსომებთან) შეზიდული ნიშანთვისებები


ორგანიზმის სქესი განპირობებულია მისი უჯრედების ქრომოსომული შედგენილობით.

სქესი დამოკიდებულია ქრომოსომათა ერთ წყვილზე. ადამიანში, მაგალითად, ეს არის მე-23 წყვილი. პირობითად ამ ქრომოსომებს ეწოდება X და Y ქრომოსომა. მამაკაცის ქრომოსომულ კომპლექტში არის ერთი Y და ერთი X ქრომოსომა, ხოლო ქალში სქესის განმსაზღვრელი ორივე ქრომოსომა არის X.

X და Y ქრომოსომა არ არის ერთმანეთის ჰომოლოგიური — მათ განსხვავებული ფორმა და ზომა აქვთ და აგრეთვე, განსხვავებულია მათი ალელური შედგენილობაც.

სქესის განმსაზღვრელ ქრომოსომებს ეწოდება სასქესო ქრომოსომები, ხოლო დანარჩენ ქრომოსომებს კომპლექტში ეწოდება აუტოსომები.


მეიოზის დროს, ქრომოსომები ორმაგდება. ორმაგდება როგორც აუტოსომები, ისე სასქესო ქრომოსომები.



პირველი მეიოზური გაყოფის ანაფაზაში (1) სასქესო ქრომოსომების წყვილები ერთმანეთს ცილდებიან. მეორე მეიოზური გაყოფის ანაფაზაში (2) ერთმანეთს ცილდება გაორმაგებული სასქესო ქრომოსომების ქრომატიდები. ამგვარად სასქესო ქრომოსომები სხვადასხვა გამეტაში აღმოჩნდება (3).

რადგან ადამიანის მამრობით სქესს ახასიათებს განსხვავებული სასქესო ქრომოსომები, მეიოზის შედეგად წარმოქმნილი სპერმატოზოიდების ერთ ნაწილში აღმოჩნდება X ქრომოსომა და აუტოსომების ნახევარი, მეორე ნაწილში კი Y ქრომოსომა და აუტოსომების ნახევარი (1).

ადამიანის მდედრობით სქესს ახასიათებს ერთნაირი სასქესო ქრომოსომები. ამიტომ ყველა კვერცხუჯრედი ატარებს X ქრომოსომას და აუტოსომების ნახევარს (2).



განაყოფიერების დროს ერთმანეთს შეერწყმება მდედრის კვერცხუჯრედი X ქრომოსომით და მამრის სპერმატოზოიდი, რომელიც შესაძლებელია ატარებდეს Y ან X ქრომოსომას. ორივე ვარიანტი თანაბრად მოსალოდნელია (3).

ცხრილი უჩვენებს ბიჭის და გოგოს დაბადების ალბათობას. ის თანაბარია ( $1/2$  xx,  $1/2$  xy).

მშობლების გამეტები	X	X
X	xx	xx
Y	xy	xy

სასქესო ქრომოსომები მარტო სქესს არ განაპირობებენ. სასქესო ქრომოსომებში, ისევე როგორც აუტოსომებში, განლაგებულია ალელები, რომლებიც სხვადასხვა სახის ნიშანთვისებას განაპირობებს. ასეთ ალელებს და მათ მიერ განპირობებულ ნიშანთვისებებს უწოდებენ ხოლმე სქესთან (სასქესო ქრომოსომებთან) შეჯიდულს. სასქესო ქრომოსომასთან შეჯიდულ ალელს ჩვეულებრივ წერენ იმ სასქესო ქრომოსომის თავზე ან ზედა კუთხეში, რომელთანაც ეს ალელი შეჭიდულია. მაგ. X<sup>a</sup> ან Y<sup>B</sup>.

ამოვხსნათ გენეტიკური ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია სქესთან შეჯიდული ნიშანთვისებების დამემკვიდრებასთან.

ამ სახის ამოცანების ამოხსნის დროს სირთულეს წარმოადგენს გამეტების ალელური შედგენილობის სწორად განსაზღვრა.

მაგალითად, **როგორ გამეტებს წარმოქმნის ორგანიზმი, რომლის X ქრომოსომასთან შეჭიდულია დაავადების — ჰემოფილის ალელი?**

დასაწყისში გავარკვიოთ, რას გვეუბნება ამოცანა. არსებობს დაავადება ჰემოფილია (სისხლის შეუდედებლობა), რომლის განმაპირობებელი ალელი რეცესიულია და შეჭიდულია X ქრომოსომასთან. მაშასადამე ეს ალელი არ არის Y ქრომოსომაში. იმის მიხედვით, არის თუ არა ეს ალელი ორგანიზმში, ადამიანის შესაძლო გენოტიპები იქნება: XX, XX<sup>h</sup>, X<sup>h</sup>X<sup>h</sup>, XY, X<sup>h</sup>Y (ჰემოფილის შემთხვევაში ალელი აღინიშნება ლათინური h -ით, ამ დაავადების ლათინური სახელწოდების პირველი ასოთი). ამავდროულად, რადგან ალელი შეჭიდულია X ქრომოსომასთან, ის აუცილებლად გამომჟღავნდება ფენოტიპურად მამაკაცებში X<sup>h</sup>Y, რადგან Y-ში არ არის ამ ალელის მეწყვილე ალელი, რომელიც შეძლებდა დაავადების გამომწვევი ალელის დათრგუნვას. ქალებში კი დაავადება მუღავნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალის გენოტიპია X<sup>h</sup>X<sup>h</sup>, რადგან, XX<sup>h</sup> შემთხვევაში მეორე “ჯანმრთელი” X თრგუნავს ჰემოფილის გამომწვევ ალელს.

გენოტიპების გარკვევის შემდეგ ადვილი ხდება მეიოზის შედეგად წარმოქმნილი გამეტების შედგენილობის დადგენაც. მაგალითად, ჰემოფილის ალელის მიხედვით ჰეტეროზიგოტური ქალი XX<sup>h</sup> წარმოქმნის ორი სახის კვერცხუჯრედს, ერთში იქნება X, მეორეში კი X<sup>h</sup>. ჰემოფილის ალელის მიხედვით ჰომოზიგოტური ქალი X<sup>h</sup>X<sup>h</sup> წარმოქმნის ერთი სახის კვერცხუჯრედს X<sup>h</sup>. მამაკაცი ამ ალელის მიხედვით მხოლოდ ჰეტეროზიგოტულია X<sup>h</sup>Y, რადგან როგორც ამოცანაში ითქვა, ჰემოფილის ალელი შეჭიდულია X ქრომოსომასთან.

განსხვავებულ შემთხვევასთან გვექნება საქმე, თუ რომელიმე ალელი შეჭიდულია Y ქრომოსომასთან. ეს ალელი არ იქნება X ქრომოსომაში. ასეთ შემთხვევაში ამ ალელით განპირობებული ნიშანთვისება მხოლოდ მამაკაცებში მუღავნდება (თუ მათ აქვს ეს ალელი Y ქრომოსომაში). მამაკაცი გენოტიპით XY<sup>a</sup>(სასქესო ქრომოსომასთან შეჭიდული ალელი აღნიშნულია a ასოთი) წარმოქმნის 2 სახის სპერმატოზოიდებს: X ქრომოსომის მატარებელს და Y<sup>a</sup> ქრომოსომის მატარებელს. ამიტომ მის ყველა ვაჟს ექნება a ალელი და ამ ალელის მიერ განპირობებული ნიშანთვისება, გოგონებს კი ეს ნიშანთვისება არ ექნებათ.

#### ამოვხსნათ ამოცანები:

დაავადების გამომწვევი ალელი შეჭიდულია Y ქრომოსომასთან. რამდენი დაავადებული და ჯანმრთელი ვაჟი და გოგონა ეყოლება წყვილს, სადაც მამაკაცი ავად არის?

**ვიცით,** რომ დაავადების გამომწვევი ალელი შეჭიდულია Y ქრომოსომასთან, პირობითად ავღნიშნოთ ეს ასე: Y<sup>a</sup>.

**ანალიზი:** ქალი ამ ალელს არ ატარებს და ჯანმრთელია. რადგან მამაკაცი ავად არის, მაშასადამე მის ქრომოსომაში ეს ალელი არსებობს და მისი გენოტიპია XY<sup>a</sup>. მამაკაცი წარმოქმნის 2 სახის სპერმატოზოიდებს: X ქრომოსომის მატარებელს და Y<sup>a</sup> ქრომოსომის მატარებელს. ქალი, წესისამებრ, წარმოქმნის X ქრომოსომის მატარებელ კვერცხუჯრედს. გამოვიყენოთ ჰენეტის ცხრილი:

მშობლების გამეტები	X	X
X	xx	xx
Y <sup>a</sup>	xy <sup>a</sup>	xy <sup>a</sup>

**პასუხი:** ყველა გოგონა ჯანმრთელი, ყველა ვაჟი დაავადებული

1. როგორი იქნება შედეგი, თუ დაავადების გამომწვევი ალელი შეჭიდულია X ქრომოსომასთან, დედა ჯანმრთელია, მაგრამ ჰეტეროზიგოტულია ამ ალელის მიხედვით, მამა კი ჯანმრთელია.

**ანალიზი:** რადგან ვიცით, რომ დედა ჰეტეროზიგოტულია ამ ალელის მიხედვით, მაშასადამე მისი გენოტიპია XX<sup>a</sup>. მამა ჯანმრთელია, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ აქვს დაავადების გამომწვევი ალელი X ქრომოსომაში. მაშასადამე მამის გენოტიპია XY

გამოვიყენოთ პენეტის ცხრილი:

მშობლების გამეტები	X	X <sup>a</sup>
X	xx	xX <sup>a</sup>
Y	xy	X <sup>a</sup> y


**პასუხი:** ყველა გოგონა ჯანმრთელია, თუმცა ერთი ატარებს დაავადების გამომწვევ ალელს (xX<sup>a</sup>), ერთი ვაჟი დაავადებულია (X<sup>a</sup>y), მეორე ჯანმრთელი.

ამოცანიდან გამოჩენდა, რომ დედა და აგრეთვე ერთი გოგონა ატარებენ დაავადების გამომწვევ ალელს (xX<sup>a</sup>), მაგრამ ჯანმრთელები არიან, რადგან დაავადების გამომწვევი ალელი ვერ ამჟღავნებს თავს მეორე — “ჯანმრთელი” X-ის თანაობისას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ტერმინი მატარებელი. ის აღნიშნავს, რომ ორგანიზმს აქვს რაიმე დაავადების გამომწვევი ალელი (ატარებს ამ ალელს), მაგრამ ის ფენოტიპურად არ მჟღავნდება.

### აუტოსომური მოთავსებული დაავადებების გამომცვევი ალელური გენების დაგენერაცია

დაავადების გამომწვევი გენები შესაძლებელია განლაგებული იყოს აუტოსომური. ამ შემთხვევაში აუტოსომაში მოთავსებულია კონკრეტული გენის ორივე ალელი — დაავადების გამომწვევიალელი და ალელი, რომელიც ამ დაავადებას არ იწვევს. ამ ალელებს შორის ურთიერთქმედება ეფუძნება დომინატორულ-რეცესიული ალელების ურთიერთქმედებას.

მაგალითად, სიყრუის ერთერთი ფრომა აუტოსომაში არსებული ალელით არის გამოწვეული. ეს ალელი რეცესიულია და თუ ის არის ჰომोლოგიური წყვილიდან ორივე აუტოსომაში, ადამიანი ყრუ დაიბადება.



### ამოვხსნათ გენეტიკური ამოცანა:

1. რამდენი ყრუ შვილი დაებადება მშობლებს, თუ დედაც და მამაც ჯანმრთელია, მაგრამ სიყრუის განმაპირობებელი ალელის მატარებელი?

**ვიცით** რომ სიყრუე რეცესიული ალელითაა განპირობებული და მშობლები ამ ალელის მატარებელები არიან. მაშასადამე მათი გენოტიპია  $Rr$  (ალელების აღნიშვნა გაკეთებულია ზემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით)

**ანალიზი:** გამოვიყენოთ პენეტის ცხრილი:

მშობლების გამეტები	$R$	$r$
$R$	$RR$	$Rr$
$r$	$Rr$	$rr$

საქმე გვაქვს მონოჰიბრიდული შეჯვარების მენდელისეულ კანონ-ზომიერებასთან:

ჰეტეროზიგოტული მშობლების შეჯვარებისას მიღებულ თაობაში ხდება ნიშან-თვისებათა დათიშვა  $3 : 1$ . შვილების 3 წილი ატარებს დომინანტურ ნიშანს, ერთი წილი — რეცესიულს.

**პასუხი:** შვილების ერთი წილი ( $rr$ ) იბადება ყრუ

2. მარფანის სინდრომი აუტოსომურ დომინანტური დაავადებაა. მამა ჰომოზიგოტურია, დედა კი ჰეტეროზიგოტური მარფანის სინდრომის გამომწვევი ალელის მიხედვით. როგორი გენოტიპი და ფენოტიპი აქვთ მშობლებს და როგორი გენოტიპი და ფენოტიპი ექნებათ მათ შვილებს?

**ანალიზი:** ავღნიშნოთ მარფანის სინდრომის გამომწვევი ალელი როგორც  $M$ . რადგან მამა ჰომოზიგოტურია ამ ალელის მიხედვით, მაშასადამე მისი გენოტიპია  $M\ M$  და ფენოტიპურად გამომუდავნებულია მარფანის სინდრომი. დედა ჰეტეროზიგოტურია,

მასასადამე მისი გენოტიპია  $M m$ , თუმცა რადგან დაავადების გამომწვევი ალელი დომინანტურია, დედასაც ფენოტიპურად გამომულავნებული აქვს მარფანის სინდრომი. გამოვიყენოთ პენეტის ცხრილი:

მშობლების გამეტები	$M$	$m$
$M$	$MM$	$Mm$
$M$	$MM$	$Mm$

მივიღეთ ორნაირი გენოტიპის შვილები ( $MM$ ,  $Mm$ ). ყველა შემთხვევაში სახეზეა დომინანტური ალელი, რომელიც განაპირობებს დაავადებას.

**პასუხი:** შვილების გენოტიპებია  $MM$ ,  $Mm$ , ყველა მათგანი დაავადებულია.

ამოცანების ამოხსნა რთულდება, როდესაც საქმე გვაქვს ერთდროულად აუტოსომურ და სქესთან შეჭიდულ ნიშანთვისებასთან. ამ დროს ზუსტად უნდა მოხდეს გამეტების შედგენილობის ანალიზი.

მაგალითად ქალს აქვს მუქი თმა (ის ჰეტეროზიგოტულია თმის ფერის ალელის მიხედვით) და ამავდროულად ის ჰემოფილის ალელის მატარებელია.

ვიცით რომ თმის ფერის განმაპირობებელი ალელი აუტოსომებშია განლაგებული, ჰემოფილის გამომწვევი ალელი კი განლაგებულია  $X$  ქრომოსომაში. ამგვარად ამ ქალის გენოტიპია:  $Aa XX^h$

ეს ადამიანი წარმოქმნის შედგენილობის თვალსაზრისით ასეთ გამეტებს:  $AX$ ,  $aX$ ,  $AX^h$ ,  $aX^h$

**ამოვხსნათ ამოცანა:** ქალს აქვს მუქი თმა (ის ჰეტეროზიგოტულია თმის ფერის ალელის მიხედვით) და ამავდროულად ის ჰემოფილის ალელის მატარებელია. მამაკაცი ჯანმრთელია და ქერათმიანი. როგორი გენოტიპის და ფენოტიპის გოგები და ვაჟები ეყოლებათ მათ. (მიაქციეთ ყურადღება; გეკითხებიან არა მარტო თმის ფერის და ჰემოფილის, არამედ შვილების სქესის შესახებაც)

**ვიცით,** რომ ქერა თმა რეცესიული ნიშანია. ისიც ვიცით, რომ თუ ჰემოფილის გამომწვევი ალელი არის მამაკაცის ქრომოსომაში  $X^h$ , მამაკაცი ავად იქნება. ისიც ვიცით, რომ ტერმინი „მატარებელი“ ნიშავს, რომ ადამიანი ატარებს დაავადების გამომწვევ ალელს, მაგრამ ფენოტიპურად ის არ მულავნდება, ვინაიდან მეორე ჰომოლოგიურ ქრომოსომაში ეს ალელი არ იმყოფება.

**ანალიზი:** რადგან მამაკაცი ქერაა, მაშასადამე მისი გენოტიპია  $aa$ . რადგან ის ჯანმრთელია, მაშასადამე მის  $X$  ქრომოსომაში არ არის ჰემოფილის ალელი. ამგვარად, მამაკაცის გენოტიპია  $aaXY$ . რადგან ქალი ჰეტეროზიგოტულია თმის ფერის ალელის მიხედვით, მისი გენოტიპია  $Aa$ . რადგან ქალი ჰემოფილის ალელის მატარებელია, მისი გენოტიპია  $XX^h$ .

ამგვარად მშობლების გენოტიპია  $aaXY$  და  $AaXX^h$

გამოვიყენოთ პენეტის ცხრილი:

მშობლების გამეტები	aX	aY
AX	AaXX	AaXY
aX	aaXX	aaXY
AX <sup>h</sup>	AaXX <sup>h</sup>	AaX <sup>h</sup> Y
a X <sup>h</sup>	aaXX <sup>h</sup>	aaX <sup>h</sup> Y

### პასუხი: შვილებში

1. ერთი ნილი მუქტმიანი და ჯანმრთელი ვაჟები: AaXY
2. ერთი ნილი ქერა და ჯანმრთელი ვაჟები: aaXY
3. ერთი ნილი მუქტმიანი ჰემოფილის მქონე ვაჟები AaX<sup>h</sup>Y
4. ერთი ნილი ქერა ჰემოფილის მქონე ვაჟები aaX<sup>h</sup>Y
5. ორი ნილი მუქტმიანი და ჯანმრთელი გოგონები (AaXX, AaXX<sup>h</sup>), თუმცა მათი ნახევარი ჰემოფილის ალელის მატარებელია (AaXX<sup>h</sup>)
6. ორი ნილი ქერა და ჯანმრთელი გოგონები (aaXX, aaXX<sup>h</sup>), თუმცა მათი ნახევარი ჰემოფილის ალელის მატარებელია (aaXX<sup>h</sup>)

### გამრავლება

კვერცხუჯრედი გლუვი, ოვალური ფორმისაა. კვერცხუჯრედი შეიცავს დიდი რაოდენობით ციტოპლაზმას. ციტოლაზმაში ბირთვია, რომელშიც ქრომოსომებია მოთავსებული. სპერმატოზოიდს აქვს თავი, ყელი და კუდი (შოლტი). კუდი ირზევა და უზრუნველყოფს სპერმატოზოიდის გადაადგილებას. სპერმატოზოიდის თავში მოთავსებულია ბირთვი ქრომოსომებით. ყელში მიტოქონდრიებია, რომლებიც წარმოქმნის ენერგიას სპერმატოზოიდის მოძრაობისათვის. ციტოპლაზმა სპერმატოზოიდში უმნიშვნელო რაოდენობითაა.

განაყოფიერების დროს სპერმატოზოიდები გარს ერტყმიან კვერცხუჯრედს. ერთერთი სპერმატოზოიდი ყველას “დაასწრებს” და შეიჭრება კვერცხუჯრედში. სპერმატოზოიდის თავის გარე ზედაპირზე არის ეზიმი, რომელიც ხსნის კვერცხუჯრედის ზედაპირს და უზრუნველყოფს სპერმატოზოიდის შექრას კვერცხუჯრედში. სპერმატოზოიდის და კვერცხუჯრედის ბირთვები შეერთდება — მოხდება **განაყოფიერება**.

ზოგიერთი ცხოველი კვერცხუჯრედს გარემოში გამოყოფს, მაგალითად თევზები და ამფიბიები წყალში ყრიან ქვირითს — კვერცხუჯრედების მასას. მამრიც წყალში გამოყოფს სპერმატოზოიდებს და განაყოფიერება სხეულის გარეთ, წყალში ხდება. ეს **გარეგანი განაყოფიერება**. ზოგიერთი ცხოველის(მაგ. მწერების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ძუძუმწოვრების) კვერცხუჯრედი რჩება ორგანიზმში, სპერმატოზოიდი კი მამრის ორგანიზმიდან უშუალოდ მდედრის ტრანსფერის გადადის და იქ ანაყოფიერებს კვერცხუჯრედს. ეს არის **შინაგანი განაყოფიერება**.

შინაგანი განაყოფიერების დროს ახალი თაობა დედის სხეულში ყალიბდება და შემდეგ **იბადება** (მაგ. ძუძუმწოვრებში). სხვა შემთხვევაში (მაგ. მწერებში, ფრინველებში, ქვეწარმავლებში) შინაგანი განაყოფიერების შემდეგ ცხოველი დებს კვერცხს, რომელშიც ვითარდება და **იჩეკება** ახალი თაობა.

განაყოფიერების შემდეგ იწყება განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან — **ზიგოტიდან** ჩანასახის (**ემბრიონის**) განვითარების პროცესი — **ემბრიოგენეზი.**

ზიგოტა მიტოზურად იყოფა და წარმოქმნის ორ უჯრედს. მიტოზი სერიულ ხასიათს ატარებს: ორი უჯრედიდან მიიღება ოთხი, ოთხიდან — რვა, რვიდან თექვსმეტი და ა.შ.

გარკვეული მომენტიდან უჯრედების გროვიდან იწყება ქსოვილების და ორგანოების წარმოქმნა — ყალიბდება ორგანიზმი.

თავდაპირველად ემბრიონს უჩნდება მომავალი ორგანოების ჩანასახი, შემდეგში კი ორგანოები ვითარდება და ნაყოფი იძენს თავისი სახეობისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს.


ასე ხდება ადამიანის და ხერხემლიანთა უმრავლესი წარმომადგენლების შემთხვევაში — დაბადებული (გამოჩეკილი) ორგანიზმი თავიდანვე გავს მისი სახეობის ზრდასრულ ორგანიზმს.

ამფიბიებში (ბაყაყი, გომბეშო და სხვ.) და უხერხემლო ცხოველების ერთ ნაწილში კვერცხიდან გამოჩეკილი თაობა ნაკლებად გავს თავისი სახეობის ზრდასრულ ფორმას და განიცდის **მეტამორფოზის** — გარდაქმნებს რომელთა შედეგად თანდათანობით დაემსგავსება ზრდასრულ ფორმას.

მწერების ერთ ნაწილში კვერცხიდან (1) იჩეკება მუხლუხი (2), რომელიც ჭუპრდება, ანუ იკეთებს გარსს, ჭუპრში (3) ვითარდება მწერისათვის დამახასიათებელი ორგანოები და მწერი გამოდის ჭუპრიდან (4). ეს **სრული მეტამორფოზია.**



სხვა შემთხვევაში (ქვედა სურათი) კვერცხიდან (1) იჩეკება ორგანიზმი (2) (მაგ კალიებში მას **ნიმფა** ეწოდება), რომელიც ძირითადად მშობლის მსგავსია, თუმცა აკლია გარკვეული ნიშნები, რომლებსაც განვითარებს დროთა განმავლობაში და ზრდასრული ხდება (3). ეს **არასრული მეტამორფოზია.**



მაგალითად კალიას კვერცხიდან გამოჩეკილ ნიმუშას არ აქვს ფრთხები, რომლებსაც დროთა განმავლობაში ივითარებს, გამოჩეკილი ტარაკანი რამდენჯერმე იცვლის საფარველს და ემსგავსება ზრდასრულ ფორმას.

პროკარიოტული ორგანიზმები მრავლდება უჯრედის გაყოფით. თუმცა ამ შემთხვევაში გაყოფას თითქმის არაფერი აქვს საერთო ეუკარიოტული უჯრედის მიტოზთან.

ბაქტერიებში არის დნმ-ს ერთი მოლეკულა, რომელიც პლაზმურ მემბრანაზეა მიმაგრებული ციტოპლაზმის მხრიდან. ბაქტერიის უჯრედის გაყოფის დროს დნმ ორმაგდება, უჯრედი შუაზე იყოფა და დნმ-ს ორი მოლეკულა გადანაწილდება ორ შვილეულ უჯრედს შორის. ამ წესით გაყოფას ძალიან ცოტა დრო სჭირდება, ამიტომ ბაქტერიები ძალიან სწრაფად მრავლდება.


## დნმ, ცილის სინთეზი

**დნმ-ს აგებულება.** კომპლემენტურობის პრინციპი. **დნმ-ს რეპლიკაცია (გაორმაგება)**

დნმ (დეზოქსი რიბონუკლეინის მჟავა) წარმოადგენს პოლიმერს. პოლიმერი დიდი მოლეკულაა, რომელიც შედგება მცირე ზომის მრავალი მოლეკულის — მონომერისაგან.

დნმ-ს მონომერებია **ნუკლეოტიდები.**

ნუკლეოტიდი შედგება სამი ნაწილისგან: აზოტოვანი ფუძის (1), ნახშირწყლის (დეზოქსი რიბოზის - 2) და ფოსფორმჟავის ნაშთისაგან (3).



დნმ-ს ნუკლეოტიდები ოთხნაირია. ისინი განსხვავდება აზოტოვანი ფუძით, დანარჩენი ნაწილები კი ერთნაირი აქვთ.

აზოტოვანი ფუძეებია: ადენინი (A), გუანინი (G), ციტოზინი (C) და თიმინი (T). შესაბამისად, არსებობს ადენინიანი, გუანინიანი, ციტოზინიანი და თიმინიანი ნუკლეოტიდი.

ნუკლეოტიდები (მონომერები) უერთდება ერთმანეთს და ქმნის დნმ-ს ნუკლეოტიდურ ჯაჭვს.


დნმ შედგება ორი ასეთი ჯაჭვისგან (A და B) და სპირალურად არის დახვეული. ამიტომ დნმ-ს უწოდებენ ხოლმე თრმაგ სპირალს.

დნმ-ს ორი ჯაჭვი ერთმანეთთან დაკავშირებულია. ორი ჯაჭვის ნუკლეოტიდები ერთმანეთს უკავშირდება აზოტოვანი ფუძეებით, მათ შორის ბმა წყალბადურია. ქვედა სურათზე აზოტოვანი ფუძეები აღნიშნულია ლათინური ასოებით.

დნმ-ის ორ ჯაჭვზე არსებული ნუკლეოტიდების შეპირისპირება შემთხვევითი არ არის და მკაცრ პრინციპს ექვემდებარება: ერთ ჯაჭვზე არსებული ადენინიანი ნუკლეოტიდი (A) უპირისპირდება მეორე ჯაჭვის გუანინიან (G) ნუკლეოტიდს, ხოლო ციტოზინიანი ნუკლეოტიდი (C) უკავშირდება გუანინიან ნუკლეოტიდს (G). ა უკავშირება თ-ს ორი წყალბადური ბმით, ხოლო გ უკავშირდება ც-ს სამი წყალბადური ბმით.

დნმ-ში A-ს რაოდენობა ტოლია T-ს რაოდენობის, ხოლო G-ს რაოდენობა ტოლია C-ს რაოდენობის.






ნუკლეოტიდების განლაგების ამ პრინციპს ენოდება აზოტოვანი ფუძეების დაწყვილების ანუ კომპლემენტურობის პრინციპი.

#### **დნმ-ს რეპლიკაცია**

დნმ-ის რეპლიკაციის - გაორმაგების დროს ხდება დნმ-ის ახალი პოლიმერის სინთეზი. დნმ-ის ორი ჯაჭვის დაწყვილებული ნუკლეოტიდების ბმები ენზიმის ზეგავლენით ირღვევა და ორმაგი ჯაჭვი იხსნება. ჯაჭვი იხსნება ერთდროულად რამდენიმე ადგილას. უჯრედში არსებობს თავისუფალი ნუკლეოტიდები. ეს ნუკლეოტიდები დაუწყვილდება და წყალბადური ბმით უკავშირდება გახსნილი დნმ-ის თითოეულ ჯაჭვზე არსებულ ნუკლეოტიდებს. ბმების წარმოქმნაც ენზიმების — **დნმ პოლიმერაზების დახმარებით** ხერხდება. ნუკლეოტიდების დაწყვილება კომპლემენტურობის პრინციპის დაცვით ხდება. სურათზე ჩანს რომ დნმ-ს ჯაჭვის ერთი მონაკვეთი უკვე გახსნილია, აქ იყრის თავს თავისუფალი ნუკლეოტიდები (2) და თითოეულ ჯაჭვზე ხდება ახალი ჯაჭვის აწყობა (2). დნმ-ს პოლიმერის თითოეულ ჯაჭვზე აეწყობა ახალი ჯაჭვი და მიიღება დნმ-ის ორი მოლეკულა.



ახალ მოლეკულებში ერთი ჯაჭვი ძველი, დედისეული დნმ-ისაა, მეორე კი ახალია. რადგან ახალი ჯაჭვი დედისეულ ჯაჭვზე ეწყობა კომპლემენტურობის პრინციპით,

მიღებული მოლეკულები დედისეული მოლეკულის ზუსტი ასლია. ამიტომაც დნმ-ის გაორმაგების პროცესს დნმ-ის რეპლიკაცია – ასლის წარმოქმნა ეწოდება.

ამგვარად დნმ-ის ახალი ჯაჭვები იქმნება დედისეული ჯაჭვების მიხედვით, ანუ ძველი ჯაჭვები გამოყენებულია ნიმუშად ახლის შექმნისათვის. უჯრედში ახალი მოლეკულების შექმნას ნიმუშის მიხედვით ეწოდება **მატრიცული რეაქცია**.

დნმ-ის რეპლიკაციის დროს შესაძლებელია ნუკლეოტიდები შეცდომით შეეწყვილონ ერთმანეთს, მაგ. A-ს მეწყვილედ T-ს ნაცვლად აღმოჩნდეს G. ასეთ შემთხვევაში დნმ პოლიმერაზები მოაცილებენ G-ს და მის ადგილს T დაიკავებს.

### რნმ (რიბონუკლეინის მჟავა)

რნმ ისევე როგორც დნმ, პოლიმერია. ისიც შედგება ნუკლეოტიდებისაგან.

არის განსხვავებაც დნმ-ს და რნმ-ს აგებულებას შორის.

რნმ, დნმ-სგან განსხვავებით, ერთჯაჭვიანია

რნმ-ში T-ს ნაცვლად არის ურაცილიანი (U) ნუკლეოტიდი.

რნმ-ს ნუკლეოტიდებში არსებული ნახშირწყალი რიბოზაა.

რნმ რამდენიმე სახისაა. ბირთვში სინთეზირდება **ინფორმაციული**

**რნმ (ი-რნმ).** რიბოსომებში არის **რიბოსომული რნმ**, ხოლო ციტოპლაზმაში გვხვდება **ტრანსპორტული რნმ (ტ - რნმ)**.

### ცილის სინთეზი

ცილის მოლეკულები პოლიმერია. მათი მონომერებია ამინომჟავები.

სხვადასხვა ცილის პოლიმერები განსხვავდება ამინომჟავების შედგენილობით, რაოდენობით და თანმიმდევრობით.

ცილა რიბოსომებში წარმოიქმნება უჯრედში არსებული ამინომჟავებისაგან. რიბოსომა აკავშირებს ამინომჟავებს ერთმანეთთან და ქმნის ცილის პოლიმერს.

კონკრეტული ცილის მოლეკულის შესახებ ინფორმაციას რიბოსომა დნმ-საგან იღებს. ანუ დნმ-ს აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ამინომჟავები და რა რაოდენობით და თანმიმდევრობით უნდა განლაგდეს ცილის მოლეკულაში.

ეს ინფორმაცია, ანუ **დნმ-ის კოდი**, წარმოდგენილია **ტრიპლეტების** სახით.


ტრიპლეტი არის სამი მეზობელი ნუკლეოტიდის ერთობლიობა. ყოველი ტრიპლეტი შეესაბამება კონკრეტულ ამინომჟავას, ხოლო დნმ-ში ტრიპლეტების თანმიმდევრობა და რაოდენობა განაპირობებს ამინომჟავების თანმიმდევრობას და რაოდენობას ცილის მოლეკულაში.

ტრიპლეტები ერთმანეთისაგან განსხვავდება ნუკლეოტიდური შედგენილობით. უჯრედში ცილას ქმნის 20 სხვადასხვა ამინომჟავა. თითოეულ ამინომჟავას განსაზღვრავს არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა ტრიპლეტი.


ცილის ერთი ცილის მოლეკულის განმაპირობებელი ტრიპლეტების ერთობლიობა წარმოადგენს **გენს**. ამგვარად გენი მოიცავს დნმ-ს ერთ მონაკვეთს და ატარებს ინფორმაციას კონკრეტული ცილის მოლეკულის შესახებ. დნმ-ს ჯაჭვი მრავალი გენით არის წარმოდგენილი.

### ტრანსკრიპცია

დნმ ბირთვშია მოთავსებული, რიბოსომები კი ციტოპლაზმაში. გენში არსებული ინფორმაცია რიბოსომამდე მიაქვს ინფორმაციულ რნმ-ს (ი-რნმ).



გენი გამოიყენება მატრიცად ი-რნმ-ს შესაქმნელად. ი-რნმ იქმნება ბირთვული არსებული თავისუფალი ნუკლეოტიდებისაგან. დნმ-ს გენის ტრიპლეტებში შემავალი ნუკლეოტიდების მიხედვით ამოირჩევა მათი კომპლემენტური რნმ-ს ნუკლეოტიდები, ისინი პოლიმერაზების დახმარებით დაუკავშირდება ერთმანეთს და მიიღება ი-რნმ. ამ პროცესს ტრანსკრიპცია ეწოდება



სურათზე ტრანსკრიპცია დაწყებულია. მის მიმართულებას ისარი გიჩვენებს. შექმნილია ი-რნმ-ს მონაკვეთი რომელიც კომპლემენტურია დნმ-ს მონაკვეთისა.

ტრანსკრიპცია წააგავს დნმ-ს რეპლიკაციას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ტრანსკრიპციაც და რეპლიკაციაც **მატრიცული რეაქციებია**. მატრიცული რეაქციები მიმდინარეობს ნიმუშის მიხედვით, როდესაც ახალი მოლეკულის სინთეზი ხდება უკვე არსებული მოლეკულის - **მატრიცის** მიხედვით. მაგალითად, დნმ-ს რეპლიკაციის დროს ახალი ჯაჭვები იქმნება არსებული ჯაჭვების მიხედვით. ამგვარად დნმ-ს არსებული ჯაჭვი ახლის მატრიცაა.

მატრიცის როლს ი-რნმ-ს სინთეზის დროს ასრულებს დნმ-ს ერთი ჯაჭვი.

ამგვარად დნმ-ს ტრიპლეტები გადაიწერება ი-რნმ-ზე. ამიტომაც ქვია ამ პროცესს ტრანსკრიპცია, რაც ლათინურად გადაწერას ნიშნავს.

ი-რნმ-ს ტრიპლეტებს, რომლებიც შეიქმნება დნმ-ს ტრიპლეტების მატრიცული სინთეზით, კოდონი ეწოდება.

**ტრანსლაცია:** ცილის მოლეკულის სინთეზი რიბოსომებში

უჯრედში ამინომჟავების ერთმანეთთან გადაბმა და ცილის პოლიმერის ფორმირება ხდება რიბოსომებზე.

რიბოსომების ძირითადი ნაწილი განლაგებულია ენდო-პლაზმურ ბადეზე და ცილის მოლეკულის აწყობაც იქ მიმდინარეობს.

**ტრანსლაცია.** ტრანსკრიპციის შემდეგ ი-რნმ ტოვებს ბირთვს და მიღის რიბოსომასთან. რიბოსომა თავსდება ი-რნმ-ზე.

აქვე თავს იყრიან **ტრანსპორტული რნმ-ები (ტ-რნმ)**

ყოველ ტ-რნმ-ს აქვს 3 კოდური ნუკლეოტიდის ერთობლიობა — **ანტიკოდონი (1)**, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ ამინომჟავას.

ტ-რნმ უკავშირდება თავისი ანტიკოდონის შესაბამის ამინომჟავას (2) და მიიტანს მას რიბოსომაში. ამიტომაც ქვია ამ რნმ-ს ტრანსპორტული.



ტ-რნმ მიიტანს ამინომჟავას რიბოსომაში. რიბოსომაში თავს იყრიან სხვადასხვა ტ-რნმ-ები რომლებსაც მოაქვთ საკუთარი ანტიკოდონის შესაბამისი ამინომჟავები.

რიბოსომა თავსდება ი-რნმ-ზე. ტ-რნმ-ები ანტიკოდონით ეხებიან ი-რნმ-ს პირველ კოდონს, რომელზედაც განთავსებულია რიბოსომა.

თუ კოდონი და ანტიკოდონი ერთმანეთის კონპლემენტარული აღმოჩნდა, ტ-რნმ-ს მიერ მოტანილი ამინომჟავა რჩება რიბოსომაში. ტ-რნმ კი ტოვებს რიბოსომას. მის შემდეგ ტ-რნმ-ები ანტიკოდონით ეხებიან ი-რნმ-ს მეორე კოდონს. თუ კოდონი და ანტიკოდონი ერთმანეთის კონპლემენტარული აღმოჩნდა, ტ-რნმ-ს მიერ მოტანილი ამინომჟავა რჩება რიბოსომაში. ტ-რნმ კი ტოვებს რიბოსომას. იგივე განმეორდება ი-რნმს მესამე, მეოთხე და ასე შემდეგ კოდონებთან ტ-რნმ-ების ანტიკოდონებით შეხების შემთხვევაში.

ამ გზით შერჩეული ამინომჟავები რიბოსომაში ერთმანეთს დაუკავშირდება და მიიღება ცილის მოლეკულა.

ანტიკოდონები კოდონის კომპლემენტურია და გენის შესაბამისი ტრიპლეტის ანალოგიური. ერთადერთი განსხვავება ტ-რნმ-ს ანტიკოდონსა და გენის ტრიპლეტს შორის ის არის, რომ დნმ-ს ტრიპლეტებში არის თიმინიანი ნუკლეოტიდი, ხოლო ტ-რნმ-ს ანტიკოდონებში T-ს ნაცვლად არის U — ურაცილიანი ნუკლეოტიდი.

ი-რნმ-ში არის კოდონები, რომლებიც არ შეესაბამება ამინომჟავებს, არამედ მიუთითებს გენეტიკური ინფორმაციის დასაწყისსა (სტარტ-კოდონი) და დამთავრებაზე (სტოპ-კოდონი).

## პიოლოგის ზოგიერთი საკითხის სრულადისმოვა

ხშირად მოსწავლეს და მასწავლებელსაც შეცდომა მოსდის და ალელებს განსაზღვრავს როგორც “გენების წყვილს” ან “წყვილ გენს”, რომლებიც დაწყვილებულია ჰომოლოგიური ქრომოსომების წყვილში.

ალელი გენის ალტერნატიული ვარიანტია, ამავდროულად ალელი შეიძლება არ იყოს გენის მეორე, ალტერნატიულ ვერსიასთან დაწყვილებული. მაგალითად ალელები, რომლებიც სქესთან შეჭიდულ ნიშანთვისებებს განაპირობებენ, შეიძლება ლოკალიზებული იყოს X ქრომოსომაში და ამდენად, მამრობითი სქესის ორგანიზმში არ იყოს დაწყვილებული. გარდა ამისა, ალელები შეიძლება იყოს არა 2, არამედ მეტი. კანის ფერს მაგალითად 2-ზე მეტი ალელი განაპირობებს.

მოსწავლეებს უჭირთ იმის წარმოდგენა, როგორ არის განლაგებული ალელები დნმში. ამ საკითხის გასარკვევად გამოდგება დნმ-ს მოდელირება.

დაამზადეთ ქაღალდის 2 ზონარი. გაუკეთეთ წარნერები ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. შემდეგ მიეცით ზონარებს დნმ-ს ორმაგი ჯაჭვის სახე. პირობითად, ეს იქნება ადამიანის დნმ-ს ერთი მოლეკულის მოდელი.

ამ მოდელზე ადვილად დაანახვებთ მოსწავლეს, რომ ალელები წარმოადგენენ დნმ-ს მოლეკულის მონაკვეთს.


ამ მოდელზე ისიც კარგად ჩანს, რომ დნმ-ს მოლეკულა შეიცავს არა ერთ ალელს, არამედ მრავალს. როდესაც მოსწავლე იწყებს მონოჰიბრიდული შეჯვარების სწავლას, მას შესაძლებელია შეექმნას მცდარი წარმოდგენა, რომ დნმ-ში მხოლოდ ერთი ალელია მოთავსებული. ამიტომ სასურველია, აქ აღნერილი მოდელი მოსწავლემ გააანალიზოს მანამდე, სანამ მენდელის კანონების შესწავლას დაიწყებს.

მოდელი, რომელსაც გთავაზობთ, მოსწავლეს სწორ წარმოდგენას შეუქმნის დნმ-ში მრავალი ალელის არსებობაზე.

ამ კონცეფციის განმტკიცების შემდეგ შესთავაზეთ მოსწავლეებს სავარჯიშო:

გაამზადონ დნმ-ს მოლეკულის 2 მოდელი. მიაწოდეთ ჯგუფებს სხვადასხვა ცოცხალი არსების სურათი: მაგ. ორი განსხვავებული მცენარები უნდა განსხვავდებოდეს ყვავილის ფერით, ფოთლის ზომით და სხვ. სთხოვეთ მოსწავლეებს დაუკვირდნენ განსხვავებებს და დნმ-ს მოდელზე წერილობით დაიტანონ ალელები: თითო მცენარისათვის გამოიყენონ დნმ-ს ერთი მოდელი.

მაგალითად, პირობითად დავუშვათ, რომ ყვავილის ყვითელ ფერს განაპირობებს A ალელი, ხოლო ლურჯ ფერს B, მაღალ ლეროს B, დაბალს b, მაშინ ლურჯი და მაღალი მცენარის ალელები შესაძლებელია იყოს ისეთი, როგორც სურათზეა ნაჩვენები ან AABb, AaBb, AABB.



მოსწავლეებისათვის სახალისო მსგავსი სამუშაოს შესრულება საკუთარი ან თანაკლასების დნმ-ს ალელური შედგენილობის მაგალითზე.

ამ აქტივობების დასრულების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია დასვას შეკითხვა: ადამიანს ძალიან ბევრი ნიშანთვისება აქვს, დაეტევა მათი განმაპირობებელი ალელები დნმ-ს ერთ მოლეკულაზე? შეკითხვა და

დისკუსია მის გარშემო გამიზნულია, რათა მოსწავლემ გააცნობიეროს უჯრედში დნმ-ს მრავალი მოლექულის (ადამიანის შემთხვევაში 46) არსებობის აუცილებლობა.

აქტივობა შეიძლება ჩატარდეს ამგვარად: მოსწავლეებს მიეცით ადამიანის დომინანტური და რეცესიული ნიშანთვისებების სია და სთხოვეთ, დახატონ ამ ნიშანთვისებების გათვალისწინებით პორტრეტი.

როდესაც პროტრეტები შესრულდება, სთხოვეთ განსაზღვრონ შესაძლო გენოტიპები.

მსგავსი აქტივობის ჩატარება შესაძლებელია სხვაგვარადაც: დაურიგეთ მოსწავლეებს ადამიანების მხატვრული პროტრეტები ან ფოტო და სთხოვეთ, განსაზღვრონ გენოტიპები.

#### მაგალითად:


კარატეს ცნობილ ოსტატს, პრიუს ლის, ქონდა მუქი თვალი და თვალის ვიწრო ჭრილი. ორივე ნიშანი დომინანტურია. თუ პირობითად თვალის ფერს აღვნიშნათ ლათინური ა (A) ასოთი, თვალის ჭრილს კი ბ (B) ასოთი, მაშინ ამ ადამიანის გენოტიპი შესაძლებელია იყოს:

AABB, AaBB, AABb, AaBb.

თუ დავამატებთ თმის ფერსაც (პირობითად C/C), მაშინ ალელური კომბინაციები კიდევ უფრო მეტი იქნება:

AABBCC, AABBCc, AABbCC, AABbCc, AaBBCC,  
AaBBCc, AaBbCc, AaBbCC

კიდევ ერთი აქტივობა: მოსწავლეები დაყავით ჯგუფებად. მიეცით გამზადებული, ცხრილი (ან დახატეთ ის დაფაზე და სთხოვეთ, გადაიხატონ რვეულებში) და სთხოვეთ, შეავსონ ჯგუფის ყველა წევრის მონაცემების მიხედვით.



№	თანაკლასელის სახელი	მისი გენოტიპი	სავარაუდო ალელური წყვილი
1	გია	შავი ფერის თმა, კენიანი ცხვირი	AABB, AaBB, AABb, AaBb
2	ქეთი	ლია ფერის თმა, სწორი ცხვირი	aabb
3			


#### ანაპოლიზმი და კატაპოლიზმი

უჯრედში მიმდინარე ქიმიური რეაქციები ორი ძირითადი სახისაა: ანაპოლიზმი და კატაპოლიზმი.

ანაპოლიზმის რეაქციებისათვის დამახასიათებელია შედარებით მცირე ზომის მოლეკულებისაგან დიდი ზომის მოლეკულების აგება. კერძოდ, მონომერებისაგან პოლიმერების აგება. მაგალითად, ამინომჟავებისაგან ცილის მოლეკულის აგება.

კატაპოლიზმის რეაქციებისათვის კი დამახასიათებელია დიდი ზომის მოლეკულების დაშლა შედარებით მცირე ზომის მოლეკულებად. მაგალითად, გლიკოგენის და სახმებლის დაშლა გლუკოზად, გლუკოზის დაშლა ნახშირორჟანგად და წყლად, ცილების დაშლა ამინომჟავებად და სხვ.

ანაბოლიზმი მიმდინარეობს ენერგიის შთანთქმით, ხოლო კატაბოლიზმი ენერგიის გამოყოფით.



ატფ- ფოსფორმჟავის ნაშთები

### ატფ

უჯრედისათვის ენერგიის წყაროს წარმოადგენს ატფ. მისი მოლეკულა შედგება აზოტოვანი ფუქს ადენინისაგან, ნახშირნყლის და ფოსფორმჟავის ნაშთის 3 ჯგუფისაგან. ამიტომაც ქვია ატფ-ს ადენოზინ ტრიფოსფორმჟავა. ეს ჯგუფები ერთმანეთს უკავშირდება ენერგიით მდიდარი კოვალენტური ბმით..

როდესაც ბმა წყდება და ერთი ფოსფორმჟავის ნაშთი მოსცილდება ატფ-ს, ის გარდაიქმნება ადენოზინ დიფოსფორმჟავად (ადფ).

ბმის გაწყვეტას თან ახლავს ენერგიის გამოყოფა. უჯრედი ამ ენერგიას იყენებს სასიცოცხლოდ.

უჯრედს მუდმივად სჭირდება ენერგია, ამიტომ მას ყოველთვის უნდა ქონდეს ატფ-ს გარკვეული მარაგი. ამისათვის აუცილებელია ატფ-ს ალდგენა ადფ-დან. ატფ-ს ალსადგენად ადფ-ს უნდა მიუერთდეს ფოსფორმჟავის მოლეკულა.

$$\text{ადფ} + \text{ფ} = \text{ატფ}$$

ატფ-ს ალსადგენად, საჭიროა ენერგია.

ამ ენერგიას უჯრედი იღებს გლიკოლიზის და ქემიოსმოსის პროცესში.

გლიკოლიზი და ქემიოსმოსი ახასიათებს როგორც ცხოველურ, ასევე მცენარეულ უჯრედს და ერთუჯრედიან ორგანიზმებს.

### გლიკოლიზი.

უჯრედის ენერგიის ძირითადი წყაროა ნახშირნყლები. უჯრედში, ციტოპლაზმაში, გლუკოზა იშლება პიროფირდნის მუავად. ამ დროს წარმოიქმნება გარკვეული რაოდენობით ენერგია, რომელიც ალადგენს 2 მოლეკულა ატფ-ს. ამ პროცესს გლიკოლიზი ეწოდება. პიროფირდნის მუავა მიტოქონდრიაში გადაინაცვლებს და განიცდის გარდაქმნებს რათა დაგროვდეს ენერგია 36 მოლეკულა ატფ-ს სინთეზისათვის. მიტოქონდრიებში მიმდინარე პროცესს ჯანგბადი ესაჭიროება.

თუ უანგბადი რაღაც მიზეზის გამო არ მიეწოდა უჯრედს, გლიკოლიზი უნდა გაგრძელდეს, რათა უჯრედმა ამ გზით მაინც გააგრძელოს ატფ-ს სინთეზი. გლიკოლიზის პროცესის გაგრძელების ანუ ფერმენტაციის შედეგად პიროფირდნის მუავა გარდაიქმნება რძის მუავად.

ფერმენტაცია ჩვეულებრივი მოვლენაა ზოგიერთი ბაქტერიისათვის და არ არის გამოწვეული უანგბადის ნაკლებობით. ეს ბაქტერიები არ საჭიროებენ უანგბადს — ანაერობები არიან. მათ აკმაყოფილებს ფერმენტაციის შედეგად მიღებული ატფ. ბაქტერიებში რძემუავური ფერმენტაციის პროცესის შედეგია რძის მაწვნად ქცევა, სხვადასხვა სახის ყველის წარმოება და სხვ.

ფერმენტაციის მეორე ვარიანტია ალკოჰოლური ფერმენტაცია. ამ დროს მიიღება არა რძის მუავა, არამედ ალკოჰოლი. ალკოჰოლური ფერმენტაცია ახასიათებს მაგალითად ზოგიერთ სოკოს. მათგან ზოგიერთი იკვებება ყურძნის წვენში არსებული გლუკოზით. როდესაც ყურძნის წვენი იწურება, ეს სოკო იწყებს გლუკოზის ალკოჰოლურ ფერმენტაციას, რის გამოც ყურძნის წვენი ღვინოდ გადაიქცევა.

ქუმიოსმოსი

მცენარეულ უჯრედში ქემიოსმოსი  
თილაკოიდების მემბრანაში და მიტოქონდრიების  
მემბრანაზე - კრისტებზე. ცხოველურ უჯრედს  
ქლოროპლასტები არ აქვს. ცხოველურ  
უჯრედში ქემიოსმოსი მიმდინარეობს მხოლოდ  
მიტოქონდრიების კრისტებზე. პროკა-  
რიოტებს (მაგ. ბაქტერიებს) მიტოქონდრიები  
არ აქვთ. კრისტების დანიშნულებას ასრულებს  
პლაზმური მემბრანის გამონაზარდები. პრო-  
ტისტებს (ერთუჯრედიან ეუკარიოტებს) აქვთ  
მიტოქონდრიები. ზოგიერთ მათგანს აქვს  
ქლოროპლასტებიც (მაგ. ევგლენას).

ქლოროპლასტის და მიტოქონდრიის  
მემბრანაში ჩაშენებულია ცილოვანი ფერმენტის  
—ატფ-სინთაზას მოლეკულა.

უჯრედში ინტენსიურად წარმოიქმნება წყალბადის იონები  $H^+$ . ისინი გროვდება მემბრანის ერთ მხარეს. ამგვარად იქმნება წყალბადის იონების კონცენტრაციული გრადიენტი და დაიწყება  $H^+$  დიფუზია მემბრანის მხარეს. ატფ-სინთაზის მოლეკულა გამოიყენება  $H^+$  —ს დიფუზიისათვის.  $H^+$  —ს დიფუზიას თან ახლავს ენერგიის გამოყოფა. ეს ენერგია გამოიყენება ატფ-ს აღსაღენად: ადფ-თან ფოსფორმჟავის ნაშთის მისაერთებლად

ამგვარად, მცენარეული და ცხოველური უჯრედი ატფ-ს აღსადგენ ენერგიას მოიპოვებენ ქემიკასმოსის გზით.

ქემიოსმოსი წარიმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქლოროპლასტის და მიტოქონდრიის მებრანაზე დაგროვდა  $H^+$ . მაგრამ  $H^+$  არ არის უჯრედში მარაგის სახით. უჯრედმა უნდა წარმოქმნას წყალბადის იონი.

საკითხავია, რა გზით წარმოქმნის უჯრედი  $H^+$  —ს?

როგორ წამოიქმნება წყალბადის იონი მიზოქონდრიუმში?

გლიკოლიზის შედეგად ნარმოქმნილი პიროყურძნის მჟავა შედის მიტოქონდრიაში. მიტოქონდრიაში პიროყურძნის მჟავა განიცდის ოთულ გარდაქმნებს, რომელთა საბოლოო პროდუქტია ნახშირორუანგი  $\text{CH}_2$  და წყალბადის ატომი  $\text{H}$ . წყალბადის ატომი გასცემს ელექტრონს და გადაიცევა წყალბადის იონად.  $\text{H}^+$  დაგროვდება მიტოქონდრიის კრისტებზე, ატფ-სინთაზას სიახლოვეს ქემიოსმოსისათვის.

ყველა ზემოთ აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს ენზიმების მონაწილეობით.


ამგვარად, მიტოქონდრიებში წყალბადის იონი წარმოიქმნება ორგანული ნივთიერების — პიროვნულძნის მჟავის გარდა, მიზანი არ არის.

გლიკოლიზის და მიტოქონდრიებში მიმდინარე პროცესების შემაჯამებელი ფორმულაა:



ნახშირორუანგი ორგანიზმიდან გარემოში გაითქვნება.

აღწერილი პროცესი მიმდინარეობს მცენარეული და ცხოველური უჯრედების ციტოპლაზმასა და მიტოქონდრიებში და ამ თვალსაზრისით მცენარეული და ცხოველური ორგანიზმები ერთმანთის მსგავსია.



მაგრამ, როგორც ითქვა, მცენარეულ უჯრედში ქემიოსმოსი მიმდინარებს ქლოროპლასტებშიც. მცენარეს შეუძლია წარმოქმნას წყალბადის იონი ქლოროპლასტებშიც და ამისათვის გამოიყენოს არაორგანული ნივთიერება წყალი და მზის ენერგია.

### როგორ წარმოიქმნება წყალბადის იონი ქლოროპლასტებში.

მცენარეულ უჯრედში ქლოროპლასტების თილაკოიდებში მოთავსებულია ქლოროფილის მოლეკულები.

ეს მოლეკულები ქმნის 2 ჯგუფს, რომლებსაც ენოდება ფოტოსისტემა I და ფოტოსისტემა II. ფოტოსისტემა იმიტომ ენოდება, რომ მოლეკულები მგრძნობიარეა მზის სხივის ენერგიის მიმართ.

ქლოროფილის მოლეკულები ქმნიან ორ დაჯგუფებას: ფოტოსისტემა I-ს და ფოტოსისტემა II-ს. ეს მოლეკულები, როგორც ნებისმიერი სხვა მოლეკულა, შეიცავენ ელექტრონების გარკვეულ, მათთვის ჩვეულ რაოდენობას.

როდესაც ფოთლები მზეს მიეფიცხება, ფოტოსისტემების ელექტრონები აიგზნება მზის ენერგიის ზეგავლენით და დატოვებს ფოტოსისტემა I-ს. ფოტოსისტემა II-ის ელექტრონებიც აიგზნება მზის ენერგიის ზეგავლენით, ტოვებენ ფოტოსისტემას და გადადიან ფოტოსისტემა I-ში. ამგვარად ფოტოსისტემა I აღიდგენს ელექტრონების ჩვეულ რაოდენობას.

მაგრამ ფოტოსისტემა II რჩება ელექტრონის გარეშე. გაცემული ელექტრონის ჩანაცვლება ახალი ელექტრონით ხდება წყლის ხარჯზე. უჯრედი შლის წყალს:  $2H_2O = 4H^+ + 4e^- + O_2$

ამ დროს გამოყოფილი ელექტრონს მიიტაცებს ფოტოსისტემა II და აღიდგენს ელექტრონების ჩვეულ რაოდენობას. უანგბადი მცენარიდან გარემოში გამოიყოფა.

აღნერილი პროცესის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ წყლის დაშლისას წარმოიქმნება წყალბადის იონები  $O_2^+$ , რომლებიც გროვდება თილაკოიდის მემბრანაზე.

ამგვარად, მცენარეული და ცხოველური უჯრედი ქემიოსმოსისათვის საჭირო წყალბადს წარმოქმნიან მიტოქონდრიებში ორგანული ნივთიერებებიდან. მაგრამ მცენარეულ უჯრედში, ცხოველური უჯრედისგან განსხვავებით, ქემიოსმოსის პროცესი მიმდინარეობს ქლოროპლასტებშიც.

ქლოროპლასტებში მცენარეული უჯრედი მოიპოვებს ქემიოსმოსისათვის საჭირო წყალბადის იონს არაორგანული ნივთიერებიდან — წყლიდან არაორგანული ენერგიის — მზის ენერგიის გამოყენებით. მზის ენერგია საჭიროა პროცესის დაწყებისათვის, კერძოდ ფოტოსისტემის ელექტრონების აგზნებისათვის.

### ელექტრონების გადამტანი ჯაჭვი:

უჯრედში წარმოქმნილი წყალბადის იონები უნდა ტრანსპორტირდეს მემბრანის იმ ადგილას, სადაც ჩაშენებულია ატფ-სინთაზა. ამისათვის საჭიროა ენერგია. საიდან იღებს უჯრედი ამ ენერგიას?

როგორც უკვე ითქვა, მზის ენერგიის ზეგავლენით ქლოროფილში, ფოტოსისტემა 1 გასცემს ელექტრონებს. ელექტრონებს გასცემს წყალბადის ატომიც მიტოქონდრიებში, როდესაც ის იონად გადაიქცევა.

თილაკოიდის მემბრანებში და კრისტებში მოთავსებულია ელექტრონების გადამტანი ჯაჭვი. ეს არის ერთმანეთის მეზობლად განლაგებული მოლეკულების ჯაჭვი. ერთი მოლეკულა მიიერთებს ელექტრონებს და გადასცემს მათ მეზობელ მოლეკულას. ამ

პროცესში ელექტრონები თანდათანობით გასცემენ ენერგიას. ეს ენერგია გამოიყენება წყალბადის იონების გადაადგილებისა და დაგროვებისათვის ატფ-სინთაზას სიახლოვეს.

რა გარდაქმნას განიცდის წყალბადის იონი მას შემდეგ, რაც გაივლის ატფ-სინთაზას მოლეკულას?

როგორც ითქვა, ატფ-სინთაზას მოლეკულაში გასვლისას, წყალბადის იონი გამოყოფს ენერგიას, რომელიც ხმარდება ატფ-ს სინთეზს. რა ემართება ამის შემდეგ წყალბადის იონს? მიტოქონდრობებში და ქლოროპლასტებში ეს პროცესიც განსხვავებულია.

#### პროცესი მიტოქონდრიებში:

ცოცხალი ორგანიზმები სუნთქვის ორგანოებით შეითვისებენ საცხოვრებელ გარემოში არსებულ ჟანგბადს. სუნთქვის ორგანოებიდან ჟანგბადი მიეწოდება უჯრედებს.

უჯრედში შესვლისას ჟანგბადი ტრანსპორტირდება მიტოქონდრიებში, შეიერთებს წყალბადის მიერ გაცემულ ელექტრონებს (რომლებიც ელექტრონების გადამტან ჯაჭვზე მოძრაობენ) და გადაიქცევა ჟანგბადის იონად. როდესაც წყალბადის იონი გაივლის ატფ-სინთაზას, ის შეუერთდება ჟანგბადის იონს და წარმოიქმნება წყალი. ჟანგბადთან ელექტრონების მიერთება ათავისუფლებს ელექტრონების გადამტან ჯაჭვს ელექტრონებისაგან. ამგვარად, ჯაჭვი თავისუფლდება წყალბადის ატომიდან ახალი ელექტრონების მისაღებად, რაც წყალბადის იონების წარმოქმნის (და შესაბამისად ქემიოსმოსის) პროცესის უწყვეტობას უწყობს ხელს.


#### პროცესი ქლოროპლასტებში:

მცენარეები ბაგეებით შეითვისებენ გარემოში არსებულ ნახშირორჟანგს. ნახშირორჟანგი მიეწოდება უჯრედებს, შედის ქლოროპლასტებში და მიიერთებს ატფ-სინთაზას მოლეკულაში გასულ წყალბადის იონს. რეაქციის შედეგად წარმოიქმნება გლუკოზა. ამ პროცესს ხმარდება ქლოროპლასტებში წარმოქმნილი ატფ-ს ენერგია.

#### ფოტოსინთეზი.

ფოტოსინთეზი არის იმ რეაქციების საერთო სახელწოდება, რომლებიც ქლოროპლასტებში მიმდინარეობს. სხვა სიტყვებით, ფოტოსინთეზი არის ქლოროპლასტებში მზის ენერგიის ხარჯზე ატფ-ს და გლუკოზის წარმოქმნის პროცესების ერთობლიობა. ფოტოსინთეზის პროცესში წარმოიქმნება აგრეთვე ჟანგბადი, რომელიც გარემოში გამოიყოფა.

ამიტომ ფოტოსინთეზის ჯამური ფორმულა ასე გამოიყერება:



ქემისოსმოსისათვის, როგორც იცით, აუცილებელია სინათლის ენერგია, ხოლო გლუკოზის წარმოქმნას ხმარდება ატფ-ს ენერგია. ამიტომ პირობითად, მზის ენერგიის გამოყენებით მიმდინარე რეაქციებს უწყოდებენ სინათლეზე დამოკიდებულს, ხოლო გლუკოზის წარმოქმნის რეაქციებს — სინათლისგან დამოკიდებულს.

აქედან გასაგები ხდება, რომ ფოტოსინთეზის სინათლეზე დამოკიდებული რეაქციები მიმდინარეობს დღისით, ხოლო გლუკოზის წარმოქმნა შესაძლებელია დღისითაც და ლამითაც. განსაკუთრებით ინტენსიურია ეს პროცესი ლამით.

#### ავტოფროფული და ჰეტეროფროფული კვების ტიპი.

ფოტოსინთეზი აძლევს მცენარეს საშუალებას გამოიყენოს მზის ენერგია ატფ-ს შესაქმნელად. ამგვარად, მცენარე ავტოფროფია: მას შეუძლია არაორგანული ენერგიის გამოყენება.

ცხოველები ენერგიის მისაღებად გარემოდან შეითვისებენ ორგანულ ნივთიერებს. უჯრედში გლუკოზის, ცხიმების, ზოგიერთ შემთხვევაში ცილების დაშლა იძლევა

ენერგიას ატფ-ს სინთეზისათვის. ამგვარად, ცხოველები ჰეტეროტროფები არიან — ისინი ენერგიას ორგანული ნივთიერებისაგან იღებენ. როგორც იცით, მცენარეებსაც შეუძლია ენერგიის მოპოვება ავტოტროფული გზით, რადგან მასაც, ისევე როგორც ცხოველურ უჯრედს, აქვს მიტოქონდრიები.

მაგრამ მცენარეები ფოტოსინთეზის დროს არა მარტო იყენებენ მზის ენერგიას, არამედ თავად ქმნიან საკვებს — სახამებელს. სახამებელი გლუკოზის მონომერებისაგან შემდგარი ორგანული პოლიმერია. ამგვარად, ის წარმოადგენს ენერგიით მდიდარ ორგანულ საკვებს. ჰეტეროტროფებს არ შეუძლიათ საკვების თავად შექმნა. ამიტომ ბალახისმჭამელები ჭამენ მცენარეებს და მათგან იღებენ ენერგიით მდიდარ ორგანულ ნაერთებს. ხორცისმჭამელები ნადირობენ ბალახისმჭამელებზე და იყენებენ მსხვერპლის ორგანიზმში არსებულ ორგანულ ნივთიერებებს.

### ქემოსინთეზი

არსებობენ ისეთი ავტოტროფული ორგანიზმები, რომლებიც ენერგიას იღებენ არა მზისგან, არამედ არაორგანული ნივთიერებების დაუანგვის შედეგად. მაგალითად, წყალსატევებში მცხოვრები გოგირდბაქტერიები გოგირნყალბადს ( $H_2S$ ) ჟანგავენ, ნიტრიფიკაციის ბაქტერიები კი ჟანგავენ ამიაკს ( $NH_3$ ) ნიადაგში და წყალსატევებში. ამ რეაქციების კრებითი სახელია ქემოსინთეზი.

### ანაბოლიზმი

უჯრედს სიცოცხლისათვის ესაჭიროება ორგანული პოლიმერები: ცილები, ცხიმები, ნახშირნყლები, ნუკლეინის მჟავები. მათ ასაგებად საჭირო მონომერების ნაწილი თავად უჯრედში წარმოქმნება, ნაწილი კი გარემოდან შეითვისება. მაგალითად, არსებობს ეგრეთოდებული შეუცვლელი ამინომჟავები, რომლებსაც ადამიანის ორგანიზმი ვერ წარმოქმნის და საკვებთან ერთად უნდა მიიღოს.

ანაბოლიზმის მაგალითად ფოტისინთეზის პროცესში გლუკოზის და შემდეგში გლუკოზის მონომერებიდან სახამებლის პოლიმერის წარმოქმნა. ანაბოლიზმის შედეგად ცხოველური უჯრედები გლუკოზისაგან წარმოქმნიან ცხოველურ ნახშირნყალს — პოლიმერ გლიკოგენს. ამინომჟავებისაგან ხდება ცილის წარმოქმნა, ნუკლეოტიდებისაგან იგება დნმ-ს და რნმ-ს პოლიმერები.

ანაბოლიზმის პროცესში წარმოქმნილი პოლიმერებიდან ზოგიერთი მსგავსია სხვადასხვა სახეობის ცოცხალ ორგანიზმებში. მაგალითად, მცენარეების მიერ წარმოქმნილი სახამებელი ერთნაირია სხვადასხვა სახეობის მცენარეში. სხვანაირად არის საქმე ცილების ანაბოლიზმის შემთხვევაში. ცილის პოლიმერი იქნება 20 სხვადასხვა სახის ამინომჟავისაგან. ეს ამინომჟავები მრავალჯერა განმეორებული პოლიმერში. ცილის პოლიმერები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რამდენი ამინომჟავა და რა თანმიმდევრობითაა დაკავშირებული ჰეპტიდური ბმით პოლიმერში.

ცილის სინთეზი ხორციელდება რიბოსომა პეპტიდური ბმით აკავშირებს უჯრედში არსებულ ამინომჟავებს და ქმნის ცილის პოლიმერს. რადგან ცილები განსხვავდება ამინომჟავების რაოდენობით და პოლიმერში განლაგების თანმიმდევრობით, რიბოსომამ ყოველი კონკრეტული ცილის სინთეზის დროს უნდა შეარჩიოს ზუსტად იმდენი ამინომჟავა, რამდენიც ამ პოლიმერს ახასიათებს და ერთმანეთთან დაკავშიროს ისინი იმ თანმიმდევრობით, რომელიც ამ პოლიმერს გამოარჩევს სხვა ცილებისაგან.

რობოსომა ამ საქმეში ხელმძღვანელობს ინფორმაციით, რომელიც გენების სახით არის წარმოდგენილი დნმ-ში. ეს არის ინფორმაცია ცილის მოლეკულაში ამინომჟავების

რაოდენობის და თანმიმდევრულად განლაგების შესახებ. როგორც იცი, ეს მაჩვენებლები სხვადასხვა ცილას თავისებური აქვს. ამიტომ ცილის ყოველი კონკრეტული მოლექულის შესახებ ინფორმაცია შესაბამის გენშია ჩაწერილი.

მაგალითად, თითქმის ყველა ცოცხალ ორგანიზმს უჯრედებში აქვს ენზიმი კატალაზა, რომელიც შლის ნახშირწყალ სუკროზას. ენზიმები ცილებია და კატალაზას სინთეზი უჯრედში გარკვეული გენის ინფორმაციის მიხედვით ხდება. ამ გენში არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი ამინომჟავა უნდა შეარჩიოს რობოსომამ და როგორი თანმიმდევრობით უნდა დააკავშიროს ისინი პეპტიდური ბმით, რათა სინთეზირდეს კატალაზა და არა სხვა ცილის მოლექულა.

ცოცხალ ორგანიზმებს ბევრი მსგავსი ცილა აქვს. კატალაზა ამის კარგი მაგალითია. მაშასადამე, მათ ბევრი მსგავსი გენი აქვთ. ეს ადასტურებს ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობის ერთიანობას. ამავდროულად, თითოეულ ცოცხალ ინფორმაციის აქვს მხოლოდ მისი სახეობისათვის დამახასიათებელი გენები. მაგალითად, ადამიანებს ბევრი გენი საერთო აქვთ სხვა ძუძუმწოვრებთან, მაგრამ აქვთ აგრეთვე მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი გენებიც. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცილები. უჯრედში ამინომჟავებისაგან იქმნება ორიგინალური ცილის პოლიმერი, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ორგანიზმისათვის.

მაგალითად, ცხოველებისაგან ადამიანების ერთერთი მთავარი განმასხვავებელი თავის ტვინის მაღალგანვითარებულობაა. ცნობილია, რომ ჩანასახის განვითარების პერიოდში მოქმედებას ინყებენ ის გენები, და შესაბამისად, სინთეზირდება ის ცილები, რომელებიც მხოლოდ ადამიანს აქვს და რომლებიც პასუხიმგებელია თავის ტვინში ადამიანისათვის დამახასიათებელი მეტყველების ცენტრების ჩამოყალიბებაზე.

## აქტივობა: დნმ-ს გამოყოფა სახვის პოლქვიდან

მოსწავლეები სწავლობენ დნმ-ს, მაგრამ ამ მოლექულის შესახებ წარმოდგენას იქმნიან მხოლოდ წიგნში მოცემული სურათებიდან. კარგია, თუ მისცემთ მოსწავლეებს საშუალებას, საკუთარი ძალებით გამოყონ დნმ ხახვის ბოლქვიდან და დაინახონ ის.

აქტივობის ჩატარებისას მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა მიზნით კეთდება ცდის ესა თუ ის პროცედურა.

ამიტომ აქტივობას წარმოგიდგენთ ცხრილის სახით.

პროცედურა	პროცედურის დანიშნულება
ხახვის ბოლქვს დავჭრით და ვატარებთ ბლენდერში (ან ხორცის საკებ მანქანაში) ან დავნაყავთ სანაყში	დნმ მოთავსებულია უჯრედში, დანაყვა (ბლენდერში გატარება) საჭიროა, რომ დაინგრეს ქსოვილი, უჯრედის გარსები და იქიდან ადვილად გამოიდევნოს შიგთავსი (დნმ-ს ჩათვლით)
მიღებული მასა გადაგვაქვს ქიმიურ ჭიქაში, ოდნავ ვფარავთ ონკანის წყლით და ვაყრით ერთ სუფრის კოვზ მარილს. მოვურევთ რომ მარილი გაიხსნას.	მარილი ხელს შეუწყობს უჯრედის შიგთავსის გამოიდევნას უჯრედებიდან

მიღებულ მასას გადაგწურავთ მარლაში. ჩენჩო აღარ გვჭირდება. მარლაში გასული სითხე გადაგვაქვს სუფთა ქიმიურ ჭიქაში და ვამატებთ ერთ ჩაის კოვზ ჭურჭლის სარეცხ სითხეს, მაგალითად “ფეირის”. ძალიან ფრთხილად მოვურევთ, რომ არ აქაფდეს.	ჭურჭლის სარეცხი სითხე გახსნის ცხომებს, რომლებიც ხელს შეუძლის დნმ-ს გამოყოფას
მიღებული მასა გაიწურება მარლაში. ნაწური გადაგვაქვს სინჯარაში. სინჯარა ნახევრამდე უნდა გაივსოს. სინჯარის შიგთავსს ზემოდან ფრთხილად ვასხამთ სამედიცინო სპირტს სინჯარის გავსებამდე.	სპირტი დნმ-ს მოლეკულებს ამოატივტივებს სითხის ზედაპირზე.

თუ ყველაფერი კარგად გაკეთდა, რამდენიმე წამში დაინახავთ დნმ-ს მოლეკულებს თეთრი ნაფიფქის სახით, რომლებიც სპირტის ზედაპირზე დაგროვდება. შეგიძლიათ აიღოთ ნაფიფქი ასანთის ლერით და ლუპის ქვეშ დაათვალიერებინოთ მოსწავლეებს.

მიაქციეთ ყურადღება: ნაფიფქი არ არის დნმ-ს ერთი მოლეკულა. ის შეიცავს დიდი რაოდენობით დნმ-ს მოლეკულებს (რამდენის გამოყოფაც მოხერხდა ხახვის მთელი ბოლქვის უჯრედებიდან). ნაფიფქში აუცილებლად იქნება ცილებიც, რომლებიც დნმ-ს მოლეკულებთან არის დაკავშირებული.

## ძირითადი ტერმინების ლექსიკონი

**ალელი** — გარკვეული ნიშანთვისების განმაპირობებელი გენის ვერსია. ალელი განაპირობებს ამ ნიშანთვისების ერთერთ ვარიანტს. მაგალითად, თმის ფერის განპირობებული გენი არსებობს ღია თმის და მუქი თმის განმაპირობებელი ალელების სახით.

**ანტიკოდონი** — ტრანსპორტული რნმ-ს ტრიპლეტი, რომელიც ატარებს ინფორმაციას ამინომჟავის შესახებ

**ანაფაზა** — უჯრედის გაყოფის ფაზა, როდესაც ქრომოსომები (ქრომატიდები) ერთმანეთს ცილდება და პოლუსებისკენ მიემართება

**არასრული მეტამორფოზი** — მეტამორფოზის ფორმა, როდესაც კვერცხიდან გამოჩეკილი ორგანიზმი ძირითადად გავს ზრდასრულ ფორმას (მშობელს) და მცირე გარდაქმნების შემდეგ (მაგ. ფრთების განვითარება, სხეულის საფარველის ცვლა) ყალიბდება ზრდასრულ ფორმად

**გამეტა** — მეოზის შედეგად წარმოქმნილი სასქესო უჯრედი

**განაყოფირება** — კვერცხუჯრედის და სპერმატოზოდის (მათი ბირთვების) შერწყმა

**გენი** — დნმ-ს მონაკვეთი, რომელიც განაპირობებს გარკვეული ნიშანთვისების ჩამოყალიბებას

**გენოტიპი** — ორგანიზმის გენების ერთობლიობა

**დნმ (დეზ ოქსი რიბონუკლეინის მჟავა)** — უჯრედის ორგანული ნივთიერება, რომელიც ატარებს გენეტიკურ ინფორმაციას. ეუკარიოტებში მოტავსებულია ბირთვში, პროკარიოტებში - ციტოპლაზმაში

**დომინანტური ალელი (გენი)** — ალელი, რომელიც განაპირობებს დომინანტურ (ძლიერ) ნიშანთვისებას. ეს ალელი მჟღავნდება ფენოტიპურად მიუხედავად იმისა, მისი მეწყვილე ალელი რეცესიულია თუ დომინანტური

**ემბრიონი** — განაყოფირების შედეგად ზიგოტიდან განვითარებული ჩანასახი

**ზიგოტა** — განაყოფირებული კვერცხუჯრედი

**ინტერფაზა** — უჯრედის გაყოფის ნინა ფაზა. ამ დროს უჯრედი ასრულებს თავის ფუნქციებს. ინტერფაზის ბოლოს იწყება უჯრედის მომზადება მიტოზისათვის: დნმ-ს გაორმაგება, უჯრედის ორგანოდების გაორმაგება.

**ი-რნმ (ინფორმაციული რნმ)** — რიბონუკლეინის მჟავა, წარმოქმნება ტრანსკრიპციის შედეგად და გადააქვს ინფორმაცია გენიდან ციტოპლაზმაში, რობოსომებთან.

**კოდონი** — ინფორმაციული რნმ-ს ტრიპლეტი, რომელიც ატარებს ინფორმაციას ამინომჟავის შესახებ

**კვერცხუჯრედი** — მდედრობითი სასქესო უჯრედი (გამეტა)

**მეტამორფოზი** — ცოცხალი ორგანიზმის განვითარების ტიპი, როდესაც კვერცხიდან გამოჩეკილი ორგანიზმი თავიდანვე არ გავს მშობელს, განიცდის გარკვეულ გარდაქმნებს და ემსგავსება ზრდასრულ ფორმას (მშობელს).

**მეოზი** — სასქესო უჯრედის გაყოფის ფორმა, როდესაც დედისეული უჯრედი დასაბამს აძლევს ოთხ შვილეულ უჯრედს — გამეტებს. გამეტებში არის ქრომოსომების ჰაპლოიდური კომპექტი.

**მეტაფაზა** — უჯრედის გაყოსი ფაზა, როდესაც ქრომოსომები დაკავშირებულია გაყოფის თითისტარას ძაფებთან და განლაგებულია უჯრედის ცენტრში.

**მიტოზი** — უჯრედის გაყოფის ფორმა, როდესაც დედისეული უჯრედი დასაბამს აძლევს ორ შვილეულ უჯრედს. უშვილეულ უჯრედებში შენარჩუნებულია ქრომოსომების იგვე დიპლოიდური რაოდენობა, რაც დედისეულ უჯრედში.

**პენეტის ცხრილი** — ცხრილი რომელიც გამოიყენება ინდივიდების შეჯვარების შედეგის საანგარიშოდ. ცნობილია ავტორის — რეჯინალდ პენეტის გვარით.

**პროფაზა** — უჯრედის გაყოფის ფაზა, როდესაც ბირთვი იხსნება და ქრომოსომები

ციტოპლაზმაში გამოდიან. ამ დროსვე წარმოქმნება გაყოფის თითისტარას ძაფები, რომლებიც ქრომოსომებს უკავშირდება

**რეცესიული ალელი (გენი)** — ალელი, რომელიც განაპირობებს რეცესიულ (სუსტ) ნიშანთვისებას. შემთხვევათ ერთ ნაწილში რეცესიული ალელი მუდავნდება ფენოტიპურად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მეწყვილე ალელიც რეცესიულია

**რიბოსომა** — უჯრედის ორგანოიდი, მონაწილეობს ცილის სინთეზში. ძირითადი მასა მოთავსებულია მარცვლოვან ენდოპლაზმურ ბადეზე, არის ქლოეოპლასტებში და მიტოქონდრიებშიც.

**სრული მეტამორფოზი** — მეტამორფოზის ფორმა, როდესაც ორგანიზმი გამრავლების დროს გაივლის კვერცხის, მუხლუხოს, ჭუპრის და ზრდასრული ფორმის სტადიებს

**სპერმატოზოდი** — მამრობითი სასქესო უჯრედი (გამეტა)

**ტელოფაზა** — უჯრედის გაყოფის ფაზა, როდესაც წარმოქმნება ორი, ახალი შვილეული უჯრედების ბირთვი

**ტრანსკრიპცია** — ინფორმაციული რნმ-ს შექმნა გენის ინფორმაციის მიხედვით

**ტრანსლაცია** — რიბოსომაში ამინომჟავების შერჩევა და ერთმანეთთან დაკავშირება ინფორმაციული რნმ-ს ინფორმაციის მიხედვით

**ტრანსპორტული რნმ (ტ-რნმ)** რიბონუკლეინის მჟავა, რომელსაც გადააქვს ამინომჟავები ცილის სინთეზში ადგილში

**უჯრედის ციკლი** — უჯრედის სიცოცხლის ციკლი, შედგება ინტერფაზის, მიტოსის და ციტოკინეზისგან.

**ფენოტიპი** — ორგანიზმის ნიშანთვისებების ერთობლიობა

**ქრომოსომა** — წარმონაქმნი უჯრედში, რომელიც შეიცავს დნმ-ს მოლეკულას

**ქრომატიდი** — გაორმაგებული ქრომოსომის ერთი ნახევარი რომელიც შეიცავს დნმ -ს

ერთ მოლეკულას. ჩვენი მაგების შემდეგ ქრომოსომა შედგება 2 ქრომატიდისგან

**ქრომოსომათა დიპლოიდური კომპლექტი** — ქრომოსომების რაოდენობა (ორმაგი) უჯრედში, რომელიც მოცემული სახეობისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად ადამიანში ქრომოსომების დიპლოიდური რაოდენობა - 46 გხვდება სომატურ უჯრედებში და აგრეთვე საწყის სასქესო უჯრედებში მეორზამდე.

**ქრომოსომათა ჰაპლოიდური კომპლექტი** — ქრომოსომათა განახევრებული (ერთმაგი) რაოდენობა უნჯრედში. მაგალითად ადამიანში ქრომოსომების ჰაპლოიდური რაოდენობა - 23 გხვდება სასქესო უჯრედებში.

**ციტოკინეზი** — მიტოზის მომდევნო ფაზა, როდესაც უჯრედი ორად იყოფა და ნარმოიქმნება ორი შვილეული უჯრედი

**ჰომოზიგოტური ორგანიზმი:** მოცემული ნიშანთვისების მიხედვით ჰომოზიგოტურია ორგანიზმი, რომელშიც ამ ნიშანთვისების განმაპირობებელი ალელები ერთნაირია, მაგალითად ორივე რეცესიული ან ორივე დომინანტური. ასეთი ორგანიზმი წარმოქმნის ალელური შედგენილობის მიხედვით ერთნაირ გამეტებს

**ჰეტეროზიგოტური ორგანიზმი:** მოცემული ნიშანთვისების მიხედვით ჰეტეროზიგოტურია ორგანიზმი, რომელშიც ამ ნიშანთვისების განმაპირობებელი ალელები განსხვავებულია, მაგალითად ერთი ალელი რეცესიულია, მეორე კი დომინანტური. ასეთი ორგანიზმი წარმოქმნის ალელური შედგენილობის მიხედვით განსხვავებულ გამეტებს

**შენიშვნა:** ერთი და იგივე ორგანიზმი შესაძლებელია იყოს ერთი ნიშანთვისების განმაპირობებელი ალელების მიხედვით ჰომოზიგოტური, მაგრამ მეორე ნიშანთვისების განმაპირობებელი ალელების მიხედვით ჰეტეროზიგოტური.

## ევოლუცია

ევოლუციის თანამედროვე გაგება ეყრდნობა ევოლუციის **სინთეზურ თეორიას**. სინთეზური თეორიის თანახმად ევოლუცია იწყება და მიმდინარეობს ცოცხალი ორგანიზმების პოპულაციებში ევოლუციის მამოძრავებელი ძალების — გენოფონდის ცვლილებისა და ბუნებრივი გადარჩევის გზით.

### რა არის პოპულაცია.

ცოცხალიორგანიზმები ჯგუფდებიან მსგავსების მიხედვით. არსებობს კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც სცნობს ცოცხალი ორგანიზმების სხვადასხვა დონის დაჯგუფებებს: სამეფო, ტიპი, კლასი, რიგი, ოჯახი, გვარი და სახეობა.

სახეობა კლასიფიკაციის ყველაზე მცირე ერთეულია, რომელიც აერთიანებს ერთმანეთის ზედმინევნით მსგავს ორგანიზმებს: ისინი ცხოვრობენ მსგავს გარემო პირობებში, მსგავსი არიან ანატომიურად (აგებულებით) და ფიზიოლოგიურად (ცხოველებედებით), აქვთ მსგავსი გენები.

მაგრამ სახეობის წარმომადგენლები არ ცხოვრობენ ყველა ერთად. ისინი, დაყოფილი არიან შედარებით მცირე ჯგუფებად — პოპულაციებად. პოპულაციები გარკვეულწილად, გამოცალკევებულია ერთმანეთისაგან ტერიტორიულად, ნაკლებად ამყარებენ ურთიერთობას სხვა პოპულაციის წარმომადგენლებთან, მაგ. ძირითადად ეჯვარებიან ერთმანეთს და არა სხვა პოპულაციის წარმომადგენელს.

ცოცხალი ორგანიზმების ევოლუცია პოპულაციაში მიმდინარეობს - პოპულაცია ევოლუციის ელემენტარული ერთეულია.

ევოლუციის ერთერთი მთავარი მახასიათებელია გენეტიკური ცვლილებები, რომლებსაც განიცდის ცოცხალი ორგანიზმები. ეს ცვლილებები მემკვიდრულია და შთამომავლობას გადაეცემა.

პოპულაცია ხასიათდება გენოფონდით. ეს არის იმ გენების ერთობლიობა, რომელიც აქვთ პოპულაციის წარმომადგენლებს. მაგალითად, წეროების პოპულაციას აქვს სხეულის შეფერვის, ნისკარტის ფორმის და ზომის, ორგანოების მოქმედების და ქცევის განმაპირობებელი და კიდევ მრავალი სხვა გენი, რომელთა ერთობლიობა ქმნის წეროების პოპულაციის გენოფონდს.

ყველა პროცესი, რომელიც ცვლის გენებს და შესაბამისად, გენოფონდს, ითვლება ევოლუციის მამოძრავებელ ძალად.

ეს პროცესებია: მუტაცია, გენების დრეიფი, გენების ნაკადი, იზოლაცია. ისინი უშუალოდ ცვლიან გენოფონდს. გენოფონდი შესაძლებელია შეიცვალოს 2 ძირითადი გზით. მუტაცია ცვლის გენის სტრუქტურას, ქრომოსომების სტრუქტურას და რაოდენობას და ამგვარად ცვლის გენოფონდს. მაგრამ გენოფონდი იცვლება მუტაციის გარეშეც, გენოფონდი ალელების სიხშირის ცვლილების გზით.

ალელების სიხშირეზე და სიხშირის ცვლილებაზე დაკვირვებისათვის საჭიროა გენოფონდში კონკრეტული ალელის სიხშირის გამოთვლა.

განვიხილოთ მაგალითი ალელების ერთი წყვილის მაგალითზე. დავუშვათ, რომ რომელიმე მცენარის პოპულაცია შედგება რეცესიული და დომინანტური ალელების მატარებელი ინდივიდებისგან, ისინი ჰეტეროზიგოტურია (**Bb**) და მათი რაოდენობა თანაბარია.

			<b>♂</b>
	<b>B</b>		<b>b</b>
<b>B</b>		<b>BB</b>	<b>Bb</b>
<b>b</b>		<b>Bb</b>	<b>bb</b>
<b>♀</b>			

მშობლებში სულ 2 სახის ალელია. ალელის სიხშირის გამოსათვლელად ამ ალელის რაოდენობა იყოფა ალელების საერთო რაოდენობაზე. ალელების საერთო (ორივე მშობლის) რაოდენობაა 4 (2 B და 2 b). ხოლო თითოეული ალელის რაოდენობა არის 2. მაშასადამე, თითოეული ალელის სიხშირეა  $2 : 4 = 0.5$  ან 50%.

მეორე თაობაში მიღებულ გენოტიპებში (BB, 2Bb, bb) ალელების საერთო რაოდენობაა 8 (4 B და 4 b), თითოეული ალელი კი 4-ია. ამგვარად, თითოეული ალელის სიხშირეა  $4 : 8 = 0.5$  ან 50%.

ალელების სიხშირის გარდა პოპულაცია შესაძლებელია დავახასიათოთ გენოტიპების ან ფენოტიპების სიხშირითაც.

როგორ ვიანგარიშოთ კონკრეტული გენოტიპის სიხშირე. ამისათვის ისევ გამოვიყენოთ ზედა ცხრილი. მაგალითად, ვიანგარიშოთ bb გენოტიპის სიხშირე. ამ გენოტიპის მისაღებად მდედრობითი გამეტა უნდა შეუერთდეს მამრობით გამეტას და ორივე უნდა ატარებდეს b ალელს. ამ ალელის სიხშირე თითოეულ მშობელში არის 0.5. bb გენოტიპის სიხშირე იქნება:  $0.5 \times 0.5 = 0.25$

კონკრეტული ფენოტიპის სიხშირე იანგარიშება როგორც ამ ფენოტიპის მქონე ინდივიდების რაოდენობის განაყოფი პოპულაციაში ინდივიდების საერთო რაოდენობაზე. მაგალითად, თუ პოპულაციაში არის 100 ინდივიდი, ხოლო მათგან 10 თეთრი ყვავილის მქონეა, მაშინ ამ ფენოტიპის სიხშირე პოპულაციაში არის  $10 : 100 = 0.1$ .

### გენების დრეიფი.

დავუშვათ, გარკვეულ ტერიტორიაზე იზრდება მცენარეთა გარკვეული პოპულაცია. მის გენოფონდში არის ყვავილის შეფერილობის ალელები, რომელთა კომბინაცია განაპირობებს ყვავილის სამნაირ ფერს. ეს ალელები პოპულაციაში გარკვეული სიხშირითაა წარმოდგენილი. თუ რომელიდაც ალელის მატარებელი მცენარეები სხვებზე უკეთ გამრავლდა, გენოფონდში მოიმატებს ამ ალელის სიხშირე. ალელების სიხშირის ცვლილება მოხდება იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე ალელის მატარებელი მცენარეები დაიღუპება. საყურადღებოა, რომ გენების დრეიფი არ უკავშირდება ბუნებრივი გადარჩევის მოქმედებას: მცენარეების დაღუპვა ან სხვებზე უკეთ გამრავლება არ ხდება მათი შესაბამისად ცუდად ან უკეთ შეგუებულობის გამო, ეს შემთხვევითი პროცესია.

### გენების ნაკადი

გენების ნაკადი გულისხმობს პოპულაციებს შორის გენების მიმოცვლას. ეს შესაძლებელია მოხდეს ცხოველების ერთი პოპულაციიდან მეორეში მიგრაციის შედეგად. ამ დროს მიგრანტს მიაქვთ მასპინძელ პოპულაციაში საკუთარი ალელები, რის გამოც იცვლება პოპულაციის გენოფონდი. თუ მიგრანტმა ფეხი მოკიდა ახალ ადგილას და გამრავლდა, ეს მნიშვნელოვნად შეცვლის პოპულაციის ალელურ სიხშირეს. მაგალითად, გორილების პოპულაციაში ახალგაზრდა გორილები მიდიან ხოლმე ჯოგიდან, სხვა პოპულაციას უერთდებიან და მრავლდებიან. ამგვარად, ისინი გადაახალისებენ ამ პოპულაციის გენოფონდს საკუთარი ალელებით.

ალელების სიხშირე შეცვლება იმ პოპულაციაშიც, საიდანაც მოხდა ორგანიზმების ემიგრაცია.

მცენარეებშიაც აქვს ადგილი გენების ნაკადს. ამ დროს, ცხადია, ორგანიზმები არ გადაინაცვლებენ ერთი პოპულაციიდან მეორეში, მაგრამ მცენარის მტვერი შეიძლება გავრცელდეს ძალიან დიდი დისტანციაზე და მოახდინოს სხვა პოპულაციის მცენარეთა დამტვერვა.

**როგორ ჩავატარებინოთ მოსწავლეებს კვლევა: გენების დრეიფის მოდელირება.**

**ბოთლის ყელის ეფექტი.**

ბოთლის ყელის ეფექტი წამოადგენს გენების დრეიფის მოდელს. ის ეხება იმ სიტუაციას, როდესაც პოპულაციის რაოდენობა მკვეთრად მცირდება არა პოპულაციის ინდივიდების საზიანო ცვლილებების გამო, არამედ სხვა ფაქტორების ზეგავლენით, მაგალითად, პოპულაციის წარმომადგენლებზე ინტენსიური ნადირობის მიზეზით.

მოსწავლეებს მიეცით ინსტრუქცია:

განიერ ყელიან ბოთლში ჩაყარე სამი სხვადასხვა ფერის ჭიკარტი. თითოეული ფერის 20 ცალი. (ჭიკარტების მაგივრად შესაძლებელია სხვა მასალის გამოყენება, მაგრამ ჭიკარტებს ადვილად ნახავთ ნებისმიერ მარაზიაში და ძვირიც არ ღირს).

მოდელში თითოეული ჭიკარტი წარმოადგენს პოპულაციის 1 წევრს, ხოლო ჭიკარტების ფერი გამოხატავს ამ ორგანიზმების გენოტიპს.

ცდის პირველ (ა) ეტაპზე დააფიქსირე სხვადასხვა ფერის ჭიკარტების რაოდენობა. მონაცემი შეიტანე ცხრილში.

ცდის ეტაპები	სხვადასხვა ფერის ჭიკარტების რაოდენობა		
	მწვანე	წითელი	ყვითელი
ა			
ბ			

შემდეგ (ეტაპი ბ) ბოთლი კარგად შეანჯლრიე რომ სხვადასხვა ფერის ჭიკარტები აირიოს ერთმანეთში, გადმოაყირავე ბოთლი ჯამში ან ჭიქაში და სწრაფად გაასწორე. დაითვალე ჭიქაში მოხვედრილი სხვადასხვა ფერის ჭიკარტების რაოდენობა. ჭიქაში მოხვედრილი ჭიკარტებით მოდელი გვიჩვენებს, თუ პოპულაციის რამდენი წარმომადგენელი გადარჩა.

გაანალიზე ცდის შედეგი.

- რამდენი ჭიკარტია ჭიქაში?
- ჭიქაში ჭიკარტების რაოდენობა განსხვავდება საწყისი მაჩვენებლისგან: ა ეტაპზე ბოთლში ჭიკარტების რაოდენობისგან?
- როგორია სხვადასხვა ფერის ჭიკარტების რაოდენობა ჭიქაში?
- ჭიქაში სხვადასხვა ფერის ჭიკარტების რაოდენობა განსხვავდება საწყისი მაჩვენებლისგან: ა ეტაპზე ბოთლში სხვადასხვა ფერის ჭიკარტების რაოდენობისგან?
- პოპულაციის რამდენი წარმომადგენელი გადარჩა?
- შეიცვალა პოპულაცია რაოდენობრივად?
- გარდა რაოდენობრივი განსხვავებისა, კიდევ რა განსხვავებაა საწყის და ახალ პოპულაციას შორის?

მონაცემების ანალიზის შემდეგ დაუკავშირე ბოთლის ყელის ეფექტი გენების დრეიფს, განმარტე, რაში გამოიხატა გენების დრეიფი ამ შემთხვევაში და რა ზეგავლენა იქმნია მან პოპულაციაზე.

## დამფუძნებლის ეფექტი. იზოლაცია

გენების დრეიფი იწვევს კიდევ ერთ ბუნებრივ მოვლენას, რომელიც **დამფუძნებლის ეფექტის** სახელწოდებითაა ცნობილი.

დავუშვათ, პოპულაციიდან ორგანიზმების მცირე ნაწილი გადის და სახლდება გარკვეულ სხვა ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს გენების ნაკადთან. ემიგრირებული ორგანიზმები არ უერთდებიან სხვა პოპულაციას, ისინი ცალკე სახლდებიან.

პოპულაციიდან გამოყოფილ ორგანიზმებს ექნებათ პოპულაციაში დარჩენილი ორგანიზმებისაგან გარკვეულნილად განსხვავებული ალელური შედგენილობა და ალელების სიხშირე. დასაშვებია, რომ ზოგიერთი ალელი ემიგრირებულ ორგანიზმებში საერთოდ არ იყოს.

ამგვარად, ახალმოსახლე ორგანიზმები ქმნიან პოპულაციას, რომელსაც საწყისი პოპულაციისაგან გარკვეულნილად განსხვავებული გენოფონდი აქვს. ამგვარად მიიღება მემკვიდრული მასალა, რომელზედაც იმოქმედებს ბუნებრივი გადარჩევა.

მცენარეებში დამფუძნებლის ეფექტი ვლინდება, როდესაც მცენარის თესლი შორ მანძილზე გადაიტანება და იქ მცენარეთა ახალი ჯგუფი იწყებს განვითარებას.

### იზოლაცია.

არსებობს იზოლაციის ორი ძირითადი ფორმა — სივრცობრივი და ბიოლოგიური. სივრცობრი იზოლაცია დაკავშირებულია პოპულაციის მიერ დაკავებულ ტერიტორიასთან, ხოლო ბიოლოგიური იზოლაცია უკავშირდება პოპულაციის ცხოველქმედების თავისებურებებს.

ბუნებრივ პირობებში სივრცობრივი იზოლაცია ხდება როდესაც პოპულაციის წარმომადგენლებს ერთმანეთისგან მიჯნავს მდინარე, მთა, ტყის მასივი. სივრცობრივი იზოლაციისათვის ხელის შენყობა ადამიანსაც შეუძლია. დავუშვათ რომელილაც ტბაში ცხოვრობს თევზების პოპულაცია. ადამიანმა ტბაში ჯებირები გააკეთა და პოპულაციის წარმომადგენლების ნაწილი ჯებირის ერთ მხარეს აღმოჩნდა, ნაწილი კი — მეორე მხარეს. მათ უჭირთ ერთმანეთთან კონტაქტი. თანდათან პოპულაციის ორი განაყოფი ერთმანეთისგან იზოლირებული ხდება რაც ხელს უწყობს მათ შორის განსხვავებების წარმოქმნას. თუმცა თუ თევზებმა მოახერხეს ზღუდეს გადალახვა, ისინი შეეჯვარებიან ერთმანეთს და განსხვავებაც გაქრება.

ბიოლოგიური იზოლაცია, სივრცობრივისგან განსხვავებით, უკავშირდება უშუალოდ ცოცხალი ორგანიზმების ნიშანთვისებებს. მაგალითად, შეჯვარებისათვის სერიოზული ბარიერია განსხვავება გამრავლების ვადასა და ადგილში. მაგალითად, ერთი მცენარე ყვავილობს ადრე გაზაფხულზე, მეორე კი გვიან და ამგვარად, პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ ერთის მტვრის მარცვალმა გაანაყოფიეროს მეორის თესლკვირტი და პირიქით.

ცხოველების გამრავლების დროს მდედრები და მამრები თავს იმ ადგილას მოიყრიან, სადაც ისინი ერთმანეთს ეჯვარებიან. მაგალითად, მდედრი და მამრი ბაყაყები თავს მოიყრიან იქ, სადაც ჩვეულებრივ მრავლდებიან, მაგალითად ზოგი გუბურაში, სხვანი ტბაში, ჭაობში. თუ ერთი ბაყაყი ქვირითს ყრის ტბაში, მეორე კი გუბურაში, პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ გუბურის მამრმა ბაყაყმა გაანაყოფიეროს ტბაში მდედრის მიერ დაყრილი ქვირითი და პირიქით, გუბურაში დაყრილი ქვირითი ვერ განაყოფიერდება ტბის მამრის სპერმატოზოიდებით.

ორგანიზმების შეჯვარებას შეიძლება ხელი შეუშალოს განსხვავებამ მათ ფიზიოლოგიურ თავისებურებებში. მაგალითად, როდესაც შეჯვარების დრო მოდის, ზოგიერთი მამრი ფრინველი ჭიკვიკით იზიდავს მდედრებს შესაჯვარებლად. ამ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მამრი ფრინველის მიერ გამოცემული ბერების სიმაღლეს და სიხშირეს და აგრეთვე მდედრის უნარს აღიქვას ბერების ეს მახასიათებლები. ამ მხრივ მცირე განსხვავებებიც კი გამოიწვევს ორგანიზმების გარკვეულ ჯგუფებად გაერთიანებას და ამ ჯგუფების ერთმანეთისაგან იზოლაციას.

ამგვარად, იზოლაცია ხელს უწყობს საწყისი პოპულაციიდან რამდენიმე დაჯგუფების წარმოქმნას. ეს დასაბამს აძლევს ამ დაჯგუფებებს შორის გენეტიკური განსხვავებების წარმოქნას.

### **ბუნებრივი გადარჩევა — ევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა**

პოპულაციის გენოფონდი შესაძლებელია შეიცვალოს მუტაციების, გენეფის დრეიფის და ნაკადის ზეგავლენით.

ბუნებრივი გადარჩევა ევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. პოპულაციაში ცვლილებები ხდება, მაგრამ ბუნებრივი გადარჩევა გადაწყვეტს, რომელია მათგან საზიანო და რომელი სასარგებლო.

რას ნიშნავს ბუნებრივი გადარჩევის მიერ ცვლილების აღმოფხვრა ან გამტკიცება? ბუნებრივი გადარჩევის დროს საზიანო ცვლილებების მქონე ორგანიზმები იღუპებიან, ხოლო სასარგებლო ცვლილებების მქონენი იმარჯვებენ არსებობისთვის ბრძოლაში, მრავლდებიან და ცვლილებას შთამომავლობით გადასცემენ.

ნინასწარ იმის განსაზღვრა, სასარგებლოა თუ საზიანო მოცემული ნიშანთვისება, ადვილი არ არის.

მაგალითად, მოვიყენოთ კიბოსნაირების წარმომადგენლების ევოლუციის ისტორია. მათი განამარხებული ფორმები დიდი რაოდენობით არის ნაპოვნი დედამიწის სხვადასხვა სილრმეში. ამიტომ პალეონტოლოგებმა შეძლეს ამ ცხოველების ევოლუციის საკმაოდ ზუსტი რეკონსტრუქცია.

ეს მცირე კიბოსნაირები ზომით 0.2 —დან 30 მმ-მდე აღწევენ. აღმოჩნდა, რომ ეს კიბოსნაირები ევოლუციის მანძილზე იცვლიდნენ სხეულის ზომას. დედამიწაზე ხანგრძლივად ცივი პერიოდების განმავლობაში მათი სხეულის ზომა მნიშვნელოვნად მატულობდა და მაქსიმალურ მაჩვენებლებს აღწევდა, ხოლო ზომიერი კლიმატის პირობებში კიბოსნაირების სხეულის ზომები ცვალებადობდა ცნობილ ფარგლებში.

მაშასადამე, სხეულის ზომის ცვლილება თავისთავად არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც სასარგებლო ან საზიანო. ყველაფერი დამოკიდებულია ბუნებრივი გადარჩევის მოქმედებაზე.

განხილულ მაგალითში კიბოსნაირების სხეულის მაქსიმალური ზომა სასარგებლო იყო დედამიწაზე ხანგრძლივი სიცივის პერიოდში. ამგვარად, ბუნებრივი გადარჩევა მოქმედებდა კიბოსნაირების სხეულის ზომაზე და გადაარჩევდა კიდურა ფორმებს — სხეულის განასკუთრებით დიდი ზომის მქონე კიბოსნაირებს.

ეს არის მამოძრავებელი ბუნებრივი გადარჩევის მოქმედების მაგალითი: როდესაც ბუნებრივ გადარჩევაში იმარჯვებს ერთი, მკვეთრად გამოხატული ნიშანთვისების მქონე ორგანიზმები.

მაგალითად, პეკარი იკვებება კაკტუსებით და ცხადია, ცდილობს თავი აარიდოს ეკლებს. რადგან პეკარების საყვარელ ყველა კაკტუსს ეკლები აქვს, პეკარები უფრო მეტად იმ კაკტუსს ეტანებიან, რომელსაც შედარებით ნაკლები ეკლები უვითარდება.

ამის გამო კაკტუსების პოპულაციაში იმოქმედა ბუნებრივმა გადარჩევამ: გადარჩენენ კაკტუსების ის ფორმები, რომლებსაც მაქსიმალურად დიდი რაოდენობით ეკლები უვითარდებოდათ.

დავუშვათ, პეპლების პოპულაციაში არის ღია და მუქი შეფერილობის პეპლები. თუ ხეები, რომლებზედაც ეს პეპლები სხდებიან ხოლმე, მუქი ფერისაა, მაშინ ჩიტები ადვილად შეამჩნევენ ღია ფერის პეპლებს და შეჭამენ მათ უფრო ხშირად, ვიდრე მუქი ფერისას. დროთა განმავლობაში პოპულაციაში მნიშვნელოვნად შეიცვლება ღია და მუქი ფერის განმაპირობებელი ალელების სიხშირე. მოსალოდნელია, რომ რარაც პერიოდში ღია ფერის ალელი საერთოდ გაქრეს პოპულაციიდან.

მარგამ თუ ბუნებრივი პუირობები, ამ შემთხვევაში ხის შეფერილობა შეიცვალა, მამოძრავებელი ბუნებრივი გადარჩევაც შეიცვლის მიმართულებას. თუ მაგალითად ხეები ლიქენებმა დაფარა და ხეს ღია ფერი შესძინა, ფრინველები მუქ პეპლებს უფრო შეამჩნევენ, ვიდრე ღია ფერისას. მაშასადამე, მამოძრავებელი გადარჩევაც უკვე მუქი ფერის მქონე პეპლების სასარგებლოდ იმოქმედებს.

დიზრუპტული ბუნებრივი გადარჩევა გავს მამოძრავებელს, რადგან ისიც გადაარჩევს მკვეთრად გამოხატული ნიშანთვისებების მქონე ორგანიზმებს. მაგრამ მამოძრავებელი გადარჩევისაგან განსხვავებით, დიზრუპტული ერთდოულად 2 კიდურა ფორმას გადაარჩევს და საშუალოს აღმოფხვრის.

დავუშვათ, რომელიმე მცენარის პოპულაციაში, რომელიც მწერებით იმტვერება, არის კაშკაშა წითელი და მკვეთრად თეთრი ყვავილის მქონე მცენარეები და აგრეთვე, ვარდისფერიც. მწერები კი უფრო მეტად წითელს და თეთრს ეტანებიან. ასეთ შემთხვევაში დიზრუპტული გადარჩევა იმოქმედებს 2 კიდურა ფორმის სასარგებლოდ, ხოლო ვადრისფერი ყვავილების მქონე მცენარეები წარუმატებელი იქნებიან გამრავლებაში და ეს ფეროტიპი ბუნებრივი გადარჩევის მიერ აღმოფხვრება.

მასტაბილიზებელი ბუნებრივი გადარჩევა კი ხელს უწყობს შუალედური ნიშანთვისებების მქონე ორგანიზმების გადარჩევას და აღმოფხვრის კიდურა ფორმებს. მაგალითად, ოკეანისპირა ტერიტორიებზე, სადაც ხშირია ძლიერი ქარი, ბუნებრივი გადარჩევა ხელს უწყობს საშუალო სიგრძის ფრთის მქომე მწერების გადარჩენას. მოკლე ფრთიანი ცუდად დაფრინავს და ვერ მოიპოვებს საკვებს, გრძელფრთიანს კი ადვილად გაიტაცებს ქარი და ოკეანეში ჩააგდებს.

### **კვლევა: ბუნებრივი გადარჩევის მოქმედების მოდელირება**

საჭირო მასალა: თეთრი ფერის ფორმატის ქაღალდი. თეთრი და ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი ოთხკუთხედები — 6 თეთრი, 6 - წითელი, 6 - მწვანე, 6 - ლურჯი.

მოსწავლეებს მიეცით ინსტრუქცია:

ფორმატის ქაღალდი დადე მაგიდაზე და ზედ განალაგე ოთკუთხედები ერთმანეთისგან მიახლოებით თანაბარი დაშორებით.

ამგვარად, მიიღებ პოპულაციის მოდელს. პოპულაციაში 24 მწერია (ოთხკუთხედები). მათ სხეულის განსხვავებული შეფერილობა აქვთ. პოპულაცია ცხოვრობს გარემოში (ფორმატის ქაღალდი), რომელშიც ჭარბობს თეთრი ფორი. (ეს მხოლოდ მოდელია. ჩვეულებრივ, მწერების პოპულაციაში გაცილებით მეტი წევრია ხოლმე). მოდელზე უნდა იმუშავოს ცდის პირმა (თანაკლასელმა, ან ოჯახის წევრმა). ისიც მოდელის ნაწილია: წარმოადგენს ფრინველს, რომელიც იკვებება მწერებით.

თანაკლასელი ან ოჯახის წევრი (ცდის პირი) დააყენე ზურგით ქაღალდთან.

მიეცი ინსტრუქცია ცდის პირს:

ქაღალდზე დევს ქაღალდისგან გამოჭრილი ოთხუთხედები. შენი დავალებაა როდესაც გეტყვი — “დავიწყოთ”, შემობრუნდები მაგიდისკენ და სწრაფად აკრიფავ ოთხუთხედებს, რამდენსაც შეძლებ 5 წამის განმავლობაში. დრო ჩაირთვება ცდის დაწყებისთანავე. 5 წამის შემდეგ გეტყვი “დამთავრდა” და შენ წყვეტ ოთხუთხედების აკრეფას”.

ცდა ჩატარე 2- ჯერ. პირველი ცდის შემდეგ ქაღალდზე დარჩენილ ოთხუთხედებს შეუცვალე მდებარეობა.

ყოველ ჯერზე ცხრილში შეიტანე ცდის პირის მიერ აკრეფილი ოთხუთხედების რაოდენობა.

ოთხუთხედები	აკრეფილი ოთხუთხედების რაოდენობა	
	I ცდა	II ცდა
თეთრი		
წითელი		
ლურჯი		
მწვანე		

გაანალიზე მონაცემი:

- რამდენი ოთხუთხედი დარჩა ქაღალდზე I და II ცდაში?
- როგორია დარჩენილი ოთხუთხედების რაოდენობა ფერის მიხედვით?
- როგორი იყო სხვადასხვა ფერის ოთხუთხედების რაოდენობრივი შეფარდება ცდის დაწყებამდე?
- როგორი იყო სხვადასხვა ფერის ოთხუთხედების რაოდენობრივი შეფარდება I და II ცდის შემდეგ?
- რა ფერის ოთხუთხედები დარჩა მეტი, ნაკლები?

მოდელზე მუშაობის შედეგი დაუკავშირე ბუნებრივ სიტუაციას:

- რომელი მწერები (სხეულის რა შეფერილობის მქონე) შეჭამეს ფრინველებმა უფრო მეტად?
- რატომ მოხდა ასე?
- როგორ უკავშირდება მოდელზე მირებული შედეგი ბუნებრივი გადარჩევის მოქმედებას?
- განმარტე, რა არის მოდელში “საზიანო” და “სასარგებლო ნიშანთვისება?”

### სქესობრივი გადარჩევა. კოევოლუცია. ბუნებრივი გადარჩევის შედეგი

სქესობრივი გადარჩევა გულისხმობს, რომ შეჯვარების დროს პოპულაციის წარმომადგენლები უპირატესობას ანიჭებენ საწინააღმდეგო სქესის რომელიმე წარმომადგენელს და ამგვარად, შეჯვარება შემთხვევითი კი არ არის, არამედ შერჩევის საფუძველზე ხდება.

მაგალითად, ლომების პოპულაციაში მდედრები უპირატესობას ანიჭებენ მამრებს უკეთ განვითარებული ფაფარით.

პოპულაციისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ მან წარმოქმნას სიცოცხლისუნარიანი თაობა. ამიტომ ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: შეუძლია ფაფრის მიხედვით სქესობრივ გადარჩევას ხელი შეუწყოს ჯანმრთელი, სიცოცხლისუნარიანი ტაობის წარმოქმნას.

აღმოჩნდა, რომ ეს მართლაც ასეა. მამრების და მდედრების ორგანიზმი გამოიმუშავებს სასქესო ჰორომონებს. ისინი განაპირობებენ ორგანიზმის სქესთან დაკავშირებულ ნიშნებს, მათ შორის კუნთოვანი სისტემის უფრო ძლიერ განვითარებას მამრებში. ჰორმონების ნორმალური რაოდენობა ორგანიზმში გარკვეულ საზღვრებში მერყეობს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ საზღვრებში ჰორმონის მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა არ განეკუთვნება მოდიფიკაციურ ცვალებადობას და გენოტიპის ალელური შედგენილობითაა განპირობებული. მაშასადამე, მამრები გადასცემენ მემკვიდრეობით შვილებს მამრობითი ჰორმონების მეტი რაოდენობით (ნორმალურ საზღვრებში) გამომუშავების უნარს. შესაბამისად, ასეთი მამრების შთამომავლობას შეუძლია ფიზიკურად უფრო ძლიერი იყოს, იმ მამრების შთამომავლობასთან შედარებით, რომელებიც მათი გენოტიპიდან გამომდინარე, ნორმის ფარგლებში ნაკლებ ჰორმონებს გამოიმუშავებენ.

ამავდროულად, რაც მეტია მამრის ორგანიზმში მამრობითი ჰორმონების რაოდენობა, მიტ უფრო კარგად ვითარდება არა მარტო კუნთოვანი სისტემა, არამედ ფაფრიც.

ამგვარად, ფაფრის ზომების მიხედვით სქესობრივი გადარჩევა ძლიერი შთამომავლობის დატოვების საწინდარია. სქესობრივი გადარჩევის პროცესში წარმატებული ორგანიზმების გენები ბუნებრივი გადაჩევის გზით ძლიერდება — მრავლდება შთამომავლობაში.

ლომების შემთხვევაში მოქმედებს მამოძრავებელი ბუნებრივი გადარჩევა, რადგან უპირატესობა ენიჭება მკვეთრად გამოხატული - კიდურა ნიშანთვისების (რაც შეიძლება დიდი ზომის ფაფრის) მატარებელ მამრებს.

გორილების პოპულაციაში შეჯვარების უპირატესობით სარგებლობს ეგრეთწოდებული ვერცხლისფერზურგიანი მამრი. მისი ბალანის ვერცხლის ფერი ჩნდება ზრდასრულ ასაკთან ერთად და ამგვარად, გორილას ფიზიკურ განვითარებას და გამოცდილებას მოწმობს. მდედრები უპირატესობას ანიჭებენ ასეთ მამრს უფრო ახალგაზრდა მამრების მიმართ და თაობას სწორედ მისი გენები გადაეცემა. ამ შემთხვევაში ვერცხლისფერი ბალანი მიანიშნებს გორილას მხოლოდ ასაკზე და ფიზიკურ-გონებრივ სიმწიფეზე, მაგრამ არა მის გენეტიკურ უპირატესობაზე ახალგაზრდებთან შედარებით. ისინიც გაიზრდებიან და მათი ზურგიც შეივერცხლება. მაგრამ სქესობრივი გადარჩევის ეს ფორმა მაინც სასარგებლოა პოპულაციისათვის, რადგან შთამომავლობაზე პასუხისმგებელი გამოცდილი და ძლიერი მამრი იქნება.

### კოევოლუცია

კოევოლუცია ნიშნავს, რომ ერთი პოლულაცია ვითარდება მეორეში მომხდარი ცვლილებების საპასუხოდ.

მაგალითად, ანტილოპას პოპულაცია ვითარდება მამოძრავებელი ბუნებრივი გადარჩევის ზემოქმედებით — საუკეთესოდ ეგუებიან ის ორგანიზმები, რომლებიც განსაკუთრებით სწრაფად დარბიან და მაშასადამე, აქვთ შანსი თავი დააღწიონ ისეთ სწრაფ მორბენალს, როგორიც ჰეპარდია.

თავის მხრივ, ჰეპარდის პოპულაციაზე მოქმედი მამოძრავებელი გადარჩევა გადაარჩევს იმ ჰეპარდებს, რომელთა სისწრაფე განსაკუთრებით მაღალია. ამგვარად,

ადგილი აქვს კოევოლუციას — ანტილოპების და ჰეპარდების პოპულაციები იცვლებიან ერთმანეთში მომხდარი ცვლილებების საპასუხოდ.

კოევოლუციის მაგალითია ღამურას და იმ მცენარეების განვითარება, რომელთა ყვავილის ნექტარით იკვებება ღამურა. ღამურებს აქვთ გრძელი და ხაოიანი ენა, რომელიც აძლევს მათ საშუალებას ყვავილის სიღმიდან ამოიღონ ნექტარი. ღამურა საკვებად ღამე გამოდის. ამიტომ ყვავილებს, თავის მხრივ, აქვთ ღია მკვეთრი შეფერილობა, რათა ისინი ღამურამ ღამე დაინახოს. ამ შემთხვევაში კოევოლუცია ორივე ორგანიზმის ინტერესებშია: ღამურა ადგილად დაინახს საკვებ მცენარეს, ხოლო მის ბეწვზე აკრული მცენარის მტკერი ხელს უწყობს ამ მცენარის ჯვარედინ დამტკერვას.

### **ბუნებრივი გადარჩევის შედეგი.**

ცოცხალი ორგანიზმები მრავლდებიან და მათ დიდი რაოდენობით შთამომავლობის მოცემის უნარი აქვთ. მაგრამ არსებობისათვის აუცილებელი პირობები: საკვები, საცხოვრებელი ტერიტორია და სხვ. არ არის განუსაზღვრელი რაოდენობით - შეზღუდულია. ამიტომ იქმნება შეუსაბამობა ცოცხალი ორგანიზმების რაოდენობასა და მათი სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელი პირობების ხელმისაწვდომობას შორის.

ამის გამო ცოცხალი ორგანიზმები ჩაბმული არიან არსებობისათვის ბრძოლაში — ისინი ერთმანეთს ებრძვიან საარსებოდ აუცილებელი პირობების მოსაპოვებლად. ცოცხალ ორგანიზმებს უწევთ აგრეთვე ბრძოლა გარემოს არაცოცხალი ფაქტორების — (კლიმატის, სინათლის რაოდენობის, ატმოსფერული ნიევის, დედამიწის მიზიდულობის, სხვ.) ზემოქმედებასთან.

ცოცხალი ორგანიზმები განიცდიან ცვლილებებს. პოპულაცია ერთგვაროვანი არ არის, პოპულაციის ნარმომადგენლები, გარკვეულნილად, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გენეტიკურად. პოპულაციის გენოფონდის ცვლილებებს იწვევს ძირითადად მუტაციები, გენების დრეიფი და ნაკადი, იზოლაცია.

ეს ცვლილებები არ ატარებენ მიზანმიმართულ ხასიათს, ეს შემთხვევითი მოვლენებია.

არსებობისათვის ბრძოლაში იმარჯვებენ ის ორგანიზმები, რომლებიც გამოიმუშავებენ საარსებო პირობებთან შეგუებისათვის სასარგებლო ნიშან-თვისებებს. საზიანო ნიშანთვისებების მქონენი იღუპებიან.

ბუნებრივი გადარჩევა ცოცხალი ორგანიზმების ევოლუციის მიმართული ფაქტორია. ის ახდენს საარსებო პირობებთან უკეთ შეგუებულ ინდივიდთა გადარჩევას. სხვა სიტყვებით, ბუნებრივი გადარჩევის ზემოქმედებით პოპულაციაში ინახება და მომდევნო თაობას გადაეცემა ის გენები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზმების შეგუებას საარსებო პირობებთან.

ამგვარად, ბუნებრივი გადარჩევის შედეგია ადაპტაცია — ცოცხალი ორგანიზმების ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს შეგუებას საარსებო პირობებთან.

### **მიკროევოლუცია. მაკროევოლუცია. დივერგენცია, კონვერგენცია.**

იზოლაციის შედეგად პოპულაციის დაჯგუფებები განსხვავებულ გარემო პირობებში ვითარდებიან. ამ დროს მიმდინარეობს დივერგენციის პროცესი, რომელიც შესაძლებელია ახალი სახეობების ნარმოქმნით დამთავრდეს.

ჯერ კიდევ დარვინმა გალაპაგოსის კუნძულებზე მოგზაურობისას ნახა, რომ სხვადასხვა კუნძულზე ერთმანეთისაგან იზოლირებულად ცხოვრობდა მთიულების რამდენიმე სახეობა. ისინი საერთო ნინაპრისაგან იყვნენ ნარმოშობილი, მაგრამ

განსხვავებულ პირობებში მოხვედრის გამო განუვითარდათ ბევრი განმასხვავებელი ნიშანთვისება.

ამგვარად, მთიულები განვითარდნენ ერთი საწყისი სახეობიდან ანუ მოხდა მიკროევოლუცია - სახეობათა წარმოქმნა.

მთიულების შემთხვევაში საწყისმა სახეობაში გაიფართოვა საცხოვრებელი ტერიტორია — განსახლდა კუნძულებზე. ამან გამოიწვია პოპულაციების იზოლაცია და მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარება.

დივერგენციის პროცესი არ მთავრდება მიკროევოლუციით — ახალ სახეობათა წარმოქმნით. დივერგენციის შედეგად წარმოშობილი განსხვავებები კიდევ უფრო აშორებს ოდესალაც ახლო მონათესავე სახეობებს, ისინი მეტად იზოლირებული ხდებიან და საპოლიოდ დაადგებიან ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი განვითარების გზას. ამ გზით იწყება მაკროევოლუცია — კლასიფიკაციურად მაღალი დონის ერთეულების ჩამოყალიბება.

### ჰარდი - ვაინბერგის პრინციპი

ინგლისელი მათემატიკოსის - გოდფრი ჰარდის და გერმანელი ექიმის - ვილჰელმ ვაინბერგის (ჰარდი-ვაინბერგის) პრინციპი ეხება პოპულაციის გენოფონდში ალელების და პომო/ჰეტეროზიგოტული ინდივიდების სიხშირეს. ძველ სახელმძღვანელოებში ეს პრინციპი კანონის სახელით მოიხსენებოდა. ახალ ლიტერატურაში უფრო ხშირად ვხვდებით ასეთ სახელწოდებას: ჰარდი-ვაინბერგისეული პრინციპი, წონასწორობა ან წონასწორობის მოდელი.

პოპულაციის გენოფონდის ცვლილება იწვევს პოპულაციის ცვლილებას, რამაც დროთა განმავლობაში შესაძლებელია მიკროევოლუციამდე - ახალი სახეობის წარმოშობამდე მიგვიყვანოს. მაგრამ ევოლუცია არ ნიშნავს აუცილებლად ერთი სახეობიდან ახლის წარმოშობას. პოპულაცია ევოლუციის პროცესშია უკვე მაშინ, როდესაც მისი გენოფონდი იცვლება.


თუ **მაგალითად**, პოპულაციაში რაღაც პერიოდში, მაგალითად 100 წლის წინ, ალელების რაღაც წყვილის, **მაგალითად A** და **a** ალელების სიხშირე იყო შესაბამისად 0.2 და 0.2, ხოლო 100 წლის შემდეგ ეს სიხშირე გახდა 0.7 და 0.3, ეს ნიშნავს, რომ პოპულაციის თაობებმა განიცადეს ევოლუცია — პოპულაციის გენოფონდი შეიცვალა ერთი ალელის (**A**) სიხშირის გაზრდის და მეორე ალელის (**a**) სიხშირის შემცირების მიმართულებით.

ვიცით, რომ გენოფონდის ამგვარ ცვლილებებს ხელს უწყობს გენების დრეიფი, გენების ნაკადი, მუტაცია, ბუნებრივი გადარჩევა, სქესობრივი გადარჩევა. დასაშვებია, რომ დროის რაღაც მცირე მონაკვეთში არცერთი ჩამოთვლილ ფაქტორთაგანი არ მოქმედებდეს პოპულაციაში. ამ შემთხვევაში პოპულაციის გენოფონდი არ შეიცვლება (ალელების და გენოტიპების სიხშირე უცვლელი დარჩება) და პოპულაცია არ განიცდის ევოლუციას. მაგრამ ჩვეულებრივ პოპულაცია განიცდის რომელიმე ზემოთ ნახსენებ ფაქტორთაგანის ზემოქმედებას და ამგვარად, იმყოფება ევოლუციის პროცესში.

თუ შევძლებთ პოპულაციის ევოლუციის გაზომვას, შეგვეძლება შევაფასოთ პოპულაციაში მიმდინარე ევოლუციის პროცესი. ჰარდიმ და ვაინბერგმა შეიმუშავეს ევოლუციის პროცესის მათემატიკური საზომი.

მათ შემოიღეს განტოლება ( $p^2 + 2pq + q^2 = 1$ ), სადაც  $p$  არის პოპულაციაში დონინანტური ალელის სიხშირე,  $q$  - რეცესიული ალელის სიხშირე,  $p^2$ -პომოზიგოტური

დომინანტური ინდივიდების სიხშირე,  $q^2$  - პომოზიგოტური რეცესიული ინდივიდების სიხშირე,  $2pq$  — ჰეტეროზიგოტული ინდივიდების სიხშირე.



დავუშვათ, პოპულაციაში არის 1000 ინდივიდი, ვთქვათ, 1000 იაგუარი. აქედან 360-ს აქვს დიდი ზომის ლაქები ბეწვზე, 640-ს კი პატარა ზომის. დავუშვათ, რომ A ალელი დომინანტურია და განაპირობებს პატარა ზომის ლაქებს, ხოლო a ალელი რეცესიულია და განაპირობებს ლაქების დიდ ზომას. ამ შემთხვევაში AA და Aa გენოტიპის მქონე იაგუარებს (სულ 640 ინდივიდი) ექნება პატარა ზომის ლაქები, aa გენოტიპის მქონე იაგუარებს კი (სულ 360) - დიდი ზომის ლაქები.

გენოტიპების სიხშირის გამოთვლა უკვე ვიცით. ამიტომ ადვილი გამოსათვლელია რომ  $q^2$  (პომოზიგოტური რეცესიული ინდივიდების სიხშირე) =  $360:1000 = 0.36$ . ამგვარად  $q=0.6$  (კვადრატული ფესვი 0.36-დან).

მიაქციეთ ყურადღება: გამოთვლა დავიწყეთ რეცესიული ფენოტიპის ინდივიდებით, რადგან მათი შემჩნევა პოპულაციაში ადვილია და რაც მთავარია, ზუსტად ვიცით, რომ რეცესიული ფენოტიპის ყველა ინდივიდი არის aa. ამგვარად, რამდენი რეცესიული ფენოტიპის ინდივიდიც არის, იმდენი aa გენოტიპია პოპულაციაში.

რამდენადაც საქმე 2 სხვადასხვა ალელთან გვაქვს, მათი სიხშირის ჯამი უნდა უდრიდეს 1-ს:  $p + q = 1$ . ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად გამოდის, რომ  $p = 1 - q$

ამგვარად,  $p = 1 - 0.6 = 0.4$ ,  $p^2=0.16$

ახლა შეგვიძლია გამოვთვალოთ  $2pq = 2x(0.4)x(0.6)=0.48$

ამგვარდ, იაგუარების პოპულაციაში გენოტიპების სიხშირე განაწილდა ასე: 0.36 aa, 0.16 AA, 0.48 Aa.

თუ იგივე განტოლებას მივუყენებთ პოპულაციის შემდეგ თაობას, ვნახავთ, შეიცვალა თუ არა პოულაციის გენოფონდი და იმასაც შევაფასებთ, როგორია ეს ცვლილება: რომელი ალელის (ნიშანთვისების) ცვლილების გზით წარიმართა ევოლუცია.

ჰარდი-ვაინბერგის პრინციპი არ გვიხსნის, თუ რატომ ხდება ცვლილება პოპულაციაში. ის მხოლოდ აფიქსირებს ცვლილებას. ცვლილების ინტერპრეტაცია ცვლილების დადგენის შემდგომი პროცესია. დავუშვათ, თუ ცვლილების შემდეგ გაიზრდება aa-ს სიხშირე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბუნებრივი გადარჩევა ხელს უწყობს დიდი

ზომის ლაქების მქონე იაგუარების გადარჩენას და დავიწყოთ ფიქრი ლაქების ზომის ადაპტურ მნიშვნელობაზე.

**მასწავლებლების საყურადღებოდ:** ჰარდი-ვაინბერგის პრინციპის განმარტებისას მასწავლებელი მოსწავლეს თავიდანვე ეუბნება, რომ ამ პრინციპის თანახმად “პოპულაციაში თაობიდან თაობაში ალელების (გენოტიპების) შეფარდებითი სიხშირე არ იცვლება”. შემდეგ კი უხსნის, რომ ეს ასე მოხდება, თუ არ ექნება ადგილი მუტაციას, გენების დრეიფს, იზოლაციას, ბუნებრივ გადარჩევას, ანუ თუ ევოლუცია არ მიმდინარეობს.

მოსწავლეს უჩნდება ბუნებრივი კითხვა: რად მინდა ისეთი კანონი, რომელიც ფაქტობრივად ასახავს არ არსებულ (ან ძალიან იშვიათ შემთხვევებში, დროის მოკლე შერიოდში მიმდინარე) სიტუაციას?

ამიტომ აუცილებელია, მოსწავლეს ესაუბროთ ჰარდი-ვაინბერგის პრინციპის პრაქტიკულ გამოყენებაზე, რის შესახებაც ზემოთ დავწერეთ.

## პვლევა

როგორ ტარდება კვლევა; რას ნიშნავს დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადი; როგორ ავაგოთ დიაგრამები და ცხრილები; რას ნიშნავს გასაშუალოებული მონაცემი და სტანდარტული გადახრა, რას ნიშნავს პრობლემის გადაჭრა და კრიტიკული აზროვნება. როგორ დავიცვათ უსაფრთხოება კვლევის ჩატარების დროს.

## დაკვირვება და ცდა

ვთქვათ, გვაინტერესებს რამდენ ფოთოლს იყიდარებს ქოთანში გაზრდილი რომელიმე მცენარე. ამისათვის ვაკვირდებით აღმონაცენს და ვითლით, რამდენი ფოთოლი განუვითარდება მას გარკვეულ პერიოდში, მაგალითად, აღმოცენებიდან ყვავილობის დაწყებამდე.

ამ დროს, უბრალოდ, ვაკვირდებით და ვაფიქსირებ ფოთლების რაოდენობას.

მაგრამ, შეგვიძლია, დავითვალოთ მცენარის ფოთლების რაოდენობა განსხვავებულ პირობებში. მაგალითად: ერთ ქოთანში მცენარეს ყოველდღიურად დავუსხათ 100 გრამი წყალი, მეორე ქოთანში კი 50 გრამი. ასეთ შემთხვევაში ხელოვნურად ვცვლით დაკვირვების პირობებს: მცენარისათვის მიწოდებული წყლის რაოდენობას.

თუ ჩავყრით ვთქვათ, 1 გრამ მარილს 1 ლიტრ წყალში და დავაკვირდებით მარილის გახნას, ამ დროს მხოლოდ ვაკვირდებით და ვაფიქსირებთ იხსნება თუ არა მარილი წყალში.

დავუშვათ, გვაინტერესებს რა პირობებში უფრო სწრაფად იხსნება 1 გრამი მარილი 1 ლიტრ წყალში: როდესაც მარილს ჩავყრით და დაველოდებით მის წყალში გახსნას თუ როდესაც მარილს ჩავყრით და წყალს მოვურევთ კოვზით ან შევათბობთ. სამივე პირობაში ვზომავთ დროს წყალში მარილის ჩაყრიდან მარილის გახნამდე (როდესაც მარილს წყალში ვეღარ შევამჩნევთ). ასეთ შემთხვევაში ხელოვნურად ვცვლით პირობებს.

დაკვირვების დროს ადამიანი არ ერევა მიმდინარე პროცესში, ის უბრალოდ იმას აფიქსირებს, რაც ხდება. ცდის ჩატარების დროს ადამიანი ცვლის იმ პირობებს, რომლებშიც მიმდინარეობს ეს პროცესი და სწავლობს, როგორ წარიმართება ის სხვადასხვა პირობაში.

## დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები

ცდის (ექსპერიმენტის) ჩატარებისას საქმე გაქვს დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებთან. რას ნიშნავს ეს?

მაგალითად, ცვლადია მარილის წყალში გახსნის პირობა: ერთ შემთხვევაში მოვურევთ წყალს, მეორე შემთხვევაში შევათბობთ წყალს, მესამე შემთხვევაში წყალს არც ვათბობთ და არც მოვურევთ. ცვლადია მარილის წყალში გახსნის დროც: ის ცვალებადობს სხვადასხვა პირობაში. მარილის წყალში გახსნის დრო დამოკიდებულია იმაზე, შევათბობთ, მოვურევთ თუ არ მოვურევთ წყალს. ამგვარად, მარილის წყალში გახსნის დრო დამოკიდებული ცვლადია. წყლის მორევა – არ მორევა, შეთბობა – არ შეთბობა მარილის გახსნაზე დამოკიდებული არ არის. ამიტომ ის დამოუკიდებელი ცვლადია.

როდესაც ვაკვირდებით მცენარის ფოთლების განვითარებას სხვადასხვა რაოდენობის წყლით მორჩილი პირობებში, დამოუკიდებელი ცვლადია მცენარისათვის მიწოდებული წყლის რაოდენობა. დამოუკიდებული ცვლადია ფოთლების რაოდენობა, რადგან ის დამოუკიდებულია მცენარისათვის მიწოდებული წყლის რაოდენობაზე.

## ექსპერიმენტის ეფავები, უსაფრთხოების დაცვა

ექსპერიმენტს, ჩვეულებრივ, დაკვირვება უძღვის ხოლმე. მაგალითად, ვაკვირდებით მცენარეს და ვითვლით მისი ფოთლების რაოდენობას. დაკვირვების დროს ჩნდება ხოლმე კითხვები. მაგალითად: აქვს თუ არა მნიშვნელობა წყალს მცენარის ფოთლების განვითარებისათვის? კითხვაზე პასუხის გასაცემად მოვიფიქრებთ ექსპერიმენტს. ჩამოვაყალიბებთ ექსპერიმენტის მიზანს (რა უნდა ვიკვლიოთ, რა კითხვას უნდა გასცეს პასუხი), შევიმუშავებთ ექსპერიმენტის მეთოდს: დავაკვირდებით რამდენ ფოთოლს განვითარებს მცენარე, როდესაც მას წყალს სხვადასხვა რაოდენობით მივაწოდებთ; გადავწყვეტთ, რა მცენარეს დავაკირდებით, რამდენ წყალს დავუსხამთ მცენარეს ერთ ქოთანში და რამდენს — მეორეში, როგორ და რა დროის განმავლობაში დავთვლით ფოთლების რაოდენობას. ამის შემდეგ ჩავატარებთ ექსპერიმენტს და ავიღებთ მონაცემებს: დავთვლით ერთ და მეორე ქოთანში მზარდი მცენარის ფოთლების რაოდენობას. საბოლოოდ გავაანალიზებთ მონაცემებს და გამოვიტანთ დაკვნას.

ამგვარად, ექსპერიმენტის ეტაპებია:

- მიზნის განსაზღვრა
- კვლევის მეთოდის შემუშავება
- ექსპერიმენტის ჩატარება, მონაცემების აღება
- მონაცემების ანალიზი
- დასკვნა

მიზნის განსაზღვრის შემდეგ ვარაუდს გამოთქვამენ ხოლმე. ვარაუდობენ, რა შედეგს გამოიღებს ექსპერიმენტი. მაგალითად, დაისვა კითხვა: აქვს თუ არა მნიშვნელობა წყალს მცენარის ფოთლების განვითარებისათვის? მკვლევარი ივარაუდებს, რომ მეტ ფოთოლს განვითარებს ის მცენარე, რომელსაც 100 გრამ წყალს დაუსხამენ, რაც სავარაუდოდ, მიანიშნებს წყლის აუცილებლობაზე მცენარის ფოთლების განვითარებისათვის. ვარაუდი შესაძლებელია სხვანაირიც იყოს: მეტი ფოთოლი ექნება იმ მცენარეს, რომელსაც ნაკლებ წყალს მიაწოდებენ, ან ორივე მცენარეს ერთნაირი რაოდენობის ფოთოლი განუვითარდება.

ვარაუდი მოწმდება ექსპერიმენტით. მაგალითად, მონაცემების აღების შემდეგ მკვლევარი ადარებს 2 ქოთანში მცენარეების ფოთლების რაოდენობას: რა პირობებში განვითარდა მეტი ფოთოლი. მკვლევარი ამყარებს კავშირს დამოუკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს მორის. დავუშვათ, აღმოჩნდა, რომ იმ ქოთნის მცენარემ, რომელსაც რწყავდნენ 100 გრამი წყლით, განვითარა მეტი ფოთოლი შედარებით იმ მცენარესთან, რომელსაც ნაკლებ (50 გრამ) წყალს უსხავდნენ. მონაცემების ანალიზის (შედარების) საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ წყალი მნიშვნელოვანია მცენარის ფოთლების განვითარებისათვის.

**უსაფრთხოების დაცვა დაკვირვების და ექსპერიმენტის ჩატარების დროს**

პირველი და აუცილებელი, რაც უნდა გააკეთოს მოსწავლემ ექსპერიმენტის ჩატარების წინ: ჩაიცვას ხალათი, რეზინის ხელთათმანები და გაიკეთოს დამცავი

სათვალე. ხალათად შეიძლება გამოდგეს უფროსი და-ძმის ან მშობლების დაძველებული პერანგები ან სამზარეულოს წინსაფარი. ისინი დიდი ზომისაა და მოსწავლეს ხალათის მაგივრობას გაუწევს.

სათვალე აუცილებელია, რათა მოსწავლეს თვალში არ შეესხას სითხეები რომელსაც იყვლევს, ან არ მოხვდეს თვალში ასანთის ნაპერწკალი, ლითონის სხეული და სხვ.

ხელთათმანები დაიცავს ხელებს სითხეებით, მჭრელი საგნებით დაზიანებისაგან. ხალათი კი დაიცავს ტანსაცმელს.

მოსწავლემ არ უნდა გაუსინჯოს გემო იმ სითხეებს, რომლებზედაც მუშაობს. თუ ეს აუცილებელია, სახელმძღვანელოს შესაბამის ინსტრუქციაში მითითებული იქნება და მასწავლებელიც დართავს ნებას. სპირტქურა, მჭრელი საგნები (მაგ. ლანცეტი) გამოიყენება მასწავლებლის დახმარებით.

## მონაცემის აღება და გამოსახვა, ხელსაყორები დაკვირვების და ექსარიგენტისათვის

დაკვირვების და ექსპერიმენტის დროს დაგჭირდებათ სხვადასხვა ხელსაწყოები დათვალიერებისათვის. მაგალითად, მიკროსკოპით შეგიძლიათ დაათვალიეროთ ყინულის კრისტალები, მცენარის თესლი, უჯრედები. ამავე მიზნით შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა გამადიდებელი ხელსაწყოები, თუმცა, მიკროსკოპი უფრო უკეთ ადიდებს სხეულების გამოსახულებას.

### მიკროსკოპის აგებულება:



მიკროსკოპის ღერძია სადგამი, რომელზედაც მიმაგრებულია სხვადასხვა ნაწილი.

მიკროსკოპის ობიექტივში ჩამაგრებულია სხვადასხვა გადიდების უნარის მქონე ლინზები. ლინზის გადიდების უნარი ობიექტივზეა აღნიშნული. მაგ  $\times 250$  ნიშნავს, რომ ლინზა  $250$ -ჯერ ადიდებს გამოსახულებას. სასაგნე დაფაზე დადებენ საკულევ პრეპარატს. მას ქვედა მხრიდან გაანათებენ ნათურით ან მზის სხივით, რომელსაც სარკე აირეკლავს. პრეპარატს ათვალიერებენ ოკულარის საშუალებით. ოკულარს ობიექტივთან აერთებს ტუბუსი. ტუბუსი და სასაგნე დაფა შეიძლება ამოძრავონ ხრახნებით საუკეთესო გამოსახულების მისაღებად.

### **პრეპარატის დამზადება:**

დაკვირვებისათვის შესაძლებელია სხვადასხვა მასალის გამოყენება, მაგალითად, ფოთლის თხელი ანათლის, ან გუბურის წყლის წვეთის.



1. გუბურიდან აღეპული წყლის წვეთს პიპეტით დაიტანენ სასაგნე მინის ცენტრში. წვეთს ზემოდან დაადებენ საფარ მინას. მომზადებულ პრეპარატს დადებენ სასაგნე დაფაზე და ათვალიერებენ მიკროსკოპით.
2. ფოთლის აცილებენ კანს. კანის ნაჭერს დებენ სასაგნე მინის ცენტრში და პიპეტით აწვეთებენ ონკანის წყალს. კანის ნაჭერს ზემოდან დაადებენ საფარ მინას. საფარი მინის ერთ მხარეს აწვეთებენ საღებავის დაბალი კონცენტრაციის სსნარს (საფარი მინის საწინააღმდეგო მხარეს დადებენ ფილტრის ქაღალდის ნაჭერს. საღებავი გავრცელდება საფარი მინის ქვეშ და შეღებავს ფოთლის კანის ნაჭერს. ამის შემდეგ ფილტრის ქაღალდს მოაცილებენ. შეღებავა სასურველია, რათა უკეთ გამოჩენდეს ფოთლის კანის აგებულება. მომზადებულ პრეპარატს დადებენ სასაგნე დაფაზე და ათვალიერებენ მიკროსკოპით.

მონაცემების ასაღებად საჭიროა გაზომვა. გაზომვა შესაძლებელია: სახაზავით (სიგრძის, სიგანის, სიმაღლის), თერმომეტრით (ტემპერატურის), დანაყოფებიანი ჭიქით (სითხის რაოდენობის), თუ შესაძლებელია, შეგიძლიათ, მონაცემი დააფიქსიროთ ნახატის სახით, მაგ, ჩაიხატოთ, როგორ გამოიყურება რომელიმე ცოცხალი ორგანიზმი ან უჯრედი.


ცდის ჩატარების დროს დაგჭირდებათ ხელსაწყოები: სითხეებისთვის – კოლბა, სინჯარები, ქიმიური ჭიქები. სანაყი – მასალის დასაქუცმაცებლად, სპირტჟურა – მასალის გასაცხელებლად. ზოგიერთ ქიმიურ ჭიქას, კოლბას აქვს დანაყოფები, რომლებიც გიჩვენებათ იქ ჩასხმული სითხის რაოდენობას. სადგამები გამოიყენება სინჯარების შესანახად. დაგჭირდებათ პიპეტი, რათა წვეთებად ჩაასხათ სითხე იქ, სადაც საჭირო იქნება. პინცეტს გამოიყენებთ მცირე ზომის საგნების დასაჭერად.

### **ვენის დიაგრამა**

მონაცემების ანალიზისათვის სასარგებლოა ვენის დიაგრამის გამოყენება.




დიაგრამა შემოიღო ინგლისელმა ჯონ ვენმა (John Venn) 1880 წელს. მის საპატივ-ცემულოდ დიაგრამა გამოსახულია ბრიტანეთში, კემბრიჯის უნივერსიტეტის ერთერთი შენობის ვიტრაჟში.



ვენის დიაგრამა სხვადასხვა მიზნით გამოიყენება, მათ შორის, მსგავსება-განსხვავებების საჩვენებლად. ამ შემთხვევაში დიაგრამის შინარსი ის არის, რომ თითოეული წრე წარმოადგენს შესაძარებლად აღებულ ცალკე საგანს, მოვლენას. დავუშვათ, რომ ადარებენ რაღაც ორ A და B საგანს. მარცხენა დიაგრამაზე ერთი წრე განასახიერებს A საგანს, მეორე წრე — B საგანს. დიაგრამის შუა ნაწილში წრეები გადაფარავენ ერთმანეთს, მაშასადამე, A და B — ს აქვთ რაღაც საზიარო, საერთო. ამიტომ წრეების გადაფარვის ადგილას იწერება მსგავსება A და B — ს შორის. წრეების განაპირობანები ერთმანეთს არ გადაფარავენ. მაშასადამე, ამ ადგილებში ალინიშნება ის, რაც მხოლოდ A — თვის (მარცხენა წრე) და B — სთვის (მარჯვენა წრე) არის დამახასიათებელი. შესაძარებლად შესაძლებელია, ავილოთ არა მარტო ორი, არამედ მეტი, მაგ. სამი ობიექტი: A, B და C.

მაგალითად, გსურთ შეადაროთ ცოცხალი ორგანიზმები აგებულების მიხედვით. საერთო ის არის, რომ ყველა მათგანი უჯრედული აგებულებისაა, განმასხვავებელი კი არის უჯრედების რაოდენობა, რამდენადაც არსებობენ ერთ და მრავალუჯრედიანები. ვენის დიაგრამაზე ეს მსგავსება-განსხვავება ასეთ სახეს იღებს:



სადაც დიაგრამის ორი წრე ერთმანეთს გადაფარავს, აღნიშნულია საერთო, ხოლო გადაუფარავ ადგილებში კი განმასხვავებელი ცოცხალი ორგანიზმების აგებულებაში.

### ცხრილები და დიაგრამები

მონაცემები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ცხრილის სახით. მაგალითად, იყვლევთ ზღვის წყლის შედგენილობას და გსურთ, მონაცემი წარმოადგინოთ ცხრილის სახით. ამ შემთხვევაში ცხრილი ასეთი სახის იქნება:

ზღვის წყლის შედგენილობა		
წყალი	მარილი	სხვა მყარი ნივთიერებები


როდესაც საქმე დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადთან გვაქვს, მაგალითად, უკვე აღწერილ მცენარეზე დაკვირვების შემთხვევაში, ცხრილი შესაძლებელია ასეთი იყოს:

მცენარისათვის მიწოდებული წყლის რაოდენობა	ფოთლების რაოდენობა ყვავილობის დაწყებისათვის
100 გრამი	10
50 გრამი	4

თუ ექსპერიმენტში შემოიტანთ კიდევ ერთ დამოუკიდებელ ცვლადს: მცენარის მორნყვას 20 გრამი წყლით, ცხრილს დაემატება ერთი გრაფა.


მცენარისათვის მიწოდებული წყლის რაოდენობა	ფოთლების რაოდენობა
100 გრამი	10
50 გრამი	4
20 გრამი	2

მონაცემები შეიძლება გამოისახოს დიაგრამით. მაგალითად, წყალში მარილის გახსნის დროზე დაკვირვებისას, ვერტიკალურ ღერძზე დავიტანთ მარილის წყალში გახსნის დროს (მაგ. წუთებში), ხოლო ჰორიზონტალურ ღერძზე აღვნიშნავთ პირობას: 1. წყლის მორევა, 2. მორევის გარეშე. ამ შემთხვევაში დამოკიდებული ცვლადია მარილის წყალში გახსნის დრო, დამოუკიდებული ცვლადია წყლის მორევა. დიაგრამის აგების დროს, ტრადიციულად, ჰორიზონტალურ ღერძზე დაიტანენ დამოუკიდებელი ცვლადის მაჩვენებელს, ხოლო ვერტიკალურ ღერძე – დამოკიდებული ცვლადის მაჩვენებელს.



დიაგრამა გვიჩვენებს, რომ მარილი მორევის შემთხვევაში გაიხსნა 10 წუთში, მორევის გარეშე - 13 წუთში. დიაგრამა მეტად სასარგებლოა, როდესაც ვაკვირდებით მოვლენებს რაღაც პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, ვაკვირდებით როგორ იზრდება ლობიოს აღმონაცენი გარკვეულ პერიოდში, პირველი ფოთლის გაშლიდან 5 დღის განმავლობაში. პირველი ფოთლის გაშლის დღიდან ყოველდღიურად ვზომავთ აღმონაცენის სიგრძეს ნიადაგის ზედაპირიდან აღმონაცენის კენწერომდე 5 დღის განმავლობაში. ვერტიკალურ


ლერძზე დავიტანთ აღმონაცენის სიგრძის მაჩვენებლებს (მილიმეტრებში) ყოველი გაზომვის დროს, ხოლო ჰორიზონტალურ ლერძზე — დაკვირვების დღეებს.



ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ლერძებზე აღებული მონაცემების გადაკვეთის წერტილებს შევაერთებთ ხაზით. მივიღებ მრუდს, რომელიც გიჩვენებს რომ:  
პირველ დღეს აღმონაცენის სიგრძე იყო 22 მმ., მეორე დღეს 24 მმ., მესამე დღეს 25 მმ. და ასე შემდეგ.

### სავარჯიშოები ცხრილების და დიაგრამების ნაკითხვასა და აგებაში

- დიაგრამა №1 უჩვენებს ცხოველურ უჯრედებში მიტოქონდრიების რაოდენობას (ვერტიკალურ ლერძზე: მიტოქონდრიების რაოდენობა, ჰორიზონტალურ ლერძზე: კუნთის (1), კანის (2) და ლვიძლის (3) უჯრედი).  
დიაგრამის მიხედვით უპასუხე:




- როგორია მიტოქონდრიების რაოდენობა კუნთის, კანის და ლვიძლის უჯრედში?
- რომელი უჯრედი გამოიმუშავებს ყველაზე მეტ ენერგიას? პასუხი განმარტე
- ადამიანის რომელი ორგანო: კუნთი, კანი თუ ლვიძლია მეტად აქტიური? პასუხი განმარტე.

2. მეცნიერებმა გუბურიდან აიღეს წყალი, რომელშიც იყო ქალამანები. წყალი ჩაასხეს სპეციალურად მომზადებულ ჭურჭელში. ქალამანებს შეუქმნეს საცხოვრებლად საჭირო ყველა პირობა: საკვები, წყლის სათანადო ტემპერატურა და სხვ. ამის შემდეგ მეცნიერებმა დაიწყეს დათვლა, რამდენი ქალამანა იყო წყალში. მეცნიერებმა დათვალეს ქალამანების რაოდენობა დაკვირვების დასაწყისში და ყოველ მომდევნო დღეს.

დიაგრამა №1 ქალამანების რაოდენობა წყალში

(ცერტიკალურ ღერძზე – რაოდენობა, ჰორიზონტალურ ღერძზე დაკვირვების დღეები)



დიაგრამის მიხედვით უპასუხე:

• როგორი იყო ქალამანების რაოდენობა დაკვირვების დასაწყისში და მომდევნო დღეებში?

- იცვლებოდა თუ არა ქალამანების რაოდენობა? საიდან იცი?
- როგორი იყო ცვლილება: ქალამანების რაოდენობა მატულობდა თუ კლებულობდა?
- დაკვირვების 4-დღიან პერიოდში ქალამანების რაოდენობა ერთნაირად იცვლებოდა?

3. წაიკითხე ცხრილი


მინდვრის თაგვის რაოდენობა სოფელ ახალშენის შემოგარენში 2000-2003 წლებში

წლები	2000	2001	2002	2003
მინდვრის თაგვის რაოდენობა	2000	1500	1200	1200

უპასუხე:

- რას უჩვენებს ცხრილი?
  - იცვლება თუ არა მინდვრის თაგვის რაოდენობა წლების მიხედვით?
  - როგორია ეს ცვლილება: კლებაა თუ მატება?
4. ზემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები ასახულია დიაგრამაში. წაიკითხე დიაგრამა და უპასუხე: სწორად ასახავს თუ არა ის ცხრილის მონაცემებს?

ვერტიკალურ ლერძზე: თაგვების რაოდენობა, ჰორიზონტალურ ლერძზე – წლები.




5. გამოიყენე მონაცემები, შეადგინე ცხრილი და დიაგრამა:

სოფელ ბადიაურში ფერმერი ყოველდღე წველის 5 ძროხას. 5 ძროხისგან მოწველილი რძის რაოდენობა 2010 წლის აგვისტოში შეადგენდა: 10 აგვისტოს – 2.5 ლიტრს, 11 აგვისტოს — 10 ლიტრს, 12 აგვისტოს — 20 ლიტრს.

6. წარადგინე დიაგრამა.

დიაგრამა: მდინარე ნილოსის ნაპირზე (შავი) და მდინარე ზამბეზის ნაპირზე (თეთრი) თითო ნიანგის მიერ მონადირებული ანტილოპების რაოდენობა 2008-2010 წელს



უპასუხე:

- რას ასახავს დიაგრამა?
  - ეს დაკვირვების შედეგია თუ ექსპერიმენტის?
  - როგორია მონადირებული ანტილოპების რაოდენობა ზამბეზის და ნილოსის სანაპიროზე?
  - სად იყო ნადირობა უფრო წარმატებული?
7. სოფელ დოლიანში კალები ძლიერ აფუჭებდნენ ხორბლის მოსავალს. ამიტომ, 2001 წლიდან ხალხმა დაიწყო ყანის ყოველწლიური შენამვლა კალიების საწინააღმდეგო შხამიანი ნივთიერებებით.

წაიკითხე ცხრილი.

მწვანე ხვლიკის რაოდენობა სოფელ დოლიანში

წლები	ხვლიკის რაოდენობა
1999	250
2001	248
2002	46
2003	20

უპასუხე:


- რას უჩვენებს ცხრილი?
- ეს დაკვირვებაა თუ ცდა?
- როგორ იცვლებოდა მწვანე ხვლიკის რაოდენობა 1999-2003 წლებში?
- ივარაუდე: არის შესაძლო კავშირი ყანის შენამვლასა და მწვანე ხვლიკის რაოდენობას შორის?
- რა მონაცემი გაძლევს ამ ვარაუდის შესაძლებლობას?

ცხრილის მონაცემები გამოსახე დიაგრამის სახით.

#### 8. დააკვირდი დიაგრამას.

ერთ ტბაში, სადაც ბევრი მრავალუჯრედიანი წყალმცენარე და აგრეთვე, ბაყაყები ცხოვრობდნენ, სხვა ტბიდან 2008 წელს გადასვეს თევზი — კობრი. დაკვირვება ანარმოეს 3 წლის მანძილზე: პირველ წელს (2007) ტბაში კობრის გადასმამდე და შემდეგი 2 წელი (2008-2009) — კობრის გადასმის შემდეგ.

დიაგრამაზე ასახულია კობრის (1), ბაყაყების (2) და წყალმცენარეების (3) რაოდენობა ტბაში. ვერტიკალურ ღერძზე — რაოდენობა, ჰორიზონტალურ ღერძზე — დაკვირვების წლები.




უპასუხე:

- როგორი იყო კობრის საწყისი რაოდენობა 2008 წელს?
- შეიცვალა კობრის რაოდენობა მისი ტბაში გადასმიდან 1 წლის განმავლობაში? რა მონაცემი ადასტურებს შენს პასუხს?
- როგორი იყო წყალმცენარეების რაოდენობა 2007 წელს?
- შეიცვალა წყალმცენარეების რაოდენობა დაკვირვების პერიოდში? რა მონაცემი ადასტურებს შენს პასუხს?
- როგორი იყო ბაყაყის რაოდენობა 2007 წელს?

- შეიცვალა ბაყაყის რაოდენობა დაკვირვების პერიოდში? რა მონაცემი ადასტურებს შენს პასუხს?

• დიაგრამის მონაცემიდან გამომდინარე, რა შეგიძლია თქვა წყალმცენარეებს, ბაყაყისა და კობრის შორის კავშირის შესახებ? პასუხი დაასაბუთე.

9. მეცნიერებმა შეისწავლეს ნიანგის მიერ დადებული კვერცხის რაოდენობა (I მრუდი) და მის მიერ მონადირებული ანტილოპების რაოდენობა (II მრუდი) 3 წლის განმავლობაში. ვერტიკალურ ღერძზე — რაოდენობები, ჰორიზონტალურ ღერძზე — დაკვირვების წლები



უპასუხე:

- რა ცვლილებას განიცდიდა ნანადირევის და დადებული კვერცხის რაოდენობა 3 წლის განმავლობაში?
- რა კავშირი შეიძლება იყოს ნანადირევის და დადებული კვერცხის რაოდენობას შორის. პასუხი დაასაბუთე.

10. დაუკვირდი ცხრილს. ის უჩვენებს კვლევის შედეგებს. კვლევას უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე: რამდენ დღეში გადაიქცევა თავკომბალა ზრდასრულ ბაყაყად წყალსატევში წყლის სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში.


პერიოდი თავკომბალას გამოჩე- კიდან ზრდასრულ ბაყაყად ჩამოყა- ლიბებამდე (დღეები)	წყალსატევში წყლის ტემპე- რატურა °C
50	15
43	20

უპასუხე:

- რომელია კვლევაში დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადი?
- რა მნიშვნელობა აქვს ტემპერატურას თავკომბალას ჩამოყალიბებისათვის?

11. წაიკითხე დიაგრამა.

დიაგრამა: უჯრედების რაოდენობა მწერის კიდურის ქსოვილში დაკვირვების 3 თვის (1, 2, 3) განმავლობაში



უპასუხებ:

- იცვლება უჯრედების რაოდენობა დაკვირვების განმავლობაში?
- მწერის განვითარების რა პერიოდს შეიძლება ემთხვეოდეს მრუდი: მუხლუხოს დაჭუპრებას, ლარვის მწერად ჩამოყალიბებას თუ ზრდასრული მწერის გამრავლებას ? პასუხი განმარტე.

12. მეცნიერები შეისწავლიდნენ ბაქტერიების გამრავლების ინტენსიობას ჰაერის სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში. ისინი ცვლიდნენ ოთახში ჰაერის ტემპერატურას. აღმოჩნდა, რომ ბაქტერიის უჯრედი იყოფოდა წუთში 2-ჯერ  $50^{\circ}\text{C}$ -ზე, 10-ჯერ -  $200^{\circ}\text{C}$ -ზე, 20-ჯერ -  $350^{\circ}\text{C}$ -ზე. ამ ინფორმაციის მიხედვით განსაზღვრე, რომელია დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები და ააგე სათანადო დიაგრამა.

### პასუხი ცხრილების და დიაგრამების სავარჯიშოში მოცემულ კითხვებზე

1.

- კუნთის უჯრედში - 3700, კანის -250 და ღვიძლის უჯრედში 2400
- კუნთის, რადგან იქ ყველაზე მეტი მიტოქონდრიებია
- კუნთი, რადგან რაც უფრო აქტიურია ორგანო, მეტი ენერგია სჭირდება

2.

- 20000, 50000, 70000, 150000
- იცვლებოდა, ამას გვიჩვენებს მათი რიცხვის შედარება
- მატულობდა
- მეორე დღეს უფრო დიდი მატებაა, ვიდრე მესამე დღეს, ხოლო მეოთხე დღეს ყველაზე დიდი მატებაა


3.

- ცხრილი უჩვენებს მინდვრის თაგვის რაოდენობა სოფელ ახალშენის შემოგარენში 2000-2003 წლებში
- იცვლება.
- კლებაა 2001 და 2002 წლებში, უცვლელია 2003-ში
- დაკვირვების შედეგია

4. დიაგრამა სწორად არ ასახავს ცხრილის მონაცემებს. მეორე სვეტი უნდა იყვეს 1500

5.

დღეები	10 აგვისტო	11 აგვისტო	12 აგვისტო
რძის რაოდენობა (ლ)	2.5	10	20




6.

- დიაგრამა ასახავს 2008-2010 წლებში მდინარეების - ნილოსის და ზამბეზის ნაპირზე თითო ნიანგის მიერ მონადირებული ანტილოპების რაოდენობას.
- დაკვირვების შედეგია
- ზამბეზი: 8, 8, 11, ნილოსი 4,9,6
- ზამბეზზე

7.

- ცხრილი უჩვენებს მწვანე ხვლიკის რაოდენობა სოფელ დოლიანში
- დაკვირვებაა
- რაოდენობა თითქმის იგივეა 1999, 2001 წლებში და განუხრელად კლებულობს მომდევნო წლებში
- ხვლიკის რაოდენობამ დაიწყო კლება შეწამვლის დაწყებასთან ერთად (სავარაუდოდ შხამქიმიკატისგან კლებულობს კალიების რაოდენობა, ხოლო კალიები ხვლიკის საკვებია, ამიტომ მისი რაოდენობა კლებულობს კალიების რაოდენობის კლების პარალელურად)



8.

- 250
- მოიმატა. ამას ადასტურებს მრუდი
- 1500
- რაოდენობამ იკლო. ამას გვიჩვენებს მრუდი
- 480
- არ შეცვლილა მრუდის მიხედვით
- სავარაუდოდ კობრმა შეჭამა წყალმცენარეები

9.

- მეორე წელს ორივემ იმატა, მესამე წელს ორივემ იკლო
- სავარაუდოდ, რაც უკეთ იკვებება ნიანგი, მეტ კვერცხს დებს


10.

- დამოკიდებული ცვლადია თავკომბალას ზრდასრულ ბაყაყად გადაქცევა, დამოუკიდებელი ცვლადია ტემპერატურა
- აჩქარებს თავკომბალას განვითარებას

11.

- უჯრედების რაოდენობა მატულობს
- ლარვის მწერად ჩამოყალიბებას, რადგან ამ დროს ხდება მწერის სხეულის ფორმირება

12.



## პრობლემის გადაჭრა და კრიტიკული აზროვნება

**რას ნიშნავს პრობლემის გადაჭრა და კრიტიკული აზროვნება, რით გასხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან და რა აქვთ საერთო?**

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

1.

საკითხი: როგორ გავარკვიოთ, დაბინძურებულია თუ არა სასმელი წყალი	
პრობლემის გადაჭრა	კრიტიკული აზროვნება
<p>ავილეთ წყლის ნიმუში და დავათვალიერეთ მიკროსკოპის ქვეშ. ნიმუში არ აღმოჩნდა ერთუჯრედიანი ორგანიზმები. დასკვნა: წყალი სუფთაა.</p>	<p>მიღებული შედეგი შესაძლებელია არ იყოს სანდო. შესაბამისად, დასკვნა შესაძლებელია იყოს მცდარი. არგუმენტი:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>შესაძლებელია, რომ ერთუჯრედიანი ორგანიზმები არის წყალში, მაგრამ არ მოყვა აღებულ ნიმუშებს. როგორ გადავჭრათ პრობლემა? უნდა ავილოთ ბევრი ნიმუში და ყველა დავათვალიეროთ მიკროსკოპის ქვეშ</li> <li>შესაძლებელია, რომ გამოყენებულ მიკროსკოპს არ აქვს სათანადო გადიდება, რის გამოც ვერ მოხერხდა ერთუჯრედიანების დანახვა წყლის ნიმუშები.</li> </ol> <p>როგორ გადავჭრათ პრობლემა? გამოვიყენოთ უფრო ძლიერი გადიდების უნარის მქონე მიკროსკოპი</p>

აღნერილ შემთხვევაში ადამიანი მოიფიქრებს პრობლემის გადაჭრის გზას და გადაჭრის პრობლემას. მაგრამ შედეგის კრიტიკული ანალიზის დროს იწყებს ფიქრს, რამდენად სანდოა ეს შედეგი და მოიძიებს არგუმენტებს სანდოობის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ. ამის შემდეგ ადამიანი ეძებს პრობლემის გადაჭრის ახალ გზას.

2.

საკითხი: როგორ ვრცელდება ქალაქში ინფექციური დაავადება (ერთი რომელიმე დაავადება) ადამიანებში	
მოსაზრება	კრიტიკული აზროვნება

დაავადება გადაეცემა ჰაერით. შესაძლებელია, რომ დაავადება არ გადაეცემა ჰაერის საშუალებით. არგუმენტი: დაავადება რომ ჰაერით გადადიოდეს, მაშინ დაავადებულთა რაოდენობა ქალაქის სხვადასხვა უნდა დაახლოებით თანაბარი უნდა იყოს. ეს ასე არ არის.

ვარაუდი: შესაძლებელია, დაავადება გადაეცემა სასმელი წყლით.

როგორ გადავჭრათ პრობლემა? თუ ვარაუდი სწორია, მაშინ არ უნდა ავადდებოდნენ ისინი, ვინც ანადუღარ წყალს სვამს. შევამოწმოთ, როგორ წყალს სვამდნენ ავადმყოფები და ჯანმრთელები (ანადუღარს თუ პირდაპირ ონკანიდან)

ამ შემთხვევაში პრობლემა უკვე გადაჭრილია, უკვე არსებობს კითხვაზე პასუხი, მოსაზრება: დაავადება ჰაერით ვრცელდება, მაგრამ ადამიანი ეჭვს ქვეშ აყენებს

არსებულ მოსაზრებას და იწყებს მის კრიტიკულ ანალიზს. ამისათვის ეძებს არგუმენტებს, რატომ არის ეს მოსაზრება საეჭვო, შემდეგ გამოთქვამს საკუთარ ვარაუდს და ეძებს პრობლემის გადაჭრის ახალ გზას.

კრიტიკული აზროვნების დროს საჭიროა არა მარტო მოსაზრების სასარგებლო ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა, არამედ იმის მოფიქრებაც, სამართლიანია, სწორია თუ არა ეს არგუმენტი.

მაგალითად:

3.

მოსაზრება	მოსაზრების სასა-რგებლო არგუმენტი	ამ არგუმენტის კრიტიკა
კონკრეტული ინფექ-ციური დაავადება გადაეცემა სასმელი წყლით	ჩვენ ოჯახში მხოლოდ ანადუღარ წყალს ვიყენებთ და არ ვართ ამ დაავადებით ავად	ერთი ოჯახის მაგალითი სანდო არ არის, უნდა შემოწმდეს რაც შეიძლება ბევრი ოჯახი
მცენარეს ზრდისთვის სჭირდება დღეში 20 ლიტრი წყალი	20 ლიტრს რომ ვუსხავთ, მიწა მთლიანად შეიწოვს ხოლმე	შესაძლებელია, წყალი ნაწილდებოდეს ნიადაგში და არ მიტნოდებოდეს მთლიანად მცენარეს. უნდა შემოწმდეს.

სამივე შემთხვევაში კრიტიკულ აზროვნებას მოსდევს ახალი პრობლემის დასახვა და მისი გადაჭრა. ამიტომ პრობლემის გადაჭრა და კრიტიკული აზროვნება ურთიერთში გარდამავალი პროცესებია. თუმცა კრიტიკული აზროვნება აზროვნების უფრო მაღალი დონეა.

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი კითხვები, რომელსაც დაუსვამენ ხოლმე მოსწავლეს მისი კრიტიკული აზროვნების უნარის გასავითარებლად:

- საიდან იცი?
- რატომ ფიქრობ, რომ ეს მართლაც ასეა?
- რით დაამტკიცებ შენს მოსაზრებას? გაქვს სათანადო არგუმენტი?
- რა შემთხვევაში შეიცვლიდ აზრს?
- სხვა კიდევ რა შეიძლება იყოს მიზეზი?
- ეს ფაქტი გამოსადეგია ამ მოვლენის ასახსნელად?
- ამ ორი მოვლენის მსგავსება მოჩვენებითი ხომ არ არის?
- რამდენად სწორია მოსაზრება რომ . . .

### საშუალო გარვეეშელი და სტადირტული გადახრა.

კვლევაში მიღებული მონაცემების დასამუშავებლად იყენებენ **საშუალო მაჩვენებელს** და ამ მაჩვენებლისაგან **სტანდარტულ გადახრას.**

საშუალო მაჩვენებელი გამოითვლება ასეთი წესით. დავუშვათ, ადამიანების მიერ დღე-დამეში მიღებულ წყლის რაოდენობაზე დაკვირვებამ უჩვენა, რომ 100-კაციან ჯგუფში სხვადასხვა ცდის პირის მიერ მიღებული წყლის რაოდენობა (ლიტრებში) შეადგენს: 2, 2.2, 2.5, 2.7, 3, 3.3, 3.5, 3.8, 4. ამგვარად, სახეზეა ცხრა მონაცემი. ამ მონაცემების საშუალო მაჩვენებელი იანგარიშება როგორც მონაცემების ჯამის ( $2 + 2.2 + 2.5 + 2.7 + 3 + 3.3 + 3.5 + 3.8 + 4 = 27$ ) განაყოფი მონაცემების რაოდენობაზე (9). ამგვარად,  $27 : 9 = 3$ .

საშუალო მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენ წყალს იღებან დღე-ლამეში კვლევის ქვეშ მყოფი ადამიანები.


რამდენად სწორია საშუალო მაჩვენებლის მიხედვით მთელ საკვლევ ჯგუფზე მსჯელობა? ანუ, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფ 100-კაციან ჯგუფს ახასიათებს დღე-ლამეში საშუალოდ 3 ლ. წყლის მიღება?

ამ სახის პრობლემის გადასაწყვეტად, საშუალო მაჩვენებლის გამოთვლის შემდეგ ანგარიშმობენ ამ მაჩვენებლიდან სტანდარტულ გადახრას.

**სტანდარტული გადახრის არსის გასაგებად გავარკვიოთ, რას ნიშნავს მონაცემების ნორმალური განაწილება.**

მონაცემების ნორმალური განაწილება ნიშნავს, რომ მონაცემების რიგში (მაგ, ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში, რიგში 2, 2.2, 2.5, 2.7, 3, 3.3, 3.5, 3.8, 4.) რიგის წევრთა უმრავლესობის მაჩვენებლები ახლოს არის საშუალოსთან და იშვიათია ისეთი წევრები, რომელთა მაჩვენებლები საშუალოსაგან მკვეთრად განსხვავებულია.

მონაცემების ნორმალური განაწილების დიაგრამაზე მრუდს აქვს ხოლმე “ზარის” ფორმა.



ჰორიზონტალურ ლერძზე ( $X$  ლერძზე) დატანილია ის მაჩვენებლები, რომლებზედაც მიმდინარეობს დაკვირვება (მაგ. მიღებული წყლის რაოდენობა: 2, 2.2, 2.5, 2.7, 3, 3.3, 3.5, 3.8, 4.), ხოლო ვერტიკალურ ლერძზე ( $y$  ლერძზე) ნაჩვენებია, თუ რამდენჯერ გვხდება თითოეული მაჩვენებელი (ჩვენს შემთხვევაში, 100 კაციდან რამდენი ადამიანი იღებს 2 ლიტრს, რამდენი - 2.2 ლ-ს და ა.შ.). მრუდი უჩვენებს, რომ გამოკვლეულ ადამიანებს შორის ჭარბობს ის ადამიანები, რომელთა მიერ მიღებული წყლის რაოდენობა ემთხვევა საშუალო მაჩვენებელს (3 ლ-ს) ან ძლიერ ახლოს დგას მასთან (მაგ. 2.7, 3.3). მრუდის მიხედვით იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთა მაჩვენებელი შედარებით შორს დგას საშუალოსგან, ნაკლებია. ყველაზე ცოტაა საშუალოსგან განსაკუთრებით განსხვავებული (2 ლ და 4 ლ) მაჩვენებლები.

მრუდი გვიჩვენებს, რომ დაკვირვების შედეგად მიღებული მაჩვენებლების მხოლოდ მცირე ნაწილია მკეთრად გადახრილი საშუალო მაჩვენებლისგან. ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საშუალო მაჩვენებელი ახასიათებს საკვლევ ჯგუფს, კერძოდ, საკვლევი ადამიანების ჯგუფი მართლაც ხასიათდება დღე-ლამეში საშუალოდ 3 ლ. წყლის მიღებით.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, მრუდის “ზარს” ქონდეს უფრო ბრტყელი ფორმა, მაგალითად, თუ 100-კაციან ჯგუფში ადამიანების რაოდენობა, რომლებიც დღე-ლამეში იღებენ 2 და 4 ლიტრ წყალს უფრო დიდი იქნება. ასეთ შემთხვევაში შებრტყელებული მრუდი გვიჩვენებს, რომ დაკვირვების შედეგად მიღებული მაჩვენებლების საკმაოდ დიდი ნაწილი მკვეთრად გადახრილია საშუალო

მაჩვენებლისაგან. მაშასადამე, საშუალო მაჩვენებელი ნაკლებად გამოსადეგია მთელი საკულევი ჯგუფის დახასიათებისათვის.



საშუალო მაჩვენებლიდან გადახრას **სტანდარტული გადახრა** ეწოდება.


ამგვარად, სტანდარტული გადახრა გვიჩვენებს, ახასიათებს თუ არა ზოგადად საშუალო მაჩვენებელი იმ მოვლენას, რომელსაც ვსწავლობთ.

სტანდარტულ გადახრას აქვს თავისი ნორმა. კერძოდ, ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სტატისტიკოსები გამოთვლიან გადახრის რა სიდიდეა დასაშვები იმისათვის, რომ დაკვირვების ქვეშ მყოფ მოვლენაზე ვიმსჯელოთ საშუალო მაჩვენებლის მიხედვით.


**სტანდარტული უჯრედის აჩვეულება ცოცხალი მოგანიჭების პლასიტიკასი, ალკოჟი კლასების დახასიათება, გამრავლების ფილი,**

მცენარეული, სოკოს და ცხოველური უჯრედის აგებულების ძირითადი თავისებურებები: (შენიშვნა: თანამედროვე ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „ორგანელები“ თუმცა დასაშვებია ტერმინიც „ორგანოდები“).






### ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია




### ხერხემლიანთა კლასების ძირითადი ნიშანთვისებები



ცხოვრობენ ხმელეთზე, ზოგიერთი გარკვეულ პერიოდს ატარებს წყალში ან სულ წყალში ცხოვრობს, სხეული დაფარულია მშრალი კანით და ბალნით, მოძრაობები 4 კიდურის საშუალებით, წყლის ცხოველები კუდის და ფარფლების დახმარებით აქვთ სამნაირი ფორმის კბილები, სუნთქავენ ფილტვებით, ნაშიერს კვებავენ ორგანიზმში გამომუშავებული რძით

შენიშვნა: ზოგჯერ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეს, რომ ძუძუმწოვრების განმასხვავებელი ნიშანია პლაცენტა. ეს ასე არ არის. პლაცენტა აქვს ძალიან ბევრ ხერხემლიან და უხერხემლო ცხოველს. განსხვავება ის არის, თუ რომელი ქსოვილისგან არის წარმოშობილი პლაცენტა და როგორია მისი განვითარების ხარისხი.



ცხოვრობენ ხმელეთზე, ზოგიერთი გარკვეულ პერიოდს ატარებს წყალში, სხეული დაფარულია მშრალი კანით და ქერცლით, მოძრაობები და დაცურავენ 4 კიდურის საშუალებით, გველებს კიდურები არ აქვთ და მოძრაობები სხეულის მოხრა-გაშლის საშუალებით, აქვთ ერთნაირი ფორმის წაწეტებული კბილები, სუნთქავენ ფილტვებით

## ცოცხალი ორგანიზმები

### ფრინველები

ცხოვრობენ ხმელეთზე, ზოგიერთი გარკვეულ დროს წყალში ატარებს, სხეული დაფარულია მშრალი კანით და ბუმბულით, ფრენენ ფრთების საშუალებით, სუნთქავენ ფილტვებით, ახასიათებთ ორმაგი სუნთქვა, კბილები არ აქვთ

### ცხოველთა სამეფო

#### თევზები

ცხოვრობენ წყალში, სხეული დაფარულია ქერცლით და ლორნოთი, ძირითადად სუნთქავენ ლაყუჩებით, ცურავენ კუდის და ფარფლების საშუალები, აქვთ ერთნაირი ფორმის წაწვეტებული კბილები

#### ამფიბიები

სხეული დაფარულია ნაზი კანით და ლორნოთი, ცხოვრობენ წყალში და ხმელეთზე, წყალში სუნთქავენ ძირითადად კანით, ხმელეთზე ფილტვებით, აქვთ 4 კიდური, ზოგიერთს კუდიც, აქვთ ერთნაირი ფორმის წაწვეტებული კბილები

### 2.4. უხერხემლო ცხოველების დახასიათება

#### უხერხემლო ცხოველები

##### ფეხსახსრიანები აქვთ დასახსრული კიდურები და გარეგანი ჩონჩხი

კლასი მწერები: აქვთ ფრთები, 6 კიდური, სხეული დაყოფილია სამ განყოფილი დაყრდნობით, სუნთქავენ ტრაქეებით

კლასი ობობასნაირები: აქვთ 8 ფეხი, სუნთქავენ ტრაქეებით და ფილტვებით, აქვთ შეამიანი ჯირჯვები

კლასი კიბო-სნაირები: აქვთ მრავალი ფეხი, ნინა ფეხები გადაქცეულია მარნუხებად, უკანა ფეხი – ფარფლად, სუნთქავენ ლაყუჩებით


სხეული რბილია, ლორნოთი დაფარული, აქვთ ნიჟარა, წყალში სუნთქავენ ლაყუჩებით, ხმელეთზე უანგბადს ითვისებს კანი, გადაადგილდებიან ფეხის დახმარებით

##### მოლუსკები


##### სხვა უხერხემლოები

აქვთ ლორნოთი დაფარული რბილი სხეული, ერთი ან მრავალი კიდური, სუნთქავენ სხეულის ზედპირით, ზღვის ვარსკვლავის სხეული დაფარულია ეკლიანი კანით


## ცხოველების გამრავლების ციკლი (მეტამორფოზი)



## მცენარეების კლასიფიკაცია



მცენარეების გამრავლება (ცხრილში არ არის აღნიშნული ვეგეტატური გამრავლება ფესვით, ფოთლით, ლეროთი)



## როგორ გავხადოთ გაკვეთილი ინტერაქტიული

(გაგებაზე, ანალიზზე მიმართული შეკითხვები, დისკუსიის წარმართვა, ტექსტებზე მუშაობა, კვლევა გაკვეთილის სცენარები)

(ეს თავი ეხება ზოგადად სწავლების საკითხებს და არა მარტო ბუნებისმეტყველების სწავლებას)

სასწავლო თემების, საკითხების დამუშავება რუტინულ სწავლებას მოითხოვს. ტერმინი „რუტინული”, ამ შემთხვევაში, მხოლოდ დადებით დატვირთვას ატარებს, რადგან რუტინულ სწავლებაში იგულისხმება თანმიმდევრული, ლოგიკურად აწყობილი სასწავლო პროცესი, რომლის დროსაც მოსწავლეს ვაწვდით ცოდნას და მისგან ვითხოვთ ამ ცოდნის მიღებას და გამომჟღავნებას. ამიტომ მასწავლებელი იბნევა და შეიძლება, გაღიზიანდეს კიდევაც, როდესაც მას სთხოვენ, რომ გაკვეთილი არ გადაიქცეს რუტინად, იყოს ინტერაქტიული და მოსწავლეთათვის საინტერესო და სახალისო. მასწავლებლის პოზიცია ამ შემთხვევაში გასაგებია: ის ფიქრობს, რომ „შოუს“ მოწყობას სთხოვენ და არა სასწავლო პროცესის სათანადოდ გაძლილას.

შეიძლება თუ არა რუტინული გაკვეთილის ჩატარება (რაც, მართლაც აუცილებელია) ისე, რომ ის იყოს ინტერაქტიული, საინტერესო და სახალისო მოსწავლისათვის?

შევადაროთ რუტინული გაკვეთილის ორი ვარიანტი. როგორც წესი, ახალი მასალის ახსნა უფრო რუტინულია, ვიდრე გამოკითხვა. ამიტომ ახსნაზე გავამახვილოთ ყურადღება:

ვარიანტი 1	ვარიანტი 2
მასწავლებელი თვითონ უკითხავს მოსწავლეებს სასწავლო ტექსტს (მაგ. მხატვრულ ნაწარმოებს, სახელმძღვანელოს ან დამატებითი რესურსს ტექსტს)	ტექსტს კითხულობენ თვითონ მოსწავლეები
მასწავლებელი თვითონ იძლევა ტექსტის რთული ადგილის, უცნობი სიტყვის განმარტებას	სთხოვს მოსწავლეებს, თავად განმარტონ ტექსტის რთული ადგილი, უცნობი სიტყვა, განმარტონ ავტორის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხი* და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მათ
მასწავლებელი არ იყენებს სოკრატესულ შეკითხვებს.	<p>მასწავლებელი იყენებს სოკრატესულ შეკითხვებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტექსტის ნაწყვეტი განმარტა გიამ. ელენე, განმარტე ეს ნაწყვეტი სხვა სიტყვებით (ან, ელენე, ამისხენი, რა იგულისხმა გიამ.)</li> <li>• შესაძლებელია ამ ნაწყვეტის სხვაგვარი ინტერპრეტაცია? მაგალითად. . .(თვითონ სთავაზობს სხვა ინტერპრეტაციას, მართებულს ან მცდარს და ელოდება მოსწავლეების პასუხს)</li> <li>• შეიძლება ამ სიტყვის გამოყენება სხვა სიტუაციაში? (სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით)</li> <li>• რა ხერხს (მეტაფორას, ალიტერაციას, ალუზიას ა.შ.) გამოიყენებდით ასეთ შემთხვევაში? (აღნერს რაღაც სიტუაციას)</li> </ul>
არ იყენებს თეზაურუსის ტექნიკას: თავად მიანიშნებს მთავარსა და მეორეხარი-სხოვანზე	სთხოვს მოსწავლეებს, გამოყონ მთავარი და მეორეხარისხოვანი ტექსტიდან
მასწავლებელი არ იყენებს რესურსებს	იყენებს სხვადასხვა დამხმარე საშუალებებს**

\*ცხადია, რომ მოსწავლე ვერ მოახერხებს, სრულფასოვნად განმარტოს უცხო ტექსტი, სიტყვა (ტერმინი) ან მხატვრული ხერხი. ეს არ არის მთავარი. მთვარია, მოსწავლე დაფიქრდეს და სცადოს განმარტება.

მაგალითად, ერთშემთხვევაში, ტექსტში არსებული მაგალითის მიხედვით მასწავლებელი უხსნის მოსწავლეს თუ რას ნიშნავს მეტაფორა, ანუ აწვდის მოსწავლეს მზა ინფორმაციას. ამ შემთხვევაში მოსწავლის აქტივობა მხოლოდ დამახსოვრებაა. სხვა შემთხვევაში მასწავლებელი სვამს კითხვას: “რა ხერხს იყენებს ავტორი, რათა დაგვანახოს, როგორია პერსონაჟი, ბუნება, სიტუაცია, როგორ მოიქცა პერსონაჟი, რა, როგორ განიცადა და სხვა?” მოსწავლების პასუხის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი განმარტავს, რომ ხერხი, რომელიც გამოიყენა ავტორმა, არის მეტაფორა და მეტაფორა ნიშნავს ამას და ამას. ამ შემთხვევაში მოსწავლე თავად მიღის მეტაფორის არსის გაგებამდე, მასწავლებელს ისლა დარჩენია, რომ მეტაფორა უფრო კვალიფიციურად განმარტოს (თუ თვლის, რომ ეს აუცილებელია). შესაძლებელია, განმარტებაც კლასს გააკეთებინოს, თვითონ კი მას მხოლოდ გამართული სახე მისცეს.

\*\*განსაკუთრებით ერთფეროვანი ხდება ხოლმე დიდტანიანი ნაწარმოებების შესწავლა. ამ დროს შესაძლებელია, დრო და დრო, კლასში ტექსტის კითხვა მასწავლებელმა შეცვალოს მოსმენით. მაგ, ფირფიტებით, დისკებით რომლებზეც ჩაწერილია ჩვენი მსახიობების მიერ წაკითხული ნაწყვეტები სხვადასხვა ნაწარმოებიდან. ერთ გაკვეთილზე შესაძლებელია სხვადასხვა მსახიობის მიერ წაკითხულის (ერთი და იგივე წაწყვეტის) შედარება და განხილვის მოწყობა.

დამხმარე საშუალებებიდან (რესურსი) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამატებითი ტექსტები ანუ საკითხავი მასალა

აյ მოვიყვანთ მაგალითს ისტორიის გაკვეთილისათვის, თუმცა ნებისმიერი საგნის მასწავლებელი ადვილად მიხვდება, თუ როგორ მიუსადაგოს ეს მეთოდი საგანს, რომელსაც ასწავლის.

გაკვეთილზე ასახსნელია თემა: „ისტორიული წყაროები“. მას შემდეგ, რაც განიმარტება რა არის ისტორიული წყარო, როგორ იწერება და სხვ. შეიძლება, მოსწავლეები ვამუშაოთ რამდენიმე ისტორიული წყაროს შეჯერებაზე. ამ სამუშაოს მიზანი: 1. მოსწავლე თავად მუშაობს და არ ისმენს მზა ინფორმაციას, ივითარებს მონაცემების შედარების, კრიტიკული აზროვნების უნარს, 2. სწავლობს (ოლონდ, მიაქციეთ ყურადღება, თვითონ, მუშაობის პროცესში) რომ ისტორიული მოვლენის შესახებ მხოლოდ ერთი წყაროთი მსჯელობა ძნელია, რადგან ხშირია უზუსტობები, შეცდომები, ფაქტების დამახინჯება (უნებლიერ ან განზრახ) და სხვ.

ამგვარად, მოსწავლე თავად შეიმეცნებს იმას, რაც მასწავლებელს უნდა ეთქვა. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე გაკვეთილზევე სწავლობს ახალ მასალას: როგორც ახლა ამბობენ - სწავლობს კეთებით, ინტერაქტიული გზით.

როგორ ტარდება ასეთი გაკვეთილი:

მასწავლებელი ამზადებს საკითხავ მასალას, მაგალითად, ამობეჭდავს სახარების იმ ადგილს, სადაც აღწერილია მაცხოვრის შებრძანება იერუსალიმში. ინტერნეტში პოულობს იმდროინდელი იერუსალიმის რუკას.

მასწავლებელი ამ მასალას აწვდის მოსწავლეებს (ჯგუფს ან ინდივიდუალურად) და სთხოვს, გამოიყენონ რუკა და შეადარონ, რამდენად სწორად აღწერენ მახარებლები მაცხოვრის მიერ გავლილ გზას და იმ მოვლენათა თანმიმდევრობას და შინაარსს, რომლებიც თან ახლავს მაცხოვრის ცხოვრების ამ ეპიზოდს. ეს აქტივობა ტარდება მაღალ კლასებში და მოითხოვს მინიმუმ 15, მაქსიმუმ 30 წუთს. ბავშვები ძალიან ადვილად პოულობენ შეუსაბამობებს რუკასა და მახარებლებისეულ ტექტსებს შორის.

ეს არ არის აქტივობა რელიგიის სწავლების მიზნით, ეს არის აქტივობა ისტორიული წყაროების თავისებურებების გააზრების მიზნით. ეს აქტივობა უჩვენებს მოსწავლეებს როგორ შეიძლება განსხვავდებოდეს ერთი და იგივე მოვლენის აღნერა სხვადასხვა ადამიანისმიერ.

აქტივობის ჩატარების შემდეგ კეთდება დასკვნები (თავად მოსწავლეების მიერ, მასწავლებლის დახმარებით). ამის შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ დავალება დააზუსტონ გზა რუკის და სახარებისეული ტექსტების შეჯვრების გზით.

აქ მასწავლებლის შრომა გართულებულია: მან უნდა მოამზადოს საკითხავი ტექსტი (აკრიფოს, ამობეჭდოს), იპოვოს ინტერნეტში სათანადო რუკა და ამობეჭდოს. მაგრამ ეს იყავებს დაახლოებით ნახევარ საათს, რომელსაც, წესით, მასწავლებელი ისედაც უნდა უთმობდეს გაკეთილისათვის მომზადებას. ისტორიული წყაროები მოცემულია სახელმძღვანელოებშიც, თუმცა სასურველია, რომ ისინი ამონაბეჭდის (საკითხავი მასალის) სახით იქონიოს პედაგოგმა.

მეორე მაგალითი ბიოლოგის გაკეთილისათვის:

თემა „ბირთვი“, მერვე კლასი

ასახსნელია ბირთვის აგებულება და ფუნქცია.

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს საკითხავ მასალას: იოაპიმ ჰემერლინგის ექსპერიმენტი. ამ ექსპერიმენტში ნაჩვენებია, რომ ბირთვშია ის ინფორმაცია, რომელიც განაპირობებს უჯრედის აგებულებას და ფუნქციას.

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება: ნაიკითხონ ტექსტი, გამოყონ მთავარი მომენტები: კერძოდ, გაარკვიონ რა მიზნით და რა მეთოდით ჩატარდა, ცდა რა შედეგი მიიღო ჰემერლინგმა და რა დასკვნა გამოიტანა (ეს ყველაფერი ტექსტში მოცემულია). ამის შემდეგ მასწავლებელი იწყებს დისკუსიას: 1. რა მონაცემის საფუძველზე გააკეთა ჰემერლინგმა ეს დასკვნა, 2. როგორ შეიცვლებოდა ეს დასკვნა, თუ ცდის შედეგი იქნებოდა არა ის, რაც ჰემერლინგმა სინამდვილეში მიიღო, არამედ განსხვავებული (სთავაზობს რაღაც განსხვავებულ ვერსიას), 3. სხვანაირად კიდევ როგორ შეიძლებოდა ამ ცდის ჩატარება და სხვ. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ყველა ამ კითხვათაგანი სოკრატესეულია \*\*\* (იხ. მომდევნო გვერდი).

როგორც ხდებავთ, საკითხავ მასალაზე მუშაობა მხოლოდ ზრდის მასწავლებლის დატვირთვას, მართალია ის ნაკლებს ლაპარაკობს და ძირითადად მოსწავლეებს აძლევს აზროვნების, სასწავლო მასალის ანალიზის საშუალებას, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს ძალიან რთული გასაკეთებელია. ამ პროცესში კლასიც არ ზის გასუსული (ძველად დირექტორებს და მეთოდისტებს მოსწონდათ: კლასთან გავიარე და ბუზის გაფრენა ისმოდაო), მაგრამ საქმე კეთდება.

მაინც რა საქმე კეთდება? მოსწავლეს არ სძინავს გაკვეთილზე, აზროვნებს, დაღეჭილ მასალას კი არ იღებს, არამედ თვითონ ქმნის თავის ცოდნას („სწავლა კეთებით“). არც მასწავლებელი დგას საკუთარი საგნის ცოცხალი ძეგლივით გაკვეთილზე, მონაწილეობს მოსწავლესათან ერთად დისკუსიაში, მოქმედებს აქტიურად და ამისაგან თავად იღებს სიამოვნებას.

ხდება ხოლმე, რომ როდესაც ჩვენს მიერ ჩატარებული გაკვეთილი მოსაწყენია, ვერ ვახერხებთ კლასის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში, თავს ვიმშვიდებთ იმით, რომ ერთი მოსწავლე ძალიან ინტერესით გვისმენს და დავალებებაც ასრულებს. გამოდის, რომ ეს ერთია კლასში რაც არის, და დანარჩენები კი უვარგისები? ამ შემთხვევაში დაფიქრება გვმართებს: ამ მოსწავლეს იმთავითვე ხომ არ აინტერესებდა ეს საგანი

(ადრეც მოსწონდა სპორტი, ბიოლოგია, ლიტერატურა თუ მუსიკა), ამიტომაც არის გაკვეთილით დაინტერესებული, დავალებებიც კარგად გამოსდის, სხვებს ჯობნის ამ საგანში და მაშასადამე, მოტივირებულია თავისთავად და არა ჩვენი დამსახურებით. დანარჩენების დაინტერესება კი ვერ შევძელით.

სოკრატესულ შეკითხვებთან დაკავშირებით: ზოგჯერ ვიკითხავთ „რატომ“ და ვთვლით, რომ სოკრატესული შეკითხვა დავსვით. მაგალითად: კითხვა: „რაში ეხმარება დათვს ბეწვი?“ პასუხი: „ბეწვი უნარჩუნებს დათვის სხეულს სითბოს და იცავს მას გადაციებისაგან“. შეკითხვა გულისხმობს მზა ცოდნიდან გამომდინარე პასუხს. კითხვა: „დათვი ბეწვით არის დაფარული. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სკუნსიც ბეწვით არის დაფარული, თუ ვიცით, რომ ის და დათვი ორივე ძუძუმწოვრები არიან?“ პასუხი: „რადგან ორივე ძუძუმწოვრარი არიან, მათ უნდა ქონდეთ საერთო ნიშნები. ამიტომ მოსალოდნელია, რომ სკუნსიც ბეწვით იყოს დაფარული“. შეკითხვა არ გულისხმობს მზა ცოდნიდან გამომდინარე პასუხს (მოსწავლემ არ იცის, რა არის სკუნსი). პასუხი გულისხმობს ვარაუდის გამოთქმას, განზოგადების გაკეთების უნარს, თუმცა ცხადია, ეფუძნება გარკვეულ ცოდნას ძუძუმწოვრების შესახებ. ამ შეკითხვას მოსდევს მეორე: „შეგიძლია შენი მოსაზრება განამტკიცო რაიმე მონაცემით?“. აქ მოსწავლე ეჩვევა არგუმენტების მოყვანას, ოღონდ არა მზა არგუმენტების, რომლებიც ისედაც ცხადია, არამედ მის ცოდნაში, გამოცდილებაში არსებულის მოძიების გზით. შეკითხვა: „რა ჯობს, გავუკეთოთ რესტავრაცია ნერონის დროინდელ ვაზას, თუ შევინარჩუნოთ ის იმ სახით, როგორიც ამჟამად აქვს?“ შეკითხვა გულისხმობს არჩევანს მოსწავლის გემოვნების ან მასწავლებლის მიერ ნასწავლი, მზა არგუმენტის მიხედვით. რაიმე სპეციალურ გონების დაძაბვას ის არ მოითხოვს. სოკრატესული იქნებოდა შეკითხვა: „რა უნდა ვიცოდეთ იმისათვის რომ გადავწყვიტოთ, გავუკეთოთ თუ არა ნერონის დროინდელ ვაზას რესტავრაცია?“ შეკითხვა გულისხმობს დისკუსიას (მასწავლებლის მონაწილეობით), სადაც მოსწავლეები გამოთქვამენ აზრს და დისკუსიის გზით და მასწავლებლის დახმარებით იღებენ იმ აუცილებელ ცოდნას (ან ცოდნის ნაწილს), რომელიც საჭიროა საკითხის გადასაწყვეტად. შეკითხვა: „რატომ შეაკლა ჯოყოლამ თავი ქისტებს?“ იმიტომ რომ . . . . და ამას მოსდევს ნასწავლი ტრაფარეტი ჯოყოლას მსოფლმხედველობის შესახებ. როგორ გავხადოთ შეკითხვა სოკრატესეული? „როგორ მოიქცეოდა ჯოყოლა ამა და ამ სიტუაციაში (სიტუაციას სთავაზობს მასწავლებელი)“ ან, „როგორ მოიქცეოდა ჯოყოლას ადგილზე ჯაყო“, ან „აღმოჩნდებოდა ჯოყოლას ადგილზე ჯაყო?“ გასაგებია, რატომ იწვევს ეს შეკითხვები სააზროვნო პროცესის მეტად გაძლიერებას პირველ შეკითხვასთან შედარებით.

არავინ არის წინააღმდეგი კითხვის „რატომ“, ეს კითხვა თავის საქმეს აკეთებს და ბევრ შემთხვევაში საჭიროა. მაგრამ ის არ არის სოკრატესული და შედარებით ნაკლებად ემსახურება აზროვნების განვითარებას.

გაკვეთილზე ვიყენებთ ისეთ კითხვებსაც, რომლებიც გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, რა იცის მოსწავლემ.

მაგალითად, ერთ-ერთ სახელმძღვანელოში არის ისტორიული წყარო:

**სტრაბონი, „გეოგრაფია“, ძვ. 6-ის I-ას. 6-ის I სს.**

„მართლაც, იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც და დაბებითაც, ისე რომ, იქ არის კრამიტის სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებები.“

ქვეყნის ნაწილი კავკასიონის მთებითაა გარშემორტყმული. ამ მთების მეტისმეტად ნაყოფიერი ტოტები მიემართება სამხრეთისკენ, მოიცავს მთლიანად იბერიას. შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული, უდიდესი ამ მდინარეთა შორის არის მტკვარი.

ამ ქვეყანაში ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს: ერთია პირველი გვარი, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ამავე გვარიდან არიან მოსამართლეებიც და მხედართმთავრებიც. მეორე გვარი არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნვავნ აგრეთვე მეზობელთან სამართალზე. მესამე გვარი არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე გვარი არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისთვის არის საჭირო. ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა.”

თუ მასწავლებელმა უკვე ახსნა ეს მასალა, მას შეუძლია დასვას შეკითხვები რათა გაიგოს, იციან თუ არა ბავშვებმა გაკვეთილი:

**კითხვები:**

1. რა მასალისაგან იყო გაკეთებული სახლის სახურავი ქალაქებში?
2. რა ნიშნით გადადიოდა მეფობა სამეფო გვარში?
3. მეფობის გარდა, რა თანამდებობები ებარა პირველი გვარის წარმომადგენელებს?

ასეთ კითხვებს ადრე ფრონტალური გამოკითხვის დროს იყენებდნენ. ის ცოდნის მექანიკურ შემოწმებაზეა დაფუძნებული. სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ის ამონმებს თუ რა იცის მოსწავლემ, მაგრამ ვერ გვიჩვენებს ესმის თუ არა მოსწავლეს ის რაც იცის.

ვნახოთ, როგორ შეიძლება იგივე ტექსტის ახსნა ინტერაქტიული გზით, კეთებით, ისე, რომ მასწავლებელმა არ ისაუბროს თვითონ ისტორიული წყაროს შესახებ, მისცეს მოსწავლეებს საშუალება თავად გაერკვნენ ტექსტში და გაკვეთილზევე შეისწავლონ ის.

ამ სახის აქტივობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ბავშვები მივაჩვიოთ რთული ტექსტის კითხვას, ამ ტექსტიდან ძირითადის გამოყოფას, ანუ ტექსტის ანალიზს.

მასწავლებელი დაურიგებს ბავშვებს ტექსტს ამონაბეჭდის სახით. სასურველია, რომ აბზაცები დანომრილი იყოს.

1. მართლაც, იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც და დაბებითაც ისე, რომ იქ არის კრამიტის სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებები.

2. ქვეყნის ნაწილი კავკასიონის მთებითაა გარშემორტყმული. ამ მთების მეტისმეტად ნაყოფიერი ტოტები მიემართება სამხრეთისკენ, მოიცავს მთლიანად იბერიას. შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული, უდიდესი ამ მდინარეთა შორის არის მტკვარი.

3. ამ ქვეყანაში ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს: ერთია პირველი გვარი, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ამავე გვარიდან არიან მოსამართლეებიც და მხედართმთავრებიც. მეორე გვარი არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნვავნ აგრეთვე მეზობელთან სამართალზე. მესამე გვარი არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე გვარი არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისთვის არის საჭირო. ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა.”

ახალ ტექსტზე მუშაობის მსვლელობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს:

1. მონახეთ და წაიკითხეთ აბზაცი, სადაც აღწერილია იბერიის დასახლებული პუნქტები. იპოვეთ ის მთავარი სიტყვები, რომლებიც ახასიათებს დასახლებულ პუნქტებს.

2. მონახეთ და წაიკითხეთ აბზაცი, სადაც აღწერილია იბერიის გეოგრაფია? იპოვეთ ის მთავარი სიტყვები, რომლებიც ახასიათებს იბერიის გეოგრაფიას.

3. მონახეთ და წაიკითხეთ აბზაცი, სადაც დახასიათებულია იბერიის გვაროვნული წყობა. გამოყავით მთავარი სიტყვები, რომლებიც ახასიათებს იბერიის გვაროვნულ წყობას.

შესაბამისი აბზაცების პოვნა აჩვევს მოსწავლეს სტრუქტურირებულ კითხვას (ამიტომ ჯობს დანომვრაც). აქტივობა - მთავარი სიტყვების გამოყოფა, მოსდევს აპზაცის წაკითხვას. ეს უადვილებს მოსწავლეს შინაარსის გაგებას და აგრეთვე, აჩვევს მას გაიაზროს ერთ თემაზე მოწოდებული ინფორმაცია მანადე, სანამ შემდეგი თემის (აბზაცის) კითხვაზე გადავა. ამით მოსწავლე ეჩვევა მასალის თანმიმდევრულ კითხვას.

რას მოგვიტანს ეს აქტივობა? მოსწავლე თავად ერკვევა მასალაში (ცხადია, მასწავლებელი ამონმებს ყოველ აქტივობას და საჭიროებისამებრ ეხმარება მოსწავლეებს), ეჩვევა საკითხავი ტექსტის სტრუქტურულ, თანმიმდევრულ ანალიზს, კლასშივე სწავლობს კეთებით და ინტერაქტიულად.

გაკვეთილის ახსნა თუ ამ გზით წარიმართა, შემდეგ გაკვეთილზე ცოდნის შესამოწმებლად ფრონტალური გამოკითხვის ნაცვლად, შესაძლებელია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აქტივობის ჩატარება: უკვე გაანალიზებულ წყაროს ვადარებთ სხვას, რომელშიც აღწერილია სხვა ქვეყნის (ან ამავე ქვეყნის, ოლონდ სხვა ისტორიულ პერიოდში) გეოგრაფია და/ან პოლიკური მოწყობა, ინფრასტრუქტურა. მოსწავლეები აანალიზებენ ახალ ტექსტს (იმავე მეთოდით, რომელიც წინა ტექსტის ანალიზისათვის გამოიყენეს) და შემდეგ ადარებენ ორ წყაროს და მსჯელობენ ქვეყნების განვითარების შესახებ.

მთავარი სიტყვების გამოყოფის მეთოდს სხვა დანიშნულებაც აქვს. ის ნებისმიერ მოსწავლეს უადვილებს რაიმე საკითხის წერილობით გადმოცემას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით კლასებში, (V-VI კლასში) თუმცა სჭირდებათ საბაზო და დამამათავრებელ საფეხურზეც. როდესაც პაგშვს ხელთ აქვს მთავარი სიტყვები, ის გაცილებით ადვილად გადმოსცემს აზრს წერილობით. წყაროების შედარებისას, მაგალითად, მოსწავლე გამოიყენებს წინასწარ შედგენილ მთავარ სიტყვებს, შეადარებს მათ მიხედვით ორ წყაროს და ადვილად შეძლებს წყაროებს შორის მსგავსება-განსხვავების წერილობით გადმოცემას.

“თუ ხელთ აქვს მთავარი სიტყვები, რა თქმა უნდა, გაუადვილდება შედარება, მაშინ რისთვის ვატარებთ წერას?”. ეს შეკითხვა ხშირად ისმის ხოლმე, თუმცა მიამიტურია. საუბარია წერით აზრის გადმოცემის უნარის განვითარებაზე და არა ტესტირების მიზნით ჩატარებულ წერაზე.

### კვლევა (ექსპერიმენტი):

კეთებით სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია ექსპერიმენტი.

სრულფასოვანი კვლევა ძნელი და ხანგრძლივი ჩასატარებელია და ყოველ გაკვეთილზე ვერანაირად ვერ მოხერხდება. მაგრამ კვლევის ელემენტი შესაძლებელია გააჩნდეს თითქმის ყოველ გაკვეთილს.

ისტორიის მასწავლებელს შეუძლია შეიტანოს გაკვეთილზე კვლევის ელემენტი ეპოქის, ქვეყნის განვითარების, პოლიტიკური მდგომარეობის გასარკვევად. ეს ხერხი მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ინგლისის ან ინდოეთის ისტორიის, ან

კოლონიზაციის ისტორიის შესახებ საუბრისას. მაგალითი ისტორიულ წყაროებთან დაკავშირებით, რომელიც ზემოთ მოყიფვანეთ, ასევე კვლევა, კვლევაა როდესაც ენის მასწავლებელი მოსწავლეს ავალებს შეადაროს სხვადასხვა ტექსტი მხატვრული სტილის მიხედვით, ან სხვადასხვა ენებში წარსული დროის წარმოების ხერხი, პირის, სქესის აღნიშვნის წესი და სხვ. გეოგრაფიაში კვლევაა, როდესაც მოსწავლე ადარებს სხვადასხვა მოგზაურის მიერ განვლილ მარშრუტს. ფიზიკის მასწავლებელი ამომგდებ ძალასთან დაკავშირებით ჩაატარებინებს მოსწავლეს კვლევას ამომგდებ ძალასა და სხეულის მასას შორის დამოკიდებულებაზე, ბიოლოგის მასწავლებელი თბორეგულაციას ახსნის კვლევის გზით და სხვ.

მასწავლებლები ხშირად ვჩივით ხოლმე: იმხელა მასალაა, რომ დრო არ მრჩება არც სოკრატესთვის, არც კვლევისათვის და არც არანაირი სხვა აქტივობისთვის. ამ პრობლემას მოხსნის ხერხებიდან ერთი ყველაზე ქმედითი, მაგრამ ყველაზე რთული: „კლასში ახალი გაკვეთილის ინტერაქტიული განხილვა, მთლიანი მასალის სწავლა სახლში“. გაკვეთილი არ არის იმისათვის, რომ მთელი მასალა დაგულეჭოთ მოსწავლეს. გაკვეთილზე განიხილება (დისკუსიის, სხვადასხვა აქტივობების გზით) ძირითადი მომენტები, ხოლო მასალას მოსწავლე სახლში კითხულობს და სწავლობს.

რატომ არის ეს ხერხი ყველაზე ქმედითი? იმიტომ, რომ იძლევა ინტერაქტიული სწავლების საშუალებას.

რატომ არის ყველაზე ძნელი? ამას მოსწავლე თავიდანვე უნდა შეეჩინოს. ამიტომ არის აუცილებელი ინტერაქტიული სწავლების დაწყება პირველი კლასიდანვე.

### უნარ-ჩვევის გამავითარებელი სხვა აქტივობები

1. ქართულად (უცხო ენაზე) წაკითხული ტექსტის მოსმენა და გრამატიკული ან სტილისტური შეცდომების აღმოჩენა. ასეთი ტექსტების ამოღება ადვილი შესაძლებელია ინტერნეტში, სადაც ინახება ქართული სატელევიზიო გადაცემების ვიდეო ჩანაწერი. მასწავლებელი წინასწარ ნახავს გადაცემას, მოუსმენს და შეარჩევს იმ ნაწყვეტებს, სადაც ტელეწამყვანი ან რესპონდენტი უშვებენ შეცდომებს. ქართულის განსაკუთრებით დამახინჯებით გამოირჩევა კრიმინალური ქრონიკა, თუმცა სხვა გადაცემებშიც შეხვდებით.

შესაძლებელია, ამ აქტივობის სხვა სახით ჩატარება. მასწავლებელი თავად ადგენს ტექსტს განზრას შეცდომით და უკითხავს მოსწავლეებს, ან აკითხებს მათ რომელიმე ბულვარულ ჟურნალს. მაგრამ არ ღირს ამ აქტივობებით პირველის ჩანაცვლება, რადგან სატელევიზიო გადაცემის ან ფილმის ნახვა სულ სხვა ეფექტს იქონიებს: მოსწავლე უფრო მოტივირებულია, რადგან მისთვის სატელევიზიო გადაცემის ყურება უფრო საინტერესოა.

2. შეცდომების შემცველი ტექსტის მაგალითი შეიძლება შევთავაზოთ ბიოლოგიის მასწავლებელსაც (და ზოგადად, ნებისმიერი საგნის მასწავლებელს). ასეთი მზა ტექსტები არსებობს და დაინტერესების შემთხვევაში უფრო დეტალურად მოგიყვებით მათ შესახებ).

3. ქართულის, უცხო ენის ან ისტორიის გაკვეთილზე შესაძლებელია გამოვიყენოთ აქტივობა „დიალოგი“. მოსწავლეებს ეძლევა დავალება: წარმოადგინონ ორი (ან მეტი) ადამიანის დიალოგი (რა სიტყვებს გამოიყენებენ, რა იქნება სასაუბრო თემა და სხვ.).

მაგალითად, (საფეხურის გათვალისწინებით): ხუთკუნძულა და ნაცარქექია, ორი თინა (წავკისელი და თინას ლეკურიდან), ძველ საბერძნეთში საუბრობს ორი მექოთნე, ალექსანდრე მაკედონელის მეომარი ესაუბრება მონღლოლ მეომარს ბრძოლის

სტრატეგიაზე, სოლომონ მორბელაძე პლატონ - სამანიშვილს, ვათსონი და კრიკი - დარვინს ან დღევანდელ სტუდენტს, რომელიც გენეტიკას სწავლობს. შესაძლებელია მსგავსი აქტივობა ჩატარდეს უფრო მაღალ დონეზე (კლასის შესაძლებლობის მიხდვით), მაგალითად, ხევისბერი გოჩას და მატეო ფალკონეს გასაუბრება. მოსაუბრეთა შერჩევა მოხდება იმის მიხდვით თუ რა თემას ამუშავებს მასწავლებელი, რა უნდა, რომ ამ საუბრით ასწავლოს მოსწავლეს და როგორია კლასის მომზადების დონე.

#### დისკუსია:

დისკუსიის წარმართვაში ვარჯიში მოსწავლის აზროვნების განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი მეთოდია.

კლასში საკითხის განხილვას (დისკუსიას) ხშირად ხელს უშლის ერთი გარემოება — მოსწავლის შეფასება დისკუსიაში მონაწილეობის, გაკვეთილში ჩართულობის მიხედვით.

გაკვეთილში ჩართულობით მოსწავლის შეფასება გარკვეულ საშიშროებას შეიცავს. ზოგიერთი მოსწავლე არ ერთვება აქტიურად დისკუსიაში, რადგან აზრს არ გამოთქვამს ნაჩქარევად და ურჩევნია, კარგად მოიფიქროს სათქმელი. შესაძლებელია, რომ ასეთმა მოსწავლემ ვერ მოასწროს თავისი მოსაზრების დაფიქსირება. ამიტომ მასწავლებელმა მას სპეციალური ყურადღება უნდა მიაქციოს, სთხოვოს აზრის გამოთქმა, თუნდაც ის ჯერ კიდევ დაუსრულებელი იყოს. ასეთივე ყურადღება გვმართებს იმ მოსწავლეების მიმართ, რომლებიც სხვებთან შედარებით ოდნავ შენელებულად ფიქრობენ და ამიტომ უჭირთ დისკუსიაში ჩაბმა. ჩვენი აზრით, გაკვეთილში ჩართულობაში ნიშანი მოსწავლეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დააკლდეს, თუ ის არ უსმენს დისკუსიას.

დისკუსიის დროს ნებისმიერი მოსაზრება მისაღებია. ოღონდ ეს მოსაზრება უნდა უკავშირდებოდეს სადისკუსიო საგანს და უნდა ჩანდეს, რომ მოსწავლემ თავისი აზრი ამ საგანთან კავშირში გამოთქავა. ხშირად ხდება, რომ მოსწავლეები წამოიძახებენ ხოლმე რაღაც ფრაზას, ან სხვის ნათქვამს იმეორებენ, მხოლოდ იმისათვის, რომ დისკუსიაში მონაწილეობის შთაბეჭდილება შექმნან. მასწავლებელს, რომელიც იცნობს თავის მოსწავლეებს, ეს არ გამოეპარება. ასეთ შემთხვევაში იმის შემოწმება, მართლა ჩართულია თუ არა მოსწავლე კლასის აქტივობაში, შესაძლებელია შეკითხვებით:

„რატომ ფიქრობ ასე?“, „რის საფუძველზე აკეთებ ამ დასკნას?“, „რატომ გაგიჩნდა ეს კითხვა?“ და სხვ.

იმისათვის რომ სწორად წარმართოთ დისკუსია, მიემაროთ მოსწავლეს ცოდნისა და უნარის განვითარებასა და გამომჟღავნებაში, დაბოლოს, სწორად შეაფასოთ თქვენი მოსწავლე, დაგეხმარებათ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

ცხრილში წარმოდგენილია იმ შეკითხვების კლასიფიკაცია, რომელსაც მასწავლებელი აძლევს მოწაფეს მისი აზროვნების უნარის გასავითარებლად და აგრეთვე ცოდნის შემოწმების მიზნით.

<p>შეკითხვა აზრის გადმოცემისა და სხვისი აზრის გაგების უნარის გასავითარებლად</p>	<p>შეკითხვა, რომელიც ამოწმებს რამდენად ლოგიკურია მოსწავლის მსჯელობა, სწორად ერკვევა თუ არა მოსწავლე ფაქტებში</p>
<p>19. რას გულისხმობ?</p> <p>20. თუ შეიძლება, სხვა სიტყვებით გამოთქვი რასაც ფიქრობ</p> <p>21. როგორ ფიქრობ, შენ მიერ დასმული შეკითხვა ყველასათვის ნათელია?</p> <p>22. გიორგი, თუ შეიძლება, მოკლედ შეაჯამე, რისი თქმა უნდოდა მაიას</p> <p>23. თუ შეიძლება, მოიყვანე მაგალითი კიდევ რისი თქმა შეგიძლია ამ საკითხის შესახებ?</p> <p>24. რა არის შენს ნათქვამში მთავარი?</p> <p>25. როგორ ფიქრობ, რა არის აქ მთავარი საკითხი?</p> <p>26. ვნახოთ, რამდენად სწორად გაგიგე, შენ ამას (ასახელებთ რაღაც საკითხს) გულისხმობდი თუ ამას? (ასახელებთ რაღაც საკითხს)</p> <p>27. სანამ ამ შეკითხვას დავსვამთ, ჯერ სხვა შეკითხვას ხომ არ უნდა ვუპასუხოთ?</p> <p>28. კიდევ ვის შეუძლია გვითხრას რაიმე ამ მოსაზრების სასარგებლოდ?</p>	<p>1. რასაც შენ ამბობ (რასაც თამარი ამბობს), რამდენად უკავშირდება ჩვენი დისკუსიის თემას?</p> <p>2. რა მოსაზრებით მიხვედი ამ დასკვნამდე? 3. თუ ეს მოხდა, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს?</p> <p>4. ეს აუცილებლად მოხდება, თუ შემთხვევითია?</p> <p>5. სხვა გზა (სხვა ვარიანტი) არსებობს?</p> <p>6. თუ ეს ასეა (მოგყავთ ორი ფაქტი), მაშინ ეს როგორ იქნება?</p> <p>29. თუ ეს ასეა (მოგყავთ ფაქტი), მაშინ ამაზე (მოგყავთ სხვა, დავუშვათ, გამომრიცხავი ფაქტი) რას იტყვი?</p> <p>30. როგორც ვხედავ, შენი მოსაზრება ემყარება ამ იდეას (განმარტავთ, რომელს). რატომ აირჩიე ეს იდეა და არა ეს? (ასახელებთ სხვა იდეას)</p> <p>31. რატომ ფიქრობ, რომ ეს მოსაზრება სწორია?</p> <p>32. რატომ ფიქრობ, რომ ეს მოსაზრება უფრო სწორია ვიდრე . . ? (ასახელებთ სხვა მოსაზრებას)</p> <p>33. ასე რატომ ფიქრობ?</p> <p>34. რა ფაქტებმა შეიძლება აზრი შეგიცეალოს?</p> <p>35. ეს ფაქტები (მონაცემები) საკმარისია ამ მოსაზრების გამოსათქმელად?</p> <p>36. გვაქვს მიზეზი, არ ვენდოთ (არ დავიჯეროთ) ამ მონაცემებს?</p>

## ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია

**ანატომია და ფიზიოლოგია:**

**საკითხთავი მასალა მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის.**

განსაკუთრებული პრობლემა, რომელსაც აწყდება ოთაქმის ყველა მოსწავლე, არის 1. უჯრედის და ორგანიზმის კონცეფციების გაერთიანება და 2. ორგანოთა სისტემების კონცეპტუალური დაკავშირება. მოსწავლეს უჭირს დაინახოს კავშირი უჯრედებსა და ორგანიზმს შორის, გაერკვეს ორგანიზმის, როგორც მთლიანი სისტემის მოქმედებაში. ამ შემთხვევაში პრობლემას ქმნის სახელმძღვანელოც: ორგანოთა სისტემები ცალცალკე პარაგრაფებში (თავებში) განიხილება. ამას სახელმძღვანელოს აგების კლასიკური სტილი მოითხოვს და პედაგოგიურად გამართლებულიცაა, მაგრამ ამგვარი სტრუქტურა ართულებს ორგანოთა სისტემების ერთმანეთთან აზრობრივ დაკავშირებას და ორგანიზმის მთლიან სისტემას წარმოდგენას.

აღნიშნული პრობლემების დაძლევაში შესაძლებელია მასწავლებლებს და მოსწავლეებს დაეხმაროს ქვემოთ მოყვანილი მასალა.

**უჯრედის ენერგიით უზრუნველყოფა.**

წარმოიდგინეთ დიდი სასტუმრო, რომლის ყველა ოთახიდან გამუდმებით ირეკება ზარი სასტუმროს ადმინისტრაციაში: ითხოვენ საკვებს, წყალს, ნაგვის გატანას, ვიღაცას უნდა ფანჯარა გაუღონ, რომ მეტი ჰაერი შემოვიდეს, სხვას კი პირიქით — სცივა და გათბობის ჩართვას ითხოვს. სასტუმროს პერსონალი დარბის კორიდორებში, რათა ყველას მოთხოვნა დააკამაყოფილოს. მენეჯერს ცხრა პირი ოფლი სდის და იძლევა დავალებებს: “მეორე სართულზე სასწრაფოდ მიუტანეთ წყალი, მეექვსეზე მწვადი, მეოთხმოცე და მეხუთასე ოთახებში გაუღეთ ფანჯრები, ყველა ოთახი დასასუფთავებელია, ბოლოს და ბოლოს, ჩართეთ კონდიციონერები — ცხელა!!!!!!”

მოდი, უფრო ახლოს გავიცნოთ ეს სასტუმრო, მენეჯერი, სხვა მომსახურე პერსონალი და სასტუმროს ოთახებშიც შევიხედოთ.

ცხადია, მიხვდით, რისი თქმა გვინდა: ოთახები ორგანიზმის უჯრედებია, რომლებიც მუდმივად საჭიროებს ჟანგბადს, წყალს, საკვებს თუ ტემპერატურის რეგულაციას, სასტუმრო კი ორგანიზმია თავისი მენეჯერით: ნერვული სისტემით, რომლის განკარგულებითაც კორიდორებში — სისხლარღვებში მუდმივად მიედინება უჯრედებისაკენ საჭირო ნივთიერებები და უჯრედებიდან კი - ცხოველქმედების ნარჩენი.

როგორც იცით, უჯრედში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ენერგეტიკული ცვლა: უჯრედი ხარჯავს და წარმოქმნის ენერგიას. ენერგეტიკული ცვლა ქიმიური პროცესია, რომელიც ციტოპლაზმაში და მიტოქონდრიებში მიმდინარეობს.

ენერგეტიკული ცვლის წარმართვისათვის აუცილებელია საკვები, ჟანგბადი, ენზიმები, მათი მოქმედებისათვის სათანადო ტემპერატურა და სხვ. ენერგეტიკული ცვლის შედეგად უჯრედში გროვდება ნარჩენი — მაგ. ნახშირორჟანგი, რომელიც უჯრედმა უნდა მოიშოროს.

ენერგეტიკული ცვლისათვის უჯრედი იყენებს საკვებს - ორგანულ ნივთიერებებს, ძირითადად ნახშირნულებს. თუ იქნება საკვები, უჯრედი შეძლებს ენერგიის მიღებას, თუ საკვები არ იქნა, უჯრედები, და შესაბამისად, ორგანიზმი დაიღუპება.

ცოცხალი არსებები იბრძვიან არსებობისათვის. ხორცისმჭამელები ცდილობენ რაიმე მოინადირონ, მაგალითად ლომი ნადირობს ანტილოპაზე; მგელი - კურდლელზე,

ბუ - თაგვზე, ბალანისმჭამელები მიირთმევენ მცენარეულობას და ამავდროულად, თვალი მტაცებლებზე უჭირავთ, რომ მათ სადილად არ იქცნენ. ადამიანი შრომობს, რათა მოიპოვოს საკვები. ის ნაირმჭამელია და მის კვებით რაციონში შედის როგორც ცხოველური, ასევე მცენარეული საკვები.

ამგვარად, ცოცხალი არსების ერთერთი უმთავრესი საზრუნავია საკვების მოპოვება — საკუთარი ორგანიზმის უჯრედების ენერგიით უზრუნველყოფა.

როგორ მოიპოვებს ცოცხალი არსება საკვებს, რა არის ამისათვის საჭირო?


რა სჭირდება, მაგალითად, ლომს იმისათვის, რომ ანტილოპა მოინადიროს?

### საკვების მოპოვება.

თავისი ორგანიზმის უჯრედების საკვებით (ენერგიით) უზრუნველყოფისათვის ლომმა, პირველ რიგში, უნდა იპოვოს ანტილოპა. ყველაფერი იმით იწყება, რომ ლომი სანადიროდ გამოვა და იწყებს მსხვერპლის ძებნას. ამისათვის ლომი იყენებს შეგრძნების ორგანოებს: ის ყნოსავს ჰაერს, ნაკვალევს, ისმენს ხმებს, იყურება.

როგორ დაინახვა ლომი ანტილოპას?

საგნები ირეკლავენ სინათლის სხივს, რომელიც შემოდის თვალში გუგის ხვრელიდან, გაივლის მინისებრ სხეულს და დაეცემა ბადურაზე. ბროლი გარდატეხავს სინათლის სხივს ისე, რომ ის ბადურაზე ფოკუსირდეს.



რაც უფრო ახლოს არის საგანი, მით მეტად ამოიზნიქება ბროლი და გაიზრდება სხივის გარდატების კუთხე. ამგვარად, თვალს აქვს აკომოდაციის უნარი — ის ახდენს ახლომდებარე საგნებიდან არეკლილი სხივის ფოკუსირებას ბადურაზე. სინათლის სხივი ააგზნებს ბადურაზე განლაგებულ მხედველობის რეცეპტორებს.

მხედველობის რეცეპტორები — კოლბები და ჩხირები, მხედველობის ნერვის დაბოლოებებია. მათი აგზნება მხედველობის ნერვით გადაეცემა თავის ტვინს, მიაღწევს დიდი ჰემისფეროების კეფის წილს და გამოიწვევს კეფის წილში არსებული მხედველობის ნეირონების აგზნებას. მხედველობის ნეირონების აგზნება წარმოქმნის მხედველობით ხატს: იმ საგნის ხატს, რომელსაც ვუყურებთ.

მხედველობის ხარისხი დამოკიდებულია აკომოდაციაზე და აგრეთვე, თვალში შემოსული სინათლის რაოდენობაზე. რაც უფრო კარგად არის განათებული საგანი, მით უკეთ ჩანს. ამიტომ საღამოს, როდესაც მზე ჩადის და მითუმეტეს, ღამით მხედველობა სუსტია და თუ სინათლე არ ავანთეთ, ცუდად ან ვერაფერს ვხედავთ. მაგრამ ეს მართებულია ადამიანის შემთხვევაში. ლომის მხედველობის რეცეპტორები

ადამიანისაზე ბევრად უფრო მგრძნობიარეა სინათლის მიმართ, ისინი რეაგირებენ სინათლის სხივის უმცირეს ნაკადზეც და ამიტომ ლომი ლამითაც ხედავს და შეუძლია ნადირობა.


ლომმა ანტილოპა დაინახა - ლომის თავის ტვინში წარმოიქმნა ანტილოპას ხატი. ანტილოპა ბალახს ძოვს და გადაადგილდება. ლომი მას თვალს ადევნებს. თვალის კაკალს ამოძრავებს წამნამოვანი კუნთები, რომელთა შეკუმშვა ლომს საშუალებას აძლევს მიმართოს მზერა მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ. კუნთების მოქმედება რეგულირდება მოგრძო ტვინიდან მოსული ნერვული იმპულსების საშუალებით.

ახლა საჭიროა ფრთხილად მიპარვა. ერთი შესედვით რა პრობლემაა: ანტილოპა ბალახს ძოვს და ლომის მხარეს საერთოდ არ იყურება. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა. საქმის გასარკვევად უნდა ვიცოდეთ, რა არის მხედველობის ველი.

მხედველობის ველი არის სივრცის ის ნაწილი, რომელიც შეგვიძლია მოვიცვათ მზერით ყოველ კონკრეტულ მომენტში. თუ, მაგალითად, ვუყურებთ ერთ წერტილს კედელზე, მაშინ მხედველობის ველი მოქცეულია კედლის იმ უკიდურეს ორ წერტილს შორის, რომელთა მიღმა ვეღარაფერს ვხედავთ. ზოგიერთ ცხოველს, მათ შორის ანტილოპას, თვალები განლაგებული აქვს სხეულის შუა ხაზიდან მნიშვნელოვნად შორს. დააკვირდი სურათს: რამდენად შორს არის ანტილოპას თვალები ერთმანეთისაგან ლომთან შედარებით.



ამიტომ ერთდროულად ორივე თვალით ანუ ბინოკულურად (ლათინურად “ბი”-ორი, “ოკულუს”-თვალი) ანტილოპა მოიცავს მხედველობითი ველის ძალას მცირე ნაწილს: ბინოკულური მხედველობა ნაკლებადაა განვითარებული. იმავდროულად, მხედველობის ველი იმდენად ფართოა, რომ ანტილოპას შეუძლია მის უკან არსებული საგნებიც კი დაინახოს. ამიტომ ანტილოპა კარგად ხედავს რა ხდება მის გარშემო მაშინაც, როდესაც ბალახს ძოვს და თავს უკან არ აბრუნებს.



ამიტომ ლომი ფრთხილობს. ის ბალახებში იმაღლება და ძალიან ფრთხილად მიიჩევს წინ, რომ არ დაინახონ. ლომს (ისევე, როგორც კოიოტს) თვალები შუა ხაზთან ახლოს აქვს განლაგებული. მხედველობის ველის დიდი ნაწილი მოქცეულია ბინოკულური მხედველობის არეში. განვითარებული ბინოკულური მხედველობის წყალობით უკეთ განისაზღვრება საგნის ადგილმდებარეობა სივრცეში და დისტანცია საგნამდე. ლომსაც ეს უნდა. მან ზუსტად უნდა განსაზღვროს დისტანცია ანტილოპამდე, რათა მოზომოს ნახტომი და დაიჭიროს ანტილოპა.

ბინოკულური მხედველობა ყველა მტაცებელ ძუძუმწოვარს კარგად აქვს განვითარებული. ამ მხრივ მტაცებელი ფრინველები (მაგალითად, ბუ) ძუძუმწოვრებს არ ჩამოუვარდებიან.

#### **ბინოკულური მხედველობის მნიშვნელობის დადგენა.**

ცდის მიზანია, დადგინდეს, რა შემთხვევაში – ბინოკულური თუ მონოკულური (მონო-ერთი, ოკულუს-თვალი) მხედველობისას საზღვრავს ადამიანი უკეთ სივრცეში საგნის ადგილმდებარეობას.

ცდისთვის საჭიროა: პლასტმასის ერთჯერადი ჭიქა, 5-ან 10-თეთრიანი მონეტა, ფურცელი, ფანქარი.

თანაკლასელებმა შექმნით ორკაციანი ჯგუფები: ერთი ცდის პირი და მეორე ექსპერიმენტატორი.

ინსტრუქცია ექსპერიმენტატორისთვის:

დასვი ცდის პირი მაგიდასთან (მერხთან) და გვერდზე მიუჯექი. ცდის პირის პირდაპირ, მისგან 35-40 სმ. მანძილზე მაგიდაზე დადგი ჭიქა.

მიეცი ცდის პირს დავალება: “ერთ ხელში, ორი თითოთ დაიჭირე მონეტა.

როდესაც გეტყვი, გაინოდე ხელი და ჩააგდე მონეტა ჭიქაში. ოღონდ ხელი უნდა ამოძრავო მაგიდის ზედაპირიდან 50 სმ-ის სიმაღლეზე. ჭიქისკენ სხეულის გადახრა არ შეიძლება. მონეტის ჩასაგდებად გაქვს არაუმეტეს 3 ნამისა.”

დრო გაზომე წამმზომით.

ცდას იმეორებ 10-ჯერ. ყოველ ჯერზე შეცვალე ჭიქის ადგილმდებარეობა: პირველ ჯერზე ჭიქა დადგი ცდის პირის სხეულის შუა ხაზის პირისპირ, 2-ე — 5-ე ჯერზე გადაადგილე ჭიქა ცდის პირისაგან მარცხნივ თითო-თითო სმ.-ით, 6-ე — 10-ე ჯერზე - ცდის პირისაგან მარჯვნივ თითო-თითო სმ.-ით. დააფიქსირე მონეტის ჭიქაში ჩაგდება/ აცდენა. ცდა ჩატარე ორ ვარიანტად:

1. ცდის პირი მუშაობს ერთი რომელიმე ახელილი თვალით (მონოკულური მხედველობა) 2. ცდის პირი მუშაობს ორივე ახელილი თვალით (ბინოკულური მხედველობა). მონაცემები შეიტანე ცხრილში. თითოეული მცდელობა (1-10) აღნიშნე როგორც ჩაგდება “+” ან აცდენა “-”.

სხვადასხვა ჯგუფების მიერ მიღებული შედეგები შეაჯამეთ, გამოიყვანეთ

საშუალო მაჩვენებლები ჩაგდებისა და აცდენისათვის. შეადარე რომელ ვარიანტში— მონოკულური თუ ბინოკულური მხედველობისას მუშაობს ცდის პირი უფრო ზუსტად.

ცდის პირი (სახელი, გვარი)	ცდის პირობა (მხედველობა)	ჩაგდება + აცდენა -										ჯამური +	ჯამური -
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10		
	მონოკულური												
	ბინოკულური												

### ჩონჩხის კუნთები, მათი მოქმედების რეგულაცია.

როდესაც ნახტომის დრო მოვა, როგორ იმოქმედებს ლომის ორგანიზმი?


თავის ტვინი საზღვრავს დისტანციას ლომსა და ანტილოპას შორის, რათა ნახტომი ზუსტი იყოს. ამავდროულად, ტვინი გამოიწვევს კიდურების კუნთების შეკუმშვას ნახტომისათვის საჭირო მოძრაობის შესასრულებლად.

ამგვარად, თავის ტვინი ინტეგრირებულად მოქმედებს: ის ერთდოოულად აკონტროლებს მხედველობას და მოძრაობას, ანუ ახდენს ორგანოთა სისტემების (ამ შემთხვევაში მხედველობის და კუნთოვანი სისტემის) მოქმედების შეთანხმებას და გამთლიანებას — ინტეგრაციას.

ლომის რომელი კუნთები უნდა შეიკუმშოს ნახტომისათვის?



ნახტომს მთელი სხეული ასრულებს, მაგრამ მთავარი როლი მაინც უკანა კიდურების კუნთებს ენიჭება. კიდური ჯერ მოიხრება, შემდეგ კი ძლიერად იშლება და უბიძებს მინას. კიდურების მოხრა მომხრელი კუნთების შეკუმშვის შედეგია, გაშლა კი გამშლელი კუნთების შეკუმშვით ხდება.



კუნთებთან ტვინიდან მოდის მამოძრვებელი ნერვები — სომატური ნერვები. ამ ნერვებით ტვინიდან კუნთებისაკენ ვრცელდება ნერვული იმპულსი, რომელიც ინვეცის კუნთის შეკუმშვას. ნერვული იმპულსი ჯერ თავის ტვინში, კერძოდ, ტვინის ჰემისფეროების (ნახევარსფეროების) თხემის წილში წარმოიქმნება, რადგან თავის ტვინი წყვეტს, როდის უნდა ამუშავდეს კუნთი. თავის ტვინიდან იმპულსი ვრცელდება ზურგის ტვინში, ხოლო ზურგის ტვინიდან კი სომატურ ნერვებში და ბოლოს კუნთს მიაღწევს.

ამ თვალსაზრისით ლომის და ადამიანის ნერვული სისტემა ერთმანეთის თითქმის ანალოგიურია.

მომხრელი და გამშლელი კუნთები ერთმანეთის **ანტაგონისტია** — ისინი საპირისპირო მოქმედებას — კიდურის მოხრას და გაშლას განაპირობებენ. ამიტომ, როდესაც ლომი (ან ადამიანი) აამოქმედებს ფეხის გამშლელ კუნთებს გადასახტომად, ნერვულმა სისტემამ უნდა შეაკავოს ფეხის მომხრელი კუნთების შეკუმშვა. ამისათვის ნერვული სისტემა შეწყვეტს ფეხის მომხრელ კუნთებში ნერვული იმპულსის გავრცელებას და იმპულსი გამშლელ კუნთებში გავრცელდება. ამგვარად, ტვინი არეგულირებს მომხრელი და გამშლელი კუნთების შეთანხმებულ მოქმედებას. ამ თვალსაზრისითაც, ლომის და ადამიანის ნერვული სისტემა ერთმანეთის თითქმის ანალოგიურია. მსგავსი პრინციპით ხდება ადამიანის ანტაგონისტი კუნთების (მაგალითად, ხელის მომხრელი და გამშლელი - ორთავა და სამთავა კუნთების) მოქმედების რეგულაციაც.

როდესაც ლომი ანტილოპას ეპარებოდა, ბრჭყალები თათებში ქონდა ჩამალული: გამოშვებული ბრჭყალი შეიძლება რაიმეს გამოედოს და ხმაური გამოიწვიოს, ანტილოპა კი ყურდაცვეტილია, რომ არავინ მიეპაროს. ახლა ტვინიდან იმპულსები მივა იმ კუნთებშიც, რომლებიც ერთი ბოლოთი წვივის ძვალზეა მიმაგრებული, მეორე ბოლოთი კი ბრჭყალებზე. ისინი იკუმშება რათა ლომმა ბრჭყალები გამოუშვას თავდასხმისათვის.

შევაჯამოთ ნათქვამი:

ანტილოპასაგან არეკლილი სინათლის სხივი ფოკუსირდა ლომის თვალის ბადურაზე. მხედველობის რეცეპტორები აიგზნენ და მხედველობის ნერვმა ნერვული იმპულსი

წაილო თავის ტვინის კეფის წილში. აქ წარმოიქმნა ანტილოპას ხატი - ლომმა დაინახა ანტილოპა. თავის ტვინი ინტეგრირებულად მოქმედებს — ის არა მარტო ხედავს ანტილოპას, არამედ მზად არის აამოქმედოს ლომის უკანა კიდურის გამშლელი კუნთები ნახტომის შესასრულებლად და უკვე გამოაშვებინა ლომს ბრჭყალები.

რაღა დარჩა, ერთი კარგი ნახტომი და ლომის სადილი მზად არის. ასე იოლად საქმე იშვიათად არის: ანტილოპაც ხედავს ლომს, მისი კუნთებიც იკუმშება და ის გარბის. ამიტომ ლომის ნადირობა, არც თუ იშვიათად, წარუმატებელია ხოლმე. მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ჩვენმა ლომმა ამ დღეს ყოჩალად ინადირა და გაიარა თავისი სხეულის უჯრედების ენერგიით უზრუნველყოფის პირველი ეტაპი: ლომმა საკვები მოიპოვა.

### **საკვების მონელება, შენოვა და უჯრედებში ტრანსპორტირება**

ახლა ლომი მიირთმევს ნანადირევს.

მისი ტვინი სხვა საქმეზე გადაერთო: ახლა საჭიროა საკვების მონელება. პირველ რიგში ხორცის მოგლეჭა, შემდეგ პირის ლრუში დალეჭვა, დარბილება, ნერწყვით გაუღენთვა და გადაყლაპვა.

ლომი ჯერ კიდევ ეპარებოდა ანტილოპას, მაგრამ მის დანახვაზე ნერწყვი უკვე სდიოდა. ეს პირობითი რეფლექსია. როდესაც ლომი პატარა ბოკვერი იყო და არ იცოდა, რას წარმოადგენდა ანტილოპა, მის დანახვაზე ნერწყვი არ სდიოდა. თუმცა ანტილოპას ხედავდა — ლომის თავის ტვინის ჰემისფეროების კეფის წილი თავის საქმეს — ანტილოპას მხედველობითი ხატის შექმნას, პირნათლად ასრულებდა. როდესაც დედამ ანტილოპას ხორცი გაასინჯა, თავის ტვინმა დაამყარა ლოგიკური კავშირი ანტილოპას შესახედაობასა და კვებას შორის: კეფის წილის ნეირონები ფუნქციურად დაუკავშირდნენ ტვინის ღეროში ნერწყვის გამოყოფის მარეგულირებელ ნეირონებს. ლომი მიხვდა: ეს რაღაც, ორი რქით, მოყვითალო ფერის, ასეთი და ასეთი სუნით და ხმით, გემრიელი ხორცი ყოფილა. ამის შემდეგ ანტილოპას დანახვაზე ლომს ყოველთვის მოსდიოდა ნერწყვი.

მაგრამ ლომს გაჩენისთანავე თანდაყოლილად აქვს კვების დროს ნერწყვის გამოყოფის უპირობო რეფლექსი. როგორც კი საკვები მის პირის ლრუში აღმოჩნდება,




საკვები ალიზიანებს პირის ღრუს კედლებში არსებულ რეცეპტორებს. რეცეპტორები აიგზნება და ნერვული იმპულსი გადაეცემა ტვინის ღეროს ნეირონებს. ისინი საპასუხოდ აიგზნება და სახის ნერვის საშუალებით გადასცემენ ნერვულ იმპულსს სანერწყვე ჯირკვლებს, საიდანაც ნერწყვი იწყებს დენას.

ნერწყვი იწყებს საკვებში არსებულ პოლიმერულ ნახშირწყლებს და შლის მათ მონომერებამდე.

ტვინის ღერო განაპირობებს აგრეთვე საკვების ყლაპვას. საკვები გაივლის საყლაპვას და ჩავა კუჭში. კუჭის წვენი მოინელებს ცილებს. კუჭის წვენის გამოყოფაც, ნერწყვის გამოყოფის მსგავსად, უპირობო და პირობითორეფლექსური მექანიზმით ხდება. კუჭიდან საკვები გადადის წვრილ ნაწლავებში. აქ ყველა პოლიმერი (ნახშირწყლები, ცილები, ცხიმები) საბოლოოდ იშლება მონომერებამდე. მსხილი ნაწლავი გამოყოფს მოუნელებელ ნარჩენს.

მონომერები და წყალი შეინოვება წვრილ ნაწლავებში. თუმცა წყლის შეწოვა მსხვილ ნაწლავშიც ხდება. საკვების მონელებას ხელს უწყობს ნერწყვში, კუჭის და წვრილი ნაწლავების წვენში არსებული ენზიმები. ენზიმებს შეიცავს აგრეთვე პანკრეასის წვენი, რომელიც წვრილ ნაწლავში ჩაედინება.

ამგვარად, ლომი მოინელებს მონადირებული ანტილოპას ხორცს. მონომერებად დაშლილი საკვები შეინოვება სისხლში, კერძოდ კარის ვენაში, რომელსაც სისხლი ნაწლავებიდან მიაქვს ღვიძლში.



ღვიძლი წმენდს სისხლს ნაწლავებიდან შემოსული ტოქსიკური ნივთიერებებისაგან. ღვიძლში რჩება შეწოვილი საკვების ნაწილი, დანარჩენი კი ორგანიზმში ნაწილდება.

სისხლი ღვიძლის არტერიით გამოდის ღვიძლიდან და მიედინება მთელს ორგანიზმში. არტერია იტოტება ჯერ წვრილ არტერიებად, შემდეგ კაპილარებად. კაპილარები შედიან ორგანოთა ქსოვილში და იქ მონომერები და წყალი სისხლიდან გადადის ქსოვილურ სითხეში. ქსოვილური სითხიდან მონომერები და წყალი უჯრედებში შეაღწევს.

ქსოვილურ სითხეში მონომერების კონცენტრაცია მეტია, ვიდრე უჯრედში. ამიტომ იქმნება კონცენტრაციული გრადიენტი და საკვები მოლეკულები მოძრაობს ქსოვილური სითხიდან უჯრედში პლაზმური მემბრანის გავლით.

მებრანაში საკვები მოლეკულების გავლა რთული პროცესია. მაგალითად, გლუკოზა გაივლის მებრანას გაადვილებული დიფუზით. არხები გაადვილებული დიფუზისათვის გაიხსნება იმ შემთხვევაში, როდესაც უჯრედებზე იმოქმედებს ჰორმონი ინსულინი. ინსულინი პანკრეასიდან გამოიყოფა.

**მასწავლებლების საყურადღებოდ:** ჯობს, გამოიყენოთ ტერმინი “პანკრეასი” და არა “კუჭვება ჯირკვალი”.

ნაწლავებიდან გლუკოზის სისხლში გადასვლა ზრდის გლუკოზის კონცენტრაციას სისხლში. გლუკოზის კონცენტრაციის გაზრდაზე რეაგირებს თავის ტვინი, რომელიც ასტიმულირებს პანკრეასიდან ინსულინის გამოყოფას. ინსულინის დახმარებით გლუკოზა უჯრედებში შევა. სისხლში ინსულინის კონცენტრაციის მატებაზე რეაგირებს თავის ტვინი. ის წყვეტს პანკრეასის სტიმულირებას. შედეგად პანკრეასი შეწყვეტს ინსულინის გამოყოფას. ამგვარ ფუნქციურ კამპირს თავის ტვინისა და შინაგანი სეკრეციის ჯირკვალს (ამ შემთხვევებში პანკრეასს) შორის ეწოდება **უარყოფითი უკუკავშირი**. ის უარყოფითია, რადგან ჰორმონის (ამ შემთხვევებში ინსულინის) რაოდენობის მატება იწვევს თავის ტვინის „უარყოფით“ რეაქციას: ტვინი ხელს უშლის ჯირკვლიდან ჰორმონის შემდგომ გამოყოფას.


ამგვარად, გავლილია უჯრედების ენერგიით უზრუნველყოფის კიდევ ერთი ეტაპი: ლომმა საჭმლის მომნელებელ სისტემაში ხორცი მოინელა, მონელებული საკვები გადავიდა სისხლში და მიენოდა უჯრედებს. ძალიან მარტივად შეგვიძლია ასე ვთქვათ: ანტილოპას უჯრედებში არსებული გლუკოზა ახლა ლომის უჯრედებშია დაგროვილი.

**უჯრედის უზრუნველყოფა ენერგეტიკული ცვლისათვის აუცილებელი უანგბადით და ნახშირორჟანგის გამოდევნა ორგანიზმიდან**

შესავალში რომ სასტუმრო ვახსენეთ (ეს სასტუმრო ჩვენს შემთხვევაში ლომის სხეულია), მისი ოთახებიდან აღარ ითხოვენ საკვებს - დაიკმაყოფილეს მოთხოვნილება გლუკოზაზე. თუმცა, მაგათ რა დააწყნარებს: საკვები ბევრი გვაქვს, მაგრამ ახლა უჰაერობა გვჭირს და ჰაერი შემოუშვითო.

უჯრედში საკვები ნივთიერებები ერთვება ენერგეტიკულ ცვლაში. გლუკოზა ჯერ ციტოპლაზმაში იშლება პირობურძნის მუავამდე, შემდეგ პირობურძნის მუავა შევა მიტოქონდრიოებში და დაიშლება ნახშირორჟანგამდე და წყლამდე. პროცესს თან ახლავს ენერგიის გამოყოფა. ეს ენერგია ხმარდება ატფ-ს სინთეზს. მიტოქონდრიოებში ენერგეტიკული ცვლის წარმართვისათვის აუცილებელია უანგბადი. ენერგეტიკული ცვლის დროს უჯრედებში გროვდება ნახშირორჟანგი, რომელიც ორგანიზმა უნდა მოიცილოს — გარეთ გამოდევნოს.


ლომი ფილტვებით სუნთქავს. ჩასუნთქვის დროს ჰაერი ჩადის მის ფილტვებში და ავსებს ფილტვის ბუშტუკებს — ალვეოლებს. ალვეოლები დაქსელილია კაპილარებით. ალვეოლებში უანგბადის კონცენტრაცია მეტია, ვიდრე კაპილარებში შემომავალ სისხლში.



ამიტომ უანგბადის მოლეკულები კონცენტრაციული გრადიენტის მიმართულებით დიფუნდირებს ალვეოლიდან სისხლში.

სისხლში უანგბადის მოლეკულები მიუერთდება ერითროციტს — სისხლის წითელ უჯრედებს და ერითროციტებთან ერთად მოგზაურობს მთელს სხეულში. სისხლი მიღის ყველა ორგანოს უჯრედებთან. უჯრედებში უანგბადის კონცენტრაცია სისხლისაზე ნაკლებია. ამჯერად უანგბადის მოლეკულები იწყებენ დიფუზიას სისხლიდან უჯრედებში.

უჯრედებში შესული უანგბადი მონაწილეობას იღებს ენერგეტიკულ ცვლაში. გავადევნოთ თვალი უანგბადის მოგზაურობას ფილტვებიდან უჯრედებში. ალვეოლებიდან უანგბადი სისხლში გადადის. უანგბადით გამდიდრებული — არტერიული სისხლი ფილტვის ვენით (1) გულში ჩაედინება. გულიდან არტერიული სისხლი გადაიტყორცნება აორტაში. აორტა იტოტება სამ დიდ არტერიად. ერთი მათგანი — გვირგვინოვანი არტერია, სისხლით კვებავს გულს. დანარჩენი ორი არტერიიდან, ერთი მიემართება ზედა კიდურების, კისრის და თავისაკენ, მეორე კი ჩამოდის გულმკერდის ღრუში. ორივე არტერია იტოტება უფრო წვრილ არტერიებად (3), რომლებიც ცალკეულ ორგანოებში მიდის. აქ ისინი იტოტებიან კიდევ უფრო წვრილ არტერიოლებად, არტერიოლები კი — კაპილარებად. კაპილარები იმდენად წვრილია, რომ შეაღწევს ორგანოთა ქსოვილებში და არტერიული სისხლით კვებავს უჯრედებს. უჯრედებში სისხლიდან გადადის უანგბადი: უანგბადის მოლეკულები მოწყდება ერითროციტებს და თავისუფლად დიფუნდირებენ უჯრედებში.



უჯრედებიდან სისხლში გადავა ნახშირორუანგი. ის დიდი რაოდენობით გროვდება მიტოქონდრიებში ნივთიერებათა დაშლის პროცესში და კონცენტრაციული გრადიენტის მიმართულებით დიფუნდირებს უჯრედებიდან სისხლში. ამგვარად, არტერიული სისხლი განიტვირთება უანგბადისაგან და იტვირთება ნახირორუანგით - ვენურ სისხლად გარდაიქმნება. ვენური სისხლი გამოდის ორგანოებიდან სისხლძარღვების — ვენების (4) საშუალებით. ორგანოებიდან გამოსული ვენები იკრიბება ღრუ ვენებში (5). ეს უკანასკნელები ვენურ სისხლს გულში ჩააბრუნებს. გულიდან ვენური სისხლი ფილტვის არტერიებით (6) გადაიტყორცნება ფილტვებში. ალვეოლებში ნახშირორუანგი ვენური სისხლიდან გადადის ჩასუნთქულ ჰაერში, ხოლო ვენური სისხლი გაჯერდება უანგბადით — არტერიულ სისხლად გარდაიქმნება.

## **კვლევა: რამდენ ენერგიას შეიცავს სხვადასხვა სახის საკვები**

მიეცით მოსწავლეებს ინსტრუქცია:

იმისათვის, რომ საკვებიდან, მაგალითად, შაქრის ნატეხიდან, ენერგია გამოიყოს, ის უნდა დაწვა. როგორ მივხდები რამდენი ენერგია გამოიყო ამ დროს?

როგორც იცი, ენერგია იზომება კალორიებში და ჯოულებში. ჩვენ კალორია გამოვიყენოთ.

კალორია განიმარტება, როგორც ენერგიის რაოდენობა, რომელიც საჭიროა რათა 1 გრამი წყლის ტემპერატურა 1 გრადუსით ( $^{\circ}\text{C}$ ) გაიზარდოს.

ჩაასხავ წყალს სინჯარაში, გაზომავ წყლის ტემპერატურას, შაქრის ნატეხს მოუკიდებ ცეცხლს და სინჯარას მიუშვერ ალს, რომელიც შაქრის ნატეხის წვის დროს წარმოიქმნება. ალი გაათბობს წყალს. როდესაც შაქრის ნატეხი ბოლომდე დაიწვება, კვლავ გაზომავ წყლის ტემპერატურას და ნახავ განსხვავებას საწყის და საბოლოო მაჩვენებლებს შორის.

დაგჭირდება გარკვეული გამოთვლის გაკეთება. გავიხსენოთ, რომ 1 კალორია არის ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც 1 გრამ წყალს  $1 -^{\circ}\text{C}$  —ით გაათბობს. 1 გრამი წყლის სინჯარაში აღება და მისი ტემპერატურის გაზომვა გაგიძნელდება, ამიტომ ცდისთვის ჯობს აიღო მეტი წყალი, მაგალითად 20 გრამი. კალორიის განმარტებიდან გამომდინარე, 20 გრამი წყლის  $1 -^{\circ}\text{C}$  —ით გაათბობას დასჭირდება 20 კალორია ენერგია.

დავუშვათ, ცდაში სინჯარაში ჩაასხი 20 გ. წყალი. გაზომე მისი ტემპერატურა. შაქრის ნატეხი დაწვი, ალზე კი წყალი გაათბე. როდესაც შაქრის ნატეხი ბოლომდე დაიწვა, კვლავ გაზომე წყლის ტემპერატურა და ნახე, რომ საწყის მაჩვენებელთან შედარებით ის  $2 -^{\circ}\text{C}$  —ით გაიზარდა. ამგვარად, შაქრის ნატეხის ენერგიამ 20 გ. წყალი გაათბო  $2 -^{\circ}\text{C}$  —ით.

რადგან იცი, რომ 20 გრამი წყლის  $1 -^{\circ}\text{C}$  —ით გაათბობას სჭირდება 20 კალორია ენერგია, გამოდის, რომ მის  $2 -^{\circ}\text{C}$  —ით გაათბობას დასჭირდა  $20 \times 2 = 40$  კალორია ენერგია.

ამგვარად, რადგან შაქრის ნატეხის დაწვისას 20 გ. წყალი  $2 -^{\circ}\text{C}$  —ით გათბა, შაქრის ნატეხში ყოფილა 40 კალორია ენერგია.

შაქრის უფრო დიდ (მეტი მასის მქონე) ნატეხში მეტი ენერგია იქნება და ის მეტად გაათბობს წყალს.

მაშასადამე, თუ ადარებ სხვადასხვა სახის საკვებს ენერგიის შემცველობის მიხედვით, მასა ერთნაირი უნდა იყოს.

ახლა შევიძლია ცდა ჩაატარო.

ცდის მასალა: შაქრის ნატეხი, ნიგვზის ლებანი, თხილი, ჩურჩელას ბადაგის ფენის ნაჭერი, წყალი, სინჯარა, წყლის ტემპერატურის საზომი, სპირტქურა, პინცეტი

პროცედურა: მოამზადე სადგამი. სინჯარაში ჩაასხი 20 გ. წყალი და სინჯარა ჩაამაგრე სადგამში. ჩადე სინჯარაში წყლის ტემპერატურის საზომი თერმომეტრი. თერმომეტრი მეორე ბოლო სადგამში ჩაამაგრე.

გაზომე წყლის ტემპერატურა და ჩაინიშნე.

ანონე საკვების სამივე ნიმუში. ისინი ერთნაირი მასის უნდა იყოს.

აიღე პინცეტით საკვების ერთი ნიმუში, სპირტქურას მოუკიდე ცეცხლი და საკვები მიუშვირე ცეცხლს, რათა დაიწყოს წვა. როგორც კი საკვების ნიმუშს ცეცხლი მოეკიდება, გადაიტანე ის სინჯარის ქვეშ, და გეჭიროს, სანამ საკვები ბოლომდე დაიწვება.

ამის შემდეგ გაზომე წყლის ტემპერატურა და ჩაინიშნე.

იგივე პროცედურა გაიმეორე საკვების სხვა ნიმუშებისათვის.

მონაცემები შეიტანე ცხრილში. იანგარიშე საკვების ნიმუშში ენერგიის რაოდენობა (კალორიებში) და ეს მაჩვენებელიც ცხრილში შეიტანე.

საკვების ნიმუში	წყლის საწყისი ტემპერატურა	წყლის საბოლოო ტემპერატურა	საკვების ნიმუშში ენერგიის რაოდენობა (კალორიებში)

გაანალიზე მონაცემი და დაახასიათე საკვები მასში ენერგიის შემცველობის მიხედვით.

უპასუხე: დავუშვათ, მიღიხარ შორეულ მგზავრობაში, სადაც საკვებს ვერ იყიდი. ამიტომ უნდა წაილო რაც შეიძლება მეტად კალორიული საკვები. გაქვს ჩურჩხელები: ნიგვზისგან და თხილისგან დამზადებული. რომელს მიანიჭებ უპირატესობას? პასუხი განმარტე.

### დაკვირვება ნერწყვის მოქმედებაზე

სამ სინჯარაში გადაანილე ფქვილი და ჩაუმატე 5 მლ. წყალი, შეანჯლრიე. ფქვილი შეიცავს სახამებელს. ამგვარად სინჯარებში მიიღებ სახამებლის წყალხსნარს. სინჯარები დანომრე №1 და №2.

№1 სინჯარაში ჩააწვეთე იოდის ხსნარი. როგორც იცი, იოდი სახამებლის ინდიკატორია: თუ საკვლევ წყალხსნარში არის სახამებელი, იოდის ხსნარის ჩამატების შემდეგ წყალხსნარი ლურჯ ფერს მიიღებს.

№2 სინჯარაში ჩაამატე სახამებლის დამშლელი ენზიმის წყალხსნარი და 1 წუთის შემდეგ ჩააწვეთე იოდის ხსნარი.

დააკვირდი სინჯარებში წყალხსნარის ფერის ცვლილებას.

ცდაში დამოკიდებული ცვლადია წყალხსნარის ფერი, დამოუკიდებელი ცვლადია წყალხსნარში ენზიმის არსებობა.

მონაცემები შეიტანე ცხრილში:

სინჯარა №	დამოუკიდებელი ცვლადი (წყალხსნარში ენზიმის არსებობა)	დამოკიდებული ცვლადი წყალხსნარის ფერი იოდის ხსნარის ჩაწვეთებამდე	წყალხსნარის ფერი იოდის ხსნარის ჩაწვეთების შემდეგ
1	ენზიმი არ არის		
2	ენზიმი არის		

### უპასუხე:

- როგორი ფერი ქონდა წყალხსნარს №1 და №2 სინჯარაში იოდის ჩაწვეთებამდე?
- როგორი ფერი ქონდა წყალხსნარს №1 და №2 სინჯარაში იოდის ჩაწვეთების შემდეგ?
- რომელ სინჯარაში შეიცვალა დამოკიდებელი ცვლადი და რომელში დარჩა უცვლელი?
- რა კავშირია დამოკიდებული ცვლადის ცვლილებასა და დამოუკიდებელ

## ცვლადს შორის?

- რას გვიჩვენებს ცდის შედეგი: რომელ სინჯარაში დარჩა სახამებელი და რომელში გაქრა?
- დაშალა თუ არა სახამებელი ნერწყვის ენზიმმა? პასუხი დაასაბუთე.

### **სახამებლის დამშლელი ენზიმის მოქმედების პირობებზე დაკვირვება.**

ოთხი სუფრის კოვზი პურის ან სიმინდის ფქვილი, 4 სინჯარა, სახამებლის დამშლელი ენზიმის წყალხსნარი, იოდის ხსნარი, სპირტქურა, ყინულიანი ჯამი.

შეისწავლე, როგორ მოქმედებს სახამებლის დამშლელი ენზიმი სხვადასხვა პირობაში.

3 სინჯარაში ჩაყარე თითო კოვზი ფქვილი, დაამატე 5 მლ. წყალი. სინჯარები დანომრე: №1, 2, 3.

№1 სინჯარა დატოვე სადგამში ოთახის ტემპერატურაზე.

№2 სინჯარა ჩადე 10 წუთით ყინულიან ჯამში, 10 წუთის შემდეგ ამოიღე, ჩადე სადგამში და გაზომე წყალხსნარის ტემპერატურა (სინჯარაში წყალხსნარში ტემპერატურა დაეცემა სავარაუდო 5 °C-მდე).

№3 სინჯარაში ხსნარი წამოადუღე სპირტქურაზე 15 წამის განმავლობაში, მოაცილე სპირტქურას, ჩადე სადგამში. წამოდუღების დროს სინჯარაში წყალხსნარის ტემპერატურა მიაღწევს 100 °C-ს.

სამივე სინჯარაში თანაბარი რაოდენობით ჩაასხი სახამებლის დამშლელი ენზიმის წყალხსნარი.

ყველა სინჯარაში ჩააწვეთე იოდის ხსნარი და დააკვირდი, როგორ შეიცვლება წყალხსნარის ფერი.

მონაცემი შეიტანე ცხრილში:


განსაზღვრე, რომელია ცდაში დამოუკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადი და ჩანერე ცხრილის შესაბამის გრაფაში.

სინჯარა №	დამოუკიდებელი ცვლადი	დამოუკიდებული ცვლადი	
		სინჯარაში იოდის ხსნარის ჩაწვეთებამდე	სინჯარაში იოდის ხსნარის ჩაწვეთების შემდეგ
1			
2			
3			

### **უჯრედში უანგვითი პროცესების რეგულაცია**


უანგვითი პროცესების რეგულაცია ხორციელდება თიროიდული ჰორმონით. ამ ჰორმონის ზეგავლენით უანგვითი რეაქციები უჯრედში ინტენსიურად მიმდინარეობს.

თიროიდული ჰორმონი გამოიყოფა თიროიდული (ფარისებრი) ჯირკვლის მიერ სისხლში, სისხლის საშუალებით ის მიაღწევს სამიზნე უჯრედებს, გამოდის კაპილარებიდან, გადის სამიზნე უჯრედის პლაზმურ მებრანაში, შეაღწევს ბირთვში და ზემოქმედებს პირდაპირ დნმ-ზე.



თიროიდული ჰორმონი ააქტივებს დნმ-ზე იმ ინფორმაციული რნმ-ს სინთეზს, რომელიც განაპირობებს რიბოსომებში სპეციფიკური ენზიმის წარმოქმნას, რომელიც ხელს უწყობს უანგვითი რეაქციების წარმართვას.

თავის მხრივ ორგანიზმი არეგულირებს თიროიდული ჯირკვლიდან თიროიდული ჰორმონის გამოყოფას.



ჰიპოთალაზი გამოყოფს თიროტროპულ ჰორმონს, რომელიც იწვევს თიროიდული ჯირკვლის გააქტივებას და შესაბამისად, იქიდან ჰორმონის გამოყოფას.

უანგვითი რეაქციებისათვის უჯრედს ესაჭიროება უანგბადი. უანგბადს ორგანიზმი გარემოდან შეითვისებს სუნთქვის ორგანოებით. მაგალითად, ლომი, ბუ, გველი, ბაყაყი, ადამიანი — ფილტვებით.

ფილტვებიდან უანგბადი გადადის სისხლში. კაპილარებით სისხლი მიედინება უჯრედებთან და მიაქს უანგბადი. რადგან უანგბადის კონცენტრაცია სისხლში მეტია, ვიდრე უჯრედებში, უანგბადი დიფუნდირებს უჯრედებში. პლაზმური მემბრანა იოლად განვლადია უანგბადისათვის.

ფიზიკური დატვირთვის, ემოციური დაძაბულობის პირობებში უჯრედს მეტი ენერგია სჭირდება, ამიტომ უჯრედებში უანგვითი პროცესები ჩქარდება. ამ დროს ჰიპოფიზი გამოყოფს თიროტროპულ ჰორმონს, რომელიც იწვევს თიროიდული ჯირკვლის გააქტივებას და იქიდან თიროიდული ჰორმონის დიდი რაოდენობით გამოყოფას. თიროიდული ჰორმონის ზეგავლენით უჯრედებში ინტენსიურად წარმოიქმნება უანგვითი პროცესისათვის საჭირო ენზიმები და შედეგად, უანგვითი პროცესები ჩქარდება. ამ დროს უჯრედებს ჩვეულებრივზე მეტი უანგბადი ესაჭიროება. ამიტომ ხშირდება სუნთქვა და ჩქარდება სისხლის მიმოქცევა.

სისხლის მიმოქცევის აჩქარებას იწვევს გულის შეკუმშვათა გაძლიება და გახშირება და აგრთვე, სისხლძარღვების შევიწროება. ეს ხორციელდება ნერვული სისტემიდან სიმპათიკური ნერვებით გაგზავნილი იმპულსების და თირკმელზედა ჯირკვლიდან სისხლში გამოყოფილი ჰორმონის - ადრენალინის საშუალებით. სიმპათიკური ნერვები და ადრენალინი სუნთქვას ახშირებენ.

მაგრამ როგორ ხვდება ორგანიზმი, როდის უნდა აჩქარდეს სისხლის მიმოქცევა და გახშირდეს სუნთქვა?

სისხლძარღვების, კერძოდ არტერიების კედლის შიდა მხარეს მოთავსებულია რეცეპტორები, რომლებიც მგრძნობირეა სისხლში უანგბადის რაოდენობის მიმართ. როდესაც უჯრედში ძლიერდება უანგვითი პროცესები, უჯრედი მეტ უანგბადს ითვისებს სისხლიდან. ამიტომ სისხლში უანგბადის დონე ჩვეულებრივზე ნაკლები ხდება. ამას შეიგრძნობენ რეცეპტორები. რეცეპტორები აიგზნება და ნერვული იმპულსი მიდის თავის ტვინში. თავის ტვინი უზრუნველყოფს სიმპათიკური ნერვების აგზნებას და აგრეთვე ჰიპოფიზიდან თირკმელზედა ჯირკვლის მოქმედების მარეგულირებელი ჰორმონის გამოყოფას. ეს ჰორმონი გაააქტივირებს თირკმელზედა ჯირკვალს, რომელიც თავის მხრივ, დიდი რაოდენობით ადრენალინს გამოყოფს სისხლში. შედეგად დაჩქარდება სისხლის მიმოქცევა და გახშირდება სუნთქვა.

როდესაც ფიზიკური დატვირთვა შეწყდება ან ემოციური დაძაბულობა გაივლის, უჯრედში უანგვითი პროცესები შემცირდება. მოთხოვნილება უანგბადზე შემცირდება. ამიტომ სისხლში უანგბადის დონე ჩვეულებრივ მაჩვენებელს მიაღწევს. უანგბადის რაოდენობის მიმართ მგრძნობიარე რეცეპტორები შეწყვეტის იმპულსის გაგზავნას თავის ტვინში. ტვინი შეწყვეტს სიმპათიკური ნერვების და ჰიპოფიზის სტიმულაციას. შედეგად გულის ცემის სიხშირე და აგრეთვე, სუნთქვის სიხშირე შემცირდება და ორგანიზმი მოსვენების მდგომარეობას დაუბრუნდება.

როგორც ტექსტიდან ირკვევა, ჰორმონებს ახასიათებს ორგანოებზე მოქმედების 2 ძირითადი გზა. ჰორმონი (მაგ. ინსულინი) მოქმედებს ორგანოს უჯრედების პლაზმურ მემბრანაზე ან შედის უჯრედში (მაგ. თიროიდული ჰორმონი) და მოქმედებს უშუალოდ გენეტიკურ აპარატზე. ორგანოს, რომელზედაც მოქმედებს ჰორმონი, ენოდება სამიზნე ორგანო. მაგალითად, გული არის ადრენალინის სამიზნე ორგანო.

## უჯრედში ტემპერატურის რეგულაცია

ენერგეტიკული ცვლის პროცესში გლუკოზიდან მოპოვებული ენერგიის ნაწილი ხმარდება ატფ-ს სინთეზს, ნაწილი კი სითბოს სახით იბნევა უჯრედში. სითბო გროვდება ატფ-ს დაშლის დროსაც. ეს სითბო ქმნის უჯრედში გარკვეულ ტემპერატურას. უჯრედში სათანადო ტემპერატურა ენზიმების მოქმედების აუცილებელი პირობაა.

უჯრედებში დაგროვილი ტემპერატურა ქმნის ორგანიზმის საერთო ტემპერატურას. ადამიანის შემთხვევაში, ნორმალური ტემპერატურაა საშუალოდ  $+36.6^{\circ}\text{C}$ . ლომის სხეულის ტემპერატურაა საშუალოდ  $+38.5^{\circ}\text{C}$ .

მაგრამ ენერგეტიკული ცვლა უწყვეტი პროცესია და ნესით უჯრედში იმაზე მეტი სითბო უნდა გროვდებოდეს, ვიდრე საჭიროა ენზიმების მოქმედებისათვის. ამ შემთხვევაში ენზიმები შეწყვეტდნენ მოქმედებას და უჯრედი მოკვდებოდა.

რატომ არ ხდება ასე?

ორგანიზმი, როგორც ნებისმიერი სხეული, გასცემს სითბოს. ამგვარად, ორგანიზმში მუდმივად ნარმოიქნება, გროვდება და გაიცემა სითბო.

ეს პროცესი ისე მიმდინარეობს, რომ ორგანიზმი ინარჩუნებს ნარმოქმნილ და გაცემულ სითბოს შერის საჭირო თანაფარდობას. საჭირო თანაფარდობა ნიშნავს, რომ სითბოს გაცემის გამო უჯრედში ტემპერატურა სათანადოზე დაბლა არ დაეცეს და იმავდროულად ორგანიზმში დაგროვილმა სითბომ, არ უნდა გადააჭარბოს დაწესებულ ნორმას.

სითბოს ნარმოქმნა-გაცემის პროცესის რეგულაცია, ანუ თბორეგულაცია, ხორციელდება ნერვული სისტემის საშუალებით.

როდესაც ლომმა ნახტომი გააკეთა, მის უჯრედებში, ძირითადად ჩინჩინის კუნთების უჯრედებში, ენერგეტიკული ცვლა დაჩქარდა: უჯრედებს მყისიერი შეკუმშვისათვის დიდაღი ენერგია დასჭირდათ, ატფ დაიშალა და უჯრედში ბევრი სითბო დაგროვდა. უჯრედები, მთელი ორგანიზმი, გადახურების საშიშროების წინაშე დადგა.

ტემპერატურის მატება შეიგრძნო თავის ტვინმა. როგორ? თავის ტვინში არის სპეციალური სტრუქტურა — ჰიპოთალამუსი, რომელიც მგრძნობიარეა ტემპერატურისადმი. როდესაც ორგანიზმის ტემპერატურა ნორმალურს გადააჭარბებს, ჰიპოთალამუსის ზეგავლენით კანში არსებული სისხლძარღვები გაფართოვდება. ამის გამო, კანში მეტი სისხლი მოედინება და კანი ინტენსიურად გასცემს ორგანიზმში დაგროვილ სითბოს.

თბორეგულაცია ხდება ოფლის აორთქლების საშუალებითაც. ოფლის აორთქლებაზე ორგანიზმი ხარჯავს საკუთარ ენერგიას და ამიტომ გრილდება. რაც უფრო მეტი სითბო დაგროვდება ორგანიზმში, მით უფრო ძლიერდება საოფლე ჯირკვლებიდან ოფლის გამოყოფის პროცესი.

ლომის შემთხვევაში კანიდან სითბოს გაცემა გარკვეულწილად ფერხდება, რადგან სითბოს გაცემას ხელს უშლის ხშირი ბალანი. ლომს საოფლე ჯირკვლებიც შედარებით (მაგალითად, ადამიანთან შედარებით) ნაკლები აქვს. ამიტომ ლომი, სხვა ძუძუმწოვრები, პირს დააღებენ და ენას რაც შეიძლება მეტად გადმოაგდებენ, რათა სითბო ენის და პირის ღრუს ზედაპირით გასცენ. ამავდროულად, ისინი გახშირებულად სუნთქავენ, რადგან სითბოს გაცემა ფილტვებიდან ამონასუნთქი ჰაერითაც ხდება.



სიცივეში კანში არსებული სისხლძარღვები ვიწროვდება, კანში სისხლის დინება შემცირდება და კანი ნაკლებ სითბოს გასცემს. ამ დროს ძლიერდება სისხლის დინება მუცლის ღრუში განლაგებულ ორგანოებში, ამიტომ იქ უჯრედებში უანგვითი პროცესები ძლიერდება და ორგანიზმში სითბო გროვდება. სიცივეში სითბოს დაკარგვას ხელს უშლის კანქვეშა ცხიმის შრეც.

სხვადასხვა ორგანიზმს სხეულის განსხვავებული ტემპერატურა აქვს. ამიტომ უჯრედის ენზიმი შეგუებულია იმ ტემპერატურაზე მოქმედებას, რომელიც ამ ორგანიზმისათვის არის დამახასიათებელი.

#### **ნასნავლი მასალის შემოწმება. გაკვეთილის სცენარი: ალმოაჩინე ტექსტში შეცდომები.**

ამ აქტივობის საშუალებით გაირკვევა, რამდენად ერკვევიან მოსწავლეები ანატომიის საკითხებში, კონკრეტულად თემებში „სისხლი”, „სისხლის მიმოქცევა” და „კუნთოვანი სისტემა”. აქტივობა უვითარებს მოსწავლეს ტექსტის კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევას.

დაურიგეთ მოსწავლეებს ტექსტი (ინდივიდუალურად ან ჯგუფს) და სთხოვეთ, დააფიქსირონ ყველა შესაძლო შეცდომა და გააკეთონ სათანადო კრიტიკული კომენტარი. ნამუშევარი წარმოადგინონ კლასის წინაშე.

შესაძლებელია, ამ გზით ჩატარდეს აღნიშნულ თემებზე შემაჯამებელი წერაც. ტექსტში სულ 10 შეცდომაა. თითოეულის აღმოჩენისათვის დაინერება 1 ქულა, ჯამში მაქსიმალური შეფასება იქნება 10 ქულა.

#### **ტექსტი:**

**სამედიცინო უნივერსიტეტის პირველკურსელი ლუკა კომპიუტერთან იჯდა, როდესაც მასთან მეზობელი მოვიდა.**

**მეზობელი:** ლუკა, მიშველე, ხომ ხარ ექიმი, საჩვენებელი თითო გამიწითლდა და მტკივა კიდევაც.

**ლუკა:** აშკარად სისხლის არტერიული წნევა გაქვს მომატებული. ახლავე წადი და მიიღე რაიმე წამალი, რომელიც სისხლძარღვებს შეგივიწროებს

**მეზობელი:** მოიცა, კაცო, გუშინ ამ თითში ჩაქუჩი ჩავირტყი და ეგებ, ამიტომ მტკიცა?

**ლუკა:** ეგ რომ იყოს მიზეზი, მაშინ ანთება გექნებოდა და ანთების დროს კი ჩირქი უნდა დაგროვდეს, შენ ჩირქდენა არ გაქვს

**მეზობელი:** სისხლის წნევა რომ მქონდეს მომატებული, თავი არ მეტკინებოდა?

**ლუკა:** რა შუაშია თავი, არტერიებს თავში სისხლი არ მიაქვთ, იქ მხოლოდ ვენებია. არტერიები სისხლით ამარაგებს ჩონჩხის კუნთებს.

**მეზობელი:** მარტო კუნთებს?

**ლუკა:** მარტო კუნთებს! ჩონჩხის კუნთები დიდ სამუშაოს ასრულებს, ისინი იკუმშება და იწელება, რათა ჩვენ მოძრაობა შევძლოთ, ამიტომ მათ ბევრი ლეიკოციტები სჭირდება.

**მეზობელი:** და თითო რა შუაშია, აქაც მაქვს ჩონჩხის კუნთები?

**ლუკა:** ჩონჩხის კუნთები ყველაგან არის, ხელის თითებშიც გაქვს, ფეხის თითებშიც, გულშიც, კუჭშიც და ნაწლავებშიც.

**მეზობელი:** ვაა, ხედავ რა ხდება? თავის დროზე რომ სკოლაში კარგად მესწავლა, მეც ხომ მეცოდინებოდა. სკოლიდან მარტო ის მახსოვს, რომ არსებობს ორთავა და სამთავა კუნთები და ეგენი სპორტმენებს აქვთ.

**ლუკა:** რა გინდა, გცოდნია რაღაც. ეგ კუნთები მართლაც იმათ აქვთ, ვინც სპორტით არის დაკავებული. კარგი იქნებოდა, მეც მქონდა, მაგრამ მე ექიმი უნდა გამოვიდე, სად მცალია სპორტისათვის.

**მეზობელი:** ისე, ჩვენი მეზობელი რომ არის, ფეხბურთელი, ის ამბობს, ფეხბურთს თავი დავანებე, რადგან ბარძაყის კუნთის მყესი გამინებდაო

**ლუკა:** რა სისულელეა, მყესები აქვს მხოლოდ ორთავა კუნთს. ახლა ბოდიში, მეჩქარება და საღამოს გნახავ

**მეზობელი:** ჰო, კარგი, წავალ, წამალს მივიღებ, გმადლობთ, ნამდვილი ექიმი ხარ.

**ლუკა:** აფთიაქში წადი, უთხარი არტერიული წნევა მაქვს მომატებული და ჰიპოტენზიის საწინააღმდეგოდ რაიმე მომეცით-თქო.

### შეცდომები ტექსტში:

1. არტერიული წნევის მომატების საწინააღმდეგოდ საჭიროა სისხლძარღვების გამაფართოებელი საშუალებები.

2. თითის სინითლე და ტკივილი ანთებითი პროცესის მაჩვენებელია და არ უკავშირდება არტერიული წნევის მატებას.

3. არტერიები უხვად ამარაგებს სისხლით თავს

4. სისხლით მარაგდება ყველა ორგანო და არა მხოლოდ ჩონჩხის კუნთები

5. კუნთი იკუმშება და დუნდება და არა „იწელება“

6. ჩონჩხის კუნთების მუშაობისათვის მნიშვნელოვანია სისხლის მიერ მათი მომარაგება უანგბადით და საკვებით. ლეიკოციტები ამ შემთხვევაში როლს არ თამაშობს

7. ჩონჩხის კუნთები არ გვხდება შინაგან ორგანოებში (მათ შორის არც გულში, კუჭში და ნაწლავებში)


8. ორთავა და სამთავა კუნთი ზედა კიდურის ჩონჩხის კუნთებია და აქვს ყველას და არა მარტო სპორტმენს.

9. მყესი აქვს ყველა ჩონჩხის კუნთს

10. არტერიული წნევის მატება არის ჰიპერტენზია.


### როგორ გამოიყურება ქსოვილები

ადამიანის ორგანიზმი შედგება ოთხი ძირითადი ქსოვილისგან: ეპითელური, შემაერთებელი, კუნთოვანი და ნერვული. ამ ქსოვილებს აქვთ ძირითადი მახასიათებლები რომელთა მიხედვით შეიძლება მათი გარჩევა მიკროსკოპის საშუალებით.




ეპითელური ქსოვილის (2) უჯრედები ერთმანეთთან ძალიან ახლოს არის მიჯრილი. ისინი ერთბირთვიანია.

ქვემოთ სურათზე ჩანს ეპითელური ქსოვილის სხვადასხვა ტიპები




ეპითელური ქსოვილისგან განსხვავებით შემაერთებელ ქსოვილში (1) უჯრედები ერთმანეთისაგან დაშორებულია და მათ შორის სივრცე ამოვსებულია დიდი რაოდენობით უჯრედშორისი ნივთიერებით რომელიც შეიძლება იყოს თხევადი, ნახევრად თხევადი ან მყარი (მაგალითად ძვლოვან ქსოვილში).




სისხლის უჯრედებს შორის მიკროსკოპში ადვილი გასარჩევია ერითროციტები და ლეიკოციტები. ლეიკოციტებში ჩანს ბირთვი, რომელიც ერითროციტებს არ აქვს.

კუნთოვანი ქსოვილის (3) უჯრედები გამოირჩევა რიგი მახასიათებლებით: ჩონჩხის კუნთების ქსოვილი შესახედავად ზოლიანია (ამიტომაც ენოდება განივზოლიანი) და მრავალბირთვიანი.



ჩონჩხის კუნთოვანი უპრედის (გოჭოს) პირთვები

ნერვული ქსოვილი (4) გამოირჩევა ყველა სხვა ქსოვილისგან იმით რომ, მის უჯრედებს აქვს გამონაზარდები: მოკლე დენდრიტები და გრძელი — აქსონი.



## გაკვეთილის სცენარი


მიეცით მოსწავლეებს ამონაპეჭდი, წაიკითხონ და შეასრულონ დავალება.

თავის ტვინის ნახევარსფეროების წილების ფუნქცია.


თავის ტვინის ნახევარსფეროების რომელი წილია პასუხისმგებელი დაგეგმვასა და განჭვრეტაზე?

ამას შენ თვითონ გამოიცნობ, როდესაც გაეცნობი ფაინერს გეიჯის ცხოვრების ამბავს.

ეს ამბავი ფაინეას გეიჯს 1848 წლის 14 სექტემბერს შეემთხვა. გეიჯი მუშაობდა ამფეთქებლად კლდეში მატარებლის გზის გაყვანაზე. იმ დღეს მას დენთი უნდა ჩაეტკეპნა კლდეში გაკეთებულ ხვრელში. დენთს სპეციალური რკინის ძალაყინით ტკეპნიდნენ. გეიჯმა, მუშაობის დროს, დაახლოებით 1 მეტრი სიგრძის ძალაყინი შემთხვევით კლდეს მოახვედრა, ნაპერწკალისაგან დენთმა იფეთქა და ძალაყინი დიდი



გეიჯი ტრავმის შემდეგ, ძალაყინით ხელში



გეიჯის ტვინში ძალაყინის გავლის სქემა

ძალით ამოისროლა ხერცლიდან. ძალაყინმა გეიჯს მარცხენა ყვრიმალის ძვალში გაუარა და ქალადან, მარცხენა მხრიდანვე გარეთ გამოვიდა. ძალაყინმა დააზიანა ქალას ძვლები და რაც მთავარია – თავის ტვინი. საოცარია, მაგრამ გეიჯი გადარჩა. ის გარკვეული ხანი ავადმყოფობდა, მაგრამ შემდეგ სამუშაოზე გასვლაც კი შეძლო. ის თავს კარგად გრნობდა, მაგრამ თანამშრომლები ამბობდნენ, რომ ტრავმის შემდეგ გეიჯს აღარ შეეძლო სწორი გადაწყვეტილებების მიღება, რამეს განჭვრეტა, სამუშაოს დაგეგმვა.

იმსჯელე შემდეგი გეგმის მიხედვით:

- გავიგებ, ტვინის რა ნაწილი დაზიანდა;
- ვიცი, როგორ შეიცვალა ამის შედეგად ადამიანის ქცევა, რა კონკრეტულ ფუნქციას ვეღარ ასრულებდა ავადმყოფი;
- აქედან გამომდინარე, გავაკეთებ დასკვნას, რომ ტვინის ეს ნაწილი პასუხისმგებელი ყოფილა ამ ფუნქციის შესრულებაზე.

დაგჭირდება იმის გარკვევა, თუ ნახევარსფეროს რა ნაწილი დაუზიანდა გეიჯს. დააზუსტე გეიჯის ქალაში ძალაყინის გავლის ტრაექტორია და ივარაუდე, ნახევარსფეროს რომელი წილი დაუზიანდა მას. ამისათვის გააანალიზე სურათი, რომელზეც ნაჩვენებია ძალაყინის ტვინში გავლის ტრაექტორია.

**შენიშვნა:** (ეს დავადება გულისხმობს, რომ მოსწავლეებს უკვე ნასწავლი აქვთ თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების აგებულება და იციან ჰემისფეროების ცალკეული წილების ადგილმდებარეობა).

აქტივობაში იგულისხმება, რომ გეიჯს დაუზიანდა შუბლის წილი. აქტივობის მიზანია მოსწავლემ: 1. შეძლოს შუბლის წილის იდენტიფიკაცია; 2. დაუკავშიროს გეიჯის დაავადების სიმპტომები შუბლის წილს და ამ გზით; 3. დაადგინოს შუბლის წილის ფუნქცია).

## ტესტები ანატომიაში

**1. ცხრილში ნაჩვენებია კალციუმის რაოდენობის (მილიგრამებში) ცვლილება ადამიანის ძვლებში გარკვეული დროის მანძილზე.**

10	20	30	40	45
----	----	----	----	----

რა პროცესს ემთხვევა დროში ეს მონაცემები:

1. ადამიანის ზრდას
2. ძვლის ქსოვილში არაორგანული ნივთიერებების დაგროვებას
3. ძვლის ქსოვილში წყლის დაგროვებას
4. სწორია ყველა
5. სწორია 1,2
6. სწორია 2,3

**2. ცხრილის მიხედვით დასვი დიაგნოზი:**

ლეიკოციტების რაოდენობა სისხლის 1 მმ3-ში	ერითროციტების რაოდენობა სისხლის 1 მმ3-ში
5 000 000	5 000 000

1. ჯანმრთელია
2. ანთება აქტე
3. სისხლის შედედების უნარი დაქვეითებულია
4. სწორია 2,3
5. სწორია 1
6. სწორია 2
7. სწორია 3
8. არცერთი არ არის სწორი

**3. ადამიანის სხეულში შეიყვანეს ნითელას გამომწვევი ვირუსი. ამის შედეგად:**

1. ადამიანი გამოჯანმრთელდება თუ ის ავად არის ნითელათი
2. მოიმატებს ადამიანის სისხლის ფირფიტების რაოდენობა
3. მოიმატებს ადამიანის სისხლში ანტისხეულების რაოდენობა
4. სწორია 1,3
5. სწორია 2,3
7. სწორია 3
8. სწორია 1

**4. ცხრილის მიხედვით დასვი დიაგნოზი:**

ფარისებრი ჯირკვლის მიერ გამოყოფილი ჰორმონის რაო- დენობა (პირობით ერთეულში)	20	25	40
ადამიანის მდგომარეობა	სძინავს	გაიღვია	დაიწყო ვარჯიში

- ჯანმრთელია
- აქვს ბაზედოვის დაავადება
- აქვს მიქსედემა

**5. ცხრილის მიხედვით დასვი დიაგნოზი:**

თირკმელზედა ჯირკვლის მიერ გამოყოფილი ადრენალინის რაოდენობა (პირობით ერთეულში)	20	25	40
ადამიანის მდგომარეობა	სძინავს	გაიღვიძა	დაიწყო ვარჯიში

- ჯანმრთელია
- აწუხებს მომატებული სისხლის წნევა
- აწუხებს დიაბეტი

**6. A ვიტამინი ორგანიზმზე მოქმედების ხასიათით წააგავს (შემოხაზე ყველა სწორი პასუხი):**

- D ვიტამინს
- C ვიტამინს
- B ვიტამინს
- ლიზოციმს

**7. ნახშირწყლების ცვლას ხელს უწყობს (შემოხაზე ყველა სწორი პასუხი):**

- B ვიტამინი
- C ვიტამინი
- თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონი
- კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი

8. ორგანოს ჩაუწერე გრაფაში ის ციფრი, რომლითაც აღნიშნულია ის ნივთიერება, რომელიც იშლება ამ ორგანოში: 1-ცილა, 2-ცხიმი, 3-ნახშირწყალი, 4-ნყალი

პირის ღრუ	
კუჭი	
წვრილი ნაწლავი	
სწორი ნაწლავი	

**9. რა კავშირია გენებსა და იმუნიტეტს შორის:**

- კავშირი არ არის, რადგან იმუნიტეტი განპირობებულია ანტისხეულებით და ლეიკოციტებით, გენები კი არის უჯრედში, დნმ-ში
- კავშირი გამოიხატება იმაში, რომ გენები განაპირობებენ ანტისხეულების წარმოქმნას
- კავშირი არ შეიძლება იყოს, რადგან გენები უჯრედულ დონეზე მოქმედებს, ხოლო იმუნიტეტი ორგანიზმულ დონეზე
- კავშირი ის არის, რომ გენები განაპირობებენ უჯრედში ნივთიერებათა ცვლას და მაშასადამე, ენერგიით ამარაგებენ ანტისხეულებს.

**10. შემაერთებელი ქსოვილი გვხვდება (შემოხაზე ყველა სწორი პასუხი):**

- ა. კანში
- ბ. გულში
- გ. სისხლძარღვებში
- დ. კუჭში
- ე. ძვლებში
- ფ. სისხლში

**11. არტერიული წნევის მატება შეიძლება გამოიწვიოს:**

- 1. კუჭქვეშა ჯირკვლიდან სისხლში ადრენალინის დიდი რაოდენობით გამოყოფამ
- 2. გულის შეკუმშვის სიძლიერის შემცირებამ
- 3. თირკმლებიდან წყლის გამოდევნის შეფერხებამ
- 4. ყველა პასუხი სწორია

**12. ქვედა კიდურის სარტყელს ქმნის:**

- 1. ბარძაყის ძვალი
- 2. წვივის ძვალი
- 3. მენჯი
- 4. ტერფი

**13. კანის რომელიმე მიღამოში ანთებითი პროცესის არსებობაზე შესაძლებელია მიუთითებდეს:**

- 1. ამ მიღამოს სიწითლე
- 2. ტკივილი ამ მიღამოში
- 3. ამ მიღამოში ტემპერატურის მატება
- 4. ყველა პასუხი სწორია

**14. როდესაც ადამიანი კარგად ვერ ხედავს ახლოს მდებარე საგნებს, შორს მდებარეს კი კარგად არჩევს, მას სავარაუდოდ სჭირდება:**

- 1. ჩაზნექილლინზებიანი სათვალე
- 2. ამოზნექილლინზებიანი სათვალე
- 3. სრულიად სწორი ზედაპირის მქონე ლინზებიანი სათვალე
- 4. ლინზების სიმრუდეს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს

**15. ვაშლი შეიცავს დიდი რაოდენობით რკინას. ამგვარად, ის სასარგებლოა, რადგან:**

- ა. რკინა აუცილებელია კუნთების შეკუმშვისათვის
- ბ. რკინა აუცილებელია ჰემოგლობინის წარმოქმნისათვის
- ც. რკინა აუცილებელია ძვლის სიმტკიცისათვის
- დ. რკინა აუცილებელია გულის მუშაობისათვის

**16. იმისათვის, რომ ჩონჩხი ნორმალურად ჩამოყალიბდეს, საჭიროა:**

- 1. კალციუმით მდიდარი საკვების მიღება
- 2. ცილებით ღარიბი საკვების მიღება
- 3. წყლის დიდი რაოდენობით მიღება

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

**17. სისხლის სიჩქარე ყველაზე მაღალია:**

- |                |            |
|----------------|------------|
| 1. არტერიებში  | 2. ვენებში |
| 3. კაპილარებში | 4. გულში   |

**18. სუნთქვის რეგულაციას ახოციელება:**

- |                                      |                      |
|--------------------------------------|----------------------|
| 1. ნათხემი                           | 2. თავის ტვინის ღერო |
| 3. თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროები | 4. ზურგის ტვინი      |

**19. ჩონჩხის კუნთების მოქმედება:**

1. რეგულირდება მხოლოდ ზურგის ტვინის მიერ
2. რეგულირდება ზურგის და თავის ტვინის მიერ
3. რეგულირდება მხოლოდ თავის ტვინის მიერ
4. რეგულირდება ჩონჩხის კუნთებში წარმოშობიული ნერვული იმპულსით

**20. ცოცხალი ორგანიზმების ევოლუცია განიმარტება როგორც:**

1. ცოცხალი ორგანიზმების ცვლილება მათი განვითარების პროცესში
2. ცოცხალი ორგანიზმების ადაპტაცია საარსებო გარემოსთან
3. ცოცხალი ორგანიზმების აგებულების და ფუნქციის გართულება
4. ცოცხალი ორგანიზმების აგებულების და ფუნქციის გამარტივება

**21. ჩაამატეთ გამოტოვებული სიტყვები:**

1. \_\_\_\_\_ სეკრეციის ჯირკვალი გამოყოფს ნივთიერებებს სადინარით ღრუში ან სხეულის ზედაპირზე, \_\_\_\_\_ სეკრეციის ჯირკვალი კი სადინარის გარეშე პირდაპირ სისხლში
2. \_\_\_\_\_ შლის ნახშირწყლებს პირის ღრუში
3. წყლის დიდი რაოდენობით შეწოვა ხდება \_\_\_\_\_ ნაწლავში
4. ხაოიანი ზედაპირი აქვს \_\_\_\_\_ ნაწლავს და არ აქვს \_\_\_\_\_ ნაწლავს
5. ცილების დაშლა იწყება \_\_\_\_\_ ში
6. ნაწლავში ცხიმები იშლება \_\_\_\_\_ ად და \_\_\_\_\_ ად
7. ცხიმის დაშლის პროდუქტები შეიწოვება ჯერ \_\_\_\_\_ ში და შემდეგ გადადის \_\_\_\_\_ ში.
8. ნაწლავიდან შეწოვილი საკვები სისხლით გადადის ჯერ \_\_\_\_\_ ში და შემდეგ მთელ ორგანიზმში
9. \_\_\_\_\_ კლავს მიკრობებს პირის ღრუში და აშუშებს პირის ღრუს ლორწოვანს.
10. \_\_\_\_\_ ხელს უწყობს ცხიმების დაშლას კუჭქვეშა ჯირკვლის ფერმენტების მიერ
11. \_\_\_\_\_ ნეირონის სხეული მოთავსებულია ზურგის ტვინის გარეთ კვანძში
12. \_\_\_\_\_ ნეირონი აკავშირებს მგრძნობიარე და მამოძრავებელ ნეირონებს
13. მამოძრავებელი ნეირონის აქსონი ზურგის ტვინიდან გამოდის \_\_\_\_\_ ფესვით

14. \_\_\_\_\_ ჯირკვლის პორმონი არეგულირებს უანგვით რეაქციებს
15. \_\_\_\_\_ ჯირკვლის პორმონი არეგულირებს გლუკოზის რაოდენობას სისხლში
16. ზრდის პორმონს გამოყოფს \_\_\_\_\_
17. კრეტინიზმი ვითარდება, როდესაც ორგანიზმს აკლია \_\_\_\_\_ ჯირკვლის პორმონი
18. \_\_\_\_\_ ნერვული სისტემა იწვევს სუნთქვის აჩქარებას
19. \_\_\_\_\_ ნერვები იწვევენ ჩონჩხის კუნთების შეკუმშვას
20. თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს \_\_\_\_\_ წილი პასუხისმგებელია ზეპირ მეტყველებაზე
21. სუნთქვის ცენტრი მოთავსებულია თავის ტვინის \_\_\_\_\_ ში
22. თავის ტვინის ღეროს შეადგენს \_\_\_\_\_, \_\_\_\_\_ და \_\_\_\_\_
23. თავისუფალი ზედა კიდურების ჩონჩხის ეკუთვნის \_\_\_\_\_, \_\_\_\_\_ და \_\_\_\_\_ ძვლები
24. ძვლების მოძრავ შეერთებას ეწოდება \_\_\_\_\_
25. ქალას ტვინის განყოფილების ძვლების შეერთება ძვლების შეერთების მაგალითია
26. ნეკნები დაკავშირებულია \_\_\_\_\_ ის ძვალთან
27. დიაფრაგმა ერთმანეთისაგან გამოყოფს \_\_\_\_\_ ის ღრუს და \_\_\_\_\_ ის ღრუს
28. ორგანიზმიდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მარილის და წყლის გამოყოფა ხდება \_\_\_\_\_ დან
29. სისხლში \_\_\_\_\_ ის რაოდენობა არეგულირებს სუნთქვის სიხშირეს
30. ინფექციით დაავადებულ ადამიანს მკურნალობის მიზნით გაუკეთებენ \_\_\_\_\_ (ჩანერეთ “შრატი”, ან “აცრა”)
31. იმუნიტეტში სისხლის უჯრედებიდან მონაწილეობს \_\_\_\_\_ (ჩანერეთ “სისხლის ფირფიტები” ან “ლეიკოციტები”)
32. ანტისხეულებს გამოიმუშავებენ \_\_\_\_\_
33. სისხლის შედედებისათვის აუცილებელია სისხლის ცილა \_\_\_\_\_
34. სისხლში 1 კუბურ მილიმეტრში არის 5 მილიონი \_\_\_\_\_
35. სისხლში არსებული ერითროციტები სხვა სისხლის უჯრედებისაგან იმით განსხვავდება, რომ არ აქვთ \_\_\_\_\_
36. სისხლის მესამე ჯგუფი შეიძლება გადავუსხათ \_\_\_\_\_ და \_\_\_\_\_ ჯგუფს
37. ნებისმიერი ჯგუფის სისხლი შეიძლება გადავუსხათ \_\_\_\_\_ ჯგუფს
38. კანის ზედა შრეს ეწოდება \_\_\_\_\_
39. კანში რეცეპტორები მოთავსებულია \_\_\_\_\_ ში
40. კანიდან სითბოს გამოყოფას ხელს უწყობს კანში სისხლძარღვების \_\_\_\_\_ (ჩანერეთ “შევიწროება” ან “გაფართოება”)
41. საჭმლის მომნელებელი სისტემა ეკუთვნის ორგანიზმის \_\_\_\_\_ სისტემას (ჩანერეთ “ორგანოთა” ან “ფუნქციურ”)
42. პარკუჭიდან სისხლის გადაადგილებას წინაგულში ხელს უშლის \_\_\_\_\_ სარქველი
43. ვენებში მოთავსებულია \_\_\_\_\_ სარქველი

44. სისხლის წევა ყველაზე მაღალია \_\_\_\_\_ ში და ყველაზე დაბალი \_\_\_\_\_ ში
45. სისხლის სიჩქარე ყველაზე მაღალია \_\_\_\_\_ ში და ყველაზე დაბალი \_\_\_\_\_ ში
46. გულის ავტომატურ შეკუმშვას განაპირობებს \_\_\_\_\_ (ჩაწერეთ “სიმპათიკური ნერვები” ან “გულში არსებული უჯრედები” ან “ადრენალინი”)
47. ადრენალინი იწვევს გულის ცემის \_\_\_\_\_
48. სისხლძარღვებს შორის ერთშრიანი ეპითელური ქსოვილისაგან შედგება \_\_\_\_\_
49. ჩასუნთქვის დროს ნეკნთაშორისი კუნთები \_\_\_\_\_ (ჩაწერეთ “იკუმშება” ან “დუნდება”)
50. ამოსუნთქვის დროს გულმკერდის ღრუს მოცულობა \_\_\_\_\_ (ჩაწერეთ “იზრდება” ან “მცირდება”)

### პასუხები ტესტებზე ანაზომინაში

1. სწორია 1,2
2. ანთება აქვს
3. სწორია 3
4. ჯანმრთელია
5. ჯანმრთელია
6. C და B ვიტამინს
7. B ვიტამინი, თირკმელზედა ჯირკვლის პორმონი, კუჭქვეშა ჯირკვლის პორმონი
- 8.

პირის ღრუ	3
კუჭი	1,2
წვრილი ნაწლავი	1,2,3
სწორი ნაწლავი	

9. კავშირი გამოიხატება იმაში, რომ გენები განაპირობებენ ანტისხეულების წარმოქმნას

10. ყველა პასუხი სწორია
11. თირკმლებიდან წყლის გამოდევნის შეფერხებამ
12. . მენჯი
13. ყველა პასუხი სწორია
14. ამოზნექილლინზებიანი სათვალე
15. რკინა აუცილებელია ჰემოგლობინის წარმოქმნისათვის
16. კალციუმით მდიდარი საკვების მიღება
17. არტერიებში
18. თავის ტვინის ღერო
19. რეგულირდება ზურგის და თავის ტვინის მიერ
20. ცოცხალი ორგანიზმების ცვლილება მათი განვითარების პროცესში

21.

1. ...შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი გამოყოფს ნივთიერებებს სადინარით ღრუში ან სხეულის ზედაპირზე, გარეგანი სეკრეციის ჯირკვალი კი სადინარის გარეშე პირდაპირ სისხლში
2. ნერწყვი შლის ნახშირწყლებს პირის ღრუში
3. წყლის დიდი რაოდენობით შეწოვა ხდება მსხვილ ნაწლავში
4. ხაოიანი ზედაპირი აქვს წვრილ ნაწლავს და არ აქვს მსხვილ ნაწლავს
5. ცილების დაშლა იწყება კუჭში
6. ნაწლავში ცხიმები იშლება გლიცერინად და ცხიმოვან მჟავებად
7. ცხიმის დაშლის პროდუქტები შეიწოვება ჯერ ლიმფაში და შემდეგ გადადის სისხლში
8. ნაწლავიდან შეწოვილი საკვები სისხლით გადადის ჯერ ღვიძლში და შემდეგ მთელ ორგანიზმში
9. ლიზოციმი კლავს მიკრობებს პირის ღრუში და აშუშებს პირის ღრუს ლორწოვანს
10. ნალველი ხელს უწყობს ცხიმების დაშლას კუჭქვეშა ჯირკვლის ფერმენტების მიერ
11. მგრძნობიარე ნეირონის სხეული მოთავსებულია ზურგის ტვინის გარეთ კვანძში
12. ჩართული ნეირონი აკავშირებს მგრძნობიარე და მამოძრავებელ ნეირონებს
13. მამოძრავებელი ნეირონის აქსონი ზურგის ტვინიდან გამოდის წინა ფესვით
14. ფარისებრი ჯირკვლის პორმონი არეგულირებს უანგვით რეაქციებს
15. კუჭქვეშა ჯირკვლის პორმონი არეგულირებს გლუკოზის რაოდენობას სისხლში
16. ზრდის პორმონს გამოყოფს ჰიპოფიზი
17. კრეტინიზმი ვითარდება, როდესაც ორგანიზმს აკლია ფარისებრი ჯირკვლის პორმონი
18. ცენტრალური ნერვული სისტემა იწვევს სუნთქვის აჩქარებას
19. სომატური ნერვები იწვევენ ჩონჩხის კუნთების შეკუმშვას
20. თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს შუბლის და საფეთქლის წილი პასუხისმგებელია ზეპირ მეტყველებაზე
21. სუნთქვის ცენტრი მოთავსებულია თავის ტვინის ღეროში
22. თავის ტვინის ღეროს შეადგენს ხიდი, მოგრძო და შუა ტვინი
23. თავისუფალი ზედა კიდურების ჩონჩხის ეკუთვნის მხრის, წინამხრის და მტევანის ძვლები
24. ძვლების მოძრავ შეერთებას ეწოდება სახსარი
25. ქალას ტვინის განყოფილების ძვლების შეერთება ძვლების უძრავი შეერთების მაგალითია
26. ნეკნები დაკავშირებულია მეტყველების ძვალთან
27. დიაფრაგმა ერთმანეთისაგან გამოყოფს გულმკერდის ღრუს და მუცლის ღრუს
28. ორგანიზმიდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მარილის და წყლის გამოყოფა ხდება თირკმელებიდან
29. სისხლში ნახშირორჟანგის რაოდენობა არეგულირებს სუნთქვის სიხშირეს

30. ინფექციით დაავადებულ ადამიანს მკურნალობის მიზნით გაუკეთებენ შრატს
31. იმუნიტეტში სისხლის უჯრედებიდან მონაწილეობს ლეიკოციტები
32. ანტისხეულებს გამოიმუშავებენ ლიმფოციტები
33. სისხლის შედედებისათვის აუცილებელია სისხლის ცილა ფიბრინოგენი
34. სისხლში 1 კუბურ მილიმეტრში არის 5 მილიონი ერითროციტი
35. სისხლში არსებული ერითროციტები სხვა სისხლის უჯრედებისაგან იმით განსხვავდება, რომ არ აქვთ ბირთვი
36. სისხლის მესამე ჯგუფი შეიძლება გადავუსხათ III და IV ჯგუფს
37. ნებისმიერი ჯგუფის სისხლი შეიძლება გადავუსხათ IV ჯგუფს
38. კანის ზედა შრეს ენოდება ეპიდერმისი
39. კანში რეცეპტორები მოთავსებულია ეპიდერმისში
40. კანიდან სითბოს გამოყოფას ხელს უწყობს კანში სისხლძარღვების გაფართოება
41. საჭმლის მომნელებელი სისტემა ეუთვის ორგანიზმის ორგანოთა სისტემას
42. პარკუჭიდან სისხლის გადაადგილებას წინაგულში ხელს უშლის კარიანი სარქველი
43. ვენებში მოთავსებულია ჯიბისებრი სარქველი
44. სისხლის წევა ყველაზე მაღალია არტერიებში და ყველაზე დაბალი ვენებში
45. სისხლის სიჩქარე ყველაზე მაღალია არტერიებში და ყველაზე დაბალი კაპილარებში
46. გულის ავტომატურ შეკუმშვას განაპირობებს გულში არსებული უჯრედები
47. ადრენალინი იწვევს გულის ცემის აჩქარებას
48. სისხლძარღვებს შორის ერთშრიანი ეპითელური ქსოვილისაგან შედგება კაპილარები
49. ჩასუნთქვის დროს ნეკნთაშორისი კუნთები იკუმშება
50. ამოსუნთქვის დროს გულმკერდის ღრუს მოცულობა მცირდება

## ტესტები პიოლოგიაში

### ვარიანტი I

#### 1. მიტოზი ახასიათებს:

- ა. მხოლოდ სომატურ უჯრედებს
- ბ. მხოლოდ სასქესო უჯრედებს
- გ. ორივე სახის უჯრედს

#### 2. მიტოზურად მრავლდება:

- ა. პროკარიოტები
- ბ. ეუკარიოტები
- გ. ორივე სწორია


#### 3. მიტოზის რა ფაზაა გამოსახული სურათზე?

- ა. პროფაზა
- ბ. მეტაფაზა
- გ. ანაფაზა
- დ. ტელოფაზა



#### 4. მიტოზის რა ფაზაა გამოსახული სურათზე?

- ა. პროფაზა
- ბ. მეტაფაზა
- გ. ანაფაზა
- დ. ტელოფაზა



#### 5. მიტოზის რა ფაზაა გამოსახული სურათზე?

- ა. პროფაზა
- ბ. მეტაფაზა
- გ. ანაფაზა
- დ. ტელოფაზა



#### 6. მეოზის დროს ქრომატიდები ერთმანეთს სცილდება:

- ა. პირველი გაყოფის მეტაფაზაში
- ბ. პირველი გაყოფის ანაფაზაში
- გ. მეორე გაყოფის მეტაფაზაში
- დ. მეორე გაყოფის ანაფაზაში

**7. მეიოზის დროს ქრომოსომების რაოდენობა ნახევრდება:**

- ა. პირველი გაყოფის შემდეგ
- ბ. მეორე გაყოფის შემდეგ
- გ. თავიდანვე განახევრებულია

**8. მეიოზის შედეგად წარმოქმნილ გამეტებში ქრომოსომები:**

- ა. ზუსტად იმდენია და ისეთივე რამდენიც დედისეულ უჯრედში
- ბ. ზუსტად იმდენია რამდენიც დედისეულ უჯრედში მაგრამ წარმოადგენს ახლებურ კომბინაციას
- გ. განახევრებულია, მაგრამ ისეთივეა როგორც დედისეულ უჯრედში
- დ. განახევრებულია, მაგრამ წარმოადგენს ახლებურ კომბინაციას

**9. სომატურ უჯრედებს ეკუთვნის:**

- ა. კუნთის, ძვლის, თავის ტვინის უჯრედები
- ბ. სპერმატოზოიდები, კანის, გულის და ზურგის ტვინის უჯრედები
- გ. ორივე პასუხი სწორია
- დ. ორივე პასუხი მცდარია

**10. სასქესო უჯრედები ორგანიზმში გვხვდება:**

- ა. კუნთის, ძვლის, თავის ტვინის ქსოვილში
- ბ. სპერმატოზოიდებში, კანის, გულის და ზურგის ტვინის ქსოვილში
- გ. სპერმატოზოიდში და კვერცხუჯრედში
- დ. სათესელეში და საკვერცხეში

**11. გამეტების სიწმინდეს განაპირობებს ის რომ:**

- ა. მეიოზის დროს გამეტაში მოხვდება სხვადასხვა ნიშანთვისების განმსაზღვრელი ალელებიდან მხოლოდ ერთი
- ბ. მეიოზის დროს გამეტაში მოხვდება ერთი ნიშანთვისების განმსაზღვრელი ალელებიდან მხოლოდ ერთი
- გ. მეიოზის დროს გამეტაში მოხვდება სხვადასხვა ნიშანთვისების განმსაზღვრელი ყველა ალელი
- დ. მეიოზის დროს გამეტაში მოხვდება ერთი ნიშანთვისების განმსაზღვრელი ყველა ალელი

**12. უჯრედში ქრომოსომების ნორმალური რაოდენობა შეიცვლება თუ:**

- ა. მეიოზის დროს ერთმანეთს არ დაშორდა ჰომოლოგიურ ქრომოსომებში შეჭიდული გენები
- ბ. მეიოზის დროს ერთმანეთს არ დაშორდა ქრომატიდები
- გ. ორივე სწორია

- 13. გენოტიპი განისაზღვრება :**
- ა. ორგანიზმის გენური შედგენილობით
  - ბ. გენების და გარემოს ურთიერთქმედებით
  - გ. ორივე სწორია
  - დ. არცერთი არ არის სწორი
- 14. დნმ-ს შემადგენელი ნუკლეოტიდები არის:**
- ა. ქიმიური აგებულებით ერთნაირი მონომერები
  - ბ. ქიმიური აგებულებით განსხვავებული პოლიმერები
  - გ. ქიმიური აგებულებით ნაწილობრივ განსხვავებული ნივთიერებები
- 15. ნუკლეოტიდების დაკავშირება დნმ-ს ერთ ჯაჭვში ხორციელდება:**
- ა. ერთი ნუკლეოტიდის ნახშირწყალსა და მეორის ფოსფატის ჯგუფს შორის ქიმიური ბმის ნარმოქმნით
  - ბ. ერთი ნუკლეოტიდის ნახშირწყალსა და მეორის აზოტოვან ფუძეს შორის ქიმიური ბმის ნარმოქმნით
  - გ. ნუკლეოტიდების აზოტოვანი ფუძეების დაკავშირებით
- 16. კომპლემენტურობის პრინციპი ვლინდება:**
- ა. ნუკლეოტიდების დაკავშირებაში დნმ-ს ერთ ჯაჭვში
  - ბ. დნმ-ს ორი ჯაჭვის ნუკლეოტიდების დაკავშირებაში
  - გ. ორივე პასუხი სწორია
- 17. რომელი კავშირი გამოხატავს სწორად კომპლემენტურობის პრინციპს:**
- ა. ა-გ, ც-თ      ბ. ა-ა, გ-გ, თ-თ, ც-ც      გ. ა-თ, გ-ც
- 18. რნმ-ს და დნმ-ს ნუკლეოტიდები განსხვავდება:**
- ა. ნუკლეოტიდებში სემავალი ნახშირწყლებით
  - ბ. ნუკლეოტიდების აზოტოვანი ფუძით
  - გ. ორივე პასუხი სწორია
- 19. თუ დნმ-ს ერთი ჯაჭვის მონაკვეთზე ნუკლეოტიდების განლაგებაა A-A-A-G-C-G-T-A, შესაბამისი მონაკვეთი მეორე ჯაჭვზე იქნება:**
- ა. T-T-T-C-C-C-A-T
  - ბ. A-A-A-G-C-G-T-A
  - გ. T-T-T-C-G-C-C-A-T
- 20. დნმ-ს გაორმაგების დროს კომპლემენტურობა უზრუნველყოფს:**
- ა. დნმ-ს ძველი მოლეკულის ზუსტი ასლების ნარმოშობას
  - ბ. დნმ-ს ორი ახალი მოლეკულის ნარმოშობას
  - გ. დნმ-ს ახალი მოლეკულების სპირალურად დახვევას

**21. შემოხაზეთ სწორი მტკიცება**

- ა. გენი მოიცავს დნმ-ს ერთ მონაკვეთს და ატარებს ინფორმაციას კონკრეტული ცილის მოლეკულის შესახებ.
- ბ. გენი მოიცავს რნმ-ს ერთ მონაკვეთს და ატარებს ინფორმაციას კონკრეტული ცილის მოლეკულის შესახებ
- გ. ორივე პასუხი სწორია

**22. ი-რნმ წარმოქმნება:**

- ა. ტრანსლაციის პროცესში
- ბ. ტრანსკრიპციის პროცესში
- გ. რეპლიკაციის პროცესში

**23. თუ დნმ-ს მონაკვეთია A-C-C-G-T-T-A-A, ტრანსკრიპციის შედეგად წარმოქმნილ ი-რნმ-ს შესაბამისი მონაკვეთი იქნება:**

- ა. T-G-G-C-A-A-T-T
- ბ. A-C-C-G-U-U-A-A
- გ. U-G-G-C-A-A-U-U

**24. კოდონი ენოდება:**

- ა. ი-რნმ-ს ტრიპლეტებს, რომლებიც შეიქმნება დნმ-ს ტრიპლეტების მატრიცული სინთეზით
- ბ. ტ-რნმ-ს ტრიპლეტებს, რომლებიც შეიქმნება დნმ-ს ტრიპლეტების მატრიცული სინთეზით
- გ. რიბოსომულ რნმ-ს ტრიპლეტებს, რომლებიც შეიქმნება დნმ-ს ტრიპლეტების მატრიცული სინთეზით

**25. ი-რნმ-ს კოდონებს შორის:**

- ა. ყველა შეესაბამება კონკრეტულ ამინომჟავას
- ბ. ზოგიერთი შეესაბამება ამინომჟავებს და ზოგიერთი წარმოადგენს სტოპ კოდონს
- გ. ორივე პასუხი სწორია

**26. ტ-რნმ ტოვებს ამინომჟავას რიბოსომაში როდესაც:**

- ა. ტ-რნმ-ს ანტიკოდონი ზუსტად იმეორებს ი-რნმ-ს შესაბამის კოდონს
- ბ. ტ-რნმ-ს ანტიკოდონი ზუსტად იმეორებს დნმ-ს შესაბამის ტრიპლეტს
- გ. ტ-რნმ-ს ანტიკოდონი კომპლემენტარულია ი-რნმ-ს შესაბამისი კოდონის

**27. ჰომოლოგიურ წყვილებში ქრომოსომებს აერთიანება:**

- ა. ზომით და ფორმით მსგავსება
- ბ. დნმ-ში ნუკლეოტიდების თანმიმდევრობის მსგავსება
- გ. ორივე პარამეტრი ერთად

**28. კარიოტიპი არის:**

- ა. ქრომოსომათა კომპლექტი
- ბ. ფოტოგრაფიული, წყვილებად დალაგებული და დანომრილი ქრომოსომების სურათი
- გ. ორივე პასუხი სწორია

**29. ადამიანის ქრომოსომული კომპლექტი შედგება:**

- ა. 46 ქრომოსომისაგან
- ბ. 56 ქრომოსომისაგან
- გ. 66 ქრომოსომისაგან

**30. უჯრედული ციკლი მოიცავს:**

- ა. უჯრედის არსებობის მთელ პერიოდს გაყოფის გამოკლებით
- ბ. უჯრედული ციკლი მოიცავს უჯრედის გაყოფის პერიოდს
- გ. უჯრედული ციკლი მოიცავს უჯრედის არსებობის მთელ პერიოდს გაყოფის ჩათვლით.

**31. ინტერფაზის ფაზებია:**

- ა.  $G_1$ , S,  $G_2$  და M.
- ბ.  $G_1$ , S,  $G_2$ .
- გ. S,  $G_2$  და M.

**32. დნმ-ს რეპლიკაციის შემდეგ ქრომოსომა შედგება:**

- ა. დნმ-ს ორი მოლეკულისაგან
- ბ. ორი ქრომატიდისაგან
- გ. ორივე პასუხი სწორია

**33. მიკრომილაკების ცილის სინთეზი ხდება:**

- ა.  $G_1$  ფაზაში
- ბ.  $G_2$  ფაზაში
- გ. S ფაზაში

**34. მიტოზის დროს ქრომატიდების პოლუსებისაკენ გადანაცვლება ხდება:**

- ა. პროფაზაში
- ბ. მეტაფაზაში
- გ. ანაფაზაში

**35. ტელოფაზაში ხდება:**

- ა. შვილეული ბირთვების წარმოშობა
- ბ. ქრომოსომების გაორმაგება
- გ. ქრომატიდების წარმოშობა

**36. ციტოკინეზის დროს ხდება:**

- ა. ციტოპლაზმის გაყოფა
- ბ. შვილეული უჯრედების წარმოშობა
- გ. ორივე პასუხი სწორია

**37. პროფაზაში:**

- ა. დნმ ორმაგდება
- ბ. ქრომოსომები მიემართება უჯრედის პოლუსებისაკენ
- გ. უჯრედის ბირთვი იხსნება და ქრომოსომები ციტოპლაზმაში გამოდის

**38. მეიოზის პირველი გაყოფის ანაფაზაში:**

- ა. ერთმანეთს ცილდება ქრომატიდები
- ბ. ერთმანეთს ცილდება ჰომოლოგიური ქრომოსომები
- გ. არცერთი პასუხი არ არის სწორი

**39. კროსინგოვერი არის:**

- ა. ჰომოლოგიურ ქრომოსომებს შორის მონაკვეთების გაცვლა
- ბ. არაჰოლოგიურ ქრომოსომებს შორის მონაკვეთების გაცვლა
- გ. ჰომოლოგიურ ქრომოსომებს შორის ცენტრომერების გაცვლა

**40. სასქესო უჯრედის მეიოზის შედეგად წარმოიქმნება:**

- ა. ოთხი სპერმატოზოიდი
- ბ. ოთხი კვერცხუჯრედი
- გ. ორივე პასუხი სწორია

**41. ქრომატიდების გადანაწილება უჯრედებში ხდება:**

- ა. მეიოზის პირველი გაყოფის დროს
- ბ. მეიოზის მეორე გაყოფის დროს
- გ. მეიოზის დამთავრების შემდეგ

**42. მეიოზის შედეგად წარმოშობილ უჯრედებში არის:**

- ა. ქრომოსომების დიპლოიდური რაოდენობა
- ბ. ქრომოსომების ჰაპლოიდური რაოდენობა
- გ. დასაშვებია ორივე ვარიანტი

**43. მეტამორფოზს ადგილი აქვს:**

- ა. ადამიანის ემბრიონის განვითარებისას
- ბ. მწერების განვითარებისას
- გ. ფრინველების განვითარებისას

**44. განაყოფიერება არის:**

- ა. სპერმატოზოიდის შერწყმა კვერცხუჯრედთან
- ბ. კვერცხუჯრედის მიტოზური გაყოფის დაწყება
- გ. სპერმატოზოიდის მომწიფება

**45. ალელები არის:**

- ა. ერთი ნიშნის განმაპირობებელი მხოლოდ რეცესიული გენები
- ბ. ერთი ნიშნის განმაპირობებელი მხოლოდ დომინანტური გენები
- გ. ერთი ნიშნის განმაპირობებელი გენების სხვადასხვა ვარიანტი

**46. როდესაც მეიოზის ნორმალური მსვლელობის დროს ჰომოლოგიური წყვილიდან ერთი ქრომოსომა ხვდება გამეტაში, მეორე ქრომოსომა ალმოჩნდება აუცილებლად:**

- ა. იმავე გამეტაში
- ბ. სხვა გამეტაში
- გ. ორივე ვარიანტი დასაშვებია

**47. ერთი ნიშანთვისების განმაპირობებელი ალელები:**

- ა. ყველა რეცესიულია
- ბ. ყველა დომინანტურია
- გ. ზოგიერთი რეცესიულია, ზოგიერთი დომინანტური
- დ. დასაშვებია ყველა ვარიანტი

**48. მეიოზის დროს სხვადასხვა გამეტაში ალმოჩნდება:**

- ა. ჰომოლოგიური ქრომოსომები
- ბ. ჰომოლოგიურ ქრომოსომებში განლაგებული ერთი ნიშანთვისების განმაპირობებელი ალელები
- გ. ორივე პასუხი სწორია

**49. დაუნის სინდრომი გამოწვეულია:**

- ა. ადამიანის უჯრედებში ერთი რომელიმე ქრომოსომის ზედმეტობით
- ბ. ადამიანის უჯრედებში მე-21 ქრომოსომის ზედმეტობით
- გ. არცერთი პასუხი არ არის სწორი

**50. თუ ოჯახში ერთი გოგონაა, მეორე შვილი:**

- ა. შეიძლება ბიჭი იყოს, ან ისევ გოგო
- ბ. უცილებლად ბიჭი იქნება
- გ. უცილებლად გოგო იქნება

**51. როგორი გენოტიპი შეიძლება ქონდეს ცისფერთვალა ადამიანს**

- ა. AA
- ბ. Aa
- გ. aa

- 52. თუ დედ-მამა რაიმე ნიშანთვისების მიხედვით რეცესიული ჰომოზიგოტურია, მათ შვილს ექნება:**
- ა. ამ ნიშანთვისების განმაპირობებელი რეცესიული და დომინანტური ალელი
  - ბ. ამ ნიშანთვისების განმაპირობებელი მხოლოდ რეცესიული ალელები
  - გ. ამ ნიშანთვისების განმაპირობებელი მხოლოდ დომინანტური ალელები
- 53. თუ შვილებს ჭორფლი აქვთ, მათი მშობლების გენოტიპია:**
- ა. AA x AA
  - ბ. Aa x Aa
  - გ. Aa x aa
  - დ. ყველა პასუხი სწორია
- 54. მუქთვალა ბიჭის და ცისფერთვალაა. როგორი ფერის თვალი აქვს მათ კიდევ ერთ ძმას?**
- ა. აუცილებლად ცისფერი
  - ბ. აუცილებლად მუქი
  - გ. ცისფერი ან მუქი
- 55. თუ ორივე მშობელს კეხიანი ცხვირი აქვს, ერთი მათგანი კი ამ ნიშნის მიხედვით ჰომოზიგოტურია, მათი შვილები იქნებიან:**
- ა. ყველა კეხიანი ცხვირით
  - ბ. თუ მეორე მშობელი ჰეტეროზიგოტურია, ზოგიერთ შვილს კეხიანი ცხვირი არ ექნება
  - გ. თუ მეორე მშობელი რეცესიული ჰომოზიგოტურია, ზოგიერთ შვილს კეხიანი ცხვირი არ ექნება
- 56. კონკრეტული პიროვნების ნინაპრებში, თაობიდან თაობაში მემკვიდრეობით გადადიოდა რეცესიული ალელი. ამ პიროვნებას კი ეს ალელი საერთოდ არ გააჩნია. რით აიხსნება ეს ფაქტი?**
- ა. მის მშობლებს მანამდე ყავდათ ერთი შვილი და მას გადასცეს ეს ალელი
  - ბ. ისე მოხდა, რომ ამ პიროვნებას დედ-მამამ მხოლოდ დომინანტური ალელი გადასცეს
  - გ. ორივე პასუხი სწორია
- 57. თუ შვილებს მშობლებისაგან განსხვავებული ნიშანთვისება აქვთ, ამის მიზეზია:**
- ა. შვილების ორგანიზმში მეიოზის პროცესის შედეგად ქრომოსომათა გადანაწილება
  - ბ. შვილებში მშობლების ალელების კომბინირება
  - გ. ორივე პასუხი სწორია
  - დ. ორივე პასუხი მცდარია

### პასუხები ტესტებზე (ვარიანტი I)

- |     |   |     |   |
|-----|---|-----|---|
| 1.  | გ | 30. | გ |
| 2.  | ბ | 31. | ა |
| 3.  | ვ | 32. | გ |
| 4.  | გ | 33. | ა |
| 5.  | ბ | 34. | გ |
| 6.  | ვ | 35. | ა |
| 7.  | ა | 36. | გ |
| 8.  | გ | 37. | გ |
| 9.  | ა | 38. | ბ |
| 10. | ვ | 39. | ა |
| 11. | ბ | 40. | გ |
| 12. | ბ | 41. | ბ |
| 13. | ა | 42. | ბ |
| 14. | გ | 43. | ბ |
| 15. | ა | 44. | ა |
| 16. | ბ | 45. | გ |
| 17. | გ | 46. | ბ |
| 18. | გ | 47. | ვ |
| 19. | გ | 48. | გ |
| 20. | ა | 49. | ბ |
| 21. | ა | 50. | ა |
| 22. | ბ | 51. | გ |
| 23. | გ | 52. | ბ |
| 24. | ა | 53. | ვ |
| 25. | ბ | 54. | გ |
| 26. | გ | 55. | ა |
| 27. | გ | 56. | ბ |
| 28. | ბ | 57. | ბ |
| 29. | ა |     |   |

## ვარიანტი ॥

1. დაწერეთ შეჯვარების შედეგი, იანგარიშეთ მიღებული ფენოტიპების რაოდენობა:
  - ა) Aa x Aa
  - ბ) AaBB x AaBB
  - გ) AAAb x AABb
  - დ) Aa x aa
2. როგორი იქნება შვილების ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება თუ ორივე მშობელი ორივე ნიშნით ჰეტეროზიგოტურია?
3. როგორია მშობლების გენოტიპი თუ შვილებს აქვთ სამი სახის ფენოტიპი და ამ ფენოტიპების რაოდენობრივი განაწილება არის 1:2:1
4. შემოხაზეთ სწორი პასუხი, მუტაცია არის:
  - ა) გენში ერთი ამინომჟავის შეცვლა მეორე ამინომჟავით
  - ბ) ჰომოლოგიურ ქრომოსომებს შორის მონაკვეთების გაცვლა
  - გ) ორივე სწორია
  - დ) არცერთი არ არის სწორი
5. ერთი კონკრეტული ფენოტიპური ნიშანთვისება შეიძლება განპირობებული იყოს:
  - ა) ერთი წყვილი ალელით
  - ბ) ალელების რამდენიმე წყვილით
  - გ) ქრომოსომების წყვილით
  - დ) ყველა სწორია
  - ე) სწორია 1,2
  - ვ) სწორია 1
6. როდესაც პოპულაციის წარმომადგენლები იცვლებიან ფენოტიპურად, ეს შეიძლება იყოს:
  - ა) მათზე გარემოს ზემოქმედების შედეგი
  - ბ) მათი გენების ცვლილების შედეგი
  - გ) სწორია ორივე
  - დ) სწორია 1
  - ე) სწორია 2
7. უჩვენეთ გენეტიკური ფორმულებით, როგორ შეიძლება წარმოიშვას თეთრი ბოცვერი ორი შავი ბოცვრისაგან, თუ შავი ფერი დომინანტურია, თეთრი რეცერსიული და ფერი მხოლოდ ალელების ერთი წყვილითაა განპირობებული.
8. დაამტკიცეთ გენეტიკური ფორმულით, რომ ჰომოზიგოტურ მშობლებს შეიძლება ყავდეთ რეცესიული ფენოტიპის მქონე შვილი.

**9. ქრომოსომული მუტაცია მოხდება თუ:**

- ა) არაპომოლოგიურმა ქრომოსომებმა გაცვალეს მონაკვეთი
- ბ) გამეტაში აღმოჩნდა ერთი ქრომოსომით მეტი
- გ) გენში შეიცვალა ნუკლეოტიდების თანმიმდევრობა
- დ) სწორია 1,3
- ე) სწორია 1,2
- ვ) სწორია 2,3
- ზ) ყველა სწორია

**10. გენოტიპი განისაზღვრება:**

- ა) ორგანიზმის გენური შედგენილობით
- ბ) გენების და გარემოს ურთიერთქმედებით
- გ) ორივე სწორია
- დ) არცერთი არ არის სწორი

**11. გამეტების სიწმინდეს განაპირობებს ის, რომ:**

- ა) მეორების დროს გამეტაში მოხვდება სხვადასხვა ნიშანთვისების განმსაზღვრელი ალელებიდან მხოლოდ ერთი
- ბ) მეორების დროს გამეტაში მოხვდება ერთი ნიშანთვისების განმსაზღვრელი ალელებიდან მხოლოდ ერთი
- გ) მეორების დროს გამეტაში მოხვდება სხვადასხვა ნიშანთვისების განმსაზღვრელი ყველა ალელი
- დ) მეორების დროს გამეტაში მოხვდება ერთი ნიშანთვისების განმსაზღვრელი ყველა ალელი

**12. მონოპიბრიდული შეჯვარების დროს ორივე მშობელი ჰეტეროზიგოტულია. რამდენნაირი ფენოტიპის შვილები შეიძლება გაუჩნდეს მათ და როგორი იქნება თითოეული ფენოტიპის მქონე შვილების რაოდენობა თუ დომინანტობა სრულია?**

- ა) ყველა შვილი დომინანტური ფენოტიპის
- ბ) 50 შვილი დომინანტური ფენოტიპის და 50 – რეცესიული ფენოტიპის
- გ) ყველა შვილი რეცესიული ფენოტიპის
- დ) 90 შვილი დომინანტური ფენოტიპის, 30 – რეცესიული ფენოტიპის

**13. მონოპიბრიდული შეჯვარების დროს ერთი მშობელი ჰეტეროზიგოტულია, მეორე რეცესიული ჰომოზიგოტური. რამდენნაირი ფენოტიპის შვილები შეიძლება გაუჩნდეს მათ და როგორი იქნება თითოეული ფენოტიპის მქონე შვილების რაოდენობა თუ დომინანტობა სრულია?**

- ა) ყველა შვილი დომინანტური ფენოტიპის
- ბ) 50 შვილი დომინანტური ფენოტიპის და 50 – რეცესიული ფენოტიპის
- გ) ყველა შვილი რეცესიული ფენოტიპის
- დ) 90 შვილი დომინანტური ფენოტიპის, 30 – რეცესიული ფენოტიპის

14. დიპიპლიდული შეჯვარების დროს ორივე მშობელი ორივე ნიშნით ჰეტეროზიგოტულია. როგორი იქნება იმ შვილების საერთო რაოდენობა, რომლებიც ატარებენ ერთი მშობლის დომინანტურ და მეორე მშობლის რეცესიულ ნიშანთვისებას თუ დომინანტობა სრულია?
- ა) შვილების მთელი რაოდენობის ცხრა წილი
  - ბ) შვილების მთელი რაოდენობის ერთი წილი
  - გ) შვილების მთელი რაოდენობის სამი წილი
  - დ) შვილების მთელი რაოდენობის ექვსი წილი
15. დიპიპლიდული შეჯვარების დროს ერთი მშობელი ორივე ნიშნით ჰეტეროზიგოტულია, მეორე ორივე ნიშნით რეცესიული ჰომოზიგოტური. როგორი იქნება იმ შვილების საერთო რაოდენობა, რომლებიც ატარებენ ერთი მშობლის დომინანტურ და მეორე მშობლის რეცესიულ ნიშანთვისებას თუ დომინანტობა სრულია?
- ა) შვილების მთელი რაოდენობის ნახევარი
  - ბ) შვილების მთელი რაოდენობის მეოთხედი
  - გ) ყველა შვილი ასეთი იქნება
  - დ) შვილების მთელი რაოდენობის მესამედი
16. დიპიპლიდული შეჯვარების დროს ერთი მშობელი ორივე ნიშნით ჰეტეროზიგოტულია, მეორე ორივე ნიშნით რეცესიული ჰომოზიგოტური. მათი შვილებიდან 38% ზუსტად გავს ერთ მშობელს, 38% მეორე მშობელს, 24% ატარებს ორივე მშობლის ნიშანთვისებებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვა:
- ა) სხვადასხვა ნიშანთვისების განმსაზღვრელი ალელების შეჭიდულობასთან
  - ბ) ერთი ნიშანთვისების განმსაზღვრელი ალელების შეჭიდულობასთან
  - გ) გამეტების სიწმინდის დარღვევასთან
17. ჯუჯა მშობლებს ყავთ როგორც ჯუჯა, ისე ნორმალური სიმაღლის შვილები. როგორია მშობლების გენოტიპი თუ ჯუჯობა დომინანტური ნიშანია?
- ა) ორივე ჰომოზიგოტურია
  - ბ) ორივე ჰეტეროზიგოტურია
  - გ) ერთი ჰეტეროზიგოტურია, მეორე ჰომოზიგოტური
18. სტაფილოს ნარინჯისფერი დომინანტური ნიშანია (ალვნიშნოთ როგორც A), თეთრი — რეცესიული (a). გრძელი ფოთლები დომინანტურია (B). მოკლე რეცესიული (b). როგორი გენოტიპის მშობლები შეაჯვარეს, თუ შვილები არიან: 50% ნარინჯისფერი გრძელი ფოთლით, 50% - ნარინჯისფერი მოკლე ფოთლით?
- ა) AaBb x AaBb
  - ბ) AABB x aabb
  - გ) AABb x AABB
  - დ) AABb x aabb

- 19. მშობლებს პირველი შვილი ბიჭი ყავთ. მეორე შვილი რომ გაუჩნდებათ, იქნება:**
- აუცილებლად გოგო
  - აუცილებლად ბიჭი
  - გოგო ან ბიჭი ერთნაირად მოსალოდნელია
- 20. ადამიანის სქესის განაპირობებები:**
- ადამიანის სომატურ უჯრედებში არსებული აუტოსომები
  - ადამიანის სომატურ უჯრედებში არსებული სასქესო ქრომოსომები
  - ადამიანის სასქესო უჯრედებში არსებული აუტოსომები
  - ადამიანის სასქესო უჯრედებში არსებული სასქესო ქრომოსომები
- 21. რამდენიმე თაობაში თუ ბავშვს გრძელი ცხვირი გამოყვა, აუცილებლად აქვს კეხიც. ამ შემთხვევაში:**
- ამ ორი ნიშნის ალელები შეჭიდულია და ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდებარეობს
  - ამ ორი ნიშნის ალელები შეჭიდულია და ერთმანეთთან ძალიან შორს მდებარეობს
  - ალელებს შორის მანძილს არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ამ შემთხვევაში ხდება კონიუგაცია
  - კონიუგაციის არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ამ შემთხვევაში ეს ორი სხვადასხვა ალელი განლაგებულია ქრომოსომების სხვადასხვა წყვილში
- 22. ერთი მშობლების შვილებს:**
- შეიძლება ქონდეთ ერთნაირი გენოტიპი თუმცა განსხვავებული იყვნენ ფენოტიპურად
  - შეიძლება ქონდეთ განსხვავებული გენოტიპი და განსხვავებული იყვნენ ფენოტიპურად
  - ორივე სწორია
- 23. გენური მუტაცია არის, როდესაც:**
- უჯრედში ქრომოსომების რაოდენობა აჭარბებს ნორმალურს
  - დნმ-ში ერთი ნუკლეოტიდი იცვლება სხვა ნუკლეოტიდით
  - ორივე სწორია
- 24. მუტაცია გადავა შთამომავლობით, თუ ის:**
- დომინანტურია
  - რეცესიულია
  - ორივე შემთხვევაში
- 25. მცენარეებში მუტაცია გადადის შთამომავლობით მხოლოდ მაშინ, თუ ის:**
- ხდება სომატურ უჯრედში
  - ხდება სასქესო უჯრედში
  - ხდება აუტოსომაში
  - ხდება სასქესო ქრომოსომაში
  - სწორია ბ, დ
  - სწორია ა, ბ
  - სწორია ა, ბ, გ, დ

26. ადამიანში მუტაცია გადადის შთამომავლობით მხოლოდ მაშინ, თუ ის:
- ხდება სომატურ უჯრედში
  - ხდება სასქესო უჯრედში
27. უჯრედში ქრომოსომების ნორმალური რაოდენობა შეიცვლება, თუ:
- მეიოზის დროს ერთმანეთს არ დაშორდა ჰომოლოგიურ ქრომოსომებში შეჭიდული გენები
  - მეიოზის დროს ერთმანეთს არ დაშორდა ქრომოსომები
  - ორივე სწორია.

### პასუხები ტესტებზე (ვარიანტი II)

- ა)  $Aa \times Aa = AA, Aa, aa$ , 2 ფენოტიპი
- ბ)  $AaBB \times AaBB = AABB, AaBB, aaBB$  2 ფენოტიპი
- გ)  $AAbb \times AAbb = AAbb, AAbb$ , 2 ფენოტიპი
- დ)  $Aa \times aa = Aa, aa$ , 2 ფენოტიპი
2. 9:3:3:1
3.  $Aa \times Aa$  არასრული დომინირება
4. არცერთი არ არის სწორი
5. სწორია 1,2
6. სწორია ორივე
7.  $Aa \times Aa = aa$
8.  $aa \times aa = aa$
9. სწორია 1,2
10. ორგანიზმის გენური შედგენილობით
11. მეიოზის დროს გამეტაში მოხვდება ერთი ნიშანთვისების განმსაზღვრელი ალელებიდან მხოლოდ ერთი
12. 90 შვილი დომინანტური ფენოტიპის, 30 — რეცესიული ფენოტიპის
13. 50 შვილი დომინანტური ფენოტიპის და 50 - რეცესიული ფენოტიპის
14. შვილების მთელი რაოდენობის ექვსი წილი
15. შვილების მთელი რაოდენობის ნახევარი
16. სხვადასხვა ნიშანთვისების განმსაზღვრელი ალელების შეჭიდულობასთან
17. ორივე ჰეტეროზიგოტურია
18.  $AABB \times aabb$
19. გოგო ან ბიჭი ერთნაირად მოსალოდნელია
20. ადამიანის სასქესო უჯრედებში არსებული სასქესო ქრომოსომები
21. ამ ორი ნიშნის ალელები შეჭიდულია და ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდებარეობს
22. ორივე სწორია
23. დნმ-ში ერთი ნუკლეოტიდი იცვლება სხვა ნუკლეოტიდით
24. ორივე შემთხვევაში
25. სწორია ა, ბ, გ, დ
26. ხდება სასქესო უჯრედში
27. მეიოზის დროს ერთმანეთს არ დაშორდა ქრომოსომები

### **ვარიანტი III**

**1. ჩამოთვლილიდან უჯრედია:**

1. კუნთის ბოჭკო
2. ნეირონი
3. გამეტა
4. სწორია 1,2
5. სწორია 1,2,3

**2. „ცხოველური უჯრედისათვის დამახასიათებელი ორგანოიდია ბირთვი”. ეს მტკიცებულება:**

1. არ არის სამართლიანი, რადგან ბაქტერიას არ აქვს ბირთვი
2. არ არის სამართლიანი, რადგან ვირუსს არ აქვს ბირთვი
3. სამართლიანია მხოლოდ ადამიანის უჯრედის შემთხვევაში
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

**3. სინათლის ენერგიის გამოყენება ატფ-ს სინთეზისათვის შეუძლია:**

1. ყველა ორგანიზმს, რომლის უჯრედები შეიცავს ქლოროპლასტებს
2. ყველა ორგანიზმს, რომლის უჯრედები შეიცავს მიტოქონდრიობს
3. ყველა ავტოფროფ օრგანიზმს
4. ყველა ჰეტეროფროფ օრგანიზმს

**4. მიტოზის შედეგად წარმოქმნილ შვილეულ უჯრედებში ქრომოსომების კომპლექტი:**

1. ისეთივეა, როგორც დედისეულ უჯრედები
2. წარმოადგენს ქრომოსომათა ახლებურ კომბინაციას
3. ქრომოსომათა რაოდენობა განახევრებულია
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

**5. სასქესო უჯრედები ორგანიზმში გვხვდება:**

1. კუნთის, ძვლის, თავის ტვინის ქსოვილში
2. სპერმატოზოიდებში, კანის, გულის და ზურგის ტვინის ქსოვილში
3. სპერმატოზოიდები და კვერცხუჯრედებში
4. სათესელები და საკვერცხები

**6. ცილის სინთეზის დროს მოვლენების თანმიმდევრობა ასეთია:**

1. ტრანსლაცია, დნმ-ს გაორმაგება
2. დნმ-ს გაორმაგება, ტრანსკრიპცია, ტრანსლაცია,
3. ტრანსკრიპცია, ტრანსლაცია, დნმ-ს გაორმაგება,
4. ტრანსკრიპცია, ტრანსლაცია

**7. უჯრედში დნმ არის:**

1. ბირთვში და გოლჯის აპარატში
2. ბირთვში და მიტოქონდრიებში
3. მხოლოდ ბირთვში
4. ბირთვში, მიტოქონდრიებში და ენდოპლაზმურ ბადეში

**8. ცილის სხვადასხვა მოლეკულა ერთმანეთისაგან განსხვავდება:**

1. მოლეკულის შემადგენელი ამინომჟავების თანმიმდევრობით
2. მოლეკულის შემადგენელ ამინომჟავებს შორის არსებული ბმების ქიმიური ბუნებით
3. ორივე პასუხი სწორია
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

**9. დნმ-ს ნუკლეოტიდები განსხვავდება ერთმანეთისაგან:**

1. აზოტოვანი ფუძით და ნახშირწყლით
2. ნახშირწყლით და ფოსფატით
3. მხოლოდ აზოტოვანი ფუძით
4. მხოლოდ ნახშირწყლით

**10. გლიკოლიზის დროს უჯრედში ხდება:**

1. გლუკოზის გარდაქმნა ადფ-დ
2. გლუკოზის ენერგიის გამოყენება ატფ-ს სინთეზისათვის
3. ატფ-ს ენერგიის გამოყენება გლუკოზის სინთეზისათვის
4. ადფ-ს გარდაქმნა გლუკოზად

**11. უჯრედული თეორიის დებულება იმის შესახებ, რომ ყველაფერი ერთი უჯრედიდან-კვერცხუჯრედიდან წარმოიშვება, ეკუთვნის**

1. შვანს და შლეიდენს
2. ვირხოვს
3. ბერს
4. ჰუკს

**12. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:**

მცენარეული უჯრედი გარედან დაფარულია სქელი გარსით, რომელსაც ეწოდება -----, ის შედგება ----- გან, ხოლო ცხოველურ უჯრედში ეს გარსი თხელია და ეწოდება-----, ის შედგება ----- და -----გან. ამ გარსის შიგნით მოთავსებულია კიდევ ერთი გარსი, რომელსაც ეწოდება ----- . ის შედგება ----- და ----- გან. აღნიშნული გარსებიდან ციტოპლაზმას უშუალოდ აკრავს -----.

**13. ჩამოთვლილიდან რომელი ფუნქცია ეკუთვნის პლაზმურ მემბრანას**

1. ქმნის მცენარის უჯრედის საყრდენს
2. ატარებს ნივთიერებებს გარემოდან უჯრედში
3. ატარებს ნივთიერებებს უჯრედიდან გარემოში
4. მონაწილეობს სამარაგო ნივთიერებების დაგროვებაში
5. აკავშირებს ერთმანეთთან უჯრედებს
6. ყველა სწორია
7. სწორია 1, 2, 3
8. სწორია 1,5
9. სწორია 1, 2, 4
10. სწორია 2,3,5

**14. რომელია უჯრედული თეორიის დებულება:**

1. უჯრედი წარმოადგენს მცენარეების აგებულების ერთეულს
2. ცხოველური უჯრედი წარმოიქმნება საწყისი უჯრედის გაყოფით
3. ორივე უჯრედული თეორიის დებულება
4. არცერთი არ არის უჯრედული თეორიის დებულება

**15. შემოხაზე სწორი პასუხი. გოლჯის აპარატი**

1. აქვს მცენარეულ უჯრედს
2. მონაწილეობს პლაზმური მემბრანის აღდგენაში
3. მოთავსებულია ბირთვში
4. მონაწილეობს უჯრედის გაყოფაში
5. სწორია 1,3
6. სწორია 1,2
7. სწორია 1,2,3
8. სწორია 2,4
9. სწორია 1,2,4

**16. შემოხაზე სწორი პასუხი: ცენტრიოლი**

1. აქვს მცენარეულ უჯრედს
2. მონაწილეობს პლაზმური მემბრანის აღდგენაში
3. მოთავსებულია ბირთვში
4. მონაწილეობს უჯრედის გაყოფაში
5. სწორია 1,3
6. სწორია 1,2
7. სწორია 1,2,3
8. სწორია 4
9. სწორია 1,2,4

**17. გოლჯის აპარატის ფუნქციებია:**

- |                                 |                          |
|---------------------------------|--------------------------|
| 1. ცილების სინთეზი              | 2. ნახშირწყლების სინთეზი |
| 3. პლაზმური მემბრანას განახლება | 4. სწორია 1,2,3          |
| 5. სწორია 2,3                   | 6. სწორია 1,3            |

- 18. მარცვლოვანი (გრანულარული) ენდოპლაზმური ბადე განსხვავდება გლუვისაგან:**
1. პირველი აქვს მხოლოდ მცენარეულ უჯრედს, მეორე – მხოლოდ ცხოველურ უჯრედს
  2. ატფ-ს სინთეზი ხდება მხოლოდ მარცვლოვანზე
  3. ცილის და ცხიმების სინთეზი ხდება მხოლოდ მარცვლოვანზე
  4. ნახშირწყლების სინთეზი ხდება მხოლოდ გლუვზე
- 19. რიბოსომების წარმოქმნა ხდება:**
1. მათი გაყოფით
  2. გოლჯის აპარატში
  3. ბირთვაკეში
  4. ენდოპლაზმურ ბადეზე
- 20. რიბოსომებში არის:**
- |               |                       |
|---------------|-----------------------|
| 1. რნმ და დნმ | 2. რნმ                |
| 3. დნმ        | 4. არც რნმ და არც დნმ |
- 21. უჯრედის სამოძრაო ორგანოებია:**
- |                       |                 |
|-----------------------|-----------------|
| 1. კუნთოვანი ბოჭკოები | 2. წამნამები    |
| 3. შოლტები            | 4. ცენტრიოლები  |
| 5. სწორია 1,2,3       | 6. სწორია 2,3   |
| 7. სწორია 2,3,4       | 8. ყველა სწორია |
- 22. უჯრედში რიბოსომები გვხვდება:**
- |                       |                   |
|-----------------------|-------------------|
| 1. ენდოპლაზმურ ბადეზე | 2. მიტოქონდრიებში |
| 3. ქლოროპლასტებში     | 4. სწორია 1,2     |
| 5. სწორია 1,3         | 6. სწორია ყველა   |
- 23. მემბრანით დაფარულია შემდეგი ორგანოები:**
- |                  |                  |
|------------------|------------------|
| 1. რიბოსომები    | 2. მიტოქონდრიები |
| 3. ქლოროპლასტები | 4. სწორია ყველა  |
| 5. სწორია 2,3    | 6. სწორია 1,2    |
- 24. ორმაგი მემბრანა აქვს:**
- |                  |                 |
|------------------|-----------------|
| 1. ბირთვის გარსს | 2. მიტოქონდრიას |
| 3. ქლოროპლასტეს  | 4. სწორია 1,2   |
| 5. სწორია 2,3    | 6. სწორია ყველა |
- 25. ქრომოსომები არის:**
- |                   |                   |               |
|-------------------|-------------------|---------------|
| 1. მიტოქონდრიებში | 2. ქლოროპლასტებში | 3. ბირთვში    |
| 4. სწორია 1,2     | 5. სწორია 3       | 6. სწორია 2,3 |
| 7. სწორია 1,3     | 8. სწორია ყველა   |               |

**26. ჩანერე გამოტოვებული სიტყვები:**

მემპრანის ბოლოში ბუშტუკები აქვს \_\_\_\_\_ ს. მიტოქონდრიების მემპრანა შედგება \_\_\_\_\_ შრისგან. ატფ-ს სინთეზი ხდება მიტოქონდრიის მემპრანის გამონაზარდებზე, რომლებსაც ქვია \_\_\_\_\_. ცილის სინთეზი ხდება \_\_\_\_\_ ენდოპლაზმურ ბადეზე, ხოლო ნახშირნყლებისა \_\_\_\_\_ ენდოპლაზმურ ბადეზე.

**27. გლიკოლიზის დროს:**

1. უჯრედი იყენებს დიდი რაოდენობით ჟანგბადს
2. უჯრედი შლის გლუკოზას
3. უჯრედი შლის რძემჟავას

**28. გლიკოლიზი ახასიათებს:**

1. მხოლოდ ავტოტროფებს
2. ავტოტროფებს და ჰეტეროტროფებს
3. მხოლოდ ჰეტეროტროფებს

**29. ჟანგბადიანი დაშლა მიმდინარეობს:**

1. მიტოქონდრიის გარე მემპრანაზე
2. კრისტებში
3. ორივე პასუხი სწორია

**30. თავისი სტრუქტურით ატფ გავს:**

1. ნახშირნყალს
2. ცილას
3. ნუკლეოტიდს

**31. ატფ-სინთაზა არის:**

1. ფერმენტი, რომელიც მონაწილეობს გლიკოლიზში
2. ფერმენტი, რომელიც მიტოქონდრიაში შლის რძემჟავას
3. ფერმენტი, რომელშიც გადის წყალბადის იონები

**32. ატფ შედგება:**

1. აზოტოვანი ფუძის, ნახშირნყლის და ამინომჟავისაგან
2. აზოტოვანი ფუძის, ფოსფორმჟავის ნაშთის და ამინომჟავისაგან
3. ადენინის, დეზოქსირიობოზის და ფოსფორმჟავის ნაშთისგან
4. ადენინის, რიბოზის და ფოსფორმჟავის ნაშთისგან

**33. ატფ აღვილად იშლება უჯრედში რადგან:**

1. მისი ნახშირნყალი წყალში კარგად ხსნადია
2. ის იმყოფება არა მჟავის, არამედ მარილის მდგომარეობაში
3. მან სწრაფად უნდა მიაწოდოს უჯრედს ენერგია

- 34. სატრანსპორტო რნმ ამინომუავას ტოვებს რიბოსომის ფუნქციურ ცენტრში თუ:**
1. სატრანსპორტო და ინფორმაციული რნმ-ს კოდები ერთმანეთის კომპლემენტარული აღმოჩნდა
  2. სატრანსპორტო და ინფორმაციული რნმ-ს კოდები ზუსტად ერთნაირი ერთმანეთის აღმოჩნდა
  3. სატრანსპორტო რნმ იქნება ინფორმაციული რნმ-ს კომპლემენტარული
  4. სატრანსპორტო რნმ იქნება დნმ-ს კომპლემენტარული
- 35. ცილის სინთეზის დროს ამინომუავების ერთმანეთთან გადაბმას:**
1. აუცილებლად სჭირდება ფერმენტი
  2. ფერმენტი არ სჭირდება, რადგან გადაბმას ახორციელებს რიბოსომა
  3. ფერმენტი დასჭირდება, თუ ამინომუავები უკავშირდება ერთმანეთს წყალბადური ბმით.
  4. ფერმენტი არც ერთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი
- 36. მატრიცული რეაქციები საჭიროა რათა:**
1. უჯრედში რეაქციების სწრაფად წარმართვისათვის
  2. უჯრედში ისეთი ნივთიერებების წარმოქმნისათვის, რომლებიც ამ უჯრედისათვის არის დამახასიათებელი
  3. ინტერფაზაში დედისეული უჯრედის ქრომოსომული კომპლექტის გაორმაგებისათვის
  4. სწორია ყველა
  5. სწორია 1 და 2
  6. სწორია 2 და 3
  7. სწორია 1 და 3
- 37. ფოტოსინთეზის პროცესში:**
1. ატფ სინთეზირდება კრისტებზე
  2. ხდება ატფ-ს დაშლა ქლოროპლასტის მემბრანებში
  3. ორივე სწორია
  4. არცერთი არ არის სწორი
- 38. ფოტოსინთეზი ეწოდება:**
1. ატფ-ს სინთეზს მზის ენერგიის ხარჯზე
  2. ნახშირწყლების სინთეზს სიბნელის ფაზაში
  3. წყლის დაშლას მზის ენერგიის ზეგავლენით
  4. სწორია 1
  5. სწორია 1,3
  6. სწორია 2,3
  7. სწორია 2

- 39. ფოტოსინთეზის სინათლის ფაზაში მცენარე:**
1. შთანთქავს უანგბადს და გამოყოფს ნახშირორჟანგს
  2. შთანთქავს ნახშირორჟანგს და გამოყოფს უანგბადს
  3. ახდენს დღმ-ს სინთეზს ქლოროპლასტის მემბრანებზე
  4. ასინთეზებს ატფ-ს ქლოროპლასტის მემბრანებზე
- 40. ფოტოსინთეზის უნარი აქვს:**
1. მხოლოდ ეუკარიოტებს
  2. მხოლოდ პროკარიოტებს
  3. ორივეს
- 41. მიტოზი ახასიათებს:**
1. მხოლოდ სომატურ უჯრედებს
  2. მხოლოდ სასქესო უჯრედებს
  3. ორივე სახის უჯრედს
- 42. მიტოზის შედეგად წარმოქმნილ შვილეულ უჯრედებში ქრომოსომები:**
1. ზუსტად იმდენია და ისეთივე, რამდენიც დედისეულ უჯრედში
  2. ზუსტად იმდენია, რამდენიც დედისეულ უჯრედში მაგრამ, წარმოადგენს ახლებურ კომბინაციას
  3. ორივე პასუხი სწორია
- 43. მეიოზის დროს ქრომატიდები ერთმანეთს სცილდება:**
1. პირველი გაყოფის მეტაფაზაში
  2. პირველი გაყოფის ანაფაზაში
  3. მეორე გაყოფის მეტაფაზაში
  4. მეორე გაყოფის ანაფაზაში
- 44. მეიოზის დროს ქრომოსომების რაოდენობა ნახევრდება:**
1. პირველი გაყოფის შემდეგ
  2. მეორე გაყოფის შემდეგ
  3. თავიდანვე განახევრებულია
- 45. ზიგოტაში ქრომოსომები:**
1. ზუსტად იმდენია და ისეთივე, რამდენიც დედისეულ უჯრედში
  2. ზუსტად იმდენია, რამდენიც დედისეულ უჯრედში, მაგრამ წარმოადგენს ქრომოსომათა ახლებურ კომბინაციას
  3. განახევრებულია, მაგრამ ისეთივეა, როგორც დედისეულ უჯრედში
  4. განახევრებულია, მაგრამ წარმოადგენს ქრომოსომათა ახლებურ კომბინაციას
- 46. სომატურ უჯრედებს ეკუთვნის:**
1. კუნთის, ძვლის, თავის ტვინის უჯრედები
  2. სპერმატოზოიდები, კანის, გულის და ზურგის ტვინის უჯრედები
  3. ორივე პასუხი სწორია
  4. ორივე პასუხი მცდარია

- 47. სასქესო უჯრედები ორგანიზმში გვხვდება:**
1. კუნთის, ძვლის, თავის ტვინის ქსოვილში
  2. სპერმატოზოიდებში, კანის, გულის და ზურგის ტვინის ქსოვილში
  3. სპერმატოზოიდში და კვერცხუჯრედში
  4. სათესლეში და საკვერცხეში
- 48. ადამიანის გენებზე გარემოს ზემოქმედების შესწავლა შესაძლებელია:**
1. ციტოლოგიური მეთოდით
  2. ტყუპების მეთოდით
  3. ბიოქიმიური მეთოდით
- 49. გენური მუტაცია არის როდესაც:**
1. უჯრედში ქრომოსომების რაოდენობა აჭარბებს ნორმალურს
  2. დნმ-ში ერთი ნუკლეოტიდი იცვლება სხვა ნუკლეოტიდით
  3. ორივე სწორია
- 50. სასქესო უჯრედში ქრომოსომების ნორმალური რაოდენობა შეიცვლება თუ:**
1. მეოზის დროს ერთმანეთს არ დაშორდა ჰომოლოგიურ ქრომოსომებში შეჭიდული გენები
  2. მეოზის დროს ერთმანეთს არ დაშორდა ქრომატიდები
  3. ორივე სწორია
- 51. პოლიმერი არის:**
1. ძალიან დიდი ზომის მოლეკულა, რომელიც შედგება მრავალი შედარებით მცირე ზომის მოლეკულისაგან
  2. ორგანული ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს უფრო დიდი ზომის მოლეკულის შემადგენელ ნაწილს
  3. ორივე პასუხი სწორია
- 52. პოლიმერის მონომერები:**
1. ყველა აუცილებლად ერთმანეთის მსგავსია
  2. ერთმანეთისაგან აუცილებლად განსხვავებულია
  3. შეიძლება იყოს მსგავსი ან განსხვავებული
- 53. ცილის მოლეკულაში პოლიმერს წარმოადგენს:**
1. ცილის პირველადი სტრუქტურა
  2. ცილის მესამეული და მეოთხეული სტრუქტურა
  3. ორივე პასუხი სწორია
- 54. დნმ-ში მონომერია:**
1. დნმ-ს ნუკლეოტიდები
  2. დნმ-ს ერთი ჯაჭვი
  3. დნმ-ს ორი ჯაჭვი

- 55. ამინომჟავები განსხვავდება ერთმანეთისაგან:**
1. ამინოჯგუფით
  2. კარბოქსილის ჯგუფით
  3. რადიკალით
  4. სამივე ნაწილით
- 56. პეპტიდური ბმა წარმოიქმნება:**
1. ერთი ამინომჟავას კარბოქსილის ჯგუფსა და მეორის ამინოჯგუფს შორის
  2. ორი ამინომჟავას კარბოქსილის ჯგუფებს შორის
  3. ერთი ამინომჟავას კარბოქსილის ჯგუფსა და მეორის რადიკალს შორის
- 57. დნმ-ს ნუკლეოტიდები განსხვავდება ერთმანეთისაგან:**
1. აზოტოვანი ფუძით და ნახშირწყლით
  2. ნახშირწყლით და ფოსფატით
  3. მხოლოდ აზოტოვანი ფუძით
  4. მხოლოდ ნახშირწყლით
- 58. დნმ-ს და რნმ-ს ნუკლეოტიდები გასწოვდება ერთმანეთისაგან:**
1. აზოტოვანი ფუძით და ნახშირწყლით
  2. ნახშირწყლით და ფოსფატით
  3. მხოლოდ აზოტოვანი ფუძით
  4. მხოლოდ ნახშირწყლით
- 59. დნმ-ს ერთ ჯაჭვში ნუკლეოტიდები დაკავშირებულია:**
1. აზოტოვანი ფუძეებით
  2. ნახშირწყლებით
  3. ფოსფატის ნარჩენით
  4. არცერთი არ არის სწორი
- 60. დნმ-ს გაორმაგების დროს ზუსტი ასლების წარმოშობა საჭიროა რათა:**
1. უჯრედში გაიზარდოს დნმ-ს რაოდენობა
  2. ახალ თაობას გადაეცეს იგივე დნმ
  3. ენდოპლაზმურ ბადეზე მოხდეს ცილის სინთეზი
- 61. რიბოსომების წარმოქმნა ხდება:**
1. მათი გაყოფით
  2. გოლჯის აპარატში
  3. ბირთვაკში
  4. ენდოპლაზმურ ბადეზე
- 62. ატფ შედგება:**
1. აზოტოვანი ფუძის, ნახშირწყლის და ამინომჟავისაგან
  2. აზოტოვანი ფუძის, ფოსფორმჟავის ნაშთის და ამინომჟავისაგან
  3. ადენინის, დეზოქსირიობოზის და ფოსფორმჟავის ნაშთისგან
  4. ადენინის, რიბოზის და ფოსფორმჟავის ნაშთისგან

### **პასუხები ტესტებზე (ვარიანტი III)**

1. კუნთის ბოჭკო და ნეირონი
2. არცერთი პასუხი არ არის სწორი
3. ყველა ორგანიზმს, რომლის უჯრედები შეიცავს ქლოროპლასტებს
4. ისეთივეა, როგორც დედისეულ უჯრედში
5. სათესელები და საკვერცხები
6. ტრანსკრიპცია, ტრანსლაცია
7. ბირთვები და მიტოქონდრიებები
8. მოლეკულის შემადგენელი ამინომჟავების თანმიმდევრობით
9. მხოლოდ აზოტოვანი ფუძით
10. გლუკოზის ენერგიის გამოყენება ატფ-ს სინთეზისათვის
11. ბერს
12. მცენარეული უჯრედი გარედან დაფარულია სქელი გარსით, რომელსაც ენოდება უჯრედის კედელი, ის შედგება ცელულოზისგან, ხოლო ცხოველურ უჯრედში ეს გარსი თხელია და ენოდება გლიკოკალიქსი, ის შედგება ნახშირწყლების და ცილებისგან. ამ გარსის შიგნით მოთავსებულია კიდევ ერთი გარსი, რომელსაც ენოდება პლაზმური მემბრანა. ის შედგება ცილების და ლიპიდებისგან. აღნიშნული გარსებიდან ციტოპლაზმას უშუალოდ აკრავს პლაზმური მემბრანა.
13. სწორია 2,3,5
14. არცერთი არ არის უჯრედული თეორიის დებულება
15. სწორია 1,2
16. მონაწილეობს უჯრედის გაყოფაში
17. ნახშირწყლების სინთეზი და პლაზმური მემბრანის განახლება
18. ნახშირწყლების სინთეზი ხდება მხოლოდ გლუვზე
19. ბირთვაკები
20. რნბ
21. სწორია 1,2,3
22. სწორია ყველა
23. სწორია 2,3
24. სწორია ყველა
25. სწორია 3
26. მემბრანის ბოლოში ბუშტუკები აქვს გოლჯის აპარატს. მიტოქონდრიების მემბანა შედგება 2 შრისგან. ატფ-ს სინთეზი ხდება მიტოქონდრიის მემბრანის გამონაზარდებზე, რომელსაც ქვია კრისტები. ცილის სინთეზი ხდება მარცვლოვან ენდოპლაზმურ ბადეზე, ხოლო ნახშირწყლებისა გლუვ ენდოპლაზმურ ბადეზე.
27. 2
28. ბ
29. კრისტები
30. ნუკლეოტიდს
31. ფერმენტი, რომელშიც გადის წყალბადის იონები
32. ადენინის, რიბოზის და ფოსფორმჟავის ნაშთისგან
33. ის იმყოფება არა მჟავის, არამედ მარილის მდგომარეობაში

34. სატრანსპორტო და ინფორმაციული რწმ-ს კოდები ერთმანეთის კომპლემენტარული  
აღმოჩნდა
35. აუცილებლად სჭირდება ფერმენტი
36. სწორია ყველა
37. არცერთი არ არის სწორი
38. ატფ-ს სინთეზს მზის ენერგიის ხარჯზე
39. ასინთეზებს ატფ-ს ქლოროპლასტის მემბრანებზე
40. ორივეს
41. ორივე სახის უჯრედს
42. ზუსტად იმდენია და ისეთივე, რამდენიც დედისეულ უჯრედში
43. მეორე გაყოფის ანაფაზაში
44. პირველი გაყოფის შემდეგ
45. 2
46. 1
47. სათესლეში და საკვერცხეში
48. 2
49. 2
50. 3
51. 1
52. 3
53. 3
54. 1
55. 3
56. 1
57. 3
58. 1
59. 1
60. 2
61. 3
62. 4

## გავრცელებული უზუსტობები

ქვემოთ მოცემულია იმ უზუსტობების ჩამონათვალი რომლებიც, ხშირად გვხვდება ბუნებისმეტყველების, კერძოდ ბიოლოგის სახელმძღვანელოებში და მოსწავლის და მასწავლებლების ცოდნის შესამოწმებელ ტესტებში.

1. გულ-სისხლძარღვთა სისტემა:

შეცდომა (მოცემულია პოლიდით და ხაზგასმულია)	სავარაუდოდ საიდან მომდინარეობს შეცდომა	სწორი ინტერპრეტაცია	ლიტერატურა
სიმპათიკური ნერვები იწვევს სისხლძარღვების შევიწროებას, <b>პარასიმპათიკური</b> <b>ნერვები კი —</b> <b>გაფართოებას.</b>	სიმპათიკური და პარასიმპათიკური ნერვები ფიზიოლოგიურად ანტაგონისტებია. ამიტომ დაჩვეული ვართ ვიზუალოთ, რომ რა ფუნქციასაც ასრულებს ერთი, მის საწინააღმდეგოდ	სიმპათიკური ნერვები იწვევს სისხლძარღვების შევიწროებას, ხოლო ამ ნერვების ზეგავლენის შესუსტება (მენტყვეტა) იწვევს სისხლძარღვის გაფართოებას. პარასიმპათიკური ნერვები პრაქტიკულად არ ახდენს ზეგავლენას სისხლძარღვებზე (გარეთა სასქესო ორგანოების სისხლძარღვების გამოყლებით)	1. C. L. Stanfield. Principles of human physiology (Benjamin Cummings 4-th ed.), 2011, pp.383-387, 485
სიმპათიკური ნერვები იწვევს გულის შეკუმშვათა გახშირებას და გაძლიერებას, პარასიმპათიკური — გაიშვიათებას და <b>შესუსტებას.</b>	მოქმედებს მეორე. ეს ასეც არის, <b>შეცდომა</b> <b>ისაა, როდესაც</b> <b>ამ შეხედულებას</b> <b>მექანიკურად</b> <b>ვავრცელებთ ყველა</b> <b>შემთხვევაზე.</b> <b>ზოგიერთი ორგანო</b> <b>არ იმყოფება</b> <b>ერთდროულად</b> <b>სიმპათიკური და</b> <b>პარასიმპათიკური</b> <b>ანტაგონისტური</b> <b>ზეგავლენის ქვეშ.</b> აამის მიზეზია ამ ორგანოს ვეგეტატური ინერვაციის ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურება.	გულში სიმპათიკური და პარასიმპათიკური ნერვების დაბოლოებები ფართოდაა წარმოდგენილი სინო-ატრიულ და ატრიო-ვენტრიკულურ კვანძებში. ამგვარად ანტაგონისტი ვეგეტატური ნერვები უკავშირდებიან პეისმეიკერს (სინო-ატრიულ კვანძს), და შეუძლიათ გულის შეკუმშვათა სიხშირის რეგულირება: სიმპათიკური ნერვები იწვევს გულის შეკუმშვათა გახმირებას, პარასიმპათიკური — გაიშვიათებას. პარკუჭებში სიმპათიკური ნერვის დაბოლოებები ძლიერ განვითარებულია და არეგულირებენ პარკუჭების შეკუმშვის ძალას. პარასიმპათიკური ნერვის დაბოლოებები იშვიათია და გაბნეული. ამიტომ ისინი ვერ ახდენენ ზეგავლენას პარკუჭების შეკუმშვის ძალაზე.	2. E. N. Marieb. Essentials of human anatomy and physiology (Benjamin Cummings third ed), 1984, p.290-304

## 2. პლაცენტა და ამნიონი.

ხშირად, როდესაც საუბრობენ ძუძუმწოვრებზე, ჩამოთვლიან ხოლმე მათ სხვა ცხოველებისგან განმასხვავებელ ნიშნებს. ამ ნიშნებს შორის ასახელებენ პლაცენტას და ცოცხალმშობიარობას.

ცოცხალმშობიარობა (შესაბამისად შინაგანი განაყოფიერება) გვხვდება ხერხემლიანთა სხვა კლასებშიც (ფრინველების გარდა). ალბათ ჯობს ასე ვთქვათ: ცოცხალმშობიარეა ძუძუმწოვრების უმრავლესობა და ქვეწარმავლების, ამფიბიების და თევზების მხოლოდ ზოგიერთი წარმომადგენელი. ცოცხალმშობიარეა ზოგიერთი უხერხემლო ცხოველიც.

პლაცენტაც არ არის მხოლოდ ძუძუმწოვრების დამახასიათებელი ორგანო. ის აქვს სხვა ხერხემლიან და აგრეთვე, უხერხემლო ცხოველებსაც. თუმცა არა ერთ სახელმძღვანელოში პლაცენტა ცალსახად განმარტებულია როგორც მდედრი ძუძუმწოვრების ორგანო. ამ ფაქტმა გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს, ალბათ ჯობს ასე ვთქვათ::

პლაცენტა აქვს ძუძუმწოვრების უმრავლესობას, ხოლო სხვა კლასებში მხოლოდ ზოგიერთ წარმომადგენელს.

პლაცენტა ეწოდება ყვავილოვან მცენარეებში თესლკვირტის მიმაგრების ადგილს ნასკვში.

### კიდევ ერთი დეტალი:

როდესაც საუბარია ქვეწარმავლების, ფრინველების და ძუძუმწოვრების ხმელეთზე ფართოდ გავრცელებაზე, ყურადღებას ამახვილებენ ხოლმე ორ ფაქტზე: გამომშრალ და ქერცლით, ბუმბულით, ან ბენვით დაცულ კანზე, რაც იცავს ორგანიზმს გამოშრობისგან.

ამ შემთხვევაში არ უნდა დაგვავინყდეს მთავარი ფაქტი: ცხოველთა ამ კლასების ემბრიონი მოთავსებულია ამნიონში (ამიტომაც ეწოდებათ ქვეწარმავლებს, ფრინველებს და ძუძუმწოვრებს ამნიოტები) - პარკში, რომელიც სითხით არის სავსე და იცავს ემბრიონს გამოშრობისგან. აამიტომ მიეცათ ამნიოტებს შესაძლებლობა გამრავლებულიყვნენ ხმელეთზე მშრალ ადგილებშიც და ამგვარად, ფართოდ გავრცელებულიყვნენ ხმელეთზე. ცოცხალმშობიარობა აძლიერებს ემბრიონის დაცვას გამოშრობისგან.

ამფიბიები მრავლდებიან წყალში, რადგან მათი ქვირითი გამოშრობისგან არ არის დაცული. თუმცა ტროპიკულ წვიმის ტყეებში ამფიბიები ქვირითს ხეების ფულუროებშიც ყრიან, რადგან წვიმის ტყეში ტენიანობა ძალიან მაღალია და ქვირითს და შემდგომში ემბრიონს ხმელეთზე გამოშრობა არ ემუქრება.

ამნიონი ზოგიერთ უხერხემლო ცხოველშიც გვხვდება.

### 3. კარიოტიპი

	განმარტება	წყარო
1	1. ეუკარიოტული უჯრედის ბირთვში ქრო-მოსომების რაოდენობა და შესახედაობა 2. სახეობის ან ინდივიდუალური ორგანიზ-მის ქრომოსომების ერთობლიობა	WIKIPEDIA: <a href="http://en.wikipedia.org/wiki/Karyotype">http://en.wikipedia.org/wiki/Karyotype</a>
2	სახეობის ქრომოსომების კომპლექტის ნი-შანთვისებათა (რაოდენობა, ზომა, ფორმა) ერთობლიობა	ბიოლოგიური ენციკლოპედიური ლექსიკონი (რუსულ ენაზე), მოსკ-ოვი, “საბჭოთა ენციკლოპედია”, 1986

3	ქრომოსომების ორგანიზებული პროფილი, სადაც ქრომოსომები დალაგებული და დანომრილია ზომის მიხედვით, ყველაზე დიდი ზომიდან ყველაზე მცირე ზომამდე.	<a href="http://learn.genetics.utah.edu/content/begin/traits/karyotype/">http://learn.genetics.utah.edu/content/begin/traits/karyotype/</a>
4	კარიოტიპის დასამზადებლად იყენებენ სტანდარტული შეღებვის პროცედურას, რომელიც ავლენს ყოველი ქრომოსომის სტრუქტურულ თავისებურებას	<a href="http://www.nature.com/scitable/topicpage/karyotyping-for-chromosomal-abnormalities-298">http://www.nature.com/scitable/topicpage/karyotyping-for-chromosomal-abnormalities-298</a>
5	1. უჯრედის ქრომოსომების ფოტოგრაფიული წარმოდგენა, რომელშიც ქრომოსომები დალაგებულია სტანდარტული კლასიფიკაციის თანახმად 2. ინდივიდის ქრომოსომების ერთობლიობა	<a href="http://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK5191/">http://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK5191/</a>
6	კარიოტიპი აღწერს ქრომოსომების რაოდენობას და შესახედაობას, როგორც ეს ჩანს მიკროსკოპი ქვეშ	<a href="http://www.innovateus.net/health/what-karyotype">http://www.innovateus.net/health/what-karyotype</a>
7	უჯრედის ქრომოსომების სურათი	S. Nowicki. Biology (Holt McDougal), 2010
8	უჯრედის ქრომოსომების მოწესრიგებული წარმოდგენა (დემონსტრაცია)	Reece, J., Campbell, N. (2002). Biology. San Francisco: Benjamin Cummings.

არაერთგვაროვანია ტერმინის - “კარიოტიპი” განმარტება. ცხრილიდან ჩანს, რომ კარიოტიპი განიმარტება როგორც სახეობის ან ინდივიდის ქრომოსომების ერთობლიობა (1,5) ან ამ ქრომოსომების რაოდენობა და შესახედაობა (1), ქრომოსომული კომპლექტის ნიშან-თვისებების ერთობლიობა (2) ან განმარტებას ემატება საგულისხმო დეტალი: ეს არის ქრომოსომების ორგანიზებული პროფილი, ფოტოსურათი სადაც ჩანს ქრომოსომების რაოდენობა და სტრუქტურული თავისებურებები (3,5,6,7), უჯრედის ქრომოსომების მოწესრიგებული წარმოდგენა (დემონსტრაცია) (8) და მზადდება გარკვეული მეთოდით (4). კარიოტიპის დამზადების მეთოდი აღნერილია მე-5 და მე-6 წყაროშიც, ოლონდ ცხრილში ეს აღნერა არ არის მოტანილი. ზმნა “კარიოტიპირება” (კარყოტყპინგ) გულისხმობს კარიოტიპის შექმნას, ქრომოსომების კვლევას ზომის, სტრუქტურული თავისებურებების მიხედვით. ხანდახან ამავე მნიშვნელობით გამოიყენება არა ტერმინი “karyotyping”, არამედ

პირდაპირ - “karyotype” (მაგ. <http://www.innovateus.net/health/what-karyotype>).

არსებობს ტერმინი “კარიოგრამა”, (ზოგ შემთხვევაში მის მაგივრად —“იდეოგრამა”) რომელიც გულისხმობს ქრომოსომების გრაფიკულ გამოსახულებას (1. <http://en.wikipedia.org/wiki/Karyotype>. 2. <http://hapmap.ncbi.nlm.nih.gov/karyogram/gwas.html> 3. <http://dictionary.reference.com/browse/karyogram>). ამგვარად კარიოტიპის ზოგიერთი განმარტების (3,5,6,7,8) თანახმად, “კარიოტიპი” და “კარიოგრამა” ერთსა და იმავეს აღნიშნავს.


ჩემი აზრით სასურველია რომ კარიოტიპი არ განისაზღვროს როგორც სახეობის ქრომოსომების კომპლექტის ნიშანთვისებათა (რაოდენობა, ზომა, ფორმა) ერთობლიობა

(ცხრილში-2), რადგან ამ განსაზღვრებაში არ ჩანს, რომ კარიოტიპი მზადდება და ეს არის ქრომოსომების კომპლექტის სურათი. შუმჯობესია მოსწავლეს ვუთხრათ რომ კარიოტიპი არის უჯრედის ქრომოსომების მიკროგრაფიული სურათი, რომელიც წარმოადგენს, გვიჩვენებს ქრომოსომების რაოდენობას, ზომას, ფორმას. მითუმეტეს, რომ კარიოტიპს ამგვარად განმარტავენ ბიოლოგიის წამყვანი სპეციალისტები (7,8).

#### 4. საკითხი სენსორული ნეირონის თაობაზე ითხოვს დაზუსტებას.

ძველ სახელმძღვანელოში (ცუზმერ, პეტრიშინასი) და ზოგიერთ თანამედროვე სახელმძღვანელოშიც ნათქვამია, რომ რეცეპტორიდან ცენტრალური ნერვული სისტემისკენ (უფრო ზუსტად, ცნს-ს სიახლოვეს განლაგებული კვენიებისაკენ - ე.ნ. განგლიებისკენ, სადაც სენსორული ნეირონის სხეულია მოთავსებული) ინფორმაცია ვრცელდება სენსორული (მგრძნობიარე) ნეირონის დენდრიტით. სინამდვილეში ეს არის აქსონი.

საქმე შემდეგია: სენსორული ნეირონების უმრავლესობა პსევდო-უნიპოლარულია. მათ აქვთ პერიფერიული (სურათზე მარცხნივ) და ცენტრალური (მარჯვნივ) აქსონი. პერიფერიული აქსონი აკავშირებს ნეირონს რეცეპტორებთან, ცენტრალური კი შედის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. ამგვარად რეცეპტორიდან ინფორმაცია ვრცელდება სენსორული ნეირონის არა დენდრიტში, არამედ აქსონში.



5. შეცდომები ტესტებში (აქ არ ვასახელებთ ტესტების წარმომავლობას, ისინი სხვადასხვა დროს შედიოდა სხვადასხვა სახის ცოდნის შესამოწმებელ ტესტების შემადგენლობაში):

შეკითხვა	რა არის შეცდომა	კომენტარი
სუსტი განათების დროს ძირითადად თვალის რომელ ნაწილში წარმოიქმნება ნერვული იმპულსი? ა) ბრმა ხალი ბ) ჩხირებში გ) კოლბებში დ) ბროლში	კოლბებში და ჩხირებში ნერვული იმპულსის წარმოშობა <u>საერთოდ არ ხდება</u> – ნერვული იმპულსი წარმოიქმნება განგლოზურ უჯრედებში, რომლებსაც უკაფშირდება კოლბები და ჩხირები.	ასეთი დეტალების ცოდნა მოსწავლეს ოლიმპიადაზეც კი არ მოეთხოვება (მითუმეტეს, რომ შეკითხვის ავტორსაც კი გამოეპარა ეს ნიუანსი). ავტორის ჩანაფიქრი გასაგებია. მოსწავლემ უნდა უპასუხოს „ჩხირებში”, მაგრამ შეკითხვა სერიოზულ შეცდომას შეიცავს.
სისხლის მიმოქცევის პროცესში აირების ტრანსპორტი უჯრედებამდე ხორციელდება:	კითხვა არასწორადაა ფირმულირებული: რას ნიშნავს „სისხლის მიმოქცევის პროცესში“? როგორ გაიგოს ბავშვმა, რომ ვეკითხებით სისხლიდან უჯრედებში ტრანსპორტს	
გენები დამოუკიდებლად გადაეცემა შთამომავლობას, როდესაც ლოკალიზებულია: I. ერთსა და იმავე ჰომოლოგიურ ქრომოსომებში II. სხვადასხვა ჰომოლოგიურ ქრომოსომებში III. სასქესო ქრომოსომებში	სწორი პასუხი ავტორების მიხედვით არის - მხოლოდ II. ერთერთი ალტერნატიული პასუხია - I, II, III კითხვაში გაუგებარია, რომელ გენებზეა საუბარი - ერთი ნიშნის განმაპირობებელ ალელებზე თუ სხვადასხვა ალელურ წყვილებზე. „გენები დამოუკიდებლად“ გაუგებარია, „უნდა იყოს „ერთმანეთისგან დამოუკიდებლად“. ასევე, განმარტება: სხვადასხვა ჰომოლოგიური ქრომოსომა - არ არის კორექტული, ერთი წყვილის ორი ქრომოსომაც სხვადასხვაა. უნდა იყოს: ჰომოლოგიური ქრომოსომების სხვადასხვა წყვილი. ამ უზუსტობების გამო მოსწავლემ შესაძლებელია იფიქროს, რომ საუბარია ერთი გენის ალელებზე და აირჩიოს ალტერნატიული პასუხი, რომელიც შეცდომად ჩაეთვლება.	როდესაც ვსვამთ კითხვას, გვგონია ხოლმე, რომ ის ისევე გასაგებია კითხვის ადრესატისათვის, როგორც ჩვენთვის. აუცილებელია, შეკითხვა დაისვას რაც შეიძლება ცხადად. ამ შემთხვევაში ფორმულირება ალბათ ასეთი უნდა ყოფილიყო: სხვადასხვა გენების ალელები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გადაეცემა შთამომავლობას როდესაც ისინი ლოკალიზებულია: 1. ჰომოლოგიური ქრომოსომების ერთსა და იმავე წყვილში 2. ჰომოლოგიური ქრომოსომების სხვადასხვა წყვილში, 3. სასქესო ქრომოსომებში
ჩამოთვლილთაგან რომელი ნივთიერებები გაივლიან უჯრედის პლაზმურ მემბრანას დიფუზით? ა) გლუკოზა და ამინომჟავები ბ) წყალი, ჟანგბადი და ნახშირორჟანგი გ) წყალი და გლუკოზა დ) ჟანგბადი, ნახშირორჟანგი და ამინომჟავები	ყველა შემთხვევაში დიფუზიაა, მაგრამ რატომღაც სწორ პასუხად ითვლება ბ.	ამ სწორი პასუხის (ბ) ვარიანტში შეკითხვაში უნდა იყოს არა „დიფუზია“ არამედ „მარტივი დიფუზია“

<p>რაში მდგომარებს ჰაერში სუნთქვის უპირატესობა წყალში სუნთქვასთან შედარებით?</p> <p>I. რადგან ჰაერი ნაკლებად მკვრივია, ვიდრე წყალი, ამიტომ ჰაერის მოძრაობისათვის ენერგიის ხარჯი მცირეა</p> <p>II. ჟანგბადი ჰაერში უფრო სწრაფად დიფუნდირებს, ვიდრე წყალში</p> <p>III. ჰაერში ჟანგბადის შემცველობა მეტია, ვიდრე იმავე მოცულობის წყალში</p>	<p>ევოლუციური თვალსაზრისით ასეთ უპირატესობაზე საერთოდ არ ლაპარაკობენ. ის არც არსებობს, რადგან წყალში მცხოვრები ძალიან კარგადაა შეგუებული წყალში გახსნილი ჟანგბადის შეთვისებასთან, ხმელეთის მაცხოვრებელი კი შეგუებულია ჰაერში არსებული ჟანგბადის შეთვისებასთან.</p> <p>ამიტომ სიტყვა „უპირატესობა“ აქ მიუღებელია. (ეს იგივეა, რომ ვილაპარაკოთ წყალში გადაადგილების უპირატესობაზე ჰაერში ან დედამიწის ზედაპირზე გადაადგილებასთან შედარებით, ან პირიქით).</p> <p>საშიშროება ის არის, რომ მოსწავლე, რომელსაც სწორად ესმის საკითხი, დაიბნევა და შესაძლებელია პასუხი ვერ გასცეს, ან დიდი დრო დაკარგოს მოყიქრებაზე.</p>
<p>ეკოლოგი ადარებდა ბალახეული მცენარის ზრდას ორ სხვადასხვა უბანზე A და B.</p> <p>ამ პოპულაციების შესადარებლად მან შეაგროვა 30 ნიმუში თითოეული უბნიდან,</p> <p>შემდეგ გაზომა ფესვებს სიგრძე, ფესვების და მინისზედაც ნაწილების ბიომასა.</p> <p>მონაცემები მოცემულია ცხრილში. ამ შედეგებზე დაყრდნობით, რომელი მტკიცებულება შეიძლება იყოს სწორი?</p>	<p>ზრდას თუ აკვირდებოდა, რის გამოც გაზომა ფესვებს სიგრძე, გაუებარია, რატომ არ გაზომა ლეროს სიმაღლე, ბიომასა რატომ გაზომა</p>
<p>მიუხედავად იმისა, რომ ექიდნა კვერჩისმდებელი ცხოველია, იგი მიეკუთვნება ძუძუმწოვართა კლასს, რადგან გააჩნია სარძევე ჯირკვლები. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან კიდევ რომელი ახასიათებს ძუძუმწოვრების კლასს?</p> <p>I. მისის სხეულის ნაწილი დაფარულია თმით;</p> <p>II. ჰიპოფიზის და ფარინგებრი ჯირკვლის არსებობა;</p> <p>III. მთლიანად გაყოფილი სისხლის მიმოქცევის მცირე და დიდი წრე;</p> <p>IV. მკერდის და მუცლის ღრუ გამოყოფილია დაფარაგმით;</p> <p>V. სხეულის ტემპერატურა არ არის დამოკიდებული გარემოს ტემპერატურაზე</p> <p>VI. უბირთვო ერითროციტები ამოირჩიეთ ერთი პასუხი:</p> <p>ა. III და VI</p> <p>ბ. I, IV და V;</p> <p>გ. მხოლოდ I და IV;</p> <p>დ. I და II;</p> <p>ე. I, IV და VI</p>	<p>1. ექიდნა კი არა, იქედნე</p> <p>2. იქედნე მარტო იმიტომ ეკუთვნის ძუძუმწოვრებს, რომ სარძევე ჯირკვლები აქვს? (არა კორექტულია)</p> <p>3. შეიძლება <b>დებულება</b> (?) ახასიათებდეს (?) რომელიმე ცხოველთა კლასს? Aან II, III და VI დებულებებია?</p> <p>4. ჩამოთვლილიდან ყველა <b>ნიშანი ახასიათებს</b> ძუძუმწოვართა კლასს</p> <p>3. რას ნიშავს: მთლიანად გაყოფილი სისხლის მიმოქცევის მცირე და დიდი წრე?</p> <p>4. „მკერდის ღრუ“ არა, გულმკერდის ღრუ</p>
<p>კანადაში მამაკაცების 7% ვერ არჩევს ფერებს. ეს რეცესიული ნიშანი მოთავსებულია X-ქრომოსომაში.</p>	<p>ნიშნები ლოკალიზებული ქრომოსომაში? სწორი იქნებოდა გენები, ალელები?</p>

<p>მუშა ფუტკრები ცეკვავენ, რათა გადასცენ ერთმანეთს ინფორმაცია საკვების წყაროს დისტანციის შესახებ. რომელი შეგრძნება არის ჩართული კოლონიის წევრებს შორის ასეთ კომუნიკაციაში? ამოირჩიეთ ერთი პასუხი.</p> <p>ა. სმენა; ბ. გემოვნება; გ. ყნოსვა დ. შეხება ე. მხედველობა</p>	<p>აქ ერთი პასუხი არ არის მხოლოდ, რადგან ჩართულია რამდენიმე (მინიმუმ ორი) შეგრძნება</p>
<p>ამოირჩიეთ სიცივით გამოწვეული ტემპერატურის რეგულირების სწორი კომბინაცია.</p>	<p>“სიცივით გამოწვეული ტემპერატურის რეგულირება” ? გამოდის რომ სიცივე ჰომეოსტაზს განაპირობებს. ალბათ უნდა იყოს: სიცივის პირობებში, ან სიცივის საპასუხოდ</p>
<p>ჩამოთვლილთაგან რომელი ორგანოების მოქმედებას არეგულირებს და აკონტროლებს სომატური ნერვული სისტემა? ა) გულის ბ)ჩონჩხის კუნთების გ)ლვიძლის დ)გრძნობათა ორგანოების პასუხია - ბ.</p>	<p>შეცდომა: გრძნობათა ორგანოებს (ესეც შეცდომა, უნდა იყოს შეგრძნების), მაგ თვალს, აინერვირებს მოტორული სომატური ნერვი — თვალისმამოძრავებელი ნერვი.</p>

6. ადამიანს ახასიათებს ბუნებისადმი გამოყენებითი მიდგომა, ეს ბუნებრივია, თუმცა საშიშიც. ყველას მოგხესენებათ რასაც ვგულისხმობთ, ამიტომ ეს აზრი ალბათ განმარტებას არ საჭიროებს.

სხვა საქმეა, როდესაც უნებურად ხელს ვუწყობთ ამგვარ დამოკიდებულებას ბუნებისადმი.

მაგალითად, ერთ ძალიან კარგ უცხოურ სახელმძღვანელოში თავი მცენარეთა სამეფოს შესახებ იწყება პარაგრაფით: “მცენარეთა გამოყენება”. ჩერთი მხრივ გასაგებია, რომ ამით ავტორები ცდილობენ მოსწავლის დაინტერესებას - სწორედ ადამიანის მომენტური მოტივებიდან გამომდინარე. მეორე მხრივ, საშიშია, როდესაც მოსწავლის ინტერესს იმთავითვე იმით ვაღივებთ, სჭირდება თუ არა მას რომელიმე ცოცხალი არსება.

იგივეს ვფიქრობთ ისეთ შეფასებაზე, როგორიცაა “მეგობარი” ბაქტერია თუ ვირუსი, ან “კარგი” და “ცუდი” ბაქტერიები და ვირუსები. ჩემი აზრით ებიოლოგისთვის, ევოლუციური თვალთახედვით, ეს კორექტული არ არის და ამასთანავე, არც მოსწავლის თვალთახედვის ჩამოყალიბებას წაადგება, რომ მან იფიქროს ცოცხალ არსებებზე იმ პოზიციიდან, რომელია ადამიანისათვის კარგი და რომელი ცუდი. სხვა საქმეა, რომ მოსწავლემ უნდა იცოდეს რომელი მიკროორგანიზმია დაავადების გამომწვევი, როგორ აიცილოს თავიდან დაავადება. მაგრამ მოსწავლემ პატარაობიდანვე უნდა იცოდეს, რომ არცერთი ცოცხალი არსება ადამიანისთვის არ არის შექმნილი (არც მის საკეთილდღეოდ და არც დასაზიანებლად), ისინი თავისთავად არსებობენ, ჩვენსავით იბრძვიან არსებობისათვის და აივ-ი რომ აივ-ია, არც ის არის “ხიხია” და ბაქტერიოფაგი კი გულში ჩასახუტებელი (უ). უფრო მეტიც, აივ-ი და ნებისმიერი სხვა მიკროორგანიზმი, თავისი სიცოხლისუნარიანობით მხოლოდ აღტაცებას იმსახურებს.

## აქტივობები და გაკვეთილების სცენარები დაწყებითი პლასტიკისათვის.

### I - II კლასი

#### აქტივობა 1: ვუსმენთ ცხოველებს

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს შინაური ცხოველების ხმებს და სთხოვს, გამოიცნონ, რა ცხოველია. აქტივობის დამთავრების შემდეგ კითხეთ: როდესაც უსმენდით ცხოველების ხმას, როთი უსმენდით — თვალებით? ცხვირით? არასწორი პასუხები დააფიქსირეთ როგორც: თვალები არ გვაქვს მოსასმენად, სწორი პასუხი დააფიქსირეთ: ჩვენ ვისმენთ ყურებით.

#### აქტივობა 2: ვხედავთ თვალებით, სუნს ვიყნოსავთ ცხვირით

როგორ გავიგებთ, რომ ბებია ან დედა გემრიელ ნამცხვარს აცხობს სამზარეულოში?

პასუხის - დავინახავთ ან სუნს გავიგებთ მიხედვით აფიქსირებთ: ჩვენ ვხედავთ თვალით (ან სუნს ვიგებთ ცხვირით) კიდევ როგორ გავიგებთ რომ სამზარეულოში რაღაც გემრიელი ცხვება?

#### აქტივობა 3: წითელქუდას ზღაპარი

წაუკითხეთ წითელქუდას ზღაპრის მონაკვეთი: წითელქუდას და ბებიას (მგლის) დიალოგი. წინასწარ არანაირ სპეციალურ ინსტრუქციას არ აძლევთ. უუბრალოდ შეახსენეთ მოკლედ ისტორია და სთხოვეთ, ყურადღებით მოისმინონ.

“ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი თვალები? იმიტომ, რომ კარგად გავიგო რას მეუბნები, ჩემო პატარავ”

დაელოდეთ მოსწავლეების რეაქციას. ჩგაასწორონ შეცდომა. შეცდომის გასწორების შემდეგ გააგრძელეთ:

“ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი ყურები? იმიტომ, რომ კარგად გავიგო შენი მოტანილი ნამცხვრის სუნი”

დაელოდეთ მოსწავლეების რეაქციას. გაასწორონ შეცდომა თავად. თუ რეაქცია არ იქნა, გაიმეორეთ ფრაზა.

ყოველ შეცდომის გასწორებაზე დააფიქსირეთ: ვხედავთ თვალებით, გვესმის ყურებით და სხვ. (შინაარსის მიხედვით)

ქვემოთ მოყვანილი აქტივობების (1-5) მიზანია, მოსწავლემ შეძლოს განასხვავოს ცხოველი, მცენარე და სოკო, გამოიმუშაოს მსგავსების მიხედვით დაჯგუფების უნარი.

თითოეულ აქტივობას ეთმობა ერთი გაკვეთილი.

#### აქტივობა 4: რა არის ცხოველი

მასწავლებელი დაყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად. ყოველ ჯგუფს აძლევს ყუთს, სადაც ჩაყრილია ცხოველების (ძალი, სპილო, ბეღურა, პეპელა, ბაყაყი, ხვლიკი, კობრი, ჭიაყელა ან მათი კლასის სხვა წარმომადგენელი) ფოტოები (ან ნახატი). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ამოარჩიონ ყუთიდან ცხოველების სურათები და დააწერონ დიდი ზომის ქაღალდზე. ამისათვის გამოიყენონ ქაღალდის ზედა ნახევარი (ქვედა დასჭირდებათ მომდევნო აქტივობისათვის)

ჯგუფები წარმოადგენენ თავის ნამუშევარს. მასწავლებელი ნამუშევრებს გააკრავს დაფაზე ყველას დასანახად.

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები დაუშვებენ შეცდომას: ზოგიერთ ცხოველს არ ჩათვლიან ცხოველად.

მასწავლებელი აკეთებს კომენტარს: „ამ ჯგუფმა არ დააკრა ქალალდზე პეპელა (რა ცხოველიც იქნება გამოტოვებული). რატომ არ დააკარით ქალალდზე პეპელა? ისმენს მოსწავლეთა პასუხს. იგივე მეორდება სხვა ჯგუფისთვის.

პასუხებიდან გაირკვევა, რა ხასიათის შეცდომას უშვებენ მოსწავლეები — რა არის მათთვის ცხოველი.

ამ შეცდომებიდან გამომდინარე, მასწავლებელი აძლევს სათანადო განმარტებებს. ცხოველის განმარტება პირველკლასელისათვის დასაშვებია როგორც: ცოცხალი არსება, რომელსაც შეუძლია გადაადგილება (სიარული, ფრენა, ხოხვა, ცურვა). ჯგუფები ასწორებენ შეცდომას, მიამატებენ საკუთარ ნამუშევარს იმ ფოტოებს, რომლებიც გამოტოვეს.

### **აქტივობა 5. გამოიცანი რომელია ცხოველი**

მასწავლებელი ყრის ყუთებში ახალ ფოტოებს (ლომი, არწივი, კალია, ზვიგენი, გველი, სალამანდრა, კიბორჩხალა, მედუზა). აქტივობა მეორდება ამ ფოტოების გამოყენებით. ოღონდ, არჩეულ ფოტოებს ჯგუფები დააწებებენ იმავე ქალალდზე (ქვედა ნახევარზე) რომელზედაც ადრე იმუშავეს. ქალალდი დაფაზეა გაკრული. მასწავლებელი ასწორებინებს მოსწავლეებს შესაძლო შეცდომებს.

### **აქტივობა 6. მცენარეები და სოკოები**

ტარდება იმ მიზნით, რომ მოსწავლემ გამიჯნოს ერთმანეთისაგან მცენარე და სოკო.

აქტივობა მიმდინარეობს პირველი აქტივობის მსგავსად. ოღონდ, ყუთში იყრება მცენარეთა და სოკოების სურათები.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოარჩიონ ყუთიდან მცენარეთა სურათები და დააწებონ ქალალდზე. ჯგუფები წარმოადგენენ თავის ნამუშევარს. მასწავლებელი ნამუშევრებს გააკრავს დაფაზე ყველას დასანახად.

მოსალოდნელი შეცდომა: ჯგუფები მცენარეებში გააერთიანებენ სოკოებსაც.

კლასი მსჯელობს შესაძლო შეცდომის შესახებ. მოსწავლეები განმარტავენ, რატომ ფიქრობენ, რომ სოკო ეკუთვნის (ან არ ეკუთვნის) მცენარეებს.

პირველკლასელისათვის მცენარის განმარტება შესაძლებელია, როგორც: ცოცხალი არსება, რომელსაც აქვს ფოთლები. ცოცხალი მცენარის ფოთლები მწვანე ფერისაა.

### **აქტივობა 7. რა არის ცხოველი, მცენარე და სოკო**

ეს შემაჯამებელი აქტივობაა. მასწავლებელი ყოფს კლასს ჯგუფებად.

ყუთში იყრება ცხოველთა, მცენარეთა და სოკოების სურათები.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოარჩიონ ყუთიდან და ცალცალკე ჯგუფებად დააწებონ ქალალდზე ცხოველები, მცენარეები და სოკოები. ჯგუფები წარმოადგენენ თავის ნამუშევარს. მასწავლებელი ნამუშევრებს გააკრავს დაფაზე ყველას დასანახად.

მასწავლებელი ეკითხება, რა ნიშნით დააჯგუფეს ცხოველები, მცენარეები, რატომ დააჯგუფეს სოკოები ცალკე და არა მცენარეებთან ან ცხოველებთან.

### **აქტივობა 8. რა არის ცხოველი, მცენარე და სოკო**

ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც შემაჯამებელი აქტივობა.

მასწავლებელი იღებს ყუთიდან სათითაოდ წინასწარ მომზადებულ ფოტოებს, უჩვენებს კლასს და სთხოვს, ხმამაღლა დაიძახონ, რა არის ფოტოზე — ცხოველი, მცენარე თუ სოკო. ამის შემდეგ მასწავლებელი ამბობს: ახლა მე ვიტყვი ვისი სურათია და თქვენ გამისწორეთ თუ შემეშალა. მასწავლებელი იღებს სურათებს და ზოგიერთს განზრახ შეცდომით ასახელებს.

ცხოველის გავრცელებული კორექტული განმარტებაა: ცხოველი არის ეუკარიოტული, მრავალუჯრედიანი, ჰეტეროგროფი ორგანიზმი, რომელსაც (გამონაკლისის გარდა) შეუძლია გადაადგილება. მაგრამ პირველკლასელებისათვის ეს სრულიად გაუგებარი იქნება. ამიტომ ამ ეტაპზე ცხოველი განმარტეთ როგორც: ცოცხალი არსება, რომელსაც შეუძლია გადაადგილება (სიარული, ფრენა, ხოხვა, ცურვა).

როდესაც მოსწავლეებს ესაუბრებით ცხოველების შესახებ, მიაქციეთ ყურადღება, რომ სწორად გამოიყენოთ ტერმინი და არ გააიგივოთ “მოძრაობა” და “გადაადგილება”. მოძრაობა ხდება ხოლმე სხეულის გადაადგილების (სივრცეში ადგილმდებარეობის შეცვლის) გარეშეც, მაგალითად, კიდურის მოძრაობა, საცეცის მოძრაობა, კუდის მოძრაობა, თვალების, ყურების მოძრაობა და სხვ.

სოკოები, ცხოველები და მცენარეები წარმოადგენენ ცოცხალი არსებების სამეფოების წარმომადგენლებს. სამეფო არის ცოცხალი ორგანიზმების ყველაზე მსხვილი კლასიფიკაციური ერთეული. კიდევ ორი სამეფოა მონერები და პროტისტები. ამგვარად, განარჩევენ ცოცხალი ორგანიზმების 5 სამეფოს: ცხოველები, მცენარეები, სოკოები, მონერები, პროტისტები. პროტისტებს ეკუთნიან: უმარტივესები (ამება, ქალამანა), წყალმცენარეები, ევგლენა და სხვ. მონერებია ბაქტერიები, არქებაქტერიები, ციანობაქტერიები.

სამეფოებში გაერთიანებულია ამ სამეფოს წარმომადგენელთა უფრო ვიწრო დაჯგუფებები. მაგალითად, ცხოველთა სამეფოში არის ხერხემლიანი და უხერხემლო ცხოველების დაჯგუფება. ხერხემლიანებში გაერთიანებულია კიდევ უფრო ვიწრო დაჯგუფებები: ძუძუმწივრები (ადამიანი, მაიმუნები, მგელი, ლომი, ძალლი, კატა, ვეშაპი, დელფინი, სხვ.), ფრინველები, ქვენარმავლები (გველი, ხვლიკი, სხვ.), ამფიბიები (ბაყაყი, გომბეშო, სალამანდრა სხვ.), თევზები (კობრი, ზვიგენი სხვ.). უხერხემლო ცხოველების უფრო ვიწრო დაჯგუფებია მწერები, ობობები სხვ.

რაც შეეხება ბაქტერიებს და პროტისტებს. გადაადგილება, ცხოველების მსგავსად, მათაც შეუძლია, და საამისო ორგანოებიც აქვთ, მაგალითად, ბაქტერიების და უმარტივესების შოლტი. ცხოველებისგან განსხვავებით: ბაქტერიები ერთუჯრედიანი არსებები არიან. უმარტივესებიც ერთუჯრედიანია (მაგ. ამება, ქალამანა). მრავალუჯრედიანი პროტისტები (მრავალუჯრედიანი წყალმცენარეები) განსხვავდებიან სხვა მრავალუჯრედიანი ორგანიზმებისაგან (მცენარეების, სოკოების და ცხოველებისაგან) იმით, რომ მათი უჯრედები არ ქმნის ქსოვილს.

ბაქტერიების თავისებურებაა, რომ მათ უჯრედს არ აქვს ბირთვი, ისინი პროკარიოტული — ბირთვის არ მქონე ორგანიზმები არიან.

ბირთვის მქონე ორგანიზმებს ეუკარიოტები ეწოდება. ცხოველების გარდა, ეუკარიოტები არიან მცენარეები, სოკოები და პროტისტები.

#### **აქტივობა 9. ავაგოთ ცხოველის სხეული**

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად. ჯგუფებს ურიგებს წინასწარ მომზადებულ ცხოველის (ძალლი) ნაწილების (თავი, ფეხი, კუდი, ტანი) გამომსახველ პატარა ბარათებს. ჯგუფებს ეძლევა დავალება, ბარათებისაგან შეადგინონ ცხოველის სხეული.

#### **აქტივობა 10. დავეხმაროთ ერთმანეთს ცხოველის სხეულის აგებაში**

ამ შემთხვევაში, ორ-ორი ჯგუფი მუშაობს შეერთებული ძალებით. მასწავლებელი კვლავ ურიგებს მათ წინასწარ მომზადებულ სხვა 2 ცხოველის (სპილო, ვეფხვი) ნაწილების გამომსახველ პატარა ბარათებს. 2-2 ჯგუფს ელემენტები ურიგდება ისე,

რომ მათ მხოლოდ საერთო ძალებით (ორი ჯგუფის) შეძლონ სხეულის აღდგენა. ჯგუფებს ეძლევა დავალება ბარათებისგან შეადგინონ ცხოველის სხეული.

მსგავსი აქტივობა ჩატარდება მცენარის და ადამიანის სხეულის ნაწილების (ფოთოლი, ყვავილი, ლერო, ფესვი, ტანი, თავი, ფეხი, ხელი) გამომსახველი ბარათებით.

### **აქტივობა 11: დავეხმაროთ ერთმანეთს მცენარის სხეულის აგებაში**

მასწავლებელი კლასს ყოფს 2-2 კაციან ჯგუფების ერთ წევრს ურიგებს წინასწარ მომზადებულ მცენარის ნაწილების (ლერო, ფესვი, ყვავილი, ფოთოლი) ამსახველ ბარათებს. მეორე წევრს მასწავლებელი აძლევს მცენარის არასრულ გამოსახულებიან ფურცელს (მაგ. აკლია ფოთოლი). ჯგუფებს ეძლევა დავალება: ვისაც გაქვთ მცენარის სურათი, დააკვირდით, რა ნაწილი აკლია. უთხარით თქვენი ჯგუფი წევრს, რომ მოძებნოს ეს ნაწილი იმ ბარათებს შორის, რომელიც მას აქვს. ჯგუფის ეს წევრი მოძებნის ბარათს და შემდეგ ორივე წევრი ერთად შეავსებს მცენარის ნახატს საჭირო ნაწილით.

**აქტივობა 12. რა არის ზედმეტი. ამ შემთხვევაში მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს რომელიმე ცხოველის სურათს, სადაც არის ზედმეტი, ამ ცხოველისათვის არა დამახასიათებელი ნაწილები (მაგ. ფრთიანი ცხენი, ძალლი ფარფლებით) და სთხოვს, გამოიცნონ, რა ნაწილია ზედმეტი და განმარტონ, რატომ თვლიან, რომ ეს ნაწილი ზედმეტია.**

როდესაც მოსწავლეები ჯგუფად სხედან და ასრულებენ დავალებას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ჯგუფურ მუშაობას. ჯგუფურია სამუშაო, როდესაც მის შესრულებაში ჯგუფის ყველა წევრს თავისი წვლილი შეაქვს. აქტივობაში 1 ჩნდება საშიშროება, რომ სამუშაოს შეასრულებს ჯგუფის მხოლოდ ერთი, ან რამდენიმე მაგრამ არა ყველა წევრი ერთად. ამიტომ ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ საქმეში ყველა მოსწავლე ჩაერთოს. აქტივობაში 2 ჯგუფებს ეძლევა დავალება ბარათებისგან, რომლებზეც ცხოველის სხეულის ნაწილებია გამოსახული, შეადგინონ ცხოველის სხეული. სხვადასხვა ჯგუფს ბარათები ურიგდება ისე, რომ მათ მხოლოდ საერთო ძალებით (ორი ჯგუფის) შეძლონ სხეულის აღდგენა. ამ შემთხვევაში სამუშაო შესრულედება მხოლოდ მაშინ, თუ ორი ჯგუფი იმუშავებს კოორდინირებულად. აქტივობაში 3 სამუშაო ასევე ჯგუფურია. მაგრამ არის მნიშვნელოვანი განსხვავება აქტივობისგან 2. აქტივობაში 3 სამუშაო ვერანაირად ვერ შესრულდება, თუ ჯგუფის წევრებმა ერთობლივად არ იმოქმედეს.

**აქტივობა 13: ინტერვიუ (დაგეგმვა) აქტივობა უვითარებს მოსწავლეს კომუნიკაციის უნარს და შეასწავლის ცოცხალი არსებების ზრდისათვის საჭირო პირობებს**

მასწავლებელი სვამს კითხვას: მითხარით, რა ცხოველები გყავთ სახლში, ეზოში?

მოსწავლეების ასახელებენ ცხოველებს, მასწავლებელი წერს მათ სახელებს დაფაზე.

შემდეგი შეკითხვა: რას აკეთებენ ეს ცხოველები დღის განმავლობაში?

მასწავლებელი ისმენს და აჯამებს მოსწავლეთა პასუხებს. ამათგან ამოარჩევს პასუხებს, რომლებიც უკავშირდება ამ ცხოველების მიერ ჭამას და წყლის სმას.

შეკითხვა: ამგვარად, თქვენ ამბობთ რომ ეს ცხოველები ჭამენ და წყალს სვამენ. რაში სჭირდებათ მათ საჭმელი და წყალი?

მასწავლებელი ისმენს მოსწავლეთა პასუხს, სხვადასხვა ტიპის პასუხებს წერს დაფაზე.

ამგვარად, თქვენ ამბობთ, რომ საჭმელი და წყალი საჭიროა . . . (ჩამოთვლის პასუხებს).

შეკითხვა: როგორ გავიგოთ მართლა რისთვის არის საჭირო საჭმელი და წყალი? (ან თუ პასუხი ცალსახაა: მართლა ამისთვის არის საჭირო საჭმელი და წყალი?).

მასწავლებელი ისმენს მსჯელობას. მასწავლებელი იღებს ყველა მოსაზრებას, მაგრამ კომენტარს არ აკეთებს.

მასწავლებელი: ყველა მოსაზრება ძალიან საინტერესო იყო. მაგრამ მოდი, ამჯერად იმისათვის, რომ გავიგოთ, რისთვის არის საჭირო საჭმელი და წყალი, ვკითხოთ თქვენი ოჯახის წევრებს, ანუ ჩავატაროთ მათი გამოკითხვა.

ამისათვის დავაწყოთ გეგმა.

ჯერ გავარკვიოთ რა გვაინტერესებს (კლასი მსჯელობს და ირკვევა ინტერესის საგანი)

მასწავლებელი: ამგვარად, ჩვენ გვაინტერესებს. . . ამ საკითხის გასარკვევად რა შეკითხვა უნდა დავუსვათ ოჯახის წევრებს? (კლასი მსჯელობს ამ საკითხზე)

მასწავლებელი: ვის უნდა დავუსვათ ეს შეკითხვა? (მოსწავლეები ჩამოთვლიან რესპონდენტებს)

ამ პროცესში მასწავლებელი სვამს დამატებით შეკითხვებს: რატომ შეეკითხები დედას და არა პატარა ძმას(დას)?

შემდეგი შეკითხვა: როგორ დავიმახსოვროთ რას გვეტყვიან ეს ადამიანები?

მსჯელობისას ირკვევა, რომ ჯობს ჩავიწეროთ, ამისათვის დავიხმაროთ მშობლები.

მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, იმეორებს გამოკითხვის თანმიმდევრობას და საშინაო დავალებას.

#### აქტივობა 14. ინტერვიუ (შედეგების ანალიზი)

შემდეგ გაკვეთილზე განიხილება გამოკითხვის შედეგები. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წარმოადგინონ გამოკითხვის შედეგები. მასწავლებელი აფიქსირებს პასუხს დაფაზე. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით აკეთებენ დასკვნას საჭმლის და წყლის საჭიროების შესახებ.

ამის შემდეგ მასწავლებელი ერთხელ კიდევ შეახსენებს მოსწავლეებს გამოკითხვის ჩატარების თანმიმდევრობას: საკითხის განსაზღვრა, კითხვის მოფიქრება, რესპონდენტის შერჩევა, პასუხის დაფიქსირების ფორმა.

მასწავლებელი ამსჯელებს მოსწავლეებს ამ პუნქტების განსაზღვრის და მათი თანმიმდევრობის დაცვის აუცილებლობაზე.

შესაძლო შეკითხვები: რატომ უნდა გვცოდნოდა წინასწარ, რა უნდა გვეკითხა ადამიანებისათვის? რატომ უნდა გვცოდნოდა წინასწარ, ვისთვის უნდა გვეკითხა? რომ არ გვცოდნოდა, რა შეიძლება მომხდარიყო?

#### აქტივობა 15.

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ გაარკვიოს განსხვავება ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების მოძრაობას შორის.

მასწავლებელი დებს მაგიდაზე სხვადასხვა საგანს (მაგ. ბურთი, წიგნი).

მსჯელობა 1. შეკითხვებია: 1. ეს ბურთი რომ ამოძრავდეს და გადაადგილდეს, რა არის საჭირო? 2. თვითონ ვერ გადაადგილდება?

კითხვები დაისმევა თანმიმდევრულად, დისკუსიის მიმდინარეობის დროს, იმ მიზნით, რომ მოსწავლეები მივიღნენ დასკვნებამდე:

1. ბურთზე უნდა მივარტყათ ხელი, ფეხი, რათა ბურთი ამოძრავდეს და გადაადგილდეს

2. მოცემულ შემთხვევაში ეს არის ბურთზე მიყენებული “ბიძგი”

3. ბიძგს ახორციელებს გარეშე ძალა
  4. ბურთი დამოუკიდებლად ვერ ამოძრავდება და გადაადგილდება  
მსჯელობის შეჯამების შემდეგ:
- მსჯელობა 2. შეკითხვები: 1. ეს წიგნი რომ ამოძრავდეს და გადაადგილდეს, რა არის საჭირო? 2. თვითონ ვერ გადაადგილდება?

კითხვები დაისმევა თანმიმდევრულად, დისკუსიის მიმდინარეობის დროს, იმ მიზნით, რომ მოსწავლეები მივიღნენ დასკვნებამდე: წიგნის ამოძრავებას სჭირდება გარეშე ძალა, წიგნი დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება

ამის შემდეგ მასწავლებელი სვამს მაგიდაზე ცოცხალ არსებას (სასურველია წიწილა კუტი, ლეკვი).

ინსტრუქცია: დააკვირდით წიწილას (ლეკვს, კუტს).

მოძრაობს? გადაადგილდება? რაიმემ უბიძგა? მაშ, როგორ ამოძრავდა, როგორ გადაადგილდა? თვითონ, დამოუკიდებლად თუ რაიმე ძალის დახმარებით?

კითხვები დაისმევა თანმიმდევრულად, დისკუსიის მიმდინარეობის დროს, იმ მიზნით რომ მოსწავლეები მიღნენ დასკვნებამდე: წიწლას (კუტის) ამოძრავებას, გადაადგილებას არ სჭირდება გარეშე ძალა, წიწილა დამოუკიდებლად გადაადგილდება.

აქტივობების ჩატარების შემდეგ კეთდება დასკვნა: ცოცხალი არსებები მოძრაობენ, გადაადგილდებიან დამოუკიდებლად, არაცოცხალი სხეულების მოძრაობას, გადაადგილებას სჭირდება გარეშე ძალა.

### III – IV კლასი

აქტივობის მიზანია, მოსწავლე დააკვირდეს ცოცხალი არსების (მცენარის) ზრდას და დაადგინოს ზრდისათვის აუცილებელი პირობები, შეისწავლოს ცდის ჩატარების წესები, ივარჯიშოს მონაცემების რეგისტრაციასა და ანალიზში

აქტივობას აქვს ხანგრძლივი პროექტის სახე. ის გულისხმობს დაკვირვებას მცენარის აღმოცენებასა და ზრდაზე სხვადასხვა პირობებში.

#### ვიკლევთ მცენარის ზრდის პირობებს

აქტივობა იყოფა სამ ნაწილად: 1. საკითხის დასმა, დისკუსია, მოსაზრების გამოთქმა, 2. მოსაზრების შემოწმება ცდით (2ა. ცდის დიზაინი, 2.ბ. დაკვირვება და მონაცემის დაფიქსირება) 3. დაკვირვების მონაცემის ანალიზი და დასკვნის გაკეთება 4. დაკვირვების შედეგის და დასკვნის გამოყენება ცოცხალი არსებების გარემოსთან შეგუების საკითხში გარკვევისათვის

აქტივობის თითოეულ ნაწილს ეთმობა: 1 - ერთი გაკვეთილი, 2 - რამდენიმე გაკვეთილი (5-6), 3 - ერთი და 4 - ერთი.

#### 1. საკითხის დასმა, დისკუსია, მოსაზრების გამოთქმა:

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: თქვენი აზრით, რა სჭირდება ცოცხალ არსებას სიცოცხლისათვის?

დაფაზე იწერება მოსწავლეთა პასუხები. ამათგან მასწავლებელი გამოყოფს ერთ ფაქტორს: წყალი

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: საიდან იცით, რომ წყალი მართლაც საჭიროა სიცოცხლისათვის?

როგორ შეგვიძლია ამის შემოწმება?

საჭიროა, რომ მოსწავლეები თავად მივიღნენ იმ ცდის აღნერამდე, რომლითაც შესაძლებელია სიცოცხლისათვის წყლის მნიშვნელობის შემოწმება. მასწავლებელი ეხმარება მათ, სთავაზობს ცდისათვის ობიექტს (მცენარის აღმონაცენს) და ეკითხება: ეს აღმონაცენი ხომ არ გამოდგებოდა ამ საქმისათვის? რა გავაკეთოთ, რათა გავარკვიოთ, ნამდვილად სჭირდება თუ არა ამ აღმონაცენს სიცოცხლისათვის წყალი?

მოსწავლეები გამოოთქვამენ მოსაზრებას. მასწავლებელი აკეთებს სათანადო კომენტარს. დისკუსია საბოლოოდ უნდა მივიდეს ცდის დიზაინის გარკვეულწილად სწორ მონახაზამდე, ოღონდ ეს მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ, მასწავლებელი კი მხოლოდ ეხმარება მათ.

როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდება სწორი აზრი, მასწავლებელი აზუსტებს მას და ამოწმებს, გაიგო თუ არა ყველა მოსწავლემ ცდის არსი.

## **2. მოსაზრების შემოწმება ცდით**

### **2. ა. დიზაინი**

საცდელი ნიმუშები იყოფა 2 ჯგუფად: I-ლამბაქზე აღმონაცენი ირწყვება დღეში ერთხელ, გაკვეთილზე, მოსწავლეების მიერ. II- ლამბაქზე აღმონაცენი არ ირწყვება.

(აღმონაცენის ცდისათვის გამოყვანას სჭირდება მათი ყოველდღიური მორწყვა. ამიტომ ცდის დაწყებისათვის ორივე ნიმუშში ბამბა სველი იქნება. სასურველია, რომ ცდის დაწყების წინ ნიმუშში II ბამბას დავადოთ საშრობი ქალალდი, და გამოვაშროთ, რათა აღმონაცენზე დროულად გამოვლინდეს გაუწყლოების შედეგი). მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს ცდის დიზაინის არს. განმარტავს, რითავის არის საჭირო ორი ნიმუში (უნდა შედარდეს ორი ვარიანტი: აღმონაცენი უწყლო და წყლიან გარემოში).

აღმონაცენზე დაკვირვება მიმდინარეობს ერთი კვირის განმავლობაში. ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეები სახაზავით ზომავენ აღმონაცენის სიგრძეს (ძირიდან კენცრომდე), მონაცემები შეაქვთ მასწავლებლის მიერ მომზადებულ ცხრილში

### **2 პ. დაკვირვება და მონაცემის დაფიქსირება**

ერთი კვირის განმავლობაში ფიქსირდება აღმონაცენის პარამეტრები. მოსწავლეები ცხრილში იწერენ აღმონაცენის სიგრძეს:

აღმონაცენის სიგრძე (სმ)		დაკვირვების დღეები
რომელიც ირწყვებოდა ნიმუში	ნიმუში რომელიც არ ირწყვებოდა	
		I
		II
		III

სასურველია, დაკვირვება ჩატარდეს ჯგუფურად და თითოეულ ჯგუფს ქონდეს საკუთარი დაკვირვების ობიექტი.

დაკვირვების დამთავრების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს წარმოადგინონ დაკვირვების მონაცემი.

### **3. დაკვირვების მონაცემის ანალიზი და დასკვნა**

მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს, შეადარონ ორი ნიმუშის პარამეტრები და დაადგინონ, არის თუ არა მათ შორის განსხვავება. (განსხვავება ორია: აღმონაცენის სიგრძე და ნიმუშის მორწყვა/არ მორწყვა)

განსხვავების აღმოჩენის შემდეგ კლასი მასწავლებლის დახმარებით აფიქსირებს, რომ აღმონაცენი უფრო მეტად გაიზარდა იმ ნიმუშში, რომელიც ირწყვებოდა.

მასწავლებელი სვამის შეკითხვას: გვიჩვენა თუ არა დაკვირვებამ, რომ წყალი აუცილებელია სიცოცხლისათვის? რა მონაცემი მიუთითებს ამაზე?

**4. დაკვირვების მონაცემის და დასკვნის გამოყენება სტანდარტით გათვალისწინებული კონკრეტული შედეგის მისაღწევად**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს: გამოიყენეთ დაკვირვების შედეგი და აღწერეთ ცოცხალი ორგანიზმების დამოკიდებულება გარემო ფაქტორებზე.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოიყვანონ მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან, ისაუბრონ სხვა (წყლის გარდა) სიცოცხლისათვის აუცილებელ ფაქტორებზე.

სასურველია, რომ ჩატარდეს დისკუსია: როგორ დავამტკიცოთ, რომ ჰაერი, მზის სინათლე (ან სხვა რომელიმე ფაქტორი) მნიშვნელოვანია სიცოცხლისათვის.

მოსწავლეებმა მოიფიქრონ ცდის დიზაინი და ჩატარონ დაკვირვება მასწავლებლის დახმარებით.

ჰაერის მნიშვნელობის დასადგენად, მაგალითად, შესაძლებელია, აიღოთ ორი საცდელი ნიმუში: იგივე აღმონაცენები, ერთი გამჭვირვალე ხუფის ქვეშ, მეორე ხუფის გარეშე. ხუფის ძირს შემოავლეთ პლასტილინის ფენა, რათა ჰაერი არ შევიდეს ხუფში. ორივე ნიმუში მოირწყვება დღეგამოშვებით. რამდენიმე დღეში ხუფის ქვეშ არსებული აღმონაცენი ჩამორჩება ზრდაში და დაჭრება.

სინათლის მნიშვნელობის დასადგენად გამოიყენეთ იგივე ნიმუშები, რომელთაგან ერთს მოათავსებთ გაუმჯობერვალე ყუთში. რამდენიმე დღეში ამ ნიმუშში აღმონაცენი გაუფერულდება და შემდეგ დაჭრება.

დამატებითი მასალა მასწავლებლისათვის.

#### **დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადი; ცდის კონტროლი.**

ცდის ჩატარების დროს აკვირდებით ხოლმე რაღაც ობიექტს, პროცესს და გაინტერესებთ, ახდენს თუ არა მასზე ზეგავლენას რაღაც კონკრეტული ფაქტორი. სხვა სიტყვებით, გაინტერესებთ, არის თუ არა დაკვირვების ობიექტი დამოკიდებული ამ ფაქტორზე და როგორ იცვლება დაკვირვების ობიექტი ამ ფაქტორზე დამოკიდებულებით. ამგვარად, თქვენი დაკვირვების ობიექტი არის დამოკიდებული ცვლადი. მაგალითად: ზემოთ აღნერილ ცდაში დაკვირვების ობიექტია მცენარის აღმონაცენის ზრდა. ცდამ უნდა დაადგინოს, არის თუ არა აღმონაცენის ზრდა დამოკიდებული გარემო ფაქტორზე — გარემოში წყლის არსებობა/არ არსებობაზე. ამგვარად, აღმონაცენის ზრდა დამოკიდებული ცვლადია.

თავის მხრივ გარემოში წყლის არსებობა/არ არსებობა არ არის დამოკიდებული აღმონაცენის ზრდა-განვითარებაზე. ეს პირობა დაკვირვების ობიექტისაგან დამოუკიდებლად ცვალებადობს. ამიტომ, გარემოში წყლის არსება/არ არსებობა დამოუკიდებელი ცვლადია.

როდესაც აკვირდებით დამოკიდებულ ცვლადს რაღაც კონკრეტულ პირობაში (მაგ. გარემოში წყლის არსებობა/არ არსებობაში), ყველა სხვა პირობა (დამოუკიდებელი ცვლადი) მუდმივი უნდა იყოს. მაგალითად, განხილულ შემთხვევაში ჰაერის ტემპერატურა, ნიადაგის მუავიანობა, განათების ინტენსივობა და ხანგრძლივობა და სხვ.

დამოუკიდებელი ცვლადები ძალიან მრავალფეროვანია (გაცილებით მეტი, ვიდრე ისინი, რომლებსაც შეგნებულად აკვირდებით) და კულტურული მათგანის გათვალისწინება ცდაში საკმაოდ ძნელია. ამიტომ ცდის ჩატარების აუცილებელი პირობაა ცდის კონტროლი. მაგალითად, თუ აღმონაცენს გაზრდით წყლის ნაკლებობის პირობებში, ზრდა შეფერხდება. მაგრამ ვერ იტყვით, რომ ეს წყლის სიმცირის გამო მოხდა თუ არ გექნებათ კონტროლი: აღმონაცენი, რომელიც იზრდებოდა წყლით უხვ გარემოში. ასევე, ვერ დაამტკიცებთ, რომ აღმონაცენის გაუფერულება გაუმჭვირვალე ყუთში მზის სინათლის არ არსებობის ბრალია თუ არ გექნებათ კონტროლი — მზის სინათლეზე მზარდი აღმონაცენი. იმავდროულად, ეს უკანასკნელიც ყუთში (ოღონდ გაუმჭვირვალეში) უნდა იყოს მოთავსებული, რათა გამოირიცხოს თავად ყუთის (დამოუკიდებელი ცვლადის) ზეგავლენა აღმონაცენის ზრდაზე.

ცდაში გამოყენებული დამოუკიდებელი ცვლადები ერთნაირი უნდა იყოს საცდელ ნიმუშსა და კონტროლში. მაგ. წყალი, რომელსაც გამოიყენებთ საცდელი და საკონტროლო აღმონაცენის მოსარჩყავად, უნდა იყოს აღებული ერთი ადგილიდან, ქონდეს ერთნაირი ტემპერატურ. ყუთი უნდა იყოს ერთნაირი ზომის, ერთი მასალისგან დამზადებული და სხვ.

კონტროლში დამოკიდებული ცვლადის მაჩვენებლები ისეთივე უნდა იყოს, როგორც საცდელ ნიმუშში. მაგალითად, ზემოთ აღნერილ შემთხვევაში კონტროლად აღებული უნდა იყოს მცენარის იგივე სახეობა (ჯიში). იმავდროულად, სასურველია, რომ თესლი, საიდანაც აღმონაცენი ვითარდება, ეკუთვნოდეს ერთსა და იმავე მცენარეს. ამ შემთხვევაში დაკვირვების ობიექტი (საცდელი და კონტროლი) გენეტიკურადაც მსგავსია.

### აქტივობა:

1. „რამდენი წყალი სჭირდება სხვადასხვა მცენარეს“
1. „რა პირობებში სჭირდება მცენარეს მეტი წყალი?“ ეს აქტივობა ტარდება მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაარკვევენ წყლის მნიშვნელობას მცენარის ზრდისათვის.

კლასში წინასწარ მზადდება სხვადასხვა მცენარის ბამბაზე აღმონაცენი. აღმონაცენის დასამზადებლად გამოიყენეთ ბრინჯის, ხორბლის, ლობიოს თესლი. თესლები გაახვიეთ სველ ბამბაში და გამოკარით მარლაში. თითო ნიმუშში უნდა იყოს მხოლოდ ერთი კონკრეტული მცენარის თესლები. ბოთლი გაავსეთ წყლით. ნიმუში მოათავსეთ ბოთლის თავზე ისე, რომ მარლის გრძელი ბოლო წყალში ჩაეშვას.

როდესაც აღმონაცენი განვითარდება, ფესვი წყალში ჩაეშვება. დააცადეთ 2-3 დღე, რომ ფესვი კარგად განვითარდეს.

ნიმუშებში გაათანაბრეთ აღმონაცენის რაოდენობა და დაიწყეთ დაკვირვება. დაკვირვების დღეს ბოთლები პირამდე შეავსეთ წყლით.

დაკვირვების მიზანია გაირკვეს, რამდენ წყალს დალევს სხვადასხვა მცენარის აღმონაცენი.

დაკვირვება ჩაატარეთ ჯგუფურად. თითოეულ ჯგუფს უნდა ქონდეს საკუთარი ნიმუშები. დაკვირვების დასაწყისში და შემდეგში ყოველ დღე ან დღეგამოშვებით ფლომასტერით აღინიშნება წყლის დონე ბოთლში. ყოველ აღნიშვნას გვერდზე მიაკარით პატარა ბარათი, რომელზეც აღნიშნავთ დაკვირვების კალენდარულ მონაცემს.

სხვადასხვა ნიმუშის შედარებით დგინდება რომელი მცენარის აღმონაცენი იწოვს მეტ წყალს. შესაბამისად, კეთდება დასკვნა: რომელ მცენარეს ესაჭიროება მეტი წყალი.

1. იგივე აქტივობა შესაძლებელია გავართულოთ, რათა მოსწავლეებმა გაარკვიონ, რა პირობებში სჭირდება მცენარეს მეტი წყალი დავანახოთ თუ ზრდის გარდა, კიდევ რა პროცესს ხმარდება წყალი.

#### **აქტივობის მიმღინარეობა:**

##### **1. საკითხის დასმა, დისკუსია, მოსაზრების გამოთქმა:**

მასწავლებელი შეკითხვებით: „როდის სვამი მეტ წყალს, ზაფხულში თუ ზამთარში?”, „რასთან უნდა იყოს ეს დაკავშირებული?“ ხელს უწყობს დისკუსიას რომლის მიზანია მოსწავლეები მივიღნენ დასკვნამდე, რომ როდესაც გარემოში მაღალი ტემპერატურაა, ადამიანი უფრო მეტ წყალს სვამს.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს შეამოწმონ, ასეა თუ არა მცენარის შემთხვევაშიც.

##### **2. ა. ცდის დიზაინი**

ზემოთ აღნერილი ხერხით (მარლის გორგალში) დამზადებული ერთი რომელიმე მცენარის ალმონაცენის რამდენიმე ნიმუში. ერთი ნიმუში იდგმევა კლასში, ოთახის ტემპერატურაზე; მეორე კლასშივე, პირველისგან მოშორებით, ელექტრო-ლუმელის გვერდით. უუნდა შეიქმნას ორი განსხვავებული პირობა: ნიმუში, რომელიც ვითარდება ოთახის ტემპერატურაზე და ნიმუში შედარებით მაღალი ტემპერატურის პირობებში. მარლის გორგალი შეძლებისდაგვარად, დაფარეთ ვერცხლის ქაღალდით ან კალკით, რათა შეამციროთ წყლის აორთქლება მარლის ზედაპირიდან).

დაკვირვება ჩაატარეთ ჯგუფურად. თითოეულ ჯგუფს უნდა ქონდეს საკუთარი ნიმუშები.

##### **2 ბ. დაკვირვება და მონაცემის დაფიქსირება**

დაკვირვების დასაწყისში და შემდეგში ყოველ დღე ან დღეგამოშვებით ფლომასტერით ალინიშნება წყლის დონე ბოთლში. ყოველ ალინშვნას გვერდზე მიაკარით პატარა ბარათი, რომელზეც ალინშნავთ დაკვირვების კალენდარულ მონაცემს.

##### **3. დაკვირვების მონაცემის ანალიზი და დასკვნა**

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დამოუკიდებელ ცვლადთან - ჰაერის სხვადასხვა ტემპერატურასთან და დამოკიდებულ ცვლადთან - მცენარის მიერ შეწოვილი წყლის რაოდენობასთან.

მოსწავლეები ადარებენ წყლის დონეებს ბოთლებში და ადგენენ, რომელ ნიმუშში დაინია დონემ უფრო მეტად. შემდეგ ამ ფაქტს უკავშირებენ დამოუკიდებელ ცვლადს: ჰაერის ტემპერატურას, ადგენენ, რომ წყლის დონემ უფრო მეტად დაინია ჰაერის შედარებით მაღალი ტემპერატურის პირობებში. ამის შემდეგ კეთდება დასკვნა: მცენარემ უფრო მეტი წყალი შეინვა ჰაერის მაღალი ტემპერატურის პირობებში.

**აქტივობა (დამოუკიდებელი სამუშაო)** სცადეთ, მოსწავლეებს მისცეთ ტექსტი და დაკვირდით, როგორ მოახერხებენ ისინი ტექსტიდან ინფორმაციის ამოღებას და დამოუკიდებლად ცდის ჩატარებას. ცხადია, პერიოდულად დაგჭირდებათ მათი დახმარება. ცდისთვის საჭირო საგნები წინასწარ დაურიგეთ და დარწმუნდით, რომ იციან, რა საგანი რას წარმოადგენს.

აქტივობა ჯგუფურია. ის რამდენიმე ცდისაგან შედგება. კონკრეტულ ცდას აკეთებს ჯგუფის ერთი წევრი, მაგრამ ცდების დამთავრების შემდეგ ისინი გაანალიზებენ მონაცემს, გაცვლიან ერთმანეთში ინფორმაციას და ჯგუფი აკეთებს საერთო დასკვნას. შემდეგ ჯგუფები ადარებენ საკუთარ დასკვნებს და კეთდება ერთი საერთო დასკვნა

(მთელი კლასისათვის) თესლის გაღივების და აღმონაცენის ზრდისთვის საჭირო პირობების შესახებ.

**ინსტრუქცია (ეძლევა ჯგუფის წევრს წერილობით). თითოეული ჯგუფის წევრისთვის პერსონალური (№1, №2 და ა.შ.)**

### **ინსტრუქცია №1.**

შენ უკვე იცი, რომ თესლის გაღივებისა და აღმონაცენის განვითარებისათვის საჭიროა წყალი.

ამჯერად, შენ უნდა დაადგინო, მნიშვნელოვანია თუ არა ჰაერის ტემპერატურა თესლის გაღივებისათვის?

ეს საკითხი ცდით გაარკვიე.

ცდისათვის შეგიძლია გამოიყენო: მცენარის თესლი, ბამბა, წყალი და სინჯარები. ბამბის ნაჭერი წყლით გაუღინოთ და ჩადე სინჯარაში. ჩააგდე სინჯარაში მცენარის 5-6 თესლი. დაანერე სინჯარას №1. სინჯარა მოათავსე კლასში, თბილ ადგილას. დაამზადე ასეთივე საცდელი ნიმუში. ამ სინჯარას დაანერე №2 და შეინახე სიცივეში (შენიშვნა: თუ ეს აქტივობა ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე გაკეთდება, გადგან გარეთ). ბამბა პერიოდულად დაასველე ხოლმე. ამგვარად, შენი დაკვირვების ქვეშ მყოფი მცენარის თესლი განსხვავებულ პირობაში იქნება. №1 სინჯარაში თესლს ექნება წყალი, ჰაერი (ჟანგბადი) და სითბო. №2 სინჯარაში თესლს ექნება წყალი, ჰაერი (ჟანგბადი) მაგრამ ჰაერის ტემპერატურა იქნება უფრო დაბალი, ვიდრე №1 სინჯარასთვის.

ცდის პირობები ფალკე ფურცელზე გამოსახე ცხრილის სახით: ჩანერე, რა პირობებშია თესლი №1 და №2 სინჯარებში

ცხრილი 1. თესლის გაღივების პირობები

№1 სინჯარა	№2 სინჯარა

დააკვირდი მცენარის თესლის გაღივებას და აღმონაცენის ზრდას 10 დღის განმავლობაში. დააკვირდი როდის გამოჩნდება აღმონაცენი და გაზომე მისი სიგრძე მეათე დღეს. ცდის შედეგის მიხედვით იმსჯელე, რა პირობებია საჭირო თესლის გაღივებისათვის.

### **ინსტრუქცია №2**

შენ უკვე იცი, რომ თესლის გაღივებისა და აღმონაცენის განვითარებისათვის საჭიროა წყალი.

ამჯერად შენ უნდა დაადგინო მნიშვნელოვანია თუ არა სუნთქვა (ჰაერი) თესლის გაღივებისათვის?

ეს საკითხი ცდით გაარკვიე.

ცდისათვის შეგიძლია გამოიყენო: მცენარის თესლი, ბამბა, წყალი, ზეთი და სინჯარები. ბამბის ნაჭერი წყლით გაუღინოთ და ჩადე სინჯარაში. ჩააგდე სინჯარაში მცენარის 5-6 თესლი. დაანერე სინჯარას №1. სინჯარა მოათავსე კლასში, თბილ ადგილას. ბამბის ნაჭერი ჩადე სინჯარაში. ჩააგდე სინჯარაში მცენარის 5-6 თესლი. სინჯარა ნახევრამდე გაავსე ანადუღარი წყლით. წყლის ზედაპირზე ფრთხილად დაასხი ზეთი, ისე რომ ნარმოიქმნას ზეთის თხელი ფენა. დაანერე სინჯარას №2. სინჯარა მოათავსე 1 სინჯარასთან ერთად. ამგვარად შენი დაკვირვების ქვეშ მყოფი მცენარის თესლი განსხვავებულ პირობაში იქნება. №1 სინჯარაში თესლს ექნება ჰაერი (ჟანგბადი), სითბო, მაგრამ არ ექნება წყალი. №2 სინჯარაში თესლს ექნება წყალი, სითბო, მაგრამ

არ ექნება უანგბადი. ზეთის ფენა ხელს შეუშლის ჰაერის ჩასვლას სინჯარაში მყოფ წყალში.

ცდის პირობები ცალკე ფურცელზე გამოსახე ცხრილის სახით: ჩანერე, რა პირობებშია თესლი №1 და №2 სინჯარებში

ცხრილი 1. თესლის გაღივების პირობები

№1 სინჯარა	№2 სინჯარა

დააკვირდი მცენარის თესლის გაღივებას და აღმონაცენის ზრდას 10 დღის განმავლობაში. დააკვირდი, როდის გამოჩენდება აღმონაცენი და გაზომე მისი სიგრძე მეათე დღეს. ცდის შედეგის მიხედვით იმსჯელე, რა პირობებია საჭირო თესლის გაღივებისათვის.

**აქტივობა: „სუნთქვა”:**

3-ე კლასში მოსწავლეს ვეუბნებით, რომ ადამიანს სჭირდება ჰაერი (უანგბადი) და რომ ჰაერს ის ფილტვების საშუალებით ჩასუნთქვას.

შესთავაზეთ მოსწავლებს, დააკვირდნენ სუნთქვას. გაზომონ ძაფით გულმკერდის გარშემოწერილობა ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის დროს.

ამისათვის იქმნება მოსწავლეთა ჯგუფი, დაკვირვება წარმოებს ამ ჯგუფის მიერ არჩეულ ერთერთ წევრზე, ხოლო დამკვირვებელია ჯგუფის დანარჩენი წევრები. დაკვირვების სუბიექტი ამოისუნთქავს, შეაჩერებს სუნთქვას, ხოლო დამკვირვებელი გულმკერდზე შემოავლებს ძაფს და ზომავს გულმკერდის გარშემოწერილობას. ძაფის შეერთების ადგილი მაკრატლით გადაიჭრება.

იგივე პროცედურა, სხვა ძაფით, მეორდება ღრმა ჩასუნთქვის დროს.

ჯგუფი ადარებს ძაფების სიგრძეს.

მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

- რა შემთხვევაში იყო ძაფი უფრო გრძელი, ჩასუნთქვის თუ ამოსუნთქვის დროს?
- რა გავზომეთ ძაფით?
- რა შემთხვევაში იყო გულმკერდი მეტად გაფართოებული, ჩასუნთქვის თუ ამოსუნთქვის დროს?

მასწავლებელი აჯამებს აქტივობის შედეგს და ამბობს, რომ გულმკერდის გაფართოება აუცილებელია, რათა ადამიანმა შეძლოს ჰაერის ჩასუნთქვა, ხოლო გულმკერდის შევიწროებისას ადამიანი ამოისუნთქავს ჰაერს.

სასურველია, აქტივობას ქონდეს პრაქტიკული გამოსავალი. ამისათვის მოსწავლეებს დაუსვით ასეთი შეკითხვები:

- რატომ არ შეიძლება თამაშის დროს ბავშვები ერთმანეთს რომ ასხდებიან ხოლმე?

• მიწისძვრის დროს ადამიანი შეიძლება სახლის ნანგრევში მოყვეს და მას სახლის მძიმე ნამტვრევები დააწვეს. რატომ არის ეს სიცოცხლისათვის საშიში?

ქვემოთ მოყვანილი აქტივობები ემსახურება მე-3 კლასში დაწყებულ საქმეს: მოსწავლეში დაკვირვების, ცდის, მონაცემების რეგისტრაციის, ანალიზის და დასკვნის გამოტანის უნარის განვითარებას.

**ყველა აქტივობა ერთიანდება სათაურით: ვიკვლევთ მცენარის ზრდის პირობებს**

**აქტივობა 1:** აქტივობის მიზანია, მცენარის აღმონაცენის განვითარების შესწავლა დაკვირვების გზით.

ჯგუფებს ურიგდება გადაჭრილი პლასტმასის ბოთლები და მცენარის თესლები. ყოველ ჯგუფს ერთი სახეობის მცენარის თესლი. თითოეული ჯგუფი თესავს ბამბაში მცენარის თესლს.

მასწავლებელი: ამ თესლიდან განვითარდება მცენარე (აზუსტებს რომელი თესლია და რა მცენარე გაიზრდება). თქვენ უნდა დაკვირდეთ, როგორ გაიზრდება მცენარე, მაგრამ თქვენს ბოთლებში მცენარის განვითარებას რაღაც სჭირდება. გაიხსენეთ, რა სჭირდება ცოცხალ არსებას განვითარებისათვის?

მსჯელობის შედეგად გაირკვევა წყლის საჭიროება. მსჯელობაშივე წარმოიშვება საკითხი კვების შესახებ. მასწავლებელი განმარტავს რომ საკვები თავად თესლშია მოთავსებული.

მოსწავლები რწყავენ ბამბას.

დაკვირვება მიმდინარეობს საგან „ბუნების“ ყოველ გაკვეთილზე.

მოსწავლებს აქვთ დაკვირვების რვეული სადაც აკეთებენ ჩანახატს. ყოველი ჩანახატი უნდა დათარილდეს.

პირველი ჩანახატი კეთდება თესლის დათესვის დღეს. მეორე — როდესაც გამოჩნდება აღმონაცენი.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რა უნდა ვქნათ იმისათვის, რომ გავიგოთ, რა სისწრაფით იზრდება აღმონაცენი?

მსჯელობა უნდა მივიდეს იქამდე, რომ უნდა გაიზომოს აღმონაცენის სიგრძე.

მასწავლებელი მოსწავლეებთან შეთანხმებით ანანილებს ჯგუფში ფუნქციებს: ვინ აკეთებს ჩანახატს, ვინ გაზომავს აღმონაცენის სიგრძეს, ვინ ჩაწერს ცხრილში მონაცემს.

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ადგენენ დაკვირვების ცხრილს. ცხრილში ემატება ორი ხაზი და იქ ფიქსირდება თარილი, როდესაც მცენარე გამოიღებს პირველ და მეორე ფოთოლს (ეს ხაზები თავიდან არ კეთდება, რადგან მოსწავლეებმა წინასწარ არ იციან ფოთლის განვითარების შესახებ: ისინი დაკვირვების პროცესში ნახავენ ამას).

საბოლოო სახით ცხრილი დაახლოებით ასეთი იქნება

მცენარის აღმონაცენის განვითარება	დაკვირვების თარილი	დაკვირვების თარილი	დაკვირვების თარილი	დაკვირვების თარილი
აღმონაცენის სიგრძე				
პირველი ფოთლის გამოლება				
მეორე ფოთლის გამოლება				

დაკვირვების ბოლო დღედ ითვლება ის დღე, როდესაც მცენარე გამოიღებს მეორე ფოთოლს. დაკვირვების დამთავრების შემდეგ თითოეული ჯგუფი წარმოადგენს დაკვირვების შედეგს:

- როდის გამოჩნდა მათი დაკვირვების ქვეშ მყოფი მცენარის აღმონაცენი
- როგორ იზრდებოდა აღმონაცენი (ზომები დაკვირვების დღეებში).
- როდის გამოიღო პირველი ფოთოლი
- როდის გამოიღო მეორე ფოთოლი

აქტივობა 2.

კვლები ადარებენ საკუთარი დაკვირვების მონაცემებს. შედარებამ უნდა გასცეს პასუხი შემთხვევაში:

- რომელი მცენარის აღმონაცენი გაიზარდა უფრო სწრაფად
  - რომელმა აღმონაცენმა გამოილო უფრო ადრე ფოთლები

აქტივობის ბოლო ეტაპი: მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მოსწავლეები აკოტებენ დასკვნას.

აქტივობა 3. აქტივობის მიზანია, მოსწავლეების უშუალო დაკვირვების და ცდის საშუალებით გამოავლინოს ცოცხალი არსებების თმოვანი საფარველის მნიშვნელობა სხეულის ტემპერატურის შენარჩუნებისათვის. იმავდროულად აქტივობა იძლევა ორი მიმართულების: “ცოცხალი სამყარო” და “სხეულები და მოვლენები” ინტეგრაციის საშუალებას (იხ. კავშირი სხვა საგანთან).

## აქტივობის მიმღინარეობა:

- აქტივობა იყოფა სამ ნაწილად: 1. საკითხების დასმა, დისკუსია, მოსაზრების გამოთქმა, 2. მოსაზრების შემოწმება ცდით (2a. ცდის დიზაინი, 2.პ. დაკვირვება და მონაცემის დაფიქსირება) 3. დაკვირვების შედეგის ანალიზი და დასკნის გაკეთება 4. დაკვირვების შედეგის და დასკნის გამოყენება ცოცხალი არსებების გარემოსთან შეგუების საკითხში გარკვევისათვის

აქტივობის თითოეულ ნაწილს ეთმობა ერთი გაკვეთილი.

### 1. საკითხის დასმა, დისკუსია, მოსაზრების გამოთქმა:

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს თბილი წყლით სავსე ბოთლს და სვამს შეკითხვას: რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბოთლში არსებული წყალი რაც შეიძლება დიდ ხანს თბილი დარჩეს - არ დაკარგოს ტემპერატურა? იმავდროულად, მასწავლებელმა უნდა განუმარტოს მოსწავლეებს, რომ იმთავითვე გამორიცხონ წყლის შეთბობის ვერსია ან ბოთლში ცხელი წყლის ჩამატება. პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს (თუ შესაძლებელია, გამოყოფს რამდენიმე განსხვავებულ მოსაზრებას: გია, ქეთი და ნინო ფიქრობენ რომ. . . თამრიკო და ლევანი კი ფიქრობენ რომ. . . ). მასწავლებელი მსგავსი მოსაზრების მქონე მოსწავლეებს აერთინებს ჯგუფებად და სთხოვს, საკუთარი მოსაზრება ქალალდზე გადაიტანონ წერილობითი სახით. ჯგუფები წამოადგენენ (კითხულობენ ან ზეპირად გადმოსცემენ) საკუთარ მოსაზრებას კლასის წინაშე.

ამის შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ საინტერესო იქნება, შემოწმდეს მათი მოსაზრებები. აქცენტი გაკეთდება იმ მოსაზრებაზე, რომელიც ბოთლის შეფუთვას უკავშირდება.

### 2. მოსაზრების შემონმება ცდით

2 а. დიზაინი მასწავლებელი ალაგებს მაგიდაზე ორ ერთნაირ პლასტმასის ბოთლს, რომლებშიც ჩასხმულია ერთნაირ ტემპერატურაზე გამთბარი ერთნაირი რაოდენობის წყალი. იქვე დევს შალის ნაჭერი და თერმომეტრი.

მასწავლებელი განმარტავს, რომ ბოთლებში ასხია თბილი წყალი. ერთერთ ბოთლს შემოვახვევთ შალის ნაჭერს. ბოთლებს გავდგავთ გარეთ (დაკვირვება ჯობს ჩატარდეს ზამთრის პერიოდში, როდესაც გარემოს ტემპერატურა კლებულობს. ბოთლები ჯობს იყოს პატარა ზომის, 0.5 ლიტრიანი, წყალი გაათბეთ 30-35 — °C-მდე.) და პერიოდულად შემოვიტან რათა გავზომოთ წყლის ტემპერატურა ორივე ბოთლში. უნდა დავაკვირდეთ, როგორი იქნება ტემპერატურა ბოთლებში.

### 2 ბ. დაკვირვება და მონაცემის დაფიქსირება

მოსწავლეები ატარებენ დაკვირვებას ცდის დიზაინის თანახმად. მათ უნდა ქონდეთ ცალკე ფურცელი, სადაც წინასწარ გამზადებულ (მასწავლებლის მიერ) ცხრილში დაფიქსირებენ დაკვირვების შედეგს.

საცდელი ბოთლები	წყლის ტემპერატურა 10 საათზე	წყლის ტემპერატურა 10 საათსა და 05 წუთზე	წყლის ტემპერატურა 10 საათსა და 10 წუთზე
შეუფუთავი ბოთლი			
შეფუთული ბოთლი			

დაკვირვების მონაცემი, ამ შემთხვევაში, არის ბოთლებში არსებული წყლის ტემპერატურის მაჩვენებლები. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ცხრილის მიხედვით განმარტონ, რა მონაცემი მიიღეს.

### 3. დაკვირვების მონაცემის ანალიზი და დასკვნა

თუ ცდა სწორად წარიმართა, მოსწავლეები შეადარებენ დაფიქსირებულ ტემპერატურებს და გაარკვევენ, რომ წყლის ტემპერატურა დაკვირვების ბოლოსათვის

ნაკლებია შეუფუთავ ბოთლში (მონაცემის ანალიზი). მასწავლებელი სვამის შეკითხვას: რა განსხვავება ორ საცდელ ბოთლს შორის? პასუხის მიღების შემდეგ ისმევა საბოლოო შეკითხვა: რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ შეუფუთავ ბოთლში წყლის ტემპერატურა უფრო ჩქარა დაეცა? რამ შეუწყო ხელი მეორე ბოთლში წყლის ტემპერატურის უფრო ხანგრძლივად შენარჩუნებას? მოსწავლეები აკეთებენ საბოლოო დასკრინი.

#### **4. დაკვირვების მონაცემის და დასკვნის გამოყენება ცოცხალი არსებების გარემოსთან შეგუების საკითხში გარკვევისათვის**

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს გამოიყენონ ცდის მონაცემზე დაყრდნობით მიღებული დასკვნა ბუნებრივი მოვლენების ასახსნელად.

ამისათვის მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ილუსტრაციებს (იხ. ინტერნეტ-რესურსი). ილუსტრაციებზე ნაჩვენებია ცივ გარემოში მცხოვრები არსებები (პოლარული მელა და დათვი), რომლებსაც აქვთ ხშირი თმოვანი საფარველი. მასწავლებელი განმარტავს, რომ ეს ცხოველები ბინადრობენ პოლუსზე, სადაც ძალიან ცივა და სვამის შეკითხვას: როგორ ახერხებენ ეს ცხოველები ასეთ ცივ გარემოში სხეულის ტემპერატურის შენარჩუნებას?

მოსწავლეები ადვილად მიდიან სათანადო დასკვნამდე. ამის შემდეგ სასურველია, დაისვას შეკითხვა: საიდან იცით, რომ ბენზი ხელს უწყობს სხეულის ტემპერატურის შენარჩუნებას? როგორ ახერხებს ადამიანი სხეულის ტემპერატურის შენარჩუნებას ცივ გარემოში?

#### **აქტივობა:**

შეფერილობის შეგუებულობითი მნიშვნელობის დემონსტრაცია:

მწვანე ფონზე (ფურცელი, ნაჭერი) დევს მუყაოსგან (ქალალდისგან) გამოჭრილი ქართული ასოები (მაგ. ა,ბ,გ,დ,ე). ყოველი მათგანიც ხუთია (სხვადასხვა ფერის): მწვანე (ზუსტად ფონის ფერი), წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი და ლურჯი. ერთიდაიგივე და აგრეთვე ერთი ფერის ასოები ერთად არ უნდა იდოს, აურიეთ. ბავშვებს ეძლევათ ინსტრუქცია: სწრაფად ამოარჩიეთ და გვერდზე გადააწყეთ ამ ასოებიდან ყველა „ა“ და „ბ“. დრო ეძლევათ 5 წმ. ბავშვები ითვლიან გადარჩეულ და დარჩენილ ასოებს, მასწავლებელი აწვდის ცხრილს, რომელშიც ჩანს რენა, თუ რა ფერის „ა“ და „თ“ გადაირჩა უფრო მეტად.

მწვანე	წითელი	ყვითელი	ლურჯი	ნარინჯისფერი

აკეთებენ დასკვნებს, რომ გადაირჩა რაღაც ფერი მეტი და რაღაც ნაკლები (ან საერთოდ არ გადაირჩა). გამოთქვამენ ვარაუდს, რატომ მოხდა ასე.

დასკვნების გამოტანის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება: წარმოიდგინეთ, ხის მწვანე ფოთლებზე ცხოვრობენ მწვანე, ყვითელი და წითელი მუხლუხოები. ბელურები ნადირობენ მათზე. როგორ ფიქრობთ, რომელი მუხლუხოები გადაურჩებიან ბელურებს უფრო ადვილად და რომლებს შეჭამენ ბელურები უფრო მეტად? რატომ?

შემდეგი ნაბიჯი: შეაჯამეთ გაკვეთილი, დააფიქსირეთ, რომ საუბარი იყო ცხოველების შეფერილობაზე, რომელიც შველით მათ თავი შეაფარონ საცხოვრებელ გარემოს და დაუსხლტნენ მტაცებელს.

ამის შემდეგ მიაწოდეთ ცალ-ცალკე ბარათებზე დაწერილი: „მფარველობითი შეფერილობა”, „მტაცებლური შეფერილობა”, „საქორნინო შეფერილობა” და სთხოვეთ, შეარჩიონ ის სათაური, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს მუხლუხოს სიტუაციას.

არჩევანის გაკეთების შემდეგ თავად დააფიქსირეთ ტერმინი და მიეცით მისი სრული განმარტება.

### **აქტივობა 2.**

თევზის შეფერილობა: მუცლის მხარე ღია, ზურგის მუქი

აქტივობა: ე.წ. Brain Storming (გონების დაძაბვა)

მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს თევზის ოთხ სქემატურ მოდელს. მოდელად გაოიყენეთ მილის ფორმით დახვეული 4 ქაღალდი, რომლებიც შელებილია ასე: 1. ზემოდან (პირობითად, ზურგის მხარე) მუქი, ქვემოდან (პირობითად მუცლის მხარე) თეთრი 2. ორივე მხარე მუქი 3. ორივე მხარე თეთრი 4. ზურგის მხარე თეთრი, მუცლის – მუქი.

შესაძლებელია, მოდელის ნაცვლად წარუდგინოთ ოთხი სქემატური ნახატი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ, თუ 4 ვარიანტიდან რომელი ჯობს იმისათვის, რომ თევზი ნაკლებად შესამჩნევი იყოს მტრისათვის. ბავშვები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას.

თუ კლასს უჭირს სწორი ვერსიის მიგნება, მასწავლებელი ეხმარება: უხსნის, რომ როდესაც თევზი ცურავს, მის ქვემოთ არის ფსკერი, ხოლო ზემოდან კი მზით განათებული წყალი.

სავარაუდო დასკვნა, რომელიც უნდა გაკეთდეს: მტაცებელი, რომელიც წყლის ზედაპირიდან ათვალიერებს წყალს (მაგ. ყანჩა, დათვი) ძნელად გაარჩევს თევზის მუქ ზურგს ფსკერის მუქი ფონისაგან, ხოლო წყლის სილრმიდან ზედა ფენებში მცურავი თევზის ღია ფერის მუცელი ნაკლებად განირჩევა წყლის ნათელი ზედა ფენისაგან.

## **V – VI კლასი**

ქვემოთ მოყვანილი აქტივობები ემსახურება მე-3, მე-4 კლასში დაწყებულ საქმეს: მოსწავლეში დაკვირვების, ცდის, მონაცემების რეგისტრაციის, ანალიზის და დასკვნის გამოტანის უნარის და აგრეთვე, თანამშრომლობის ჩვევის განვითარებას. ამავდროულად, მოსწავლე ეწვევა დაკვირვებისათვის გარკვეული ხელსაწყოების გამოყენებას.

აქტივობები ერთიანდება სათაურით: **შევისწავლოთ მცენარის ორგანოები**

### **აქტივობა 1:**

მასწავლებელს გაყავს კლასი ეზოში, ყოფს ჯგუფებად. ჯგუფები შეარჩევენ ყვავილოვან მცენარეს (სხვადასხვას) და ლუპის დახმარებით შეისწავლიან მისი ყვავილის აგებულებას. შედეგებს აფორმებენ ცხრილის სახით.

ცხრილი წინასწარ მოამზადეთ კლასში მოსწავლეებთან ერთად.

ცხრილი: ყვავილის აგებულება

გვირგვინის ფურც-ლების რაოდენობა	გვირგვინის ფურცლების ფერი	ბუტკოს რაოდენობა	მტვრიანების რაოდენობა

ჯგუფებმა შეადარონ ნამუშევარი და იმსჯელონ ყვავილოვანი მცენარეების ყვავილევს შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე. შედეგი გამოსახონ ვენის დიაგრამის სახით.

**აქტივობა 2. პირველის მსგავსია.** ოლონდ ჯგუფებმა არ იციან, სხვა ჯგუფი რომელ ყვავილს აღწერს. მასწავლებელმა მიაქციოს ყურადღება, რომ ჯგუფებმა არ აიღონ ერთი და იგივე მცენარის ყვავილი.

შემდეგ ჯგუფები ცვლიან ცხრილებს. ჯგუფი მიღებული აღწერილობის მიხედვით ეძებს ბუნებაში ხემცენარეს.

### **აქტივობა 3.**

ჯგუფები აგროვებენ ხემცენარის ფოთლებს, აკვირდებიან ლუპით და აკეთებენ ჩანახატს. ჯგუფებმა არ იციან, რომელ ფოთოლს ხატავს სხვა ჯგუფი. მასწავლებელმა მიაქციოს ყურადღება, რომ ჯგუფებმა არ აიღონ ერთი და იგივე მცენარის ფოთლები.

შემდეგ ჯგუფები ცვლიან ნახატებს. ჯგუფი მიღებული ნახატის მიხედვით ეძებს ბუნებაში ხემცენარეს.

ქვემოთ აღწერილი აქტივობების (1-3) მიზანია შეასწავლოს მოსწავლეს ჩონჩხის აგებულება, განუვითაროს მას განზოგადების, კლასიფიცირების უნარი

### **აქტივობა 1. ჩონჩხი - სხეულის საყრდენია (ცდა, მსჯელობა)**

მასწავლებელი თავის მაგიდაზე დებს საგნებს: სახაზავს, ხის ძელს. ურიგებს მოსწავლეებს ნაჭრის ტომრებს.

ისტრუქცია: სცადეთ. ამ ტომრების „ფეხზე დაყენება”.

რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ მიუთითებს მაგიდაზე მდებარე საგნეზე: ეს საგნები ხომ არ გამოგადგებათ დავალების შესასრულებლად?

(ჩვეულებრივ, მოსწავლეები სწრაფად წყვეტენ პრობლემას: სახაზავს (ძელს) შეუდგამენ ტომარას შიგნიდან და ახერხებენ ტომრის „ფეხზე დაყენებას”).

მასწავლებელი: რა შემთხვევაში მოხერხდა ტომრის დაყენება? რატომ?

აქტივობა გრძელდება;

მასწავლებელი:

როდესაც მოქანდაკე ადამიანის სხეულს ძერწავს, ის ჯერ აკეთებს ქანდაკებისათვის საყრდენს (უჩვენებს, კარკასის დონეზე შესრულებული ქანდაკების სურათს).

კითხვა: როგორ ფიქრობთ, რისთვის არის საყრდენი საჭირო?

დისკუსიის შემდეგ კითხვა: საიდან იცით რომ საყრდენი საჭიროა? რა ცდამ და როგორ დაადასტურა ეს მოსაზრება? (განიხილება ცდა ტომრით და საყრდენით-სახაზავით, ძელით).

მასწავლებელი უჩვენებს ილუსტრაციას. შეკითხვა: დააკვირდით, სინამდვილეში რა ასრულების ადამიანის სხეულის საყრდენის დანიშნულებას?

როგორ ფიქრობთ, რის გაკეთებას ვერ შეძლებდით, ჩონჩხი რომ არ გქონდეთ.

### **აქტივობა 2. ხერხემალი**


მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად და ურიგებს ყველა ჯგუფს ადამიანის ჩონჩხის ილუსტრაციას. ილუსტრაციებზე წარწერები და ისრები მიუთითებს ქალაზე, ნეკნებზე, კიდურებზე და ხერხემალზე.

ჯგუფებს ურიგდება, აგრეთვე, სხვა ილუსტრაციებიც: ერთ ჯგუფს ბაყაყის ჩონჩხის, მეორეს — თევზის, მესამეს — ბაყაყის და თევზის. ამ ილუსტრაციებზეც აღნიშნულია: ქალა, ხერხემალი, კიდურები (ბაყაყის), ნეკნები და ფარფლები (თევზის).

ინსტრუქცია: დააკვირდით ილუსტრაციებს, გამოიყენეთ ვენის დიაგრამა და დაადგინეთ საერთო და განმასხვავებელი ამ არსებების ჩონჩხის აგებულებაში.

ჯგუფები წარმოადგენენ დავალებას. დიაგრამები გამოიფინება დაფაზე. ჯგუფები აღნერენ მათ. ირკვევა განხილული ორგანიზმების ჩონჩხის აგებულების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

ქვემოთ მოყვანილი სურათები გაგიადვილებთ ამ აქტივობის შესრულებას.



### აქტივობა 3. ხერხემნიანები, უხერხემლოები

მასწავლებელი: წერს დაფაზე სამ სიტყვას: „ნეკნიანები”, „კიდურებიანები”, „ხერხემლიანები”.

ინსტრუქცია: ბაყაყი, თევზი და ადამიანი ერთ ჯგუფშია გაერთიანებული ჩონჩხის აგებულებაში მსგავსების მიხედვით. ამ ჯგუფს თავისი სახელწოდება აქვს. მოიფიქრეთ, ამ სიტყვებიდან რომელი მიესადაგება ყველაზე ზუსტად ჯგუფის სახელწოდებას?

მსჯელობაში ირკვევა ტერმინი „ხერხემლიანები”.

დავალების შესრულების შემდეგ დამაზუსტებელი შეკითხვები: რატომ არ აირჩიეთ სახელწოდება „ნეკნიანები”? „კიდურიანები”?

მასწავლებელი ყოფს კლასს ჯგუფებად, უჩვენებს ქვეწარმავლის (ხვლიკი, კუ, გველი), ფრინველის (ქათამი) სხეულის ილუსტრაციას, სადაც ჩანს ჩონჩხი და ლოკოკინას, ბუზის (ან სხვა უხერხემლო ცხოველის) სხეულის სურათებს.

ინსტრუქცია: ამოარჩიეთ ის ილუსტრაციები, სადაც ნაჩვენებია ხერხემლიანი ცხოველები.

მასწავლებელი ამოწმებს დავალებას. აძლევს დამაზუსტებელ შეკითხვებს: ეს (მაგალითად, ქათმის სხეულის ილუსტრაცია) რატომ არის ხერხემლიანი? ეს (მაგალითად, ლოკოკინას სხეულის ილუსტრაცია) რატომ არ მიათვალე ხერხემლიანებს?

მასწავლებელი აჯამებს აქტივობას: მაშასადამე, ხერხემლიან ცხოველებს მიეკუთვნება: (მოსწავლეები ჩამოთვლიან). ბუზს, ლოკოკინას, ჭიაყელას, პეპელას (ჩამოთვლის სხვა ცხოველებსაც და წერს მათ სახელებს დაფაზე) ხერხემალი არ აქვს. (ამ დროს მასწავლებელი არ იყენებს ტერმინს “უხერხემლოები”).

ამ აქტივობის დამთავრების შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას: თქვენ შეარჩიეთ სიტყვა „ხერხემლიანები”, რათა ერთ ჯგუფში მოგეთავსებინათ ცხოველები. მოიფიქრეთ, რა უნდა ერქვას იმ ჯგუფს, სადაც გაერთიანებულია ბუზი, ლოკოკინა, პეპელა, ჭიაყელა?

მსჯელობაში ირკვევა ტერმინი „უხერხემლოები”.

#### გთავაზობთ კიდევ რამდენიმე აქტივობას:

რა უხერხემლო ცხოველები (პეპლები, ხოჭოები, ლოკოკინები და სხვ.) არის ჩვენს ბალში (სკოლის ეზოში, ველზე, ტყეში) აქტივობა: საველე კვლევა, მონაცემების აღრიცხვა, ანალიზი — დაჯგუფება, წარმოდგენა.

ეს აქტივობა სასარგებლოა კლასიფიკაციის პრინციპების შესასწავლად და აგრეთვე, დამოუკიდებელი საველე სამუშაოს ჩატარების უნარის გამომუშავებისათვის.

მასწავლებელი გეგმავს გასვლით გაკვეთილს.

ბავშვები აკვირდებიან გარემოს, აგროვებენ იქ არსებულ ხოჭოებს, აკეთებენ ჩანახატებს, ადარებენ მათ აგებულების, შეფერილობის, ზომის მიხედვით, ახდენენ კლასიფიკაციას ამ ნიშნების მიხედვით, წარმოადგენენ პრეზენტაციის სახით.

აღნიშნული აქტივობის შემდეგ მოსწავლეებს შეიძლება წარუდგინოთ დანართში არსებული კლასიფიკაციის სქემები და სთხოვოთ, გაარკვიონ, თუ რა ნიშნების საფუძველზე არიან ცხოველები გაერთიანებული რომელიმე კონკრეტულ ტაქსონომიურ ჯგუფში.

#### კლასიფიკაცია, ნათესაური კავშირების დადგენა:

##### ვინ ვის გავს მეტად

აქტივობა: დაკვირვება, შედარება, დაჯგუფება, მონაცემის წარმოდგენა ცხრილის, დიაგრამის სახით

მოსწავლეებს დავურიგებთ ბარათებს ცხოველების გამოსახულებებით (სპილო, ჯიხვი, ცხენი, ირემი, ციყვი, დათვი, ვეფხვი, ლომი, მგელი, ძალლი, მელა, ბუზი, ტარაკანი, ფუტკარი, ხვლიკი, ბაყაყი, გველი, კუ, ბეღურა, არწივი, მტრედი, ქათამი, მიმინო, ლამურა, ზვიგენი, კალმახი, ლოქო, ვეშაპი, დელფინი), ვთხოვთ, დააჯგუფონ მსგავსების მიხედვით. მუშაობს ბავშვების რამდენიმე ჯგუფი. ვთხოვთ, თავისთვის ჩაწერონ რა ნიშნით დააჯგუფეს. ამის შემდეგ ვთხოვთ, გამოყონ უფრო დიდი (ან პატარა, გააჩნია, წინა დაჯგუფება როგორი იყო) ჯგუფი და ისევ გააკეთონ ჩანაწერი. შემდეგ გამოყონ კიდევ უფრო დიდი ან პატარა. თითოეული ჯგუფი მონაცემებს გააფორმებს ცხრილის(დიაგრამის) სახით და აკეთებს პრეზენტაციას.

ქვემოთ მოყვანილი აქტივობების 1.2. მიზანია მოსწავლეები დაკვირვების გზით შეისწავლოს თევზის სუნთქვის თავისებურება, გამოიმუშავოს დაკვირვების, ცდის ჩატარების უნარი.

#### საერთო სათაურო: დავაკვირდეთ თევზის სუნთქვას

აქტივობა 1. ტარდება მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიგებენ, რომ ჰაერთან ერთად ჩავისუნთქავთ უანგბადს, რომელიც გადადის ჩვენს სხეულში, ხოლო სხეულიდან ნახშირორჟანგი გადადის ფილტვში და გარეთ გამოიყოფა.

ჩაისუნთქე და შემდეგ ამოისუნთქე რეზინის ბუშტი. რეზინის ბუშტი პირით გაბერე და განასკვე.

უპასუხე: რა ნივთიერებით არის სავსე რეზინის ბუშტი? (დისკუსიით მიიყვანეთ პასუხამდე — ამოსუნთქული ჰაერით, რომელშიც არის ნახშირორჟანგი)

აიღე გამჭვირვალე ჭურჭელი და სანახევროდ გაავსე წყლით. ბუშტის კედელი ფრთხილად გახვრიტე ორ ადგილას წვრილი ნემსით. ჩადე ბუშტი წყალში და დააკვირდი რა მოხდება.

### უპასუხებ:

- რა შენიშვნე?
- რა შეიძლება იყოს ეს?

დისკუსია მიდის იმის დადგენამდე, რომ ეს ნახშირორჟანგია.

**აქტივობა 2.** მოსწავლები აკვირდებან თევზებს აკვარიუმში. მასწავლებელი უჩვენებს თევზის ნახატს, სადაც კარგად არის გამოხატული ლაყუჩი და სთხოვს მოსწავლეებს, იპოვონ ეს ორგანო აკვარიუმში მყოფ თევზებში. მასწავლებელი ცდილობს, გაამახვილოს მოსწავლეთა ყურადღება ბუშტუკებზე, რომლებიც დრო და დრო ჩნდება თევზის სხეულის გარშემო. დაკვირვება გრძელდება იმისათვის, რომ გაირკვეს, საიდან მოდის ეს ბუშტუკები. დაკვირვების მიზანია მოსწავლემ დაინახოს, რომ ბუშტუკები თევზის სხეულიდან, კერძოდ, ლაყუჩიებიდან გამოდის.

მასწავლებელი სვამს კითხვას:

- რა შეიძლება იყოს ეს ბუშტუკები? (მოსწავლეები ჩვეულებრივ ადვილად ხვდებიან, რომ ეს ნახშირორჟანგია)
- რატომ ფიქრობთ ასე? (აქ საჭიროა, რომ მოსწავლემ მოსაზრება დააკავშიროს წინა აქტივობის გამოცდილებასთან)
- შეიძლება ვიფიქროთ, რომ თევზიც სუნთქავს?
- რატომ შეგვიძლია ვიფიქროთ ასე?
- რა ორგანოთი სუნთქავს თევზი?

**რეკომენდაცია:** მართალია, უხერხემლო ცხოველების თემა ამ ეტაპზე არ განიხილება (სტანდარტის მიხედვით), მაგრამ ინდიკატორი ხერხემლიანების სხვა ცხოველებისგან განსხვავების შესახებ თავისითავად წარმოშობს უხერხემლოებზე საუბრის აუცილებლობას. ამიტომ გთავაზობთ რამდენიმე აქტივობას, რომელიც, ჩვენი აზრით, მეტად სასარგებლო იქნება ბავშვების გონების განვითარებისთვის და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

რა უხერხემლო ცხოველები (პეპლები, ხოჭოები, ლოკოკინები და სხვ.) არის ჩვენს ბალში (სკოლის ეზოში, ველზე, ტყეში) აქტივობა: საველე კვლევა, მონაცემების აღრიცხვა, ანალიზი — დაჯგუფება, წარმოდგენა.

ეს აქტივობა სასარგებლოა კლასიფიკაციის პრინციპების შესასწავლად და აგრეთვე, დამოუკიდებელი საველე სამუშაოს ჩატარების უნარის გამომუშავებისათვის.

მასწავლებელი გეგმავს გასვლით გაკვეთილს.

ბავშვები აკვირდებიან გარემოს, აგროვებენ იქ არსებულ ხოჭოებს, აკეთებენ ჩანახატებს, ადარებენ მათ აგებულების, შეფერილობის, ზომის მიხედვით, ახდენენ კლასიფიკაციას ამ ნიშნების მიხედვით, წარმოადგენენ პრეზენტაციის სახით.

აღნიშნული აქტივობის შემდეგ მოსწავლეებს შეიძლება წარუდგინოთ კლასიფიკაციის სქემები და სთხოვოთ, გაარკვიონ, თუ რა ნიშნების საფუძველზე არიან ცხოველები გაერთიანებული რომელიმე კონკრეტულ ტაქსონომიურ ჯგუფში.

ქვემოთ მოყვანილი აქტივობების მიზანია, მოსწავლემ შეისწავლოს კვებითი ურთიერთობები, გამოიმუშავოს ტექსტის ანალიზის, კავშირების დადგენის, სისტემაში ცვლილებების ანალიზის უნარი.

**აქტივობა 1. კვებითი ჯაჭვი.** გაპვეთილის დასაწყისში მასწავლებელი ყოფს კლასს ჯგუფებად და სთხოვს: გამახსენეთ, როგორ იწყება ცნობილი ხალხური ლექსი: მოდი, ვნახოთ ვენახი. (წესით, ამ ასაკში მოსწავლეებს ახსოვთ ეს ლექსი, თუ არა, მასწავლებელი თვითონ ეუბნება ან აკითხებს მის დასაწყისს: მოდი, ვნახოთ ვენახი, . . .

. მგელმა ჭამა თხას ჩათვლით)

მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს: დახატეთ ფურცელზე ამ ლექსის შინაარსი.

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევარს და განმარტავენ ნახატის შინაარსს. მასწავლებელი აჯამებს აქტივობას და ამბობს, რომ ამ ლექსში და ნახატშიც გამოჩნდა, თუ ვინ რითი იკვებება.

მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს: მოიფიქრეთ მსგავსი ლექსი, სადაც გამოჩნდება ვინ რითი იკვებება. ოღონდ ლექსის პერსონაჟები იყვნენ სხვა ცოცხალი არსებები. პერსონაჟები აირჩიეთ თქვენი სურვილის მიხედვით.

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევარს. ასწორებენ შეცდომას (თუ ასეთი არსებობს).

მასწავლებელი ყოველი ლექსის შემდეგ სვამს შეკითხვას:

ამ ლექსის მიხედვით ვინ რითი იკვებება?

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი ურიგებს ჯგუფებს 3-3 ბარათს ცოცხალი არსებების სურათებით, თითო ბარათზე თითო სურათი. მაგალითად: პირველი ჯგუფი- ბალახოვნი მცენარე, კურდლელი, მელა

მეორე ჯგუფი - ბალახოვანი მცენარე, ცხვარი, მგელი

მესამე ჯგუფი - ბალახოვანი მცენარე, წინილა, მტაცებელი ფრინველი

ინსტრუქცია: დაალაგეთ და დააწებეთ ფურცელზე ეს ბარათები თანმიმდევრობით ისე, რომ გამოჩნდეს, ვინ რითი იკვებება.

ნამუშევრები გაიკვრება დაფაზე.

მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „ჯგუფებმა წარმოადგინეს ნამუშევრები. აქ ჩანს ვინ რითი იკვებება. მე ბარათებს დავაკავშირებ ისრებით (აკავშირებს), რათა უკეთ გამოჩნდეს, ვინ რითი იკვებება. მოდი, დავასათაუროთ თქვენი ნახატი. მე მოგცემთ ბარათებს, რომლებზეც დაწერილია სხვადასხვა სათაური. ამოარჩიეთ ის, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს თქვენი ნამუშევრის შინაარსს, მოიტანეთ და დააკარით დაფაზე თქვენი ნახატის ქვეშ.

მასწავლებელი ურიგებს ჯგუფებს ერთიდაგივე 3 ბარათს, რომლებზეც წერია (თითო ბარათზე თითო წარწერა): „კვებითი ჯაჭვი“, „კვებითი წრე“, „კვებითი კვადრატი“.

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს განმარტონ, საკუთარი არჩევანი. ბოლოს მასწავლებელი სვამს შეკითხვას: თუ თქვენი ნამუშევარი ჯაჭვს ასახავს, რა არის ამ ჯაჭვის ცალკეული რგოლები?

**აქტივობა 2. ბალახისმჭამელები და ხორციმჭამელები**

მუშაობს კვლავ მოსწავლეთა ჯგუფები.

განვლილი მასალის განმტკიცებისათვის მასწავლებელი დაფაზე წარმოადგენს სამ-კომპონენტიან კვებით ჯაჭვს (დახატავს, ან დააკრავს ბარათების სახით). მაგ: ბალახოვანი მცენარე-კურდლელი-მგელი.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რა ქვია ამ გამოსახულებას? რატომ არის ეს ჯაჭვი და არა მაგალითად, წრე?

მასწავლებელი აგრძელებს აქტივობას: ახლა დაგირიგებთ ბარათებს. ზედ წერია რაღაც სიტყვები. ურიგებს 2-2 ბარათს რომლებსაც აწერია: ერთს “ბალახისმჭამელი”, მეორეს —“ხორციმჭამელი”.

ინსტრუქცია: მოიფიქრეთ, დაფაზე ნაჩვენებ კვებით ჯაჭვში რომელ რგოლს რომელი სიტყვა მიესადაგება? მოიფიქრეთ და შემდეგ დააკარით ბარათები დაფაზე თავ-თავის ადგილას.

შესაძლო შეცდომები არ სწორდება (!!).

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს: განმარტეთ, რატომ დააკარით ბარათი “ხორცისმჭამელი” მგელთან? განმარტების მოსმენის შემდეგ შეკითხვა: რატომ დააკარით ბარათი “ბალახისმჭამელი” კურდლელთან?

პასუხების მოსმენის დროს გასწორდეს ის შესაძლო შეცდომა, რომელსაც სავარაუდოდ, დაუშვებს რომელიმე ჯგუფი. შეცდომა გაასწორონ თავად მოსწავლეებმა, განუმარტონ თანაკლასელებს შეცდომის არსი.

აქტივობის დამთავრების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს: ზოგმა (ვთქვათ, ორმა ა და ბ ჯგუფმა) ჩამოწერონ ბალახისმჭამელების სია, სხვა ორმა ჯგუფმა კი (გ და დ) ხორცისმჭამელების სია.

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევარს. სწორდება შესაძლო შეცდომა.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს, დასხდნენ ერთად (ა და გ, ბ და დ) და შექმნილი სიის გამოყენებით შეადგინონ კვებითი ჯაჭვები: წერილობით გამოსახონ ფურცელზე.

აქტივობა გათვლილია, რომ მოსწავლეებს გაუჩნდებათ შეკითხვა: სიაში არ არის ბალახი, როგორ შევადგინოთ კვებითი ჯაჭვი?“ მასწავლებელი პასუხობს : თქვენ თავად ჩაამატეთ. შესაძლოა, რომ ასეთი შეკითხვა არ გაჩნდეს. ასეთ შემთხვევაში თავად მასწავლებელი ეკითხება: რა აკლია თქვენს სიას იმისათვის, რომ შეძლოთ კვებითი ჯაჭვის შედგენა?

(ეს აქტივობა საჭიროა: 1. კვებითი ჯაჭვის შესახებ სწორი წარმოდგენის ჩამოყალიბება/განმტკიცებისათვის 2. ახალი ტერმინოლოგიის (ბალახისმჭამელი/ ხორცისმჭამელი) სწავლებისათვის 3. და აგრეთვე, ხელს შეუწყობს საბაზო საფეხურზე პროდუცენტების მნიშვნელობის გარკვევას).

### აქტივობა 3: ნაირმჭამელები

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რითი იკვებება ადამიანი?

პასუხები იწერება დაფაზე. მასწავლებელი ერთ რიგში წერს მცენარეული საკვების სახელებს, მეორე რიგში - ცხოველურისას.

მოსწავლეებს ალბათ გაუჭირდებათ იმის წარმოდგენა, რომ მაწონი ან რძე ცხოველური პროდუქტია, პური კი მცენარეული. ამიტომ მასწავლებელი აქ აქტიურად ერევა საქმეში და კითხვების გზით არკვევს ამ საკითხს.

შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: ადამიანი ჭამს პურსაც და მაწონსაც, ხორცსაც და ხახვასაც. მაშინ ამ სამი სიტყვიდან, რომელი მიესადაგება ადამიანს ყველაზე კარგად? დაფაზე იწერება სამი ტერმინი: „ბალახისმჭამელი“, „ხორცისმჭამელი“, „ნაირმჭამელი“.

### აქტივობა 4 ზემოთ მოყვანილი სქემები გამოიყენეთ სხვა მიზნითაც.

ჯგუფებს დაურიგეთ სქემები და სხვადასხვა ჯგუფისათვის სქემიდან ამოაგდეთ (დაფარეთ ქაღალდით, ან ამოიღეთ ასლის გადაღების დროს) კვებითი ჯაჭვის ერთი რომელიმე კომპონენტი. სთხოვეთ მოსწავლეებს ალწერონ, თუ როგორ შეიცვლება კვებითი ჯაჭვი. ცალკე ბარათებზე იქონიეთ სხვა პროდუცენტის (მაგ. მუხა, კაკალი), კონსუმერნტების (მაგ. გარეული ღორი, მგელი) რედუცენტის (ხოჭო) გამოსახულებებით. დაურიგეთ ბარათები მოსწავლეებს და სთხოვეთ, შეავსონ ჯაჭვში გამოტოვებული ადგილი და გააკეთონ შესაბამისი კომენტარი.

**აქტივობა 5.** ზემოთ აღნიშნული აქტივობების ჩამთავრების, კვებითი ჯაჭვის კონცეფციის განმტკიცების შემდეგ, მასწავლებელს გაყავს მოსწავლეები გარეთ.

ეს დამამთავრებელი აქტივობაა და სრულიად აუცილებელი შედეგის მისაღწევად.

მასწავლებელს გაყავს მოსწავლეები გარეთ. მოსწავლეების იყოფა ჯგუფებად. ჯგუფებს მასწავლებელი მოუნიშნავს (მიწაში ჩარჩობილი ჯოხებით) დაკვირვების ტერიტორიას. ჯგუფებს აქვთ ფურცელი და ფანქარი. ჯგუფებს ეძლევა დავალება: აღმოაჩინეთ კვებითი ჯაჭვის ფალკეული რგოლები. მოსწავლეები აკვირდებიან ტერიტორიას, იწერენ აღმოჩენილ კომპონენტებს. ჩანაწერებს ჯგუფები ინახავენ კლასში შემდეგი გაკვეთილისათვის.

### **აქტივობა გრძელდება შემდეგ გაკვეთილზე კლასში.**

დაკვირვების ჩანაწერებზე დაყრდნობით იგივე ჯგუფები ადგენენ (წერილობით) კვებით ჯაჭვს. შედეგები იწერება დაფაზზე.

ჯგუფები ადარებენ შესრულებულ ნამუშევარს. მასწავლებელი სთხოვს, დააფიქსირონ განსხვავება და მსგავსება ნამუშევრებს შორის. მთელი კლასი ქმნის ერთ საერთო კვებით ჯაჭვს ყველა ჯგუფის მონაცემის გათვალისწინებით.

#### **კვებითი ჯაჭვი და კვებითი ბადე:**

ამ ეტაპზე ეროვნული სასწავლო სტანდარტით არ არის გათვალისწინებული „კვებითი ბადის“ სწავლება. ჩვენი აზრით, ამ საკითხის სწავლება მეხუთე კლასში სასურველია შემდეგი მიზეზების გათვალისწინებით:

- მოსწავლეს უყალიბდება არასრულფასოვანი კონცეფცია კვებითი ურთიერთობების შესახებ
- ინტელექტუალურად მეხუთეკლასელი მზად არის კვებითი ბადის კონცეფციის შემცნებისათვის

ამ მიზეზების გათვალისწინებით გთავაზობთ აქტივობას კვებითი ბადის კონცეფციის განვითარებისათვის.

მასწავლებელი სქემატურად ხატავს დაფაზზე ბალახოვან მცენარეებს და ეკითხება მოსწავლეებს: დამისახელეთ ბალახისმჭამელი ცხოველები.

მასწავლებელი წერს ამ სახელებს ბალახის ნახატის თავზე ერთ რიგად. მასწავლებელი: ახლა მე დავაკავშირებ ამ ცხოველებს ისრებით მცენარეებთან, რადგან ეს ცხოველები მცენარეებს ჭამენ.

ახლა დამისახელეთ ხორცისმჭამელები. მოსწავლეები ასახელებენ ხორციმჭამელებს, მასწავლებელი წერს ამ სახელებს დაფაზზე, ბალახისმჭამელების სახელწოდებების თავზე, ერთ რიგად.

მასწავლებელი - ვისთან დავაკავშირო ისრებით ხორციმჭამელები?

პასუხი, როგორც წესი, არის: ბალახისმჭამელებთან.

მასწავლებელი: მაგრამ, როგორ დავაკავშირო, მგელი ხომ თაგვსაც ჭამს და კურდღელსაც (ეს კონკრეტული ცხოველები მაგალითია მხოლოდ)? მსჯელობა მიდის იქამდე, რომ მგლისაგან ორი ისარი უნდა წამოვიდეს: ერთი თაგვთან, მეორე კურდღელთან.

მასწავლებელი ავლებს ისრებს.

ამის შემდეგ შეკითხვა: რაღაც აკლია ჩვენს ნახატს. მაგალითად, დათვი, ის ხომ ნაირმჭამელია, ბალახსაც ჭამს და ხორცსაც. როგორ გავავლო ისრები?

ნახატის დასრულების შემდეგ:

მასწავლებელი: აი, როგორი ნახატი გამოვიდა. მოდი, დავასათაუროთ ნახატი. მე მოცემთ ბარათებს, რომლებზეც დაწერილია სხვადასხვა სათაური. ამოარჩიეთ ის, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს ნახატის შინაარსს. მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს ორ ბარათს. ერთზე წერია: „კვებითი ჯაჭვი“, მეორეზე „კვებითი ბადე“.

ნებისმიერი არჩევანი განიხილება დისკუსიის გზით და შეკითხვებით: რატომ ფიქრობ ასე?

თუ მასწავლებელი ატყობს, რომ მოსწავლეებს უჭირთ ახალი კონცეფციის გამომუშავება, ის საქმეს აადვილებს: გამოყოფს ნახატზე ცალკეულ კვებით ჯაჭვებს და განმარტავს, რომ ნახატზე ერთი კი არა, ბევრი კვებითი ჯაჭვია, რომლებიც ერთიანდება კვებით ბადეში.

### **აქტივობა: ხერხემლიანების ორგანოები და მათი ფუნქცია**

როდესაც ამ თემას განიხილავთ, სასურველია, გაკვეთილისათვის მოამზადოთ ჩონჩხის ნატურალური ნიმუში. ზოგიერთ სკოლაში არის ასეთი ნიმუშები, მაგრამ თუ თქვენს სკოლაში არ არის, შესაძლებელია მათი დამზადება. ეს შეიძლება იყოს თევზის ჩონჩხი. თევზი ძალიან დიდ ხანს უნდა ხარშოთ რათა ძვლებს ადვილად გასცილდეს კუნთები. გაათავისუფლეთ ქალა, ხერხემალი და ნეკნები სხვა ქსოვილებისაგან. შეძლებისადაგვარად, შეინარჩუნეთ კუდის ფარფლის ჩონჩხიც. ჩონჩხი დააკარით მუყაოს ქალალდზე. აჩვენეთ მოსწავლეებს ხერხემლიანთა კლასის ჩონჩხი კომპიუტერშიც. მაგრამ ვერანაირი სურათი ვერ შეცვლის ნატურალურ ნიმუშს, ამიტომ ძლიერ სასურველია თუ თევზის ჩონჩხს დაამზადებთ.

სასურველია, იქონიოთ ბარათები სახელმძღვანელოში მოყვანილი სურათებით.

განსაზღვრეთ, გაკვეთილის მიზანი: ცოცხალი არსებების ჩონჩხზე დაკვირვება.

განუმარტეთ, რას ნიშნავს ძვლოვანი ჩონჩხი.

გაკვეთილი დაინტერესონ დადამიანის ჩონჩხის სურათით. მიუთითეთ ხერხემალი, ქალა, კიდურები. მიუთითეთ ხერხემალი თევზის ნატურალურ ჩონჩხზეც.

გაკვეთილი გააგრძელეთ აქტივობით: სხვადასხვა ხერხემლიანის ჩონჩხის შედარება.

დაურიგეთ მოსწავლეებს ბარათები ხმელეთის ხერხემლიანების გამოსახულებით და სთხოვეთ, აღმოაჩინონ მსგავსება ადამიანის და სხვა ხერხემლიანების ჩონჩხს შორის. პირველ რიგში, ეს არის ხერხემალი, ქალა, კიდურები.

შეგიძლიათ გამოიყენოთ ადრე მოყვანილი სქემები

დასვით შეკითხვა: ყველა ამ ცხოველთაგანს რატომ ვუწოდებთ „ხერხემლიანს“.

დააფიქსირეთ პასუხი და გააკეთებინეთ დასკვნა: დაჯგუფება ხდება იმ ნიშნით, რომელიც საერთოა ყველა ამ არსებისათვის.

სთხოვეთ მოსწავლეებს, აღმოაჩინონ განსხვავება ხერხემლიანების ჩონჩხს შორის. ამუშავეთ კლასი თევზის ნატურალურ ჩონჩხზე: გამოყონ ჩონჩხის ძირითადი ნაწილები.

ამ შემთხვევაში, მოსწავლეებმა თავად უნდა აღმოაჩინონ განსხვავება: კიდურების არსებობა ხმელეთის ხერხემლიანებში და ფარფლები თევზებში.

**სთხოვეთ მოსწავლეებს განსხვავება-მსგავსება გამოსახონ ვენის დიაგრამის სახით.**

შემდეგ დასვით შეკითხვა: რატომ ჯობს ვუწოდოთ ყველა ამ ცხოველს „ხერხემლიანი“ და არა, მაგალითად, „კიდურიანი“ ცხოველები? (რადგან თევზებს არ აქვთ კიდურები).

დააფიქსირეთ პასუხი და გააკეთებინეთ დასკვნა: დაჯგუფება ვერ მოხდება იმ ნიშნით, რომელიც არ არის საერთო ყველა ამ არსებისათვის.

შემდეგ უჩვენეთ მოსწავლეებს უხერხემლო ცხოველების სურათები ან თუ სკოლაში გაქვთ — ნატურალური ნიმუშები. აუსენით, რომ ამ ცხოველებს არ აქვთ ძვლოვანი ჩონჩხი და ამიტომ უხერხემლოები ეწოდებათ.

აქტივობის შემდეგ დასვით კითხვა ჩონჩხის მნიშვნელობის შესახებ. შეგიძლიათ ძალიან ადვილად მოახდინოთ ხერხემლის მნიშვნელობის დემონსტრაცია. აიღეთ ნაჭრის ტომარა, ან თუნდაც ცელოფნის პარკი და უჩვენეთ მოსწავლეებს, რომ მისი „ფეხზე დაყენება“ არ ხერხდება: როგორც კი ხელს გაუშვებთ, დაეცემა. ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ტომარა „ფეხზე დადგეს“? შესაძლებელია, რომ დისკუსიაში გამოიკვეთოს საყრდენის აუცილებლობა. ტომარას ღია მხრიდან შეუდგით საყრდენი (მაგ. ჯოხი ფართო ძირით), დადეთ საყრდენიანად მაგიდაზე და დაანახეთ მოსწავლეებს, რომ საყრდენის დახმარებით ტომარა „ფეხზე დადგება“.

დასვით შეკითხვა: სახლისა და ქანდაკების შესახებ (რაზედაც ადრე იყო საუბარი).

მიეცით მოსწავლეებს საშუალება, გამოთქვან აზრი. ეს შესაძლებელია გაკეთდეს ჯგუფურადაც: ჯგუფებმა მოითიქრონ პასუხი და წარმოადგინონ.

ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია გადასვლა ხერხემლის ფუნქციაზე.

დასვით შეკითხვა: რა მნიშვნელობა აქვს ხერხემალს ცხოველებისათვის? მიეცით მოსწავლეებს საშუალება გამოთქვან აზრი.

ეს გაკვეთილი იძლევა საშუალებას, რომ მასწავლებელი იყოს მხოლოდ დისკუსიის წარმმართველის როლში, კლასის აქტივობაში მინიმალური ჩარევით, ხოლო მოსწავლეებმა გამოიჩინონ მაქსიმალური აქტივობა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებლს დისკუსიაში მეორეხარისხოვანი როლი აქვს. მან უნდა უზრუნველყოს საწყისი ინფორმაციის მიწოდება, დისკუსიის წარმართვის წესრიგი. წესრიგი არ მყარდება სიმკაცრით. მასწავლებელმა უნდა გააცნოს კლასს დისკუსიის წარმართვის წესი: დისკუსიას აქვს მსჯელობის საგანი, ამიტომ ვსაუბრობთ არა ყველაფრის შესახებ, არამედ იმ საკითხის გარშემო, რომელსაც განვიხილავთ; ყველა უსმენს იმ ადამიანს, რომელიც გამოთქვამს აზრს, ყველანაირი აზრი პატივსაცემია, დისკუსიას აგვირგვინებს დასკვნა. დასკვნა კეთდება გამოთქმული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე.

### აქტივობა: ყვავილოვანი მცენარის ორგანოები

ამ თემის დამუშავებას აუცილებლად სჭირდება მცენარეების დათვალიერება ბუნებრივ გარემოში. რაც შეეხება ხელსაწყოს, ჩვენი აზრით, სრულიად საკმარისია გამადიდებელი შუშის გამოყენება. მოსწავლეებისათვის ძალიან საინტერესო იქნება ბუტკოსა და მტკრიანის დათვალიერება.

არ არის საუბარი მათი სტრუქტურის დეტალურ შესწავლაზე, უბრალოდ, მოსწავლემ უნდა დაინახოს ის, რასაც შეუიარაღებელი თვალით ვერ ხედავს და აღეძრას ინტერესი, მეტი გაიგოს გარემომცველი სამყაროს შესახებ.

თემაში აუცილებლად ჩართეთ მუშაობა მცენარეთა სახელწოდებებზე.

ადრე უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მოსწავლე ეზიაროს საკუთარი ქვეყნის კულტურას და აგრეთვე, განივითაროს წარმოსახვის უნარი. გარდა ამისა, სახელწოდებებზე მუშაობა გულისხმობს დაკავირვებას და ავითარებს მოსწავლის წარმოდგენას მცენარეთა აგებულებასა და მრავალფეროვნებაზე.

გაკვეთილის წარმართვის სცენარი რთული არ არის:

განსაზღვრულ გაკვეთილის მიზანი: გავარკვიოთ რა ეწოდება ამა თუ იმ მცენარეს და მოვიფიქროთ, რატომ მისცა ადამიანმა მათ ეს სახელი.

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს სხვადასხვა მცენარეზე, უსახელებს მათ და სთხოვს მოსწავლეებს მოიფიქრონ, საიდან მოდის ესა თუ ის სახელწოდება.

მოსწავლეები აკვირდებიან მცენარეებს და პოულობენ შესაბამისობას მცენარის ნიშან-თვისებასა და სახელწოდებას შორის.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააფიქსირონ, მცენარის რომელ ორგანოს და რა ნიშან-თვისებას უკავშირდება ეს სახელწოდება.

ჯობს, მუშაობა წარიმართოს ისეთ მცენარეებზე, რომლებიც არ არის თემასთან დაკავშირებით ნახსენები სახელმძღვანელოში. ამიტომ გთავაზობთ რამდენიმე ვარიანტს.

შეგიძლიათ, მათი ფოტო იპოვოთ ინტერნეტში, ამიტომ ყველა სახელწოდებას მივაწერთ ლათინურსაც. თუმცა, ჯობს, წინასწარ მოიმარაგოთ მათი ნიმუშები.

**ორფოთოლა** (*Ilatanthera bifolia*) **მრავალძალვა** (*Plantago major*) **ვაცინვერა** (*Stipa*) **ყვავისფრჩხილა** (*Coronilla varia*) **ლვინა** (*fritillaria*)

კუთხური სახელწოდებებიდან შეგიძლიათ გააცნოთ ბზის ქართლური სახელწოდება — უფლის ხე და ჰკითხოთ მოსწავლეებს — რატომ ჰქვია ეს სახელი, მიაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.

გაკეთილი შეგიძლიათ დააკავშიროთ საქართველოს ისტორიასთანაც. მაგალითად:

მცენარეთა სულ ცოტა 20 კუთხური სახელწოდება მაინც უკავშირდება მაცხოვრის და ღვთისშმობლის სახელებს: ქრისტეთვალა, ქრისტესისხლა, ქრისტეს ცერი, მარიამა და სხვ. მოსწავლეების აქტივობა წარმართეთ შემდეგი მიმართულებით:

რატომ არის ასე ბევრი სახელწოდება ამ ხასიათის? როდის უნდა წარმოშობილიყო ეს სახელწოდებები? ჩართეთ ამ სამუშაოში ისტორიის მასწავლებელიც.

ეს აქტივობა სასარგებლოა: მოსწავლე იწყებს ფიქრს იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენა აქვს რელიგიასა და კულტურას ადამიანის აზროვნებაზე.

გთავაზობთ საქართველოში შემოდგომაზე მოყვავილე მცენარეების სიასაც.

სიაში მოცემულია ამ მცენარეების აღწერა და მათი გავრცელების ზუსტი ადგილის მითითება.

ამ მცენარეებიდან ზოგიერთი იზრდება მთელ საქართველოში, ამიტომ გამოგადგებათ ნებისმიერი რეგიონის მასწავლებლებს. არის ისეთებიც, რომლებიც მოიპოვება თბილისშიც.

შეგიძლიათ, ბავშვებს აჩვენოთ ეს მცენარეები ბუნებაში, გააკეთებინოთ მათი ჰერბარიუმი, ან თავად მოიტანოთ სკოლაში და უჩვენოთ აგებულება.

**საქართველოში შემოდგომაზე მოყვავილე მცენარეები მარიამსაკმელა** — ყვავილები მკრთალი ყვითელი ან მოთეთროა, იზრდება მშრალ ბალახოვან ფერდობებზე ან გზისპირებში. არცთუ იშვიათია თბილისის მიდამოებში, კერძოდ, დილომში, მშრალ ფერდობებზე თბილისის არქეოლოგიური მუზეუმიდან ავეჯის მაღაზია „ბელუქსამდე“. პოვნა შეიძლება იმერეთში, კახეთში, მესხეთში.

**ორყურა** — ყვავილი მოთეთრო ყვითელია, ძირში — ნარინჯისფერი. საკმაოდ ხშირია თბილისის მიდამოებში, კერძოდ, გვხდება სოლოლაკისა (ნარიყალას შემოგარენში) და თაბორის ქედებზე, კოჯრისაკენ მიმავალი გზის პირებზე (მდ. ლელვათახევისკენ დახრილ ფერდობებზე). ზოგადად, ეტანება მშრალ და ქვიან ადგილებს, ხშირია გზისპირებში. ფართოდაა გავრცელებული ქართლში, ქვემო ქართლში, მესხეთში.

**ლემა** — მცენარეს საკმაოდ დიდი და თეთრი ყვავილები აქვს. იზრდება დანაგვიანებულ ადგილებში, ზოგჯერ გზისპირებში ან ღობეებთან. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება, თუმცა არ ქმნის ძალიან დიდ ჯგუფებს.

**დიდებული სათოვლია (სათოვლია)** — ყვავილი ვარდისფერი, იისფერი ან მეწამულია.

საქართველოში თითქმის ყველგან გვხდება, ოლონდ მთაში. საკმაოდ ხშირია დაბა ბაკურიანთან, ცხრაწყაროს უღელტეხილზე, ნარიანში.

**კენაფი**(მიაქციეთ ყურადღება: ეს მცენარე არის კენაფი და არა კანაფი) — გვირგვინის ფურცელები ვარდისფერია, მცენარე მაღალი, 1.5 მ-მდეა. იზრდება ჭაობიან ადგილებში, არხების პირას. გავრცელებულია აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში (ფოთის მიდამოები).

**ყვითელი ტუხტი** — მცენარეს დიდი ყვითელი ყვავილები აქვს. გავრცელებულია მთელ საქართველოში, ხშირია გზის პირებზე (თბილისი-გორის გზის ორივე მხარეს), დანაგვიანებულ ადგილებში, ნათესებში. თვალშისაცემი მცენარეა.

**ცოცხმაგარა** — მეწამული ყვავილები შეკრებილია მოგრძო ყვავილედად. იზრდება საქართველოს თითქმის ყველა დაბლობ რაიონში, ხშირია მდინარეთა ნაპირებზე, ჭაობებში, გზისპირა არხებში (ხშირია საქართველოს სამხედრო გზის პირას, ფასანაურთან, ანაურის წყალსაცავთან).

**მეკენძალა** — მცენარე სიმაღლით 2 მეტრამდეა, ყვავილები თეთრია. იზრდება ტყეებში, ტყისა და მთის სარტყელში, თითქმის მთელ მთიან საქართველოში.

**ყვითელი ძიძო** — ყვავილები ყვითელია, შეკრებილია ხშირ ყვავილედად. იზრდება ბუჩქნარებში, გზის პირებში, დანაგვიანებულ ადგილებში, ხშირია თბილისა და მის შემოგარებში, ასევე, თითქმის მთელ საქართველოში.

ხახუნის ძალაზე საუბრის დაწყებისას განსაზღვრეთ გაკვეთილის მიზანი: სხეული თავისი ზედაპირით ყოველთვის არის სხვა სხეულის ზედაპირთან შეხებაში. მცენარე ფესვით ეხება მიწას, ადამიანი ფეხით ეხება მიწას, თევზი ეხება წყალს და ასე შემდეგ. რა ხდება, როდესაც ორი სხეული ერთმანეთს ეხება ზედაპირით, რა კავშირი მყარდება მათ შორის, როგორ მოქმედებენ ისინი ერთმანეთზე?

მიეცით მოსწავლეებს საშუალება, გამოთქვან თავისი აზრი. მოსაზრებები დაწერეთ დაფაზე.

დაურიგეთ მოსწავლეებს (ჯგუფებს) ორ-ორი პლასტმასის ჭიქა. ერთი კარგად დატყეპნილი მიწით სავსე, მეორე ცარიელი. ორივე ჭიქაში წინასწარ (მიწის ჩაყრამდე) ჩადეთ ღრმად ხის წკირები.

აუხსენით მოსწავლეებს რა არის ჭიქებში და ჰქითხეთ: რომელი ჭიქიდან იქნება უფრო ადვილი წკირის ამოღება? მიეცით საშუალება, განმარტონ პასუხი. ჩვენი გამოცდილებით პასუხებში ხშირია სიტყვები: „მიწა იჭერს“, „უშლის“, თუმცა, იშვიათად არის სიტყვები „მიწა ედება ჯოხს“ და ა.შ. ჩამონერეთ ჯგუფების პასუხები დაფაზე.

სთხოვეთ მოსწავლეებს, ამიღონ წკირი ჭიქებიდან და თან დააკვირდენ, რა შემთხვევაში დასჭირდებათ უფრო მეტი ძალის (სინამდვილეში ეს კუნთური ძალაა) გამოყენება.

განუმარტეთ მოსწავლეებს, რას ნიშნავს შეჭიდულობა და შეჭიდულობის ძალა და რა ქმნის შეჭიდულობის ძალას მიწასა და წკირს შორის.

ამის შემდეგ გაიმეორეთ ცდა. ოლონდ ახლა ორი მიწიანი ჭიქით. ერთში წკირი იდოს იმავე სილრმეზე, მეორეში წკირი მხოლოდ წვერით ჩადეთ. მოსწავლეებს სთხოვეთ შეამოწმონ, საიდან უფრო ადვილად ამოაძრობენ წკირს. სთხოვეთ განმარტონ მიზეზი.

დააფიქსირეთ ხახუნის ძალის დამოკიდებულება შეხების ზედაპირის ფართობზე.

ამის შემდეგ დაურიგეთ ბარათები სახელმძღვანელოდან ამოღებული ტექსტით (ან რუსული ზღაპრის, ან ქართულის – დევის შესახებ). მიეცით 5 წუთი წასაკითხად და

სთხოვეთ, რომ განმარტონ, რატომ იყო რთული თალღამის ამოღება და რატომ ვერ ამოძრა მიწიდან დევი.

დასასრულს, გააკეთებინეთ მოსწავლეებს დასკვნა ხახუნის ძალის, მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ და სთხოვეთ, მოიყვანონ მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან.

არ არის აუცილებელი ამავე გაკვეთილზე ხახუნის ძალის შემცირების გზებზე საუბარი. ეს შეგიძლიათ გადადოთ შემდეგი გაკვეთილისათვის.

#### **აქტივობა: მოძრაობის ტრაექტორია**

ამ თემაზე მუშაობისათვის, სასურველია, მოსწავლეები გაიყვანოთ გარეთ (ეზოში, მინდორში) და პრაქტიკულად, დაანახოთ რას ნიშნავს ტრაექტორია და მანძილი.

ეზოში წინასწარ მონიშნეთ ორი ა და ბ წერტილი (ჯოხებით, ქვებით), ერთმანეთისაგან დაცილებული 10 მეტრით (ან მეტად). ასეთი მონიშნული ადგილი უნდა იყოს რამდენიმე. მოსწავლეები ამუშავეთ რამდენიმე ჯგუფად, თითოეულში გამოყავით „დამკვირვებლები“ და „ცდის პირები“. თითოეული ჯგუფი იმუშავებს თითო მონიშნულ ადგილზე.

დამკვირვებლებს დაურიგეთ ფურცელი და ფერადი ფანქრები.

განსაზღვრეთ გაკვეთილის მიზანი: როდესაც თქვენ გადაადგილდებით (სახლში, სკოლაში, ქუჩაში, მინდორში და სხვ.), ყოველთვის გარკვეულ გზას გაივლით. ჩვენ უნდა გავიგოთ, რა გზა შეიძლება აირჩიოს ადამიანმა როდესაც ის მოძრაობს ერთი ნერტილიდან მეორეში.

დაკვირვების პირველი სერია:

ინსტრუქცია:

ცდის პირის დავალებაა აუჩქარებლად მივიდეს ა პუნქტიდან ბ პუნქტში. დამკვირვებლები ფურცელზე შავი ფანქრით მონიშნავენ ა და ბ პუნქტს (დაანერენ შესაბამისად „ა“, „ბ“); აკვირდებიან ცდის პირის მოძრაობას და ფურცელზე წითელი ფანქრით გაავლებენ წირს, რომელიც ზუსტად ასახავს მის გადააგილებას ა-დან ბ-ში.

სამუშაოს დასრულების შემდეგ დააფიქსირეთ, თუ როგორი წირი გაავლეს ჯგუფებმა.

დაკვირვების მეორე სერია:

ინსტრუქცია:

ჩვენ დავასრულეთ ერთი სამუშაო. ვნახეთ, თუ როგორ მივიდნენ ცდის პირები ა პუნქტიდან ბ-ში. ახლა გავცვალოთ როლები. ცდის პირი გახდეს დამკვირვებელი, დამკვირვებლებმა თავიანთ შორის ამოირჩიონ ერთი ცდის პირი.

ცდის პირის დავალებაა აუჩქარებლად მივიდეს ა პუნქტიდან ბ პუნქტში. ოლონდ არ უნდა გაიმეოროს წინა ცდის პირის გზა. დამკვირვებლები აკვირდებიან ცდის პირის მოძრაობას და ფურცელზე ლურჯი ფანქრით გაავლებენ წირს, რომელიც ზუსტად ასახავს მის გადააგილებას ა-დან ბ-ში.

სამუშაოს დასრულების შემდეგ დააფიქსირეთ, თუ როგორი წირი გაავლეს ჯგუფებმა.

ჩაატარეთ ცდის კიდევ ორი სერია. ყოველ მომდევნო სერიაში მოსწავლეები მუშაობენ სხვა ფერის ფანქრით.

ამის შემდეგ განსაზღვრეთ, რას ნიშნავს ტრაექტორია. მხოლოდ განსაზღვრება, მრუდნირულისა და წრფივის განმარტების გარეშე.

სთხოვეთ ჯგუფებს, საკუთარ ნამუშევარზე გაარკვიონ, როგორი ტრაექტორიით იარეს მათ ა-დან ბ-ში, დაადგინონ ერთნაირი იყო თუ განსხვავებული ტრაექტორიები სხვადასხვა ცდაში.

ამის შემდეგ სთხოვეთ, მოიფიქრონ, რომელ ტრაექტორიას შეიძლება ვუწოდოთ წრფივი (შეგიძლიათ, გამოიყენოთ სიტყვა „პირდაპირი“, რათა სიტყვა „წრფივი“ გასაგები გახდეს) და მრუდნირული.

დააფიქსირეთ მოსწავლეთა განმარტებები, გამართეთ ტერმინოლოგიურად და შეაჯამოთ გაკვეთილი.

მოსწავლეთა ნამუშევარი (ჯგუფების მიხედვით) შეინახეთ.

**აქტივობა:** მოძრაობის ტრაექტორია

ეს თემა ლოგიკურად აგრძელებს საკითხს ტრაექტორის შესახებ. გაკვეთილის ჩატარება, თუ ის წინა თემის განხილვას მოჰყვება, ძლიერ გაადვილებულია, რადგან ტრაექტორიაზე დაკვირვებისას მოსწავლეებმა ფურცლებზე ფაქტობრივად უკვე შექმნეს მანძილის ნახაზი.

გაკვეთილის მიზანი:

დავადგინოთ, რა მანძილს გაივლის ადამიანი (ან ნებისმიერი სხვა სხეული) მოძრაობის დროს, როგორ შეიძლება შეიცვალოს ეს მანძილი.

დაურიგეთ ჯგუფებს საკუთარი ნამუშევარი. განუმარტეთ, რომ მანძილი, რომელიც მათ გაიარეს ა პუნქტიდან ბ-ში მოძრაობისას, იზომება სანტიმეტრებში, მეტრებში, კილომეტრებში. მიეცით სახაზავი და განუმარტეთ, რომ მანძილის გაზომვისას ისინი უნდა მიჰყვნენ იმ წირს, რომელიც ასახავს მათ ტრაექტორიას.

სთხოვეთ ჯგუფებს, გაზომონ წირები (მანძილები), რომლებიც სხვადასხვა ფერის ფანჯრით არის გამოსახული. შეამოწმეთ სამუშაო და სთხოვეთ, შეადარონ მიღებული მაჩვენებლები.

ჯგუფებმა უნდა უპასუხონ: ერთნაირი მანძილი გაიარეს თუ არა ცდის პირებმა ცდის სხვადასხვა სერიაში.

პასუხების დაფიქსირების შემდეგ ჰქითხეთ; რა არის ცდის სხვადასხვა სერიაში ა პუნქტიდან ბ-ში მოძრაობისას გავლილ მანძილებს შორის განსხვავების მიზეზი.

დისკუსია ლოგიკურად მიიყვანეთ იმის გაცნობიერებამდე, რომ მანძილი ა პუნქტიდან ბ-ში მოძრაობისას იცვლება იმის მიხედვით, წრფივია თუ მრუდნირული ტრაექტორია.

განუმარტეთ ცნება: უმოკლესი მანძილი ორ წერტილს შორის არის წრფე.

სთხოვეთ, კლასში აღნიშნონ უმოკლესი მანძილი ფანჯრიდან კარამდე, მერხიდან ფანჯრამდე.

სთხოვეთ, აღნიშნონ, როგორ მივლენ კარამდე მრუდნირული და წრფივი ტრაექტორიით, მოიყვანონ წრფივი, ტეხილი და წრიული ტრაექტორიის მაგალითები ყოველდღიურობიდან.

გაკვეთილის ბოლოს დააფიქსირეთ განმარტება: განვლილი მანძილი არის ტრაექტორიის სიგრძე.

შეაჯამეთ გაკვეთილი.

**აქტივობა:** ნივთიერებათა აგრეგატული მდგომარეობა

მასწავლებლის დახმარებით მოსწავლე გეგმავს და ატარებს ცდებს წყლის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლაზე დასაკვირვებლად, ზომას ტემპერატურას და აღწერს წყლის გაყინვა-გალლობის, აორთქლება-კონდენსაციის პროცესებს. აკვირდება ამ პროცესთა შექცევადობას.

გაკვეთილისათვის დაგჭირდებათ წინასწარ, რამდენიმე დღით ადრე, მისცეთ მოსწავლეებს საშინაო დავალება: ჩაასხან წყალი ნახევრამდე პლასტმასის ჭიქაში და შედგან საყინულები. პერიოდულად, ყოველ 15 წუთში შეამოწმონ, რა მოუვა წყალს

და გააკეთონ ჩანაწერები ამისათვის გამოყოფილ ფურცელზე. მოსწავლეებს ყოველ დღე შეახსენეთ ხოლმე, რომ დავალება აქვთ შესასრულებელი, მაგრამ დაკვირვების შედეგებს ნინასწარ ნუ გამოჰკითხავთ.

წყალი თავადაც გაყინეთ და გაკვეთილისათვის მიიტანეთ კლასში. ყინული რომ არ დაგიდნეთ, ჭიქა გაახვიეთ ცელოფნის ნაჭერში და წინასწარ შეუთანხმდით სხვა მასწავლებლებს, რომ დაგითმონ პირველი გაკვეთილი.

გაკვეთილი დაიწყეთ შეკითხვით: 1. რა შედეგი მივიღეთ, როდესაც წყალი შევდგით საყინულები? (ამ შემთხვევაში დასაშვებია, რომ გაკვეთილის მიზანი არ განისაზღვროს).  
2. რატომ გაიყინა წყალი? ამ შეკითხვაზე მოსწავლეები ადვილად პასუხობენ.

მოსწავლეებს განუმარტეთ, რა ტემპერატურაზე იყინება წყალი და ერთხელ კიდევ ალიშვილი, რომ ნულ გრადუს და ნულს ქვემოთ ტემპერატურაზე წყალი გადაიქცევა ყინულად.

განმარტეთ, რას ნიშნავს წყლის მყარი და თხევადი მდგომარეობა.

ამის შემდეგ აიღეთ თქვენ მიერ მოტანილი ყინული და დასვით შეკითხვა: ვინმე რომ გვითხრას, არ მჯერა, ყინული წყალიაო, როგორ დავუმტკიცოთ, რომ ეს მართლაც ასეა?

როგორც წესი, მოსწავლეები ადვილად პასუხობენ ამ შეკითხვასაც და თავად ამბობენ, რომ თუ ყინულს გავათბობთ, ის თხევად წყლად იქცევა.

დააფიქსირეთ, რომ ტემპერატურის დაკლებისას (ნულ გრადუსამდე ან ნულს ქვემოთ) წყალი გადადის თხევადი მდგომარეობიდან მყარში, ხოლო ტემპერატურის მომატებისას (ნულ გრადუსს ზევით) მყარიდან — თხევადში.

ჩაატარეთ ცდა: დადგით წყლიანი ჭურჭელი სპირტქურასთან იმუშაოთ თავად. იქნიეთ წყლის ტემპერატურის საზომი. მოსწავლეებმა გაზომონ წყლის ტემპერატურა და ჩაინიშნონ ცხრილში ცალკე ფურცელზე. სპირტქურა აანთეთ. მოსწავლეებმა გაზომონ წყლის ტემპერატურა პერიოდულად. ცდის მიზანია დაფიქსირდეს, რომ ადულებული წყალი ორთქლდება. მოსწავლეები აანალიზებენ ცდის შედეგს და გამოაქვთ სათანადო დასკვნა: წყალი ორთქლდება დუღილის დროს 1000 C-ზე და უფრო მაღალ ტემპერატურაზე.

მოსწავლეები აკეთებენ ზოგად დასკვნას, რომ წყალი შეიძლება იმყოფებოდეს აირად, მყარ და თხევად მდგომარეობაში.

ამის შემდეგ ჩაატარეთ ცდა წყლის კონდენსაციაზე. მოსწავლეებმა გაზომონ წყლის ტემპერატურა პერიოდულად.

ცდის შედეგი კლასმა უნდა განიხილოს და მივიდეს დასკვნამდე: 1 — წყალი ორთქლდება დუღილის გარეშეც, 2 — წყალს ახასიათებს კონდენსაცია.

კიდევ ერთხელ დააფიქსირეთ წყლის სამი აგრეგატული მდგომარეობის არსებობა და მათი ერთმანეთში გადასვლის პირობები.

დასვით შეკითხები ყოველდღიურობიდან: რატომ შრება სარეცხი? როგორ კეთდება ნაყინი? რატომ დნება ის ზაფხულში სწრაფად, თუ საყინულები არ შევინახეთ? და სხვ. მოსწავლეთა ჯგუფებს დაავალეთ, მოიფიქრონ პასუხი შეკითხვაზე — „რა ვიცი წყლის აგრეგატული მდგომარეობის შესახებ“ და ზეპირად წარმოადგინონ.

შეაჯამეთ გაკვეთილი.

## **აქტივობა: ბუნებაში მიმდინარე ციკლური (რითმული) პროცესები**

აქტივობის მიზანია:

მოსწავლემ მოიფიქროს, როგორ შეიძლება ცდის დაყენება, რათა გავარკვიოთ, მართლა აორთქლებს თუ არა მცენარე წყალს. იმავდროულად მოსწავლე დააკვირდება წყლის წრებრუნვის ერთ-ერთ შემადგენელს — მცენარეთა მიერ წყლის აორთქლებას და გაეცნობა ფოთლის კიდევ ერთ ფუნქციას.

ცდის მოფიქრება სერიოზულ გონიერივ მუშაობას მოითხოვს და ამ მხრივ, სასურველი აქტივობაა. თუმცა ის უნდა ჩატარდეს მოსწავლის ასაკისა და გამოცდილების შესაბამისად.

თემა არ ამოიწურება ერთი გაკვეთილით, რადგან დაკვირვება რამდენიმე დღე უნდა გაგრძელდეს.

გაკვეთილის დასაწყისში გაახსენეთ მოსწავლეებს, რომ ცოცხალი ორგანიზმები იღებენ (სვამენ) და გამოყოფენ ორგანიზმიდან (აორთქლებენ, გამოყოფენ შარდის სახით) წყალს და ამით მონაწილეობას იღებენ წყლის წრებრუნვაში.

გაახსენეთ, რას ნიშნავს წყლის აორთქლება და კონდენსაცია.

შემდეგ უთხარით, რომ მცენარე ფოთლებიდან აორთქლებს წყალს, მაგრამ ჩვეულებრივ ამას ვერ ვხედავთ.

დასვით შეკითხვა, როგორი ცდა უნდა ჩავატაროთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ მცენარე მართლაც აორთქლებს წყალს.

დისკუსიის მსვლელობისას, თუ დაინახავთ, რომ მოსწავლეებს უჭირთ მოფიქრება, მიეხმარეთ. დასვით შეკითხვა: ხომ არ გამოგვადგება ამისათვის წყლის კონდენსაციის მოვლენა?

შემდგომი დისკუსიის პროცესში შეგიძლიათ, საჭიროებისამებრ, კიდევ მიეხმაროთ:

გაახსენეთ, როგორ აკვირდებოდნენ წყლის აორთქლება - კონდენსაციას მინის ფირფიტის საშუალებით.

საბოლოოდ დისკუსიამ უნდა მიიყვანოს მოსწავლეები დასკვნამდე, რომ შესაძლებელია მინის ფირფიტა დავიჭიროთ ფოთლის თავზე და თუ ფოთოლი მართლა აორთქლებს წყალს, ფირფიტაზე გამოჩნდება კონდენსირებული წვეტები.

უთხარით მოსწავლეებს, რომ მათ მიერ მოფიქრებული ცდა არსებითად სწორია, თუმცა უკეთესი იქნება, თუ მცენარეს დავახურავთ გამჭვირვალე ხუფს (მაგალითად ქილას), რათა ფოთლიდან წამოსული წყლის ორთქლი არ გაიფანტოს და მთლიანად შეეხოს ხუფის ზედაპირს.

ცდა ჩატარონ ჯგუფებში.

სამ მინით სავსე პლასტმასის ჭიქაში წინასწარ (2-3 კვირით ადრე) გაზარდეთ ჯეჯილი, ან სხვა რამ მწვანილეული. მორწყეთ რეგულარულად. გაკვეთილზე დაურიგეთ ეს ჭიქები ჯგუფებს. თითოეულმა ჯგუფმა დააწეროს ჭიქას ნომერი, ან რაიმე სახელი (სურვილისამებრ), დადოს ფანჯრის რაფაზე მზიან ადგილას და დაახუროს გამჭვირვალე ქილა. სთხოვეთ ბავშვებს: 1. აღწერონ ცდის პროცედურა; 2. არის თუ არა ქილის კედლებზე წყლის წვეტები; 3. ანარმოონ ყოველდღიური დაკვირვება რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში და ყოველ ჯერზე გააკეთონ დაკვირვების წერილობითი ჩანაწერი.

გარკვეული ხნის გავლის შემდეგ ქილაზე გამოჩდება წყლის წვეტები.

სთხოვეთ მოსწავლეებს, გააკეთონ სათანადო დასკვნა და შექმნან ნახაზი, რომელიც უჩვენებს, როგორ გამოიყოფა მცენარიდან წყალი, სად მიდის (ორთქლი ადის და მონაცილეობას იღებს ღრუბლის წარმოქმნაში) და როგორ დაუბრუნდება მიწას.

ამის შემდეგ, უთხარით მოსწავლეებს, რომ ქილის კედლებზე კონდენსირდება ჭიქაში არსებული მიწიდან აორთქლებული წყალიც.

არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე მოსწავლემ თავად მოისაზროს კიდევაც, რომ წყლის წვეთები ქილის კედლებზე მიწიდან აორთქლებულ წყალსაც ეკუთვნის.

ამიტომ ცდა ბოლომდე ვერ გვარწმუნებს, რომ ფოთოლი წყალს აორთქლებს:

წყლის წვეთები შესაძლებელია მიწიდან აორთქლებული წყლისა იყოს და არა ფოთლიდან აორთქლებულის.

სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ, როგორ უნდა ჩატარდეს ცდა, რათა გამოირიცხოს მიწიდან წყლის აორთქლების შედეგი.

დისკუსიაში შესაძლებელია გამოჩნდეს სხვადასხვა ვერსია: მიწაზე წყალგაუმტარი, მაგალითად, ვერცხლის ქაღალდის დაფარება, მიწის ზედაპირზე ზეთის დასხმა (რადგან მოსწავლეებმა წინა მასალიდან, თესლის გაღივების პირობებზე დაკვირვებიდან, უკვე იციან, რომ ზეთი ხელს შეუძლის აირის გატარებას).

სთხოვეთ მოსწავლეებს, აირჩიონ ერთ-ერთი მეთოდი და გააგრძელონ ცდა. ქილის კედლები წინასწარ კარგად გაამშრალონ. კვლავ გააკეთონ ჩანაწერები და შეადარონ წინა და ამჟამინდელი დაკვირვების შედეგები. გამოიტანონ საბოლოო დასკვნა.

საბოლოოდ, შეაჯამეთ დაკვირვების შედეგი.

**აქტივობა: გარემოში ორიენტაციისათვის გეოგრაფიული ხელსაწყოების გამოყენება**

აქტივობის მიზანია:

1. მოსწავლემ პრაქტიკულად შეძლოს სასმელი და სასმელად უვარგისი წყლის გარჩევა;

2. შეძლოს შესაფერისი ტანსაცმლის, აღჭურვილობისა და საკვების შერჩევა.

3. გამოიყენოს კომპასი ადგილზე ორიენტირებისათვის;

4. გარდა ამისა გაკვეთილი ავითარებს მოსწავლის უნარს დაგეგმოს და ჩაატაროს დაკვირვება ბურებაში.

წაიყვანეთ მოსწავლეები ექსკურსიაზე, მაგალითად, მახლობელ ტბაზე, მდინარეზე, ღელეზე, ხელოვნურ წყალსაცავზე, ზღვაზე, რომელიც თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იქნება.

წინა გაკვეთილზე წინასწარ ესაუბრეთ მოსწავლეებს მომავალი გაკვეთილის მიზნის შესახებ: დადგინდეს წყლის სასმელად ვარგისიანობა კონკრეტულ წყალსაცავში.

უთხარით, სად აპირებთ მათ წაყვანას და რომ დასჭირდებათ წყლის ნიმუშების ალება. ჰკითხეთ, როგორ უნდა მოემზადონ ექსკურსიისათვის: როგორ გაიგებენ, თუ რა ამინდი დაესწრება ექსკურსიას (ამინდის პროგნოზი), რა ტანსაცმელი უნდა ჩაიცვან ექსკურსიაზე, რა საკვები უნდა წაიღონ თან, რა უნდა იქონიონ წყლის შესაგროვებლად (შუშის თუ პლასტმასის ჭურჭელი, ღია თუ თავდახურული) და სხვ. წინასწარ გამართეთ დისკუსია: როგორ უნდა ჩატარდეს დაკვირვება, როგორ გავიგებთ წყალი ვარგისია თუ არა სასმელად. მოსწავლეებმა უნდა შეიმუშაონ დაკვირვების გეგმა.

ექსკურსიაზე მოსწავლეები შეაგროვებენ წყლის ნიმუშებს, გააკეთებენ სათანადო ჩანაწერს ნიმუშის წარმომავლობისა (ფბის, მდინარის წყალი და სხვ.) და ადგილმდებარეობის (სკოლის ჩრდილოეთით, ამა და ამ მთაზე და სხვ.) შესახებ. ადგილმდებარეობის დასადგენად გამოიყენებენ რუკასა და კომპასს.

გაკვეთილის კონკრეტულ წარმართვას ქვემოთ აღვწერთ მაგალითის სახით:  
**ექსკურსია და სასწავლო აქტივობები:**

მოსწავლეები მასწავლებელმა მიიყვანა ტბასთან. გაკვეთილის დინამიკას გამოვხატავთ შეკითხვებით, რომელსაც მასწავლებელი თანმიმდევრულად დასვამს, და მათი საშუალებით უკეთებს პროვოცირებას დისკუსიას და დაგეგმილ აქტივობას.

1. მოდი, მივიხედ-მოვიხედოთ და გავარკვიოთ, როგორი ამინდია: ღრუბლიანი, მზიანი, ნალექიანი/უნალექო, ცივა/თბილა.

2. ჩვენი ტანსაცმელი სწორად შევარჩიეთ?

3. გავიხსენოთ, რა მიზნით ვართ აქ მოსული? (საუბარია წყლის ნიმუშის აღებაზე და ვარგისიანობის შემოწმებაზე)

4. რა გვაქვს ამისათვის წამოლებული?

5. კომპასი რაში გვჭირდება?

6. რუკა რა მიზნით წამოვიღეთ?

7. როგორი ბოლოები წამოვიღეთ წყლის შესაგროვებლად და რატომ? (პლასტმასის და არა შუმის, თავდასურული და არა თავლია)

8. დავგეგმოთ თანმიმდევრულად, როგორ მივალთ ტბასთან და ავიღებთ წყალს.

აქ ყურადღება ექცევა მთელ პროცედურას, დაწყებული უსაფრთხოებით, რათა მოსწავლეებმა ფეხი არ დაისველონ, დამთავრებული წყლის ნიმუშის ისე აღებით, რომ შეგროვების დროს წყალი არ აიმღვრეს.

ამ აქტივობის ჩამთავრების შემდეგ იწყება მეორე აქტივობა:

მოსწავლეები აგროვებენ ტბის წყლის ნიმუშებს.

1. ახლა შევამოწმოთ აღებული ნიმუშები. გავიხსენოთ, რა ვისწავლეთ, როგორ უნდა ვიმსჯელოთ წყლის სასმელად ვარგისიანობის შესახებ?

2. დავაკვირდეთ ტბის ნაპირს, რას ხედავთ გარშემო? (ყურადღება უნდა მიექცეს ნაგავს, მინაზე დაღვრილ მანქანის ზეთს, საღებავს და სხვ.)

3. იქონიებს თუ არა ეს ყველაფერი გავლენას ტბის წყლის სისუფთავეზე?

ამ აქტივობის ჩამთავრების შემდეგ იწყება მესამე აქტივობა:

კლასი ემზადება საუზმისათვის.

1. აბა, ვნახოთ, რა საკვები წამოვიღეთ. მოსწავლეები ახასიათებენ წამოლებულ საკვებს და განმარტვენ, რატომ წამოიღეს ასეთი და არა სხვა სახის საკვები.

**საუზმისა და გართობის შემდეგ იწყება მეოთხე აქტივობა:**

1. ზუსტად აღვწეროთ, სად ავიღეთ წყალი:

რა ქვია ტბას, სად მდებარეობს (ზეგანზე, პარში, რა ჰქენია ამ ადგილს), სკოლიდან რა მიმართულებითაა (პორიზონტის მხარე).

2. კომპასს ხომ არ შეეძლა, როგორ გადავამოწმოთ მისი ჩვენება?

**ექსკურსიის შედეგები შეჯამდება სკოლაში, მომდევნო გაკვეთილზე.**

**კვლევა: პიგმენტების აღმოჩენა მცენარის ფოთოლში**

კვლევამ პასუხი უნდა გასცეს შეკითხვას: არის თუ არა მწვანე ფერის ფოთხლში მწვანეს გარდა სხვა ფერის პიგმენტებიც?

კვლევის ობიექტი: მცენარის მწვანე ფოთოლი

მასალა და ხელსაწყოები: 5 დიდი ზომის მწვანე ფოთოლი, ფილტრის ქაღალდი, აცეტონი ან სამედიცინო სპირტი, მაკრატელი, მინის ქიმიური ჭიქა, სანაყი, მინის ან ლითონის წყირი მოსარევად.

ყურადღება: აცეტონთან მუშაობისას აუცილებლად დაიხმარე უფროსები, სამუშაო ჩატარე კარგად ოთახში, რომელიც კარგად ნიავდება  
პროცედურა:

- 1.ფოთლები მაკრატლით დაანაკურე
2. დანაყე ფილთაქვით.

3. მიღებული მასა გადაიტანე ჭიქაში და დაფარე აცეტონით (ან სამედიცინო სპირტით). მასას მოურიე და გააჩერე 5-10 წუთი.

4. ფილტრის ქალალდისგან გამოჭერი ზონარი, ზონარის ერთი ბოლო ჩადე ჭიქის ძირში, მეორე კი ჭიქის პირზე გადაკეცე და გაამაგრე სამაგრით. აცეტონი (სპირტი) თანდათან გაულინთავს ზონარს. აცეტონთან (სპირტთან) ერთად ზონარში გადავა ფერადი პიგმენტის ნაწილაკებიც.

5. ზონარი ამოიღე ჭიქიდან და გააშრე.

ზონარიდან აცეტონის (სპირტის) აორთქლების შემდეგ ზონარზე დარჩება პიგმენტის ფერადი ლაქები. ეს არის ცდის შედეგი.

ცდის შედეგი გააფორმე ცხრიდან სახით:

	მწვანე	წითელი	ყვითელი
ზონარზე გამოჩენილი ფერი			

ცარიელ უჯრებში დასვი „+“ თუ შესაბამისი ფერი არის ზონარზე და „-“ – თუ ფერი არ არის. ცხრილში საჭიროებისამებრ შეცვალე ან დაამატე ფერის დასახელება.

გაანალიზე ცდის შედეგი ცხრილის მიხედვით:

1. რა ფერები დარჩა ზონარზე?
2. რა არის პასუხი კითხვაზე: არის თუ არა მწვანე ფერის ფოთოლში მწვანეს გარდა სხვა ფერის პიგმენტებიც?

- 3.რა მონაცემს ეყრდნობოდი, როდესაც უპასუხე 2-ე შეკითხვას?

4. გამართლდა შენი ვარაუდი?

(როგორც წესი, როდესაც ზონარი კარგად გაშრება, მასზე გამოჩენდება მწვანე, ყვითელი ფერი და ზოგიერთ შემთხვევაში, წითელი ან ყავის ფერიც).

## სარჩევი

უჯრედის სასიცოცხლო ციკლი.	3
ქრომოსომები.	3
უჯრედის სასიცოცხლო ციკლი.	4
მეიოზი.	6
ორგანიზმის ნიშანთვისებებს განაპირობებენ გენები.	8
ალელების განაწილება სასქესო უჯრედებში.	11
გენეტიკა და მატემატიკა.	15
გრეგორ მენდელი და მისი გენეტიკური ექსპერიმენტი. მონოჰიბრიდული შეჯვარება.	18
არასრული დომინანტობა.	22
გამეტებში სხვადასხვა ალელური წყვილების განაწილება.	26
სხვადასხვა ალელური წყვილების დამემკვიდრება თაობებში.	27
მენდელის შრომები. დიჰიბრიდული შეჯვარება.	28
შეჭიდული გენები.	32
მრავლობითი ალელიზმი.	34
სქესის გენეტიკა, სქესთან შეჭიდული ნიშანთვისებები.	35
აუტოსომებში მოთავსებული დაავადებების გამომწვევი ალელური გენების დამემკვიდრება.	38
გამრავლება.	41
დნმ, ცილის სინთეზი.	44
ბიოლოგის ზოგიერთი საკითხის სწავლებისთვის.	49
ანაბოლიზმი და კატაბოლიზმი.	50
აქტივობა: დნმ-ს გამოყოფა ხახვის ბოლქვიდან.	56
ძირითადი ტერმინების ლექსიკონი.	58
ევოლუცია.	60
დამფუძნებლის ეფექტი. იზოლაცია.	63
კვლევა.	72

დაკვირვება და ცდა .....	72
დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები .....	72
ექსპერიმენტის ეტაპები, უსაფრთხოების დაცვა .....	73
მონაცემის აღება და გამოსახვა, ხელსაწყოები დაკვირვების და ექსპერიმენტისათვის.....	74
ცხრილები და დიაგრამები .....	76
სავარჯიშოები ცხრილების და დიაგრამების წაკითხვასა და აგებაში .....	78
პასუხი ცხრილების და დიაგრამების სავარჯიშოში მოცემულ კითხვებზე .....	83
პრობლემის გადაჭრა და კრიტიკული აზროვნება .....	86
საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა. ....	87
როგორ გავხადოთ გაკვეთილი ინტერაქტიული .....	93
ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია.....	102
ტესტები ანატომიაში .....	124
ტესტები ბიოლოგიაში .....	132
გავრცელებული უზუსტონებები .....	157
აქტივობები და გაკვეთილების სცენარები დაწყებითი კლასებისათვის. I - II კლასი.....	164
III - IV კლასი .....	169
V - VI კლასი .....	180